ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულების
დოქტორანტ
ნინო ლიპარტიას

თემა:

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები

ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი, პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი

ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

საქართველო, თბილისი
2018

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა და ტერმინთა განმარტება.....i

შესავალი ii

1. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება 18

1.1. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების არსი და მიზანი 18

1.2. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება 19

2. საბანკო გარანტიის ისტორიული განვითარება 20

2.1.საბანკო გარანტიის განვითარების ეტაპები საქართველოში.....22

3.საბანკო გარანტიის რეგულირების წყაროები 24

3.1. სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესები N352.....26

3.2. მოთხოვნამდე საბანკო გარანტიების უნიფიცირებული წესები 27

3.2.1.მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესები N485.....27

3.2.2.მოთხოვნამდე საბანკო გარანტიათა უნიფიცირებული წესები N758 29

3.3. სახელშეკრულებო ბონდების უნიფიცირებული წესები 30

3.4. სარეზერვო აკრედიტივის საერთაშორისო წესები ISP98 31

3.5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭროს სამართლის კომისიის კონვენცია „დამოუკიდებელი გარანტიისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“.....34

3.6. სახელმწიფოთა მატერიალური სამართალი.....36

3.6.1. აშშ 36

4. საბანკო გარანტიის განმარტება 37

4.1. საბანკო გარანტიის განმარტება და მექანიზმი უნიფიცირებული წესების მიხედვით.....39

4.2. საბანკო გარანტიის განმარტება სსკ-ს მიხედვით.....40

5. საბანკო გარანტიის სუბიექტები 41

5.1. პრინციპალი, როგორც საგარანტიო ურთიერთობის სუბიექტი.....42

5.2. გარანტი, საგარანტიო ურთიერთობის ძლიერი მონაწილე 42

5.2.1. გარანტი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 43

5.3. ბენეფიციარი, როგორც საგარანტიო ურთიერთობის ძლიერი სუბიექტი 44
5.4. კონტრგარანტი 44
6. საბანკო გარანტიის სტრუქტურა 48
6.1. პირდაპირი (სამმხრივი) საბანკო გარანტიის სქემა.....50
6.2. არაპირდაპირი (ორმხრივი)საბანკო გარანტიის სქემა.....52
7. საბანკო გარანტიის განსხვავება სხვა ურთიერთობისაგან.....53
7.1. საბანკო გარანტიის განსხვავება თავდებობისაგან 53
7.1.1 თავდებობის სამართლებრივი ბუნება.....54
7.1.2. თავდებობისა და გარანტიის შედარებით სამართლებრივი ანალიზი..55
7.2. საბანკო გარანტიის განსხვავება დოკუმენტური აკრედიტივისაგან 56
7.2.1 . აკრედიტივის ცნება და არსი 56
7.2.2. აკრედიტივის რეგულირების წყაროები 57
7.2.3. აკრედიტივის განმარტება.....58
7.2.4. აკრედიტივის სუბიექტები და ურთიერთობის სტრუქტურა 60
7.2.5. აკრედიტივის არსი და მნიშვნელობა 61
7.2.6. დოკუმენტური აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების შედარებითი ანალიზი.....63
8. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი.....67
8.1. გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება 70
8.2. კონტრგარანტიის დამოუკიდებლობა გარანტისაგან.....72
8.3. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ქართულ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით....76
9. საბანკო გარანტიის „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი.....78
9.1. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი უნიფიცირებულ წესებში 79
9.2. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი კონვენციის შესაბამისად.....81
9.3. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის განმარტება სასამართლოების მიერ.....83
9.4. „ზუსტი შესაბამისობის პრინციპი“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად 85
10. საბანკო გარანტიის დოკუმენტური ბუნება 89
10.1 დოკუმენტური ბუნების არსი 89
10.2. გარანტიის არადოკუმენტური პირობა.....92
10.3. საბანკო გარანტიის დოკუმენტური ბუნების ნეგატიური მხარე 93
11. საბანკო გარანტიათა კლასიფიკაცია უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის მიხედვით 94
11.1 სატენდერო საბანკო გარანტია 95

11.2 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია 98
11.3. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 99
11.3.1 საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის განმარტება სასამართლოს მიერ 101
11.4. დეფექტებზე პასუხისმგებლობის (ხარისხის) გარანტია 103
11.5. საბაჟო გარანტია 106
11.6. სხვა სახის საბანკო გარანტიები 108
12. საბანკო გარანტიათა კლასიფიკაცია მოთხოვნის წარდგენისა და გადახდის მექანიზმის მიხედვით 109
12.1. უპირობო გარანტიები 111
12.2. გარანტიები, რომელთა გადახდა მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტების სანაცვლოდ ხდება 112
12.3. სასამართლოს ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი საბანკო გარანტიები 113
13. საბანკო გარანტიის მოთხოვნის წარდგენა და შემოწმება 113
13.1. მოთხოვნის წარდგენის წესი 113
13.2. საბანკო გარანტიის ვადა 116
13.2.1. დაუძლეველი ძალა, როგორც საგარანტიო ვადის გასვლის საპატიო საფუძველი 117
13.2.2. დაუძლეველი ძალა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი საფუძველი საქართველოს კანონმდებლობით 119
13.3. საბანკო გარანტიის ვადა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 121
13.4. საბანკო გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი მოთხოვნის სამართლებრივი შედეგის შეფასება სასამართლოს მიერ 122
13.5. მოთხოვნის უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის ვალდებულება 124
13.6. საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება საბანკო გარანტიის ვადის მნიშვნელობა 126
13.7. საბანკო გარანტიის ვადის მნიშვნელობა 127
14. ალტერნატიული მოთხოვნა „გააგრძელე ან გადაიხადე” 130
14.1. ალტერნატიული მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 132
15. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე წარდგენილი მოთხოვნის შემოწმება 133
15.1. მოთხოვნის შემოწმების წესი URDG N458-ის მიხედვით 134
15.2. მოთხოვნის შემოწმების წესი URDG N758-ის მიხედვით 135

15.3. მოთხოვნის შემოწმების ვალდებულება კონვენციის შესაბამისად 136
მოთხოვნის მართვა საერთაშორისო რეზერვული აკრედიტივის წესების მიხედვით 137
15.4. მოთხოვნის შემოწმება სსკ-ს მიხედვით 138
16. შეუსაბამო მოთხოვნა და თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძვლები 139
17. არამართლზომიერი მოთხოვნა, საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი 143
17.1 არამართლზომიერი მოთხოვნის არსი 144
17.2 არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის მიზეზები 146
17.2.1. ვაკუუმის აღმოფხვრის მიზანი 146
17.2.2. საჯარო წესრიგი, როგორც არამართლზომიერი მოთხოვნის კონტროლი 146
17.2.3. აკრედიტივისა და გარანტიების გამოყენების წახალისება 147
18. არამართლზომიერი მოთხოვნების საქმეთა ისტორიული განვითარება 148
19. არამართლზომიერი მოთხოვნები სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს მაგალითზე 152
19.1. არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესები ინგლისის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით 155
19.2 არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესები აშშ-ს მაგალითზე 157
19.3. არამართლზომიერი მოთხოვნა ერთიანი კომერციული კოდექსის შესაბამისად 157
19.4. არამართლზომიერი მოთხოვნა ირანის რევოლუციური მთავრობის მიერ წარდგენილი მოთხოვნების მაგალითზე 159
19.5. არამართლზომიერი მოთხოვნის მიმართ მოქმედები წესების შემდგომი განვითარება 162
19.6. აშშ-ს ერთიანი კომერციული კოდექსის შემდგომი განვითარება 165
19.7. საფრანგეთი 167
19.8. გერმანია 171
19.9. არამართლზომიერი მოთხოვნა უნიფიცირებული წესების შესაბამისად 173
19.9.1 UCP 500, UCP-600 175
19.10. არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირების წესი გარანტიების მიმართ შესაბამისად 175
19.10.1. სახელშეკრულებო გარანტიების შესახებ უნიფიცირებული წესები 175
19.10.2. არამართლზომიერი მოთხოვნები URDG-ის მიხედვით 177

19.10.3. არამართლზომიერი მოთხოვნები რეზერვული აკრედიტივის საერთაშორისო წესების მიხედვით 178
19.11. არამართლზომიერი მოთხოვნა UNCITRAL-ის კონვენციის შესაბამისად ... 180
20. კეთილსინდისიერების პრინციპი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში 180
20.1 კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში 188
21. უკანონო მოთხოვნა, როგორც გარანტიის ავტონომიის პრინციპის გამონაკლისი 193
21.1. უკანონო საბანკო გარანტია 193
21.2. უკანონო ხელშეკრულება 193
21.3. უკანონო მოთხოვნის რეგულირება აშშ-ში 197
22. სასამართლოს როლი არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირების პროცესში 197
22.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე 197
22.2. მტკიცების სტანდარტი დროებითი ღონისძიების გამოყენების პროცესში .. 198
22.3. ინგლისი 200
22.3.1. Mareva Injunctions 204
22.4. აშშ 206
22.5. კონვენცია 207
22.6. გერმანია 208
22.7. საქართველო 209
23. საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული პრობლემატიკა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში 214
23.1. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე დავების ანალიზი 215
23.1.1. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის პირობებისა და ხელშეკრულების პირობების კონკურენციის საკითხი 216
23.1.2. საავანსო უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტიების რეგულირების სპეციფიკა 224
23.2. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიიდან წარმოშობილი დავების პრობლემატიკა 227
23.2.1. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში 227

23.2.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მიზნობრიობა.....232
23.2.3. ზიანის ანაზღაურება, როგორც ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მიზანი 235
23.2.4. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოთხოვის საკითხი დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების დარღვევისას.....241
24. საგარანტიო თანხის რეგრესის წესით დაკმაყოფილების უფლება 245
XI დასკვნითი დებულებები და რეკომენდაციები 251
XII ბიბლიოგრაფია 259
XIII დანართი N1 282

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა და ტერმინთა განმარტება:

სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
გსსკ	გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
ICC	საერთაშორისო სავაჭრო პალატა (International Chamber of commerce)
UNCITRAL	გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (United Nations Commissions on International Trade Law)
URCG	სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესები, ICC-ის პუბლიკაცია 325, 1978 (Uniform Rules for Contract Guarantees, ICC Publication #325)
URCB	სახელშეკრულებო ბონდების უნიფიცირებული წესები, ICC-ის პუბლიკაცია 524, 1993 წელი (Unform Rules for Contract Bonds, ICC Publication # 524;
URDG-458	მოთხოვნამდე გარანტიების უნიფიცირებული წესები, ICC-ის პუბლიკაცია 458, 1992 წელი (Uniform Rules for Demand Guarantees, ICC Publication #458);
URDG-758	მოთხოვნამდე გარანტიების უნიფიცირებული წესები, ICC-ის პუბლიკაცია 758, 2010 წელი (Uniform Rules for Demand Guarantees, ICC Publication #758);
ISP-98	სარეზერვო აკრედიტივების საერთაშორისო წესები, ICC-ის პუბლიკაცია 590, 1998 წელი (International Standby Practice, ICC Publication #590);
UCC	ერთიანი კომერციული კოდექსი (Uniform Commercial Code);
UCP-500	დოკუმენტური აკრედიტივის უნიფიცირებული წესები, ICC-ის პუბლიკაცია 500, 1993 წელი (Uniform Rules Customs and Practice for Documentary Credit, ICC Publication #500);

UCP-600	დოკუმენტური აკრედიტივის უნიფიცირებული წესები, ICC-ის პუბლიკაცია 600, 2007 წელი (Uniform Rules Customs and Practice for Documentary Credit, ICC Publication #600);
Guarantee, Bond	საბანკო გარანტია;
Demand bond	მოთხოვნადი (უპირობო გარანტია)
Letter of Credit	დოკუმენტური აკრედიტივი;
Unconditional Bond	უპირობო გარანტია;
Conditional Bond	პირობიანი გარანტია;
Performance Bond	ხელშეკრულების შესრულების გარანტია;
Tender bond	სატენდერო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია
Advance Payment Bond	საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია;
Quality Guarantee, Warranty Guarantee, Maintance Guarantee, Retention Guarantee	დეფექტებზე პასუხისმგებლობის (ხარისხის) გარანტია
Fraud	თაღლითობა, სიყალბე, არამართლზომიერება;
Mareva Injuctions	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახე, რომელიც ძირითადად გამოიყენება ინგლისურ სამართალში;
Commercial Letter of Credit	დოკუმენტური აკრედიტივი;
Documentary Credit, Stand-by letter of Credit	სარეზერვო აკრედიტივი;
იხ.	იხილეთ;
მაგ.	მაგალითად;
ა.შ. -	ასე შემდეგ;
შეად.	შეადარეთ.

შესავალი

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები მხარეთა შორის ხელშეკრულების თავისუფლების უმნიშვნელოვანეს პრინციპს ემყარება. იგი შეიძლება დასახელდეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთ საფუძვლად. 1991 წელს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპის აღიარებით აუცილებელი გახდა ახალი სამოქალაქო კოდექსის შექმნა.[1]

ახალი სსკ-ს შექმნამ სამოქალაქო სამართლის ძირითადი ელემენტები ახლებურად განსაზღვრა. ხელშეკრულების მხარეებს მისცა უფლებამოსილება საკუთარი შეხედულებისამებრ განესაზღვრათ ხელშეკრულების პირობები. ამასთან, შეთანხმებულიყვნენ იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც მოწესრიგებული არ არის სამოქალაქო კანონმდებლობით. კერძოდ, სსკ-ს მე-10 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია, რომ „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ გარიგებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.“ აღნიშნული პრინციპის საფუძველზე კერძო სამართლის სუბიექტებს გარანტირებული აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღონ გადაწყვეტილება შევიდნენ თუ არა კონკრეტულ ურთიერთობებში და ერთმანეთს შორის თვითონ განსაზღვრონ უფლება-მოვალეობები. მხარეთა ავტონომიურობის ფუძემდებლური პრინციპის საფუძველზე მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ისეთი, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული.[2] სამოქალაქო სამართალი კერძო ინტერესებსა და ინიციატივის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. უპირატესად იგი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში გამოიხატება, რომელიც სსკ-ს 319-ე მუხლშია განმტკიცებული.[3]

კერძო ავტონომიის პრინციპის შეზღუდვა გამოიხატება სამოქალაქო უფლებების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულების დაკისრებასა[4] და უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობაში.[5] ორივე შემთხვევაში ამ შეზღუდვის მიზანი არის სხვათა თავისუფლებათა დაცვა.[6]

---

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ.), ლ. ჭანტურია, 2017, 28.8.

[2] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 90.

[3] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 91.

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი.

[5] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მესამე ნაწილი.

[6] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ.) ჭანტურია, 2017, 28. 59.

უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის მიზანს სამოქალაქო კოდექსი აღწევს, ერთი მხრივ, იმპერატიული ნორმების დაწესებით, რომლებიც ბათილად მიიჩნევენ უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო მეორე მხრივ, შიკანას[7] აკრძალვით.[8] სსკ-ს 115-ე მუხლით განსაზღვრულია ზოგადი აკრძალვა იმ შემთხვევებისათვის, როდესაც უფლების ბოროტად გამოყენების კონკრეტული შემთხვევა სპეციალური იმპერატიული ნორმებით არ არის გათვალისწინებული.[9]

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მხარეთა შორის არა მარტო ტრადიციული ხელშეკრულების პირობების თავისუფლად განსაზღვრის წინაპირობა გახდა, არამედ მხარეებმა საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრეს სრულიად ახალი სამართლებრივი ურთიერთობები. ამის მაგალითია სხვადასხვა სახის ახალი ხელშეკრულების წარმოშობა, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით იყო ნაკარნახევი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სახის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ამის პარალელურად აუცილებელი გახდა მათი მარეგულირებელი ნორმების დახვეწა, გაძლიერება და ხელშეკრულების მხარეთა შემბოჭავი მექანიზმების გათვალისწინება.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა წინამორდებისაგან განსხვავებით, უფრო მეტი ხელშეკრულების ტიპები გაითვალისწინა. აღსანიშნავია, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების სიმრავლე.

კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირებისას სამოქალაქო კოდექსი სხვადასხვა ტერმინს იყენებს: „მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები,“[10] ან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.[11] სსკ-სათვის კრედიტის უზრუნველყოფისა და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ერთმანეთის სინონიმებია. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი მოიცავს სამოქალაქო სამართლის იმ ნორმებს, რომელიც კრედიტის (მოთხოვნის) უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენების წესებსა და წინაპირობებს ადგენენ.[12]

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვან შესრულებას უზრუნველყოფს. ისინი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებად. მათი თავისებურება იმაშია,

[7]სსკ-ს 115-ე მუხლის მიხედვით, „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.“

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ლ. ჭანტურია (რედ) 2017, 28. 59.

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურია (რედ), 2017, 28. 654.

[10]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლი.

[11]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლი.

[12]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 14.

რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ ნიშნით ხასიათდებიან.[13]

უზრუნველყოფის საშუალებების სხვადასხვა ბუნების მიუხედავად, მათ საერთო ნიშანი გააჩნიათ. ისინი ანიჭებენ კრედიტორს უფლებას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მათი გამოყენების გზით, თუკი მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.[14] სსკ-ს მიხედვით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებები მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთულები და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისთვის.[15]

მოთხოვნის უზრუნველყოფა არის კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ან სხვაგვარი გამოყენების გზით. ეს უფლება კრედიტორს შეიძლება გააჩნდეს კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე.[16]

საბანკო გარანტია კომერციულ ურთიერთობებში კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და გავრცელებული საშუალებაა.[17] სსკ საბანკო გარანტიის სახეებს არ ითვალისწინებს, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკაში მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული გარანტია გამოიყენება. თითოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი ნიშნები, ბუნება, სახელწოდება და რეგულირების წესი. მათი ერთად და ერთნაირად განხილვა დაუშვებელია.

საბანკო გარანტიის ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. მისი დანერგვა აშშ-ში დაიწყო, თუმცა დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტიურად გამოიყენება. სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების გარდა, მისი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული უნიფიცირებული წესებისა[18] და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის „დამოუკიდებელი

---

[13]ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, 2001, 485.

[14] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 15.

[15]ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, 2001, მუხლი N416, 2001, 485.

[16]ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, 1999, 76.

[17]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 204.

[18]საერთაშორისო სავაჭრო პალატა დაფუძნდა 1919 წელს რამდენიმე ბიზნეს ლიდერი ორგანიზაციის მიერ. იგი არის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შედგება ათასობით წევრი ბიზნეს სუბიექტისა და ასოციაციისაგან. იგი ოპერირებს სხვადასხვა ქვეყანაში და სათაო ოფისი გააჩნია პარიზში. მისი ძირითადი მიზანია ღია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების სისტემების განვითარება, საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკის ჰარმონიზება უნიფიცირებული წესების დადგენითა და ამ წესების ხელშეკრულებაში ინკორპორირების გზით.

გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის[19] (შემდგომში - კონვენცია) საფუძველზე. აღნიშნული უდავოდ მიუთითებს ამ პროდუქტის მნიშვნელობასა და გამოყენების ინტენსივობაზე.

მრავალგვარი რეგულირების მიუხედავად, საბანკო გარანტია რთული სამართლებრივი ბუნებით გამოირჩევა და მისგან გამომდინარე მოთხოვნის სწორი მართვა საკმაოდ ბევრ პრობლემას წარმოშობს.

ქართულ სინამდვილეში საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის სწორად მართვა საკმაოდ რთული და პრობლემური საკითხია. პრაქტიკაში არსებული პრობლემების სიმრავლე და განსხვავებულობა გახდა ამ ნაშრომის მომზადების საფუძველი.

ნაშრომში განხილულია საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება და მისი სახეები. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია გარანტიათა რეგულირების წესსა და მის სამართლებრივ შედეგებზე.

საერთაშორისო პრაქტიკაში საკმაოდ დიდი ხნის წინ დანერგილი და გამოყენებადი რეგულირების სპეციფიკური პრინციპები და წესები საქართველოს სინამდვილეში შეზღუდულად გამოიყენება. ზოგადი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში ამომწურავად ვერ ხდება ყველა საკითხის რეგულირება. საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე ურთიერთობებში არსებული პრობლემების წარმოჩენა სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობაში ამ ინსტრუმენტის სავალდებულოდ გამოყენების შემდგომ მოხდა. არსებობს ალბათობა, რომ სახელმწიფო შემსყიდველების ხელში საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნები ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების დასჯის მექანიზმად იქნეს გამოყენებული. ამის მაგალითად არაერთ შემთხვევა შეიძლება დასახელდეს, სადაც შესყიდვების ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს, თუმცა ბენეფიციარმა მაინც გამოითხოვა ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით არსებული გარანტია.

საბანკო გარანტიათა მიმართ არსებული მეტისმეტად მკაცრი მიდგომის შესაბამისად, საგარანტიო მოთხოვნა კმაყოფილებოდა და გარანტი იხდიდა თანხას. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ გარანტი გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურებას ითხოვდა პრინციპალისაგან და იპოთეკის ან გირავნობის უფლებით დატვირთული ნივთის რეალიზებას ახდენდა იძულებით აუქციონზე. ამის შემდგომ პრინციპალს ნაკლებად რჩებოდა რესურსი მიემართა ბენეფიციარისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. შესაბამისად, ამგვარი ურთიერთობა შესყიდვების ურთიერთობაში შესული სუბიექტის გადახდისუუნარობითა და უმეტეს შემთხვევაში მეწარმე სუბიექტებთან

[19]ნიუ-იორკის 1995 წლის კონვენცია, რომელიც ძალაშია 2000 წლის 01 იანვრიდან.

დაკავშირებული პირების პირადი ნივთების იძულებითი რეალიზებით სრულდებოდა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამგვარი შემთხვევები ათეულობით შეიძლება დასახელდეს. შესაბამისად, აუცილებელი გახდა პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრის გზების ძიება. შესაძლებელია თუ არა ბენეფიციარმა გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ბოროტად გამოიყენოს და მოითხოვოს თანხის გადახდა, როდესაც ვალდებულება შესრულებულია ან დაირღვა, მაგრამ პრინციპალის ბრალის გარეშე. ასეთ შემთხვევაში პრინციპალის მიერ საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებულ მოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საგარანტიო ურთიერთობებში პრინციპალის ჩართულობა მოთხოვნის რეგულირების ადრეული ეტაპიდან უნდა მომხდარიყო. ვითარებას ისიც ართულებდა, რომ პრინციპალები პრაქტიკის ნაკლებობის გამო ვერ ახდენდნენ საკუთარი ინტერესების ჯეროვნად დაცვას. რის შედეგადაც ათეულობით მიმწოდებელი ბენეფიციართა არაკეთილსინდისიერი ქმედების „მსხვერპლი“ გახდა.

ბოლო წლებში ვითარება შედარებით სტაბილურია, თუმცა გამოწვევები დღესაც მრავალია. უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების ურთიერთობაში მყოფი პრინციპალები უკეთ ახდენენ საკუთარი ინტერესების დაცვას, როგორც საგარანტიო მოთხოვნის რეგულირების პროცესში, ასევე, სასამართლოს მეშვეობით.

ვითარების გაუმჯობესების მიუხედავად, ხარვეზები დღემდე რჩება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტიებიდან გამომდინარე მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უპირობო გარანტიის შესახებ ჩანაწერს, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით ბენეფიციარები სწორედ ამგვარ გარანტიას ითხოვენ.

შემსყიდველის მიზანია რაც შეიძლება სწრაფად, ყოველგვარი საფუძვლის მტკიცების გარეშე, უპირობოდ და პირველივე მოთხოვნის შემდგომ მიიღოს გარანტიის თანხა. აღნიშნული სახელმწიფო ინტერესებისა და საბიუჯეტო სახსრების სწრაფი დაკმაყოფილების მიზნით აიხსნება. თუმცა სახელმწიფო შემსყიდველების მხრიდან იმის გათვალისწინება ნაკლებად ხდება, რომ საბიუჯეტო სახსრების სწორად და სწრაფად მართვასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რომელიც, სწორედაც რომ, ამ „საბიუჯეტო სახსრების“ შემქმნელია.

ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკისა და განმარტებების შემდეგ შემსყიდველები კიდევ უფრო კატეგორიულად ითხოვენ უპირობო საბანკო გარანტიებს, რათა შეზღუდონ სამართლებრივი ანალიზისა და მოთხოვნის არამართლზომიერების გამოაშკარავების შესაძლებლობა.

ამ ნაშრომში სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობები იმიტომ უფროა პრობლემურად გამოყოფილი, რომ კერძო სამართლის ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ურთიერთობებში პრობლემები იშვიათია, რადგან უსაფუძვლო გამდიდრების საწინააღმდეგო ნორმები და ტრადიცია (შეიძლება, კანონის მიმართ შიშიც) კერძო სფეროში უფრო დაცულია.

საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე ურთიერთობებში უამრავი პრობლემის არსებობის მიზეზი საკანონმდებლო რეგულაციის ნაკლებობაა. სსკ-ში არსებული ზოგადი ნორმები ვერ ახდენენ სრულ და ამომწურავ რეგულირებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელშეკრულების შესრულების გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობების პრობლემატიკა. სწორედ ამ სახის გარანტიებს უკავშირდება ყველაზე მეტი პრობლემა, რომელსაც ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ და გადაჭრის გზებსაც შემოგთავაზებთ.

ნაშრომის მიზანია საბანკო გარანტიათა მიმართ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობითა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი ძირითადი საკითხების ანალიზი. შეფასებულია საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები საერთაშორისო პრაქტიკასთან მიმართებით. საერთაშორისო და ქართული პრაქტიკის ანალიზის შედეგად წარმოდგენილია რეკომენდაცია იმ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ამ ინსტიტუტის არსებობას და არაერთგვაროვან მიდგომას უკავშირდება.

ნაშრომში მიმოხილულია სასამართლოს გადაწყვეტილები, რომლებიც დაკავშირებულია ბენეფიციართა მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან. ასევე, ვრცელი ნაწილი ეთმობა არამართზომიერ მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს. აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილებაში იქნა მითითებული. შესაბამისად, აუცილებელია შედარებით სამართლებრივ ანალიზის გაკეთება.

ნაშრომის I და II თავები საბანკო გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, მიმოხილვასა და ისტორიული განვითარების ეტაპებს ეხება. განხილულია, საბანკო გარანტიის გამოყენების არსი და მიზანი.

III თავში დეტალურადაა მითითებული საბანკო გარანტიის რეგულირების წყაროები. მათ შორის, როგორც მათი ამომწურავი რეგულირების საკითხების უნიფიცირებული წესების, კონვენციისა და მატერიალური სამართლის მიხედვით.

ნაშრომის IV თავი საბანკო გარანტიის განმარტებას ეხება, სადაც ადგილი ეთმობა უნიფიცირებულ წესებსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებულ გარანტიის შედარებითსამართლებრივ დეფინიციას.

V თავი საგარანტიო ურთიერთობის მონაწილეებს ეხება. გარანტი, პრინციპალი და ბენეფიციარი საგარანტიო ურთიერთობის ძირითადი სუბიექტები არიან. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ასევე, შეიძლება ჩაერთოს კონტრგარანტი. გარანტი, როგორც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტი, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტი შეიძლება იყოს. სსკ-ის მიხედვით, გარანტი შეიძლება იყოს ბანკი, სადაზღვევო კომპანია და სხვა საკრედიტო ორგანიზაცია.

VI თავი ეხება საბანკო გარანტიის სტრუქტურას. საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ორი სახის გარანტიის სქემა, რომელთა სტრუქტურა დეტალურადაა განხილული ამ თავში.

VII თავი გარანტიის სამართლებრივ ბუნებას და უზრუნველყოფის ამ საშუალების სხვა მსგავს ურთიერთობებთან შედარებას ეხება. გარანტია თავისი ბუნებით ყველაზე ახლოს დგას თავდებობისა და აკრედიტივის ხელშეკრულებებთან. შესაბამისად, მათი შედარებითსამართლებრივი ანალიზი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე მისი მნიშვნელოვანი ნაწილია.

ნაშრომის VIII, IX და X თავები საბანკო გარანტიის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს ეხება. კერძოდ, განხილულია გარანტიის დამოუკიდებლობის, დოკუმენტურობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპები. საგარანტიო შემთხვევის რეგულირების პროცესში ამ პრინციპების დაცვა აუცილებელია.

XI და XII თავები საბანკო გარანტიის სხვადასხვა ნიშნით კლასიფიკაციას ეხება, მოცემულია გარანტიების დიფერენცირება უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის, ასევე საგარანტიო მოთხოვნის წარდგენისა და გადახდის მექანიზმების მიხედვით.

XIII, XIV და XV თავები გარანტისათვის საგარანტიო მოთხოვნის წარდგენის წესს და მისი შემოწმების ვალდებულებას ეხება. მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს საგარანტიო ვადასა და გარანტიის პირობებს. ასევე, განხილულია საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები.

XVII, XVIII და XIX თავებში განხილულია არამართზომიერი მოთხოვნა, როგორც საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. განხილულია არამართზომიერი მოთხოვნის განმარტება და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი პრაქტიკა ამგვარი მოთხოვნის იმპერატიულად უარყოფასთან დაკავშირებით.

XX თავი გარანტიის რეგულირების კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულებას ეხება.

XXI თავში განხილულია არამართზომიერი მოთხოვნის უარყოფის სავალდებულოობის შესახებ.

XXII თავი არამართზომიერი მოთხოვნის რეგულირების პროცესში სასამართლოს ჩართულობასა და დროებითი/სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ეხება. ამ მიზნით განხილულია საქართველოს, აშშ-ს, ინგლისისა და გერმანიის სასამართლოების პრაქტიკა.

XXIII თავი საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული პრობლემატიკის მიმოხილვასთან არის დაკავშირებული. ამ მიზნით განხილულია საავანსო და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების სპეფიციკა და ქართული სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომის XXIV თავი გარანტის მიერ გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურებას ეხება.

დასკვნით ნაწილში მოცემულია ნაშრომში განხილული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი რეკომენდაციები. ნაშრომს ერთვის საგარანტიო რეგულირების რეკომენდაციის წესი, რომელიც შეიძლება დადგინდეს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ზოგად სამეცნიერო და სპეციალური მეთოდები. ძირითადად არჩეული იქნა ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევისთვის, კერძოდ: შედარების, ანალიზის, სინთეზის, ანალოგიის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები.

შედარების მეთოდის გამოყენებით მოხდა შედარება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნების კანონმდებლობში გათვალისწინებული საკვლევი საკითხის რეგულირების წესსა და საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ანალოგიურ ინსტიტუტს შორის. ამ მეთოდის გამოყენებით გამოვლენილი სხვაობა და მსგავსება URDG-458-ის, URDG-758-ის, URCG-ის, „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“ გაერო-ს კონვენციისა და სსკ-ის სახელშეკრულებო სამართლის თავში საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებს შორის.

ანალიზის მეთოდი გამოყენებულ იქნა უნიფიცირებული წესების, კონვენციისა და სსკ-ის საბანკო გარანტიათა მარეგულირებელი ნორმების კვლევისთვის. ანალიზის შედეგად დავადგინეთ საბანკო გარანტიის მოთხოვნის წარდგენის პროცედურის სპეციფიკა, გარანტიის მიერ წარდგენილი მოთხოვნის შემოწმება, გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები და პროცედურა, პრინციპალის ჩართვა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის მართვის პროცესში, გარანტის მიერ გადახდილი თანხის რეგრესის უფლება პრინციპალის მიმართ. ამ პროცედურის ამომწურავი შესწავლა შესაძლებელი გახდა ანალიზის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საკითხის ანალიზმა უზრუნველყო საკვლევი თემის შესწავლა.

სინთეზის მეთოდით მოხდა კვლევის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნა ამ მეთოდის გამოყენებით ერთ კონტექსტში მოთავსდა და მხოლოდ ამის შემდგომ გახდა შესაძლებელი ერთიანი სურათის მიღება.

ინდუქციის მეთოდმა უზრუნველყო ქართული თუ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შედეგად მიღებული ანალიზის შედეგად სხვადასხვაგვარი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. დედუქციის მეთოდით დადგინდა, კვლევის ყოველი კომპონენტი გამომდინარეობდა თუ არა მთავარი აზრიდან.

ამ კვლევის მეთოდების გამოყენების შედეგად საერთაშორისო ხასიათის მომწესრიგებელი ნორმების ზოგადი დებულებებიდან, გამოკვლეული პრაქტიკიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან, კვლევისთვის საჭირო ნორმების განსჯის შედეგად ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება გახდა შესაძლებელი და მათი აღმოფხვრის წესი დადგინდა. ამ მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა საკვლევი საკითხის დეტალური და ამომწურავი გამოკვლევა და წარმოდგენილი დასკვნების გაკეთება, რომლის პრაქტიკაში გამოყენება უკვე არსებული და ფესვგამდგარი მრავალრიცხოვანი პრობლემის აღმოფხვრის წინაპირობაა.

1. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

1.1.მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების მიზანი და არსი

სახელშეკრულებო ურთიერთობები მხარეთა ნდობაზე არის აგებული. კრედიტორი, რომელიც პირველი ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, ყოველთვის ვერ განჭვრეტს იმას, თუ როგორ წარიმართება მომავალში ვალდებულების შესრულება. კრედიტორი იმედოვნებს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს, თუმცა შესაძლებელია არსებული ნდობა გაუცრუვდეს. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი ყოველთვის არსებობს. შესაბამისად, ნდობა ყოველთვის არასაკმარისია რისკის პრევენციისა და მისი რეალიზაციის შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის.[20] ამ რისკების შემცირებისა და საფრთხის თავიდან აცილების გამო გამოიყენება უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებები,

[20]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., როზაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 539.

რომელიც წინასწარ უზრუნველყოფს კრედიტორის ქონებრივ ინტერესს და ვალდებულების ჯეროვანი შესრულების სხვადასხვა გარანტიას ქმნის.[21]

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების მიზანია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამატებითი საშუალებებით მოახდინონ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. უზრუნველყოფა არის კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ან სხვაგვარად გამოყენების გზით.[22]

უზრუნველყოფის საშუალებების უპირველესი მიზანია კრედიტორის ინტერესების დაცვა. ისინი მტკიცე ფუნდამენტს ქმნიან კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობისა და სანდოობისათვის. იმის განცდა, რომ ნაკისრი ვალდებულება აუცილებლად შესრულდება, ეკონომიკური აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.[23] შესაბამისად, გარანტიის მარეგულირებელი ფუნქციონირებადი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის არსებობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ხელშეკრულების მხარეთა შორის ნდობის არსებობა. იგი ეკონომიკური აქტიურობის წინაპირობად შეიძლება იქცეს, თუმცა ნდობის გარდა ხელშეკრულების მხარეებს სხვა დამატებითი გარანტიებიც სჭირდებათ. შესაბამისად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამაში მდგომარეობს.[24]

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება კრედიტორს წარმოეშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე დაარღვევს ვალდებულებას. ეს უზრუნველყოფის ღონისძიება აძლევს უფლებას კრედიტორს უზრუნველყოფის გამცემისაგან მოითხოვოს მოთხოვნის დაკმაყოფილება, ან მოთხოვნა უზრუნველყოფის საშუალებაზე მიმართოს და მისი რეალიზაციის საშუალებით დაიკმაყოფილოს კუთვნილი მოთხოვნა.[25]

სსკ-ში გაბნეულად არის განთავსებული უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებები. კერძოდ, სანივთოსამართლებრივი საშუალებები: იპოთეკა და გირავნობა სანივთო სამართლის წიგნში არის გათვალისწინებული. მოთხოვნის

[21]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., როზაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 540.

[22]ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, 1999, 76.

[23]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, 2012, 35.

[24]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 36.

[25]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., როზაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 540.

უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი დამატებითი საშუალებები ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, ხოლო თავდებობა და საბანკო გარანტია სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილშია მოთავსებული.[26]

1.2. საბანკო გარანტია, როგორც უზრუნველყოფის საშუალება

საბანკო გარანტია ხელშეკრულების მხარეთა მოთხოვნის უზრუნველყოფის ფართოდ გავრცელებული საშუალებაა. იგი უმეტესად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესი არსებობს. ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს საინვესტიციო, საერთაშორისო ნასყიდობისა თუ სამშენებლო ხელშეკრულებები.[27]

საბანკო გარანტია კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, სადაც ბანკი, სადაზღვევო კომპანია და სხვა საკრედიტო ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას მოახდინოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. გარანტია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველაზე ძვირ საშუალებად მიიჩნევა.[28]

საბანკო გარანტიის თავისებურება ისაა, რომ გარანტი კისრულობს პასუხისმგებლობას კონკრეტული შედეგის დადგომის ან ზიანის თავიდან აცილების მიზნით გასცეს თანხა, ისე რომ მას პირადად არ მიუძღვის ბრალი ამაში. გარდა ამისა, ის არ არის ვალდებული მოვალის ნაცვლად შეასრულოს ვალდებულება, მას მხოლოდ ფულადი თანხის გადახდა ევალება.[29]

საბანკო გარანტია განსაკუთრებულად მიმზიდველი და ხელსაყრელია ბენეფიციარისათვის. მნიშვნელოვანი რისკები საბანკო გარანტიიდან არ გამომდინარეობს. ამ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან შედარებით მას საკმაოდ ძლიერი სამართლებრივი პოზიცია აქვს.[30]

გერმანელი მეცნიერების მოსაზრებით, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას ორი ძირითადი მიზანი გააჩნია: ა) მოახდინოს

[26]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 15.
[27]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 204.
[28]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, N4 (52), 2016, 123.
[29]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 205.
[3030]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 568.

მოვალის სტიმულირება ვალდებულების შესრულებისათვის, 2) გარანტირებული გახადოს კრედიტორის ქონებრივი ინტერესის დაცვა.[31]

2. საბანკო გარანტიის ისტორიული განვითარება

საბანკო გარანტია, როგორ კრედიტორის უზრუნველყოფის საშუალება მეოცე საუკუნეში იქნა განვითარებული. თუმცა მისი პირველი ჩანასახი რომის სამართალშიც არსებობდა, როდესაც constitutum debiti alieni მესამე პირის ვალის, როგორც ვალდებულების გარანტიის, განსაკუთრებული ფორმის დადასტურების შესაძლებლობის განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ამ შემთხვევაში ბანკირი – Argentarius, თავისუფალ ფორმაში, საკუთარ თავზე იღებდა მისი კლიენტის მოვალეობას მესამე პირისათვის კლიენტის ვალის გადახდის შესახებ.[32]

ვალდებულება ფულადი თანხით ან სასარგებლო ნივთების სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. დაიშვებოდა არა მარტო საკუთარი ვალის (constititum debiti propri), არამედ მესამე პირის ვალის (constitutum debiti alieni) დადასტურება, რაც ვალდებულების შესრულების გარანტიის თავისებურ ფორმაა. reseptum argentarii – განსაკუთრებული შემთხვევა იყო, როცა ბანკირი (არგენტატიუს) თავისუფალ ფორმაში, საკუთარ თავზე იღებდა მისი კლიენტის ვალის გადახდას მესამე პირის მიმართ. ბანკირი ვალდებულების შესრულებისათვის პასუხს აგებდა სპეციალური სარჩელის – actio recepticia საფუძველზე. თანაც constitutum-საგან განსხვავებით, ბანკირის პასუხისმგებლობა არ იყო დამოკიდებული ვალის ჭეშმარიტ არსებობაზე.[33]

გარანტიის თანამედროვე ხელშეკრულების საფუძვლად, მიიჩნევენ რომის სამართლის ინსტიტუტს promissio Indemnitas, რომლითაც გარანტი (promittent) რისკის აღების მიზნით კისრულობდა დამოუკიდებელ ვალდებულებას.[34]

უზრუნველყოფის ამ საშუალების საკმაოდ დიდი წარსულის მიუხედავად, მისი ფართოდ გამოყენება მეოცე საუკუნეში დაიწყო და დღემდე ხორციელდება. საბანკო გარანტია, როგორც უზრუნველყოფის საშუალება 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან გამოჩნდა ამერიკის ადგილობრივ ბაზარზე, თუმცა 1970-იანი წლებიდან იგი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში.[35]

---

[31]გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 225.

[32]გარიშვილი მ., ხოფერია მ., „რომის სამართლის საფუძვლები, 2010, 243. http://www.library.court.ge/upload/xoferia-garishvili-romi.pdf 23.09.2017.

[33]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 12.

[34]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, სქოლიო 258, ციტირებულია „Weber, Kreditsicherungserecht,S, 129.

[35]Bertrams R., Bank Guarantees in International trade, 3rd ed., Kluwer law international, 2004, 1.

ირანის რევოლუციის შემდგომ, 1979-80 წლებში არამართლზომიერი მოთხოვნების პირველი დიდი შტურმი განხორციელდა ირანის მთავრობის მხრიდან, რასაც სხვადასხვა ქვეყანაში მრავალრიცხოვანი სასამართლო პროცესი მოჰყვა. 80-იანი წლები შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც გარანტიების მიმართ გამოყენებადი სამართლის განვითარების პერიოდი, რომელიც შეიქმნა სასამართლოების მიერ პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიღებით.[36]

ამჟამად დამოუკიდებელი საბანკო გარანტიები ფართოდ არის გავრცელებული და მათი გამოყენება სწრაფად იზრდება. გარანტია გამოიყენება ისეთი სახელშეკრულებო ურთიერთობების უზრუნველსაყოფად, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან ან სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან.[37] თანამედროვე სამყაროში არანაირი სერიოზული საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაცია აღარ ტარდება რომელიმე სახის საბანკო გარანტიის გარეშე. გარდა ამისა, იზრდება მათი გამოყენება შიდა ბაზრებზეც.[38] საქართველოში საბანკო გარანტია ხშირად გამოიყენება სახელმწიფო ტენდერების ჩატარების ან სახელმწიფო შეკვეთების განხორციელებისას.[39]

კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ფართოდ გამოყენებული ძლიერი მექანიზმი აუცილებლად საჭიროებდა რეგულირების წესების შექმნას.

2.1.საბანკო გარანტიის განვითარების ეტაპები საქართველოში

საბანკო გარანტია, როგორც მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, დიდი ხანია ცნობილია სამოქალაქო სამართლისათვის. ასეთი სახით იყო იგი არსებობდა საბჭოთა პერიოდის ქართულ კანონმდებლობაში.

1964 წლის სსრ სსკ-ის 205-ე მუხლის მიხედვით გარანტია ფაქტიურად თავდებობის სახესხვაობას წარმოადგენდა[40] და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ გარანტად ქონებრივ ურთიერთობებში შეიძლება გამოსულიყო მხოლოდ ამა თუ იმ ორგანიზაციის ზემდგომი ორგანო, იმ დროს, როდესაც თავდებად გამოსვლის უფლება გააჩნდა ნებისმიერ პირს.[41]

---

[36] Kayembe G.I., the Fraud Exception in Bank, 2002, 9.

[37] Kayembe G.L., The Fraud Exception in Bank Guarantee, 2008, 1.

[38]ხოტენაშვილი პ., საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, 2003, 327.

[39] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 204.

[40] სსრ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლი.

[41]ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 7.

ახალ სამოქალაქო კოდექსში საბანკო გარანტიის რეგულირება ოცდამეერთე თავში მოთავსებული ნორმების საფუძველზე ხდება. სსკ-ი საბანკო გარანტიის მარეგულირებელ ზოგადი ხასიათის ნორმებს ითვალისწინებს, რომელიც მის თავდაპირველ რედაქციაში იყო მოქცეული. გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული საბანკო სისტემის, საბანკო ურთიერთობების რაოდენობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით კოდექსის ნორმები სრულად პასუხობდა მის თანამედროვე გამოწვევებს. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და სამეწარმეო ბრუნვის გაზრდის მიუხედავად, სამწუხაროდ, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები არ განხორციელებულა. ზოგადი და მოძველებული საკანონდებლო ნორმების ანალიზი და განზოგადება სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები ნაკლებად იქნა შეტანილი, რამდენიმე აქტმა გაითვალისწინა საბანკო გარანტიების შესახებ ჩანაწერი. ისინი შეიძლება სპეციალურ კანონებად მივიჩნიოთ, რომლებიც შესაბამისი რეგულირების სფეროს მიზნებისთვის სპეციალურ მოთხოვნებს განსაზღვრავენ, აზუსტებენ რა საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით სსკ-ს ზოგად ნორმებს.[42]

საქართველოს სინამდვილეში საბანკო გარანტიის გამოყენების სიმრავლე და გააქტიურება გამოიწვია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობაში გარანტიის სავალდებულო გამოყენებამ.[43]

2005 წლიდან გარანტიათა გამოყენების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა. ვინაიდან, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში სავალდებულო გახდა მათი გამოყენება.[44] გარანტიის გამცემი სუბიექტი ყოველთვის ძლიერი ფინანსური ინსტიტუტია, როგორიცაა ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, რომელთა სიტყვას ავტორიტეტიც და ფასიც აქვს.[45]

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფა, ბენეფიციარისათვის მხოლოდ ამგვარი ფინანსური სუბიექტის მიერ გაცემული საშუალებით, არის მისაღები. გარანტიით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასული საავანსო ანგარიშსწორების თანხის ან სხვაგვარი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ინტერესი უმეტეს შემთხვევაში ძალიან მაღალია, ვინაიდან, შემსყიდველი მოტივირებულია ვადაში და ჯეროვნად შესრულებული ვალდებულება მიიღოს. დარღვევის შემთხვევაში საბანკო გარანტიის მოთხოვნა და მისი რეგულირება საკმაოდ მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. მათ შორის,

[42]ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 8.

[43]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, N4 (52), 2016, 124.

[44]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, N4 (52), 2016, 124.

[45]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 204.

სასამართლოს, საგამოძიებო ორგანოს,[46] სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა თუ სხვა უფლებამოსილ პირთა მხრიდან.[47]

რამდენიმე წლის წინ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის განხორციელებისა თუ მართვასთან დაკავშირებული ქართული სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირი იყო. სასამართლო გადაწყვეტილებები ხშირად ერთმანეთის მსგავსია და მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას უჭერდა მხარს, მაშინაც როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნა სრულად შესრულდა ან მოთხოვნის წაყენება განხორციელდა ხელშეკრულების პირობების დარღვევითა თუ უგულვებელყოფით.

3. საბანკო გარანტიის რეგულირების წყაროები

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული პრობლემების დაგროვების გამო აუცილებელი გახდა მარეგულირებელი წესების შექმნა და დახვეწა. საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შეიქმნა სხვადასხვა სახის უნიფიცირებული წესები, რომელიც მიმართული იყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში გამოყენებადი ინსტრუმენტების რეგულირების მიზნით.[48] მაგ. აკრედიტივთან დაკავშირებული უნიფიცირებული წესები,[49] სახელშეკრულებო გარანტიების უნიფიცირებული წესები,[50] მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესები[51] და საერთაშორისო რეზერვული აკრედიტივების წესები.[52]

საბანკო გარანტიათა მარეგულირებელ უნიფიცირებულ წესებზე მუშაობა გასული საუკუნის 70-იან წლებში იქნა დაწყებული.[53] საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო და კომერციული პრაქტიკის კომისიამ დაიწყო უნიფიცირებული წესების შემუშავება, რის შედეგადაც უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზება და საერთაშორისო საბანკო

[46]განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასული სახსრების ხარჯვას. საგამოძიებო ორგანო იკვლევს თანხის მიზნობრივად ხარჯვის ფაქტს.

[47]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, N4 (52), 2016, 124.

[48]Hugo C.F., The Law Relating to Documentary Credits from a South African Perspective with Special Reference to the Legal Position of the Issuing and Confirming, 1997, 75.

[49] UCP N500, UCP N600

[50] Uniform Rules for Contract Guarantees - URCG.

[51] The Uniform Rules for Demand Guarantees -URDG

[52] The International Standby Practices - ISP98.

[53] 1978 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ იქნა შემუშავებული, რომელიც გამოქვეყნდა ამავე პალატის N325-ე პუბლიკაციით.

სისტემაში არსებულ ტერმინთა განმარტება.[54] სამუშაო ჯგუფის მიერ 1978 წელს შეიქმნა სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესები.[55]

მოგვიანებით მიღებულ იქნა მოთხოვნამდე გარანტიების შესახებ უნიფიცირებული წესები,[56] რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა საერთაშორისო თუ ადგილობრივ კომერციულ ურთიერთობებში. დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, რომ URDG N458 მრავალ ბუნდოვან ნორმას შეიცავდა და საბანკო გარანტიის მიმართ ნდობის გაღრმავება ვერ უზრუნველყო.[57]

მოგვიანებით, სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად შეიქმნა URDG N758-ე რედაქცია.[58] თუმცა ამ უკანასკნელის მიღება არ ნიშნავს მის წინამორბედთა გაუქმებას. უნიფიცირებული წესები ე. წ. soft law-ს სახელით ცნობილი მიდგომაა, რომელიც არაფერს ავალდებულებს მხარეს. მხოლოდ სთავაზობს მათ რეგულირების ახალ ფორმებს და აძლევს საშუალებას თვითონ შეაფასონ მისი ავკარგიანობა.[59] ურთიერთობის მონაწილეების მიერ დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე შეიძლება URDG N758-ის გამოყენება, თუკი გარანტიაში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, რომ მის მიმართ გამოიყენება სხვა წესები.[60]

უნიფიცირებული წესები სარეკომენდაციო ხასიათისაა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით იქნა შემუშავებული. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაბამისად, პერიოდულად ხდება მათი გადამუშავება და განახლება.

უნიფიცირებული წესების შექმნის ერთ-ერთი საფუძველი ამ ინსტრუმენტის გამოყენება იყო ისეთ ურთიერთობებში, სადაც ხელშეკრულების

---

[54] Parsons P.J. Commercial Law Note: ICC (International Chamber of Commerce) Uniform Rules for Contract Guarantees, April 1979, 226.

[55] The Uniform Rules for Contract Guarantees URCG გამოქვეყნდა N325-ე პუბლიკაციით.

[56]URDG N458 მიღებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1992 წელს და ძალაშია 1993 წლიდან. უნიფიცირებული წესები უნდა იქნეს გამოყენებული იმ ვალდებულებების მიმართ, რომელიც მოთხვნამდე გარანტიებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული ვალდებულების საფუძველზე გარანტიის გამცემი ვალდებულია გადაიხადოს თანხა წერილობითი მოთხოვნის და გარანტიაში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში.

[57]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, 2015, 12.

[58]2007 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო კომისიამ დაიწყო მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესების რევიზია. ამ პროცესის დასრულების შემდგომ მიღებული იქნა ახალი წესები, რომელიც გამოქვეყნდა 2009 წელს N758 პუბლიკაციით და ძალაშია 2010 წლის 01 ივლისიდან.

[59]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 24.

[60]Chami G. – Demand Guarantees As per latest rules: URDG N758. What is new and how to operate between the rules. https://fgm.usj.edu.lb/pdf/a122010.pdf. ბოლო შემოწმების თარიღი 07.07.2017.

მხარეები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები იყვნენ. საკითხის რეგულირება უნდა განხორციელებულიყო მათ მიერ წინასწარ შედგენილი სახელშეკრულებო ნორმების საფუძველზე, თუმცა განსხვავებული სამართლებრივი სისტემის არსებობა და სახელშეკრულებო ნორმათა განსხვავებული განმარტება დავის საგნის საფუძველი ხდებოდა.[61] უნიფიცირებული წესების მიღებით მხარეებს მიენიჭათ უფლებამოსილება, მათი ინკორპორირება მოეხდინათ ხელშეკრულებაში ან განესაზღვრათ ისინი, როგორც ხელშეკრულების მიმართ გამოყენებადი სამართალი.[62]

3.1.სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესები N 352

სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესები მხარეთათვის სავალდებულო არ არის და მათი გამოყენება მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ამის შემდგომ ისინი ხელშეკრულების არსებით ნაწილს წარმოადგენენ და მხარეთა შორის რეგულირება მათი გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. წესების პირველი მუხლი განმარტავს: „ეს წესები გამოიყენება ყველა გარანტიის[63] და მსგავსი ვალდებულების მიმართ, რომელიც იწოდება როგორც გარანტია, რომელიც მიუთითებს, რომ შეიძლება დარეგულირდეს სატენდერო, შესრულების და გადახდის გარანტიათა საერთაშორისო სავაჭრო პალატის უნიფიცირებული წესების[64] შესაბამისად, და მხარეთა მიერ სავალდებულოა, თუ საწინააღმდეგო არ არის მითითებული გარანტიის პირობებში.“ იმისათვის, რომ ამ წესებით მოხდეს ურთიერთობის რეგულირება, აუცილებელია თავად გარანტია შეიცავდეს მითითებას ამ წესების გამოყენებაზე.[65]

URCG-ის შექმნის მიზანი ხელშეკრულების მხარეთა შორის ბალანსის შექმნა და მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განმარტება იყო, რათა აცილებული ყოფილიყო მხარეთა შორის დავები და მათ მოეხდინათ სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამოყენებულ გარანტიათა რეგულირების წესების განსაზღვრა.[66]

წესების მეორე მუხლი განსაზღვრავს შემდეგ დეფინიციებს: „სატენდერო გარანტია,“ „ხელშეკრულების შესრულების გარანტია,“ „გადახდის გარანტია,“

[61]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 13.

[62]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 24.

[63] ტექსტში მითითებული გარანტია მოიხსენება: Guarantee, Bond, Indemnity, Surety.

[64] იგულისხმება თავად ეს წესები, რომელიც N325-ე პუბლიკაციით იქნა გამოქვეყნებული.

[65]Hinchey J.W., King and Spalding, “Guarantees of Performance” Atlanta, Georgia, 1998, 17.

[66] Kelly- Louw M., Selective legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 47.

„პრინციპალი," „ბენეფიციარი," „გარანტი," „შემსრულებელი მხარე". უნიფიცირებული წესები არ განსაზღვრავს გარანტიის ბუნებას და არ განმარტავს მას. ამასთან, არ ითვალისწინებს გარანტის სამართლებრივი ბუნების შინაარს. კერძოდ, დამოუკიდებელია იგი თუ აქცესორული.[67]

უნიფიცირებული წესები იცავს პრინციპალის ინტერესებს არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში. იგი არ ითვალისწინებს უპირობო საბანკო გარანტიის არსებობას, რომელიც პირველივე მოთხოვნისთანავე და სამართლებრივი საფუძვლის დადასტურების გარეშე შეიძლება იქნეს მოთხოვნილი ბენეფიციარის მიერ. პრინციპალის ინტერესების უკეთ დაცვისათვის წესები ითვალისწინებენ მოთხოვნისათვის სავალდებულო დოკუმენტაციის დართვის ვალდებულებას. კერძოდ, მოთხოვნას უნდა დაერთოს „სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება," ან პრინციპალის დასტური მოთხოვნისა და მისი ოდენობის დადასტურების შესახებ.

მტკიცების ასეთი მაღალი სტანდარტი, ერთი მხრივ, პრინციპალის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, თუმცა ბენეფიციარისათვის მოთხოვნის გარანტირებულად დაკმაყოფილების საშუალების დაკარგვის საფრთხეს ქმნიდა. ვინაიდან, სასამართლო და საარბიტრაჟო საქმის წარმოება დროის საკმაოდ დიდ ვადას მოითხოვს. ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს საკუთარი რესურსით თანხის წარმოების დასრულება და მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება დაურთოს საქმეს. სწორედ ამ მოთხოვნის გამო, ეს წესები მიუღებელი აღმოჩნდა ბენეფიციარისათვის და იგი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.[68]

მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო გარანტიათა წესები ხელშეკრულების სუსტი მხარის ინტერესების დაცვის ძლიერ მექანიზმს ითვალისწინებს, პრაქტიკაში მისი გამოყენების შემცირება, სწორედ მე-9 მუხლში გათვალისწინებული მტკიცების საკმაოდ მაღალი სტანდარტის გამო მოხდა. საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენის ვალდებულებით გარანტია დაუახლოვდა თავდებობას და მოთხოვნის გარანტირებულად დაკმაყოფილების საშუალებას გამორიცხავდა[69].

3.2.მოთხოვნამდე საბანკო გარანტიების უნიფიცირებული წესები

3.2.1. მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესები N458

[67] Šarčević P., Volken P., International Contracts and Payments, 1991, 72.

[68] Kelly-Louw M., Selective legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 109.

[69]Goode R., Abstract Payment Undertaking and Rules of the International Chamber of Commerce, 1995, 725.

სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესების არაპოპულარობის გამო საერთაშორისო სავაჭრო პალატის სამუშაო ჯგუფმა დაიწყო მუშაობა მოთხოვნამდე გარანტიათა რეგულირების წესების შემუშავებასთან დაკავშირებით. ძირითადი სირთულე იყო მოეხდინათ იმგვარი წესების შექმნა, რომლებიც დააბალანსებდა, ერთი მხრივ, ბანკების, ექსპორტიორების და ინდუსტრიული ქვეყნების, ხოლო მეორე მხრივ, პრინციპალის, იმპორტიორების ან განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს.[70]

ამ ინტერესთა ბალანსის შემცველი დოკუმენტის შექმნას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. იგი ოფიციალურად გამოქვეყნდა 1992 წელს.[71] ორი წლის შემდგომ გამოქვეყნდა წესების გადამუშავებული ვერსია სახელწოდებით მოთხოვნამდე გარანტიათა თანამედროვე ფორმები.[72]

სამწუხაროდ, საწყის ეტაპზე პუბლიკაციამ ვერ მოიპოვა ფართო აღიარება, რადგან სხვადასხვა ქვეყნები, ორგანიზაციები, ცალკეული კომპანიები და საბანკო საზოგადოება, მერყეობდნენ წესების დანერგვის პროცესში.[73]

საბანკო დაწესებულებები მიიჩნევდნენ, რომ წესები ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებულ საბანკო გარანტიათა სტანდარტულ ტექსტებს და მხარეები მოკლებული იქნებოდნენ შესაძლებლობას მოეხდინათ პირობების გათვალისწინება საკუთარი შეხედულებისამებრ. ამის შემდგომ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებულ იქნა სარეკომენდაციო სახით გარანტიის ტექსტები,[74] მხარეებს შეეძლოთ მოეხდინათ მათი ცვლილება საკუთარი შეხედულებისამებრ.[75]

URDG N458 ამკვიდრებს უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელ გარანტიათა სტანდარტს, რომელიც შეიძლება წარდგენილი ყოფილიყო დოკუმენტაციის დართვით ან მის გარეშე. ამასთან, ითვალისწინებდა ხელშეკრულების მხარეთა დაცვის მექანიზმს, რაც გულისხმობდა არამართლზომიერი და არაკეთილსინდისიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლებს.[76]

უნიფიცირებული წესების შესაბამისად, გარანტიას არა აქვს კანონის ძალა. იგი სახელშეკრულებო ბუნებისაა. წესების პირველი მუხლი განსაზღვრავს, რომ წესები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ გარანტია არის მისი ქვემდებარე. შესაბამისად, გარანტიაში უნდა იქნეს მითითებული უნიფიცირებული წესების

[70]Kelly -Louw M., Selective legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 110.

[71] საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია N458, პარიზი, 1992 აპრილი.

[72] საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია N503, პარიზი, 1994 წელი.

[73]Bertrams R., Bank Guarantees in International Trade, 1996, 23.

[74]საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შექმნილი მოთხოვნამდე გარანტიების მოდელური ფორმები გამოქვეყნდა 1994 წელს N503 პუბლიკაციით.

[75]Kelly - Louw M., Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 113.

[76]Kelly - Louw M., Selective Legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 111.

შესახებ. გარანტიაში მონაწილე მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუკი ხდება მათი გამოყენება გარანტიის მიმართ, მხარეებს რჩებათ უფლება გამორიცხონ ან შეცვალონ წესების ეს თუ ის ნაწილი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა დაუშვებელია წესების პრინციპული (არსებითი) ცვლილება.

URDG N458 არ იძლევა პასუხს ყველა კითხვაზე და ზოგიერთი ასპექტი მიმოხილულია საკმაოდ ზედაპირულად. არაკეთილსინდისიერი, არამართლზომიერი მოთხოვნის საკითხი საერთოდ არ არის განხილული ამ დოკუმენტში, რადგან მიჩნეულია რომ ეს არ არის სახელშეკრულებო სამართლის საკითხი.[77]

3.2.2. მოთხოვნამდე გარანტიათა N758 უნიფიცირებული წესები

საერთაშორისო სავაჭრო პალატის უნიფიცირებული წესები N458-ის შემდგომ 2010 წელს მიღებულ იქნა მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესები N758.[78] იგი არ ყოფილა N458 უნიფიცირებული წესების შემთხვევითი გაგრძელება. მისი შექმნა გარანტიათა რეგულირების ახალი წესების დამკვიდრებისაკენ მიზანმიმართული ქმედების შედეგი იყო. ეს წესები უფრო ცხადი, მკაცრი, ზუსტი და ამომწურავია.[79]

URDG N758-ის მიღება ავტომატურად არ ნიშნავს მისი წინამორბედის URDG N458-ის ძალადაკარგულად აღიარებას. სახელშეკრულებო ურთიერთობისას მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ და მიუთითონ, რომელი უნიფიცირებული წესი მოქმედებს მათ შორის არსებული ურთიერთობის მიმართ. შესაბამისად, მხარეთა შორის ურთიერთობა დარეგულირდება მათ მიერ არჩეული უნიფიცირებული წესების შესაბამისად.

URDG N758-ის პირველ მუხლში განმარტებულია, რომ „თუ გარანტია გაცემულია 2010 წლის 1 ივლისის შემდეგ და მასში უბრალოდ მითითებულია უნიფიცირებული წესები, იმის დაკონკრეტების გარეშე, 1992 წლის თუ 2010 წლის ვერსია უნდა იყოს გამოყენებული, მაშინ ივარაუდება, რომ გარანტიის რეგულირება ხდება 2010 წლის უნიფიცირებული წესების შესაბამისად.[80] ამგვარი ჩანაწერი გაურკვევლობის თავიდან აცილებას ემსახურება. კერძოდ, თუ მხარეებმა ზუსტად არ მიუთითებს გამოსაყენებელი უნიფიცირებული წესების შექმნის წელი, ივარაუდება, რომ 2010 წლის წესი უნდა იქნეს გამოყენებული.

---

[77] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 103.

[78] მომდევნო წელს ოფიციალურად აღიარებულ იქნა UNCITRAL-ის მიერ ვენის ყოველწლიურ სესიაზე.

[79] Affaki G., შესავალი -საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია N758, 2010, 10.

[80] 2010 წლის რედაქციის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

უნიფიცირებული წესები რამდენიმე არსებითი ხასიათის ცვლილებასაც ითვალისწინებს. კერძოდ, წესების მეორე მუხლი ეთმობა ტერმინთა განმარტებას, რაც URDG N458 პუბლიკაციაში ამგვარად არ იყო სისტემატიზებული. ამასთან, პრინციპალის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „აპლიკანტი“[81] და „ინსტრუქტორი მხარე.“[82] წესებში არის განსაზღვრული საგარანტიო შემთხვევის რეგულირებისა[83] და ბენეფიციარის მიერ თანხის გადახდის ვადა.[84] ამ პუბლიკაციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული გარანტიის დოკუმენტური ხასიათი და მისი სამართლებრივი შედეგები.[85] URDG N758 უფრო მკაცრია მოთხოვნის რეგულირების პროცედურისა და შედეგის მიმართ, ვიდრე მისი წინამორბედი.

3.3.სახელშეკრულებო ბონდების უნიფიცირებული წესები

საერთაშორისო სავაჭრო პალატის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა სახელშეკრულებო ბონდების უნიფიცირებული წესები, რომლის შექმნა ძირითადად სკანდინავიური ქვეყნებისა და იაპონიის წარმომადგენლების მიერ იქნა მოთხოვნილი. ამ დოკუმენტის შესაბამისად, გარანტია განიხილებოდა, როგორც ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებული აქცესორული ურთიერთობა, რომლის არსებობა დაკავშირებული იყო პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან.[86]

წესების მიღება ძირითადად ინიცირებულ იქნა სადაზღვევო, სამშენებლო და ინდუსტრიული კომისიის წარმომადგენელების მიერ.[87] სხვა უნიფიცირებული წესებისაგან განსხვავებით URCB ცალსახად განმარტავს გარანტიას, როგორც ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ და აქცესორულ უფლებას. ამასთან, ბენეფიციარის მოთხოვნის უფლებას უკავშირებს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევას.[88] თითოეულ შემთხვევაში გარანტის

---

[81] URDG №758 - მეორე მუხლი - „აპლიკანტი“ - საბანკო გარანტიაში აღნიშნული მხარე , რომელსაც გააჩნია გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება. აპლიკანტი შეიძლება იყოს ან არ იყოს „ინსტრუქტორი მხარე“ .

[82]„ინსტრუქტორი მხარე - პირი, რომელმაც მოითხოვა გარანტიის ან კონტრა-გარანტიის გაცემა, და პასუხიმგებელია გარანტორის, კონტრ-გარანტიის შემთხვევაში, კონტ-გარანტის წინაშე.

[83] მე-20 მუხლი „იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი დოკუმენტაციით არ ირკვევა რეგულირების ვადა, გარანტი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის შემოწმება 5 საბანკო დღის ვადაში“.

[84]თანხის გადახდის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. (მუხლი 23.1.).

[85]მე-7 მუხლი.

[86] საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია N524 მიღებულ იქნა 1993 წლის 24 აპრილს და ძალაში შევიდა 1994 წლის 01 იანვარს.

[87]პუბლიკაციაში განმარტებულია, რომ „სადაზღვევო ინდუსტრიის საჭიროების გამო, უზრუნველყოფილ იქნას აქცესორული სახელშეკრულებო ბონდების უნიფიცირებული წესების შექმნა, საერთაშორისო სავაჭრო პალატის სადაზღვევო კომიტეტმა შეიმუშავა უნიფიცირებული წესები სახელშეკრულებო ბონდების შესახებ.“

[88] Kelly - Louw M., Selective legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 143.

ვალდებულება დამოკიდებულია (აქცესორულია) პრინციპალის ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებაზე და ამგვარი დამოკიდებულება შეუზღუდავია საავანსო უზრუნველყოფის, ხელშეკრულების შესრულების, სატენდერო და ხარისხის გარანტიებისათვის.

URCB საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორ დოკუმენტურ ურთიერთობას. კერძოდ, იგი უნდა იქნეს გაცემული წერილობითი ფორმით. ამასთან, მისგან გამომდინარე მოთხოვნა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით[89] და მასში უნდა იქნეს გათვალისწინებული პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, 1) მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ვალდებულების შეუსრულებლობას. ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ექსპერტი, არქიტექტორი, ინჟინერი, საარბიტრაჟო დავის არბიტრი[90] და სხვა, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გათვალისწინებულია გარანტიის ტექსტში; 2) იმ შემთხვევაში თუ გარანტია არ ითვალისწინებს მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტით ვალდებულების დარღვევის დადასტურების აუცილებლობას, იგი უნდა დადასტურდეს თავად ბენეფიციარის მიერ გაცემული დოკუმენტით; 3) უფლებამოსილი სასამართლოს ან არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებით ან ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი სერთიფიკატით.

URCB საგარანტიო მოთხოვნის წარდგენისას მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს ბენეფიციარისათვის და მოთხოვნის საფუძვლის არსებობას პირდაპირ უკავშირებს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, მისი აქცესორული ბუნება, რომელიც თავად წესების ძირითად ტექსტშია განმარტებული, გარანტიის მოთხოვნას უკავშირებს ძირითადი ვალდებულების არსებობას. გარანტი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის სათანადო და სრული შემოწმება და სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უარი უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც წერილობითი სახით უნდა იქნეს გადაცემული[91]

3.4.სარეზერვო აკრედიტივის საერთაშორისო წესები ISP98

საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. დოკუმენტური აკრედიტივის გადახდის საშუალებაა, რომელიც იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც კომპანიებს

[89] წესების მე-7 მუხლში ასევე განმარტებულია, რომ წერილობითი ფორმით ჩაბარებულად ითვლება მოთხოვნა, თუ იგი გადაცემულია სატელეკომუნიკაციო საშუალებით. კერძოდ, ფაქსით, ტელექსით, ტელეფაქსით და ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით. შეტყობინების ვადაში გადაცემის მტკიცების ტვირთი აკისრია ბენეფიციარს.

[90] Pre arbitral referee.

[91] წესების მე-7 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.

ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ ბრმა ნდობა. ამ შემთხვევისათვის საბანკო სისტემაში შემუშავებული იქნა ანგარიშსწორების ისეთი ფორმა, რომელიც ხელშეკრულების მხარეებს უმცირებს ბიზნეს რისკებს და ორივე მხარისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს.[92]

დოკუმენტურ აკრედიტივს არსებობის საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, თუმცა გასულ საუკუნეში განვითარდა რეზერვული აკრედიტივი. მისი განვითარების საფუძველი აშშ-ს კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვა გახდა.

1864 წლის აშშ-ს ეროვნული ბანკის შესახებ აქტმა შეუზღუდა კომერციულ ბანკებს საბანკო გარანტიის გაცემა.[93] ფედერალური და სახელმწიფო კანონების საფუძველზე ბანკებს შეეზღუდათ მესამე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფა მოეხდინათ გარანტიის ან თავდებობის საფუძველზე. ბანკებს შეეზღუდათ გარანტიის გაცემა და იგი მხოლოდ სადაზღვევო და საგარანტიო კომპანიების უფლებამოსილებად დარჩა. საგარანტიო ურთიერთობები ბანკების მონაწილეობის მიღმა აღმოჩნდა.

სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა კონტროლდებოდა სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ, რომელიც საკმაოდ კონსერვატიულები იყვნენ რისკებისა და საქმიანობის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრის საკითხში.[94] ამგვარი შეზღუდვა ამერიკული ბიზნესის განვითარებას აფერხებდა და მეწარმე სუბიექტებს უზღუდავდა საერთაშორისო- სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას. ვითარება განსაკუთრებით გამძაფრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების მიუხედავად ამერიკული ბანკების მიერ მოხდა დოკუმენტური აკრედიტივის მოდიფიცირება და შეიქმნა რეზერვული აკრედიტივი.[95]

გარანტიის გაცემასთან დაკავშირებული შეზღუდვა თანამედროვე აშშ-ს საბანკო სისტემაში არ არსებობს, თუმცა გარანტიებს შემორჩათ ეს სახელი. შესაბამისად, რეზერვული აკრედიტივების საერთაშორისო წესების სახელიც ამერიკის ბანკების ასოციაციის გავლენით იქნა განსაზღვრული.[96]

რეზერვული აკრედიტივის მიზანი იყო ვალდებულების უზრუნველყოფა, თუმცა მისი მექანიზმი, დამოუკიდებლობისა და ზუსტი შესაბამისობის

[92] გაბისონია ზ, საბანკო სამართალი, 2012, 214.

[93]Bertrams R. Bank Guarantees in International Trade: The Law and Practice of Independent (First Demand) Guarantees and Standby Letters of Credit in Civil Law and Common Law Jurisdictions 3 ed, 2004, 63.

[94] Penn G., the law and practice of international banking: Banking law, vol. 2, 1987, 287.

[95] Longwa Kayembe G., the Fraud Exception in Bank Guarantee, 6.

[96] იგივე, R Bertrams, 63.

პრინციპი, დოკუმენტური ბუნება გარანტიის მსგავსია. რეზერვული აკრედიტივი და საბანკო გარანტია გადახდის ერთი და იგივე საშუალებაა.[97]

საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობაში გამოყენებადი რეზერვული აკრედიტივის რეგულირების მიზნით, საერთაშორისო-სავაჭრო პალატის ბანკების კომისიის მიერ 1998 წელს შემუშავებულ იქნა სარეზერვო აკრედიტივთან დაკავშირებული საერთაშორისო წესები.[98] აღნიშნულმა წესებმა ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა და ფართოდ გამოიყენება აშშ-ს კომერციული ბანკების მიერ.[99]

სარეზერვო აკრედიტივის საერთაშორისო წესების შექმნის მიზნად დასახელდა საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში არსებული პრობლემების აღმოფხვრა. დოკუმენტური და რეზერვული აკრედიტივის მსგავსების მიუხედავად, არსებობდა მთელი განსხვავებები. საერთაშორისო-სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ გამოყენებადი უნიფიცირებული წესები რეზერვული აკრედიტივის ყველა ტიპის მიმართ არ იყო გამოყენებადი.[100]

რეზერვული აკრედიტივის საერთაშორისო წესები ასახავს ამ მექანიზმის მიმართ არსებული ყველა საერთაშორისოდ დამკვიდრებული წესის, პრაქტიკისა და ჩვეულების ერთიანობას[101] და გამოიყენება საერთაშორისო და ადგილობრივი (შიდა) რეზერვული აკრედიტივების მიმართ (მათ შორის: შესრულების, ფინანსური, პირდაპირი გადახდის რეზერვული აკრედიტივები).[102] მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეებმა ვალდებულების შინაარსში მიუთითეს, რომ ურთიერთობა ექვემდებარება რეზერვული აკრედიტივების შესახებ წესებს.[103]

საერთაშორისო წესები გამოიყენება სხვადასხვა სახის რეზერვული აკრედიტივის მიმართ: შესრულების უზრუნველყოფის,[104] ავანსის დაბრუნების უზრუნველყოფის, სატენდერო სარეზერვო, სარეზერვო კონტრვალდებულების, ფინანსური სარეზერვო ვალდებულების, უპირობო გადახდის სარეზერვო

---

[97] Bertrams R., Bank Guarantees in international trade, 3rd ed., Kluwer law international, 2004, 1.

[98] International Standby Practice – ISP98 გამოქვეყნება მოხდა N590 პუბლიკაციით და ძალაშია 1999 წლის 01 იანვრიდან.

[99]Ellinger E. P,, The Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP): Their Development and the Current Revisions, 2007. 704.

[100]International Standby Practices (ISP98): Report of the Secretary-General (A/CN.9/477), Yearbook of the United Nations Commission on International Trade Law, XXXI (3), 2000, 579.

[101]International Standby Practices (ISP98): Report of the Secretary-General (A/CN.9/477), Yearbook of the United Nations Commission on International Trade Law, XXXI (3), Preface, 2000, 580.

[102] წესების1.01 პუნქტის მიხედვით.

[103] Byrne J. E., the Official Commentary on the Official Commentary on the International Standby Practices, 1998, 4-5.

[104]წესების წინათქმაში განმარტებულია, რომ შესრულების გარანტია არის თანხის გადახდის უზრუნველყოფა, მათ შორის მიყენებული ზიანის უზრუნველსაყოფად, რომელიც პრინციპალის მიერ ვალდებულების ძირითადი ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოიშვა.

ვალდებულების,[105] სადაზღვევო უზრუნველყოფისა[106] თუ კომერციული სარეზერვო ვალდებულების, სინდიცირებული (კონსორციული) სარეზერვო ვალდებულების უზრუნველსაყოფად გაცემული აკრედიტივების მიმართ.[107]

მისი საკმაოდ ამომწურავი შინაარსის მიუხედავად, წესები არ ითვალისწინებს დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია: 1) რეზერვული აკრედიტივის გაცემის უფლებამოსილებასთან, 2) რეზერვული აკრედიტივიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმალურ წინაპირობებთან (მაგ., წერილობითი ფორმით მოთხოვნის განხორციელება), 3) უკანონო და არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებისაგან დაცვის საშუალებებთან.[108] თუმცა წესები შეიცავს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც არამართლზომიერი მოთხოვნის წარდგენისას შეიძლება იქნეს გამოყენებული.[109] ესენია ვალდებულების დოკუმენტური ბუნება, წარდგენილი დოკუმენტაციის მიღმა გამოძიების წარმოების ვალდებულების არარსებობა, წარდგენილი მოთხოვნის კეთილსინდისიერად გადახდის შემთხვევაში რეგრესის წესით ანაზღაურება და აშ. ეს წესები დაფუძნებულია იმ პრეზუმფციაზე, რომ გადახდის ვალდებულებისაგან ან დამოუკიდებლობის პრინციპისაგან გამონაკლისი მხოლოდ არსებითი არამართლზომიერების ან ცხადად გამოხატული უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად წარდგენილი მოთხოვნაა.[110]

3.5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო- სავაჭრო სამართლის კომისიის კონვენცია „საბანკო გარანტიისა და დამოუკიდებელი აკრედიტივების შესახებ"

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ[111]1988 წლიდან დაიწყო მუშაობა საერთაშორისო

[105]იწოდება, როგორც Direct Standby.

[106]იწოდება, როგორც Insurance Standby.

[107]Dolan F., Analysing Bank Drafted Standby Letter of Credit Rules, the International Standby Practices (ISP98), 2000, 105.

[108]წესების 1.05 პუნქტი.

[109]Byrne F., the Official Commentary on the ISP98, 95, 1.05 (c) 5.

[110]Kelly-Louw M., International Measures to Prohibit Fraudulent Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 2010, 95.

[111]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობის ჰარმონიზაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (UNICTRAL). კომისია დაარსდა 1966 წლის 17 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის N2205 რეზოლუციით. სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებულია, რომ კომისიის დაარსების ძირითად მიზანს წარმოადგენს სამართლებრივი და არასამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენების გზით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის უნიფიცირება, მოდერნიზება და ჰარმონიზება. კომისიის სამუშაო სფეროს წარმოდგენს დავის განხილვის მექანიზმების, საერთაშორისო

გარანტიების უნივერსალური კანონის შექმნაზე. კომისიამ მისი მიზნებიდან გამომდინარე მუშაობა დაიწყო პრობლემური სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისა და ჰარმონიზებისათვის,[112] ხოლო 1995 წლის 11 დეკემბერს მიიღო კონვენცია „საბანკო გარანტიებისა და დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ.“[113] კონვენცია ძალაში შევიდა 2000 წლის 01 იანვრიდან.[114]

კონვენცია არეგულირებს დამოუკიდებელ გარანტიებთან და რეზერვულ აკრედიტივთან დაკავშირებულ ურთიერთობებს: 1) როდესაც გარანტის ადგილსამყოფელი არის კონვენციის წევრი ქვეყანა,[115] 2) როდესაც ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი ხელშემკვრელი ქვეყნის კერძო სამართალია.[116]

კონვენცია გარანტიას განმარტავს, როგორც დამოუკიდებელ, არააქცესორულ ვალდებულებას,[117] რომელიც დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულების მხარეთა უფლება-მოვალეობისაგან. ამასთან, კონვენცია ხაზს უსვამს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია საერთაშორისო ვალდებულების

სახელშეკრულებო პრაქტიკა, სატრანსპორტო ურთიერთობების, გადახდისუუნარობის წარმოების მექანიზმების, ელექტრონული ვაჭრობა, საერთაშორისო გადახდები, საერთაშორისო ნასყიდობის სამართალი. კომისია თავდაპირველად შედგებოდა 29 წევრი ქვეყნისაგან, რომელიც გაფართოვდა 1973 წელს და შეადგინა 36 ქვეყანა, ხოლო 2002 წელს 60 წევრი ქვეყანა. იხ. http://www.uncitral.org/pdf/english/texts/general/12-57491-Guide-to-UNCITRAL-e.pdf, ბოლო შემოწმების თარიღი 23.11.2016.

[112]კონვენციის განმარტებით ბარათში განმარტებულია, რომ კონვენცია ხელშეკრულების მხარეებს აძლევს საშუალებას მოახდინონ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში შეთანხმება და გამოიყენონ დამკვიდრებული უნიფიცირებული წესები, როგორიცაა: უნიფიცირებული წესები აკრედიტივის შესახებ (UCP) მიღებული საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ, ან სხვა უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიების შესახებ (URDG). თუმცა კონვენციით გათვალისწინებული წესები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნულ უნიფიცირებულ წესებთან ერთობლიობაში. კონვენციის განმარტებითი ბარათი: (5) http://www.uncitral.org/pdf/english/texts/payments/guarantees/guarantees.pdf. ბოლო შემოწმების თარიღი 23.11.2016.

[113]კონვენცია მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის N50/48 რეზოლუციით.

[114]კონვენციის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კონვენცია ძალაში შედის 5 სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის შემდგომ მომდევნო წლის პირველ დღეს“.

[115] კონვენციას მიერთებულია 9 ქვეყანა, თუმცა რატიფიკაცია მოახდინა მხოლოდ 8-მ. 1) ბელარუსია - 2002 წ. 2) ეკვადორი - 1997 წ. 3) ელ სალვადორი - 1998 წ. 4) ტუნისი -1998 წ. 5) ქუვეითი -1998 წ. 6) გაბონი - 2004წ. 7) ლიბერია - 2005წ. 8) პანამა - 1998წ. 9) აშშ - ამ უკანასკნელს რატიფიკაცია ჯერ არ მოუხდენია. http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/payments/1995Convention_guarantees_status.html ბოლო შემოწმების თარიღი 23.09.2017.

[116]Kelly-Louw M., International Measures to Prohibit Fraudulent Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, Geo. Mason Internationl Comm. Law 2010, 102.

[117]გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება ხაზგასმულია განმარტებით ბარათში, 15, 17. „კონვენცია არ მოიცავს აქცესორულ და პირობიან გარანტიებს. ე.ი. გარანტიებს, როდესაც გარანტის ვალდებულება მოიცავს უფრო მეტს ვიდრე საგარანტიო მოთხოვნის მარტივი შემოწმება.“

შემთხვევაში. „ვალდებულება არის საერთაშორისო, იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილეთა ადგილსამყოფელი სხვადასხვა ქვეყანაშია.[118] სპეციალური წესები გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმოებს გააჩნიათ არა მარტო ერთზე მეტი „კომერციული საწარმო," არამედ „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი."[119]

კონვენცია ამომწურავად ჩამოთვლის ბენეფიციარის მიერ არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის სამართლებრივ საფუძვლებს.[120] ამასთან, სასამართლოს როლსა და დროებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ითვალისწინებს ჩანაწერს.

კონვენცია უნიფიცირებულ წესებთან ერთად საბანკო გარანტიის რეგულირების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

3.6. სახელმწიფოთა მატერიალური სამართალი

საბანკო გარანტიათა რეგულირებისათვის უნიფიცირებული წესებისა და კონვენციაში გათვალისწინებული დებულებების გარდა სხვადასხვა ქვეყნის მატერიალური სამართლის ნორმები გამოიყენება. მატერიალური სამართალი გარანტიათა რეგულირების მეტნაკლებად განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ძირითადი პრინციპები ერთი და იგივეა.

3.6.1. აშშ

რეზერვული აკრედიტივის მარეგულირებელი ნორმები გათვალისწინებულია აშშ-ს ერთიან კომერციულ კოდექსში,[121] რომელიც 11 თავისაგან შედგება და თითოეული მათგანი განსაზღვრავს კომერციული

---

[118] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო- სავაჭრო სამართლის კომისიის „საბანკო გარანტიისა და დამოუკიდებელი აკრედიტივების შესახებ" კონვენციის მუხლი 4.1.

[119]მუხლი 4.3 რეზოლუციის განმარტებითი ბარათი N20.18. http://www.uncitral.org/pdf/english/texts/payments/guarantees/guarantees.pdf, ბოლო შემოწმების თარიღი 23.01.2017.

[120]Gao X., The Fraud Rule in the Law of Letters of Credit: A Comparative Study 56, Kluwer Law International law, 2002, 61.

[121]UCC თავდაპირველად შეიქმნა 1950 წელს, თუმცა იგი სრულყოფილი არ იყო. აკრედიტივთან დაკავშირებული მე-5 თავი 40 წლის შემდეგ განახლებულ იქნა 1995 წელს. მე-5 თავის განახლება დასრულდა 1995 წლის ოქტომბერში, ხოლო მისი მიღება მოგვიანებით მოხდა. კერძოდ, 2006 წლის 1 ივლისიდან მიიღო ყველა შტატმა ვისკონსინის გარდა. დღეს აშშ-ს 50 შტატმა, კოლუმბიის ოლქმა, ვირჯინიის კუნძულებმა და პუერტო-რიკომ სავალდებულოდ აღიარა განახლებული მე-5 თავი.

სამართლის განსხვავებულ ურთიერთობებს. მე-5 თავში გათვალისწინებული ნორმებით აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება, რომელიც საერთოა ჩვეულებრივი და რეზერვული აკრედიტივის მიმართ.[122]

ერთიანი კომერციული კოდექსის მე-5 თავი განმარტავს ურთიერთობაში გამოყენებულ მნიშვნელოვან ტერმინებს. მათ შორის „მრჩეველი ბანკი“, „აპლიკანტი”, “ბენეფიციარი“, „ნომინირებული პირი“, „დოკუმენტი“, „კეთილსინდისიერების პრინციპი“, „გამომცემი“, „წარდგენა“ და აშ. კომერციული კოდექსი ითვალისწინებს ისეთ უმნიშვნელოვანეს დებულებებს, რომლებიც უკავშირდება ბენეფიციარის მოთხოვნის მართვას. განმარტებულია ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების შედეგები, დოკუმენტის გამცემის პასუხისმგებლობის საზღვრები, გამოსაყენებელი სამართალი და აშ. აღსანიშნავია, რომ არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირების წესი ერთიანი კომერციული კოდექსის წინ გადადგმული ნაბიჯია.

1995 წელს ერთიანი კომერციული კოდექსის 5 ნაწილის გადამუშავებულმა რედაქციამ დამოუკიდებლობის პრინციპი შეზღუდა არამართლზომიერი მოთხოვნის გამონაკლისით და მოთხოვნის დეფინიცია 5-109 ნაწილში განათავსა.[123] ცვლილებების შედეგად, აღმოფხვრილი იქნა ნორმის ყველა სისუსტე, რომელიც მის შესაბამისობას აყენებდა ეჭვქვეშ და აკრედიტივის განვითარებას აფერხებდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფა, როგორც სტანდარტი დადგენილ იქნა დამოუკიდებლობის პრინციპის გამონაკლისად.[124]

4. საბანკო გარანტიის განმარტება

4.1. საბანკო გარანტიის განმარტება უნიფიცირებული წესების მიხედვით

საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობების მრავალფეროვნების შედეგად ჩამოყალიბდა გარანტიების სხვადასხვა სახე, რომელთაც განსხვავებული მიზანი, რეგულირების წესი და პრინციპი გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტიის მრავალი განმარტება არსებობს, არსებითია მისი ძირითადი პრინციპი, რაც განასხვავებს მას უზრუნველყოფისა თუ გადახდის სხვა საშუალებებისაგან.

საბანკო გარანტიის განმარტება თითქმის ყველა უნიფიცირებულ წესშია გათვალისწინებული. URDG N458-ის მიხედვით, „ამ წესების მიზნებისათვის, საბანკო გარანტია (შემდგომში - „გარანტია“) ნიშნავს ნებისმიერ გარანტიას, ან

[122]Gao X., The Fraud Rule in the Law of Letters of Credit: A Comparative Study, 2002, 22.
[123]Amaefule C., The Exceptions to the principle of Autonomy of Documentary credits, 2011. 104.
[124]Buckley R.P., Gao X., The Development of the Fraud rules in letter of Credit law: The journey so far and the Road Ahead, 685.

გადახდის შესახებ შეტყობინებას, რომელიც გაცემულია ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ (შემდგომში - „გარანტი“), რომელიც კისრულობს გადახდის ვალდებულებას წერილობითი მოთხოვნის წარდგენის (მაგალითად, არქიტექტურის, ან საინჟინრო სერთიფიკატი, საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილება) შემთხვევაში, 1) (ა) მხარის თხოვნისა ან მოთხოვნის საფუძველზე და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ (შემდგომში -„პრინციპალი“), ან (ბ) ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა პირის თხოვნისა და პასუხისმგებლობის ქვეშ (შემდგომში - „ინსტრუქციის მიმცემი მხარე“), რომელიც მოქმედებს პრინციპალის დავალებით სხვა პირის სასარგებლოდ (შემდგომში -„ბენეფიციარი“).[125]

საბანკო გარანტია შეიძლება განიმარტოს, როგორც პიროვნული ვალდებულება, როდესაც ბანკი კისრულობს გადახდას ბენეფიციარისათვის პრინციპალის (მისი კლიენტის) მოთხოვნით მის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.[126] ბანკი ვალდებულია გადახდა მოახდინოს გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე, თუ მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.[127]

გარანტიის დეფინირებისას გამოიყოფა მისი რამდენიმე ელემენტი: ა) გარანტიის საფუძველზე შეიძლება გადახდილ იქნეს მხოლოდ ნაწილი ან გარანტიით განსაზღვრული თანხის მაქსიმალური ოდენობა, 2) გადახდა უნდა მოხდეს მოთხოვნის წარდგენის შემდგომ (რომელიც როგორც წესი წერილობითი ფორმით უნდა განხორციელდეს), 3) უნდა დაერთოს გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, 4) მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს გარანტიით გათვალისწინებულ ვადაში, 5) მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს.[128]

URDG N758-ე პუბლიკაციის მიხედვით, გარანტია არის ნებისმიერი ხელმოწერილი ვალდებულება, რომელიც დასახელებულია, აღწერილია და ითვალისწინებს გადახდას შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში. ამგვარი მცირე განმარტების გარდა, მეორე მუხლი დეტალურად ითვალისწინებს „შესაბამისი მოთხოვნისა“ და „შესაბამისი წარდგენის“ განმარტებას.

URCB-ის მიხედვით „ბონდი“ გარანტია განმარტებულია შემდეგნაირად: ნებისმიერი ბონდი, გარანტია და სხვა ინსტრუმენტი, რომელიც გაცემულია წერილობით ფორმით გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ და რომლითაც გარანტი ვალდებულებას კისრულობს: ა) გადაიხადოს თანხა ან მოახდინოს ბენეფიციარის მიერ ზიანის, კომპენსაციის ან სხვა ფინანსური

[125] URDG N458-ის მუხლი N2,

[126]Enonchong N., The law applicable to demand guarantees and counter-guarantees, 2015, 196.

[127]Kelly-Louw M., International Measures to Prohibit Fraudulent Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 2010, 102.

[128]Goode R. Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, ICC Publication No 51, 1992, 9

მოთხოვნის დაკმაყოფილება, საგარანტიო თანხის ფარგლებში, ბ) გადაიხადოს თანხა ან მოახდინოს ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება ან მოახდინოს გარანტის არჩევით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შესრულება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის კონვეცია შინაარსობრივად აღწერს გარანტიის ურთიერთობას და უფრო ფართოდ განმარტავს ამ ვალდებულებას: „დამოუკიდებელი ვალდებულება, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკისათვის ცნობილია, როგორც საბანკო გარანტია ან რეზერვული აკრედიტივი, რომელიც გაცემულია ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა ინსტიტუტის ან სხვა პირის (გარანტი/გამცემი) მიერ, და ითვალისწინებს ბენეფიციარისათვის ზუსტად ან განსაზღვრული რაოდენობით დადგენილი თანხის გადახდას მარტივი მოთხოვნის ან გარანტიაში მითითებული დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს. {მოთხოვნაში} უნდა აღინიშნოს, რომ გადახდა მოთხოვნილი იქნა პრინციპალის ვალდებულების დარღვევის, ან გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობის, ვადამოსული მოთხოვნის გამო.“[129]

ზემოთ მითითებული წესებისა და კონვენციაში მოცემული განმარტების შედეგად, საბანკო გარანტიის ურთიერთობაში სამი ძირითადი პარამეტრი შეიძლება გამოიყოს: 1) საგარანტიო პირობები, 2) საგარანტიო თანხა, 3) გარანტიის ვადა. სამივე პარამეტრს უმნიშვნელოვანესი ყურადღება ენიჭება საგარანტიო შემთხვევის რეგულირების პროცესში.[130]

საბანკო გარანტიის განმარტება სასამართლო გადაწყვეტილებითაც იქნა დადგენილი. Marubeni Hong Kong and South China Ltd v Government of Mongolia[131] გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ გარანტია ეს არის სპეციალური ფორმით შექმნილი გამოუთხოვადი ინსტრუმენტი, რომელიც განვითარებულია საბანკო სამყაროს მიერ მისი კომერციული მომხმარებლისათვის. იგი მიღებულია სასამართლოს მიერ გამოუთხოვადი დოკუმენტური აკრედიტივის ექვივალენტად.[132]

4.2. საბანკო გარანტიის განმარტება სსკ-ს მიხედვით

[129] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო- სავაჭრო სამართლის კომისიის „საბანკო გარანტიისა და დამოუკიდებელი აკრედიტივების შესახებ" კონვენციის მუხლი კონვენცია მუხლი N2.

[130]Cowdell P., McGregor P., Guide to International Trade and Finance, international Chamber of Commerce, 2015, 214.

[131] 2005 EWCA Civ 395; 2005, 1 WLR 2497; 2005 2 Lloyd’s Rep 231, 23.

[132]Enonchong N., The law applicable to demand guarantees and counter-guarantees, 2015, 196.

სსკ-ს[133] ძირითად ტექსტში მოცემული საბანკო გარანტიის განმარტება სრულად იზიარებს უნიფიცირებული წესებისა და კონვენციაში გათვალისწინებული გარანტიის მახასიათებელ ელემენტებს. სსკ-ში მოცემული განმარტება აღწერილობითი ხასიათისაა და ურთიერთობის შინაარს აღწერს. კერძოდ, „საბანკო გარანტიის საფუძველზე ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალი) მოთხოვნით კისრულობს ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას პრინციპალის, კრედიტორის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ.“[134]

გარანტია ყოველთვის ეხება მოვლენას, რომელიც მომავალში შეიძლება დადგეს. წარსულში მომხდარი მოვლენების მიმართ გარანტია არ გამოიყენება.[135] სსკ ამგვარი განმარტების გარდა, გარანტიის მარეგულირებელ ნორმებსაც გვთავაზობს.[136] აღნიშნული უპირატესობა სსკ-ს ნამდვილად გააჩნია გსკ-სა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით. მათში გარანტიის ამომწურავი რეგულირება გათვალისწინებული არ არის.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ გარანტიის განმარტებით შემოიფარგლება.[137]კერძოდ, 1. „დამოუკიდებელი საბანკო გარანტია არის გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულება, მესამე პირის ვალდებულების გამო, გადაიხადოს თანხა, პირველივე მოთხოვნისთანავე ან საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ გამორიცხავს ბენეფიციარის ვალდებულებას არამართლზომიერი, უფლების ბოროტად გამოყენებისა და პრინციპალის მიერ საზიანოდ განხორციელებული მოთხოვნის შემთხვევაში.[138]

გსკ საერთოდ არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის განმარტებას. გერმანულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ საბანკო გარანტია არის ხელშეკრულება ბანკსა (გარანტს) და ბენეფიციარს შორის, რომელიც დადებულია ბანკსა (გარანტს) და პრინციპალს შორის არსებული დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად უდევს შეთანხმება ბენეფიციარსა და მოვალეს შორის.[139]

---

[133] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საქართველოს კანონი 786, 26/06/1997.

[134] სსკ-ს 879-ე მუხლი.

[135] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 205.

[136] სსკ-ს ოცდამეექვსე თავის 879-892 მუხლები.

[137]საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2321 მუხლი.

[138]საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2321-ე მუხლი, http://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf, 26.08.2017.

[139] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 231.

ამ ვითარების გათვალისწინებით სსკ-ში გარანტიის მარეგულირებელი ნორმების არსებობა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული მუხლები განახლებასა და ცვლილებებს საჭიროებს, აუცილებელია აღინიშნოს მათი მნიშვნელობა და როლი კომერციული ურთიერთობის რეგულირების პროცესში. საბანკო გარანტიის სსკ-ში არსებული განმარტება სრულად შეესაბამება საბანკო გარანტიის საერთაშორისოდ აღიარებულ და მოქმედ პრინციპებს.[140]

5. საბანკო გარანტიის სუბიექტები

საბანკო გარანტიის განმარტებიდან ცხადი გახდა მასში მონაწილე სუბიექტთა ვინაობა და რაოდენობა. საბანკო გარანტიაში მინიმუმ სამი სუბიექტი მონაწილეობს: პრინციპალი, გარანტი, ბენეფიციარი. საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში გამოყენებადი გარანტიების შემთხვევაში საგარანტიო ურთიერთობებში შეიძლება ოთხი სუბიექტი იყოს ჩართული. ზემოთ მითითებულ სუბიექტთა წრეს დაემატება კონტრგარანტი.[141]

5.1. პრინციპალი, როგორც საგარანტიო ურთიერთობის სუბიექტი

უნიფიცირებული წესების შესაბამისად, განსაზღვრულია საბანკო გარანტიის მონაწილე შემდეგი სუბიექტები: პრინციპალი, რომელიც ძირითადი ვალდებულების მონაწილე პირია და კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ. მისი თხოვნით გარანტი გასცემს საბანკო გარანტიას ბენეფიციარის სასარგებლოდ.[142] პრინციპალი უზრუნველყოფილი ვალდებულების მხარეა და მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების უზრუნველყოფა გარანტიის საფუძველზე ხდება.

URDG N758 პრინციპალს უწოდებს აპლიკანტს, რომელიც არის გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მქონე სუბიექტი, რომელიც აღნიშნულია გარანტიაში.[143]

5.2.გარანტი, საგარანტიო ურთიერთობის ძლიერი მონაწილე

[140] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 205.
[141] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Guarantee, 2008. 21.
[142] N458-ე უნიფიცირებული წესების მე-2 მუხლი.
[143] N758-ე უნიფიცირებული წესების მე-2 მუხლი.

საბანკო გარანტიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში გარანტი ურთიერთობის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი სუბიექტია. URDG N758-ის შესაბამისად, გარანტი არის გარანტიის გამცემი სუბიექტი და მოიცავს მხარეს, რომელიც მოქმედებს საკუთარი რისკით. აღნიშნული წესი არ აკონკრეტებს გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრეს და მას ეროვნული ქვეყნის კანონმდებლობის განსაზღვრის საკითხად ტოვებს.[144]

URDG N458-ე პირდაპირ არ განსაზღვრავს გარანტს, თუმცა საბანკო გარანტიის დეფინიციიდან იკითხება, რომ გარანტი შეიძლება იყოს ბანკი, სადაზღვევო კომპანია, ორგანო ან პირი, რომელიც კისრულობს პრინციპალის კრედიტორისათვის თანხის გადახდის ვალდებულებას, გარანტიის პირობების შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში.[145]

გარანტი არ არის ძირითადი ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტი, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თუ სხვა ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობაზე უშუალოდ პასუხისმგებელი პირი. იგი კრედიტორს გადაუხდის საბანკო გარანტიის თანხას ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. იგი გადაიხდის მხოლოდ თანხას და არ კისრულობს დარღვეული ვალდებულების შესრულებას.[146]

უნიფიცირებული წესები გარანტის გამცემ სუბიექტთა წრეს არ ზღუდავს. იგი აცხადებს, რომ გარანტია შეიძლება გასცეს ბანკმა, სადაზღვევო კომპანიამ, სხვა ორგანომ ან პირმა. შესაბამისად, ამ წესების შესაბამისად, გარანტი შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი.[147] ამ წესებისგან განსხვავებით, კონვენცია არ ზღუდავს გარანტიის გამცემ პირთა წრეს და მისი განსაზღვრის შესაძლებლობას სხვადასხვა ქვეყნის მატერიალურ სამართალს ანიჭებს.[148]

5.2.1. გარანტი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია გარანტიის გამცემ პირთა წრე. გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ ბანკი, სადაზღვევო კომპანია, ან სხვა საკრედიტო ორგანიზაცია.[149] საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,

[144]Enonchong N.,The law applicable to demand guarantees and counter-guarantees, 2015, 196.
[145]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Guarantee, 2008. 21.
[146] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 205.
[147] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 235.
[148] გაეროს კონვენციის განმარტებითი ბარათის 23-ე პუნქტი.
[149] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი.

სამივე სუბიექტის საქმიანობა ლიცენზირებას საჭიროებს[150] და შესაბამისი ორგანოს მხრიდან განიცდის მუდმივ ზედამხედველობას.[151] კომერციული ბანკისა და სადაზღვევო კომპანიის მსგავსად საკრედიტო დაწესებულება საფინანსო სუბიექტია, თუმცა მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება ეროვნული ბანკის შესახებ კანონში გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ რა მიიჩნევა სსკ-ს 879-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ საკრედიტო ორგანიზაციად.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონის მე-2 მუხლი "ა" ქვეპუნქტი ჩამოთვლის საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს. ესენია: კომერციული ბანკი,[152] არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება,[153] საბროკერო კომპანია,[154] ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი,[155] აქტივების მმართველი კომპანია,[156] ცენტრალური დეპოზიტარი,[157] სპეციალიზებული

[150]სადაზღვევო კომპანიის ზედამხედველობას ახორციელებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ბანკს და სხვა საკრედიტო ორგანიზაციას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი.

[151] გაბისონია ზ. საბანკო სამართალი 2012, 237.

[152]„ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად „კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობა".

[153] საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონის მე-2 მუხლის „ქ" პუნქტის შესაბამისად, „არასაბანკო დაწესებულება არის იურიდიული პირი, რომელიც არ არის კომერციული ბანკი და უფლებამოსილია მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ნაწილი."

[154] ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის 26 პუნქტის შესაბამისად, საბროკერო კომპანია არის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საბროკერო საქმიანობის ლიცენზია. ამავე კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, საბროკერო საქმიანობის ლიცენზია საბროკერო კომპანიას უფლებას ანიჭებს, განახორციელოს კაპიტალში წილის, აქციების, ობლიგაციების, სერტიფიკატების, თამასუქების, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები და მათი მომსახურება.

[155] საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N5 „ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2 მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრატორი – ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაზე ატესტირებული ფიზიკური პირი.

[156] არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შესახებ კანონის მე-2 მუხლის " კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აქტივების მმართველი კომპანია არის კომერციული ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს საპენსიო დანაგროვთა მართვასა და ინვესტირებას შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.

[157] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 50-ე პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება,

დეპოზიტარი,[158] საფონდო ბირჟა,[159] მიკროსაფინანსო ორგანიზაცია,[160] არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი[161], საგადახდო სისტემის ოპერატორი[162], საგადახდო მომსახურების პროვაიდერი[163], ანგარიშვალდებული საწარმო,[164] ვალუტის გადამცვლელი პუნქტი.“

„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალკე არ გამოყოფს საკრედიტო დაწესებულების ცნებას, თუმცა ვინ მიიჩნევა საკრედიტო დაწესებულებად ზემოთჩამოთვლილი სუბიექტებიდან უნდა იქნეს გამორჩეული. საკრედიტო დაწესებულების ფუნქციებიდან გამომდინარე თუ

აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა მომსახურება“.

[158]„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალიზებული დეპოზიტარი – კომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების მიღებას, შენახვას და საპენსიო დანაგროვთა შესაბამისი აქტივების შემადგენელი არადოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას;

[159]„ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 29 პუნქტის შესაბამისად, „საფონდო ბირჟა – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი , რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა - გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვებას , ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას“.

[160]„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობა ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ზედამხედველობით.

[161]არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი – იურიდიული პირი, რომელიც აფუძნებს საპენსიო სქემას და უზრუნველყოფს ფიზიკურ პირებს არასახელმწიფო პენსიებით საპენსიო სქემით დადგენილი წესის შესაბამისად;

[162]საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი “ქვეპუნქტის მიხედვით, სისტემის ოპერატორი არის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან სხვა იურიდიულ პირებთან ერთად, უფლებამოსილია და პასუხისმგებელია საგადახდო სისტემის ოპერირებისა და სისტემის წესების შემუშავებისთვის;

[163] საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჩ “ქვეპუნქტის მიხედვით, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არის იურიდიული პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

[164]„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, ანგარიშვალდებულ საწარმოდ (ფასიანი ქაღალდების ემიტენტად) მიიჩნევა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა).

ვიმსჯელებთ, ზემოთ მითითებული სუბიექტებიდან, საბანკო გარანტიის გამცემი სხვა საკრედიტო სუბიექტი შეიძლება იყოს: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება. პრაქტიკაში საბანკო გარანტიის გაცემა ხდება, მხოლოდ კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ. შესაბამისად, ნორმაში არსებული მესამე სუბიექტის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას საქართველოში პრაქტიკულად არ იცნობენ. მიმაჩნია, რომ სუბიექტთა წრის გაფართოება გარანტიებთან დაკავშირებული ურთიერთობის განვითარების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.

გარანტიის გაცემ სუბიექტთა წრესთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. საბანკო სამართლის ბევრი სპეციალისტი ამართლებს პირთა ვიწრო წრისათვის ამ უფლებამოსილების განსაზღვრას, თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის მიხედვით საბანკო გარანტიის გამცემი სუბიექტების წრე შეზღუდული არ უნდა იყოს.[165]

გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრის შეზღუდვა გამოწვეულია გარანტიის მომეტებული რისკისა და მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარანტიის გამცემი სუბიექტებისათვის მკაცრად დადგენილი რაოდენობის ფინანსური რესურსის არსებობა სავალდებულოა, როგორც საქმიანობის დაწყების, ასევე, საქმიანობის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, მათი ფინანსური სტაბილურობა მუდმივ კონტროლს ექვემდებარება საზედამხედველო ორგანოების მხრიდან. იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდა ფინანსური რეზერვის ან სხვაგვარ უზრუნველყოფათა შეუსაბამობა მათ ნაკისრ ვალდებულებებთან, ეს შეიძლება გახდეს საქმიანობის შეჩერების ან უფრო მძიმე შედეგის დადგომის საფუძველი. გარანტის ფინანსური სტაბილურობა და სიმყარე კრედიტორის (ბენეფიციარი) ინტერესების უკეთ დაცვას ემსახურება. სუბიექტთა ამგვარი შეზღუდვა აბსოლუტურად გამართლებულია გარანტიის მნიშვნელობისა და ფინანსური რისკის გათვალისწინებით.[166]

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ლიცენზირებას საჭიროებს და ზედამხედველობას ექვემდებარება საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის[167] მე-6 მუხლი სავალდებულო სალიცენზიო საქმიანობად მიიჩნევს დაზღვევისა და საბანკო საქმიანობის განხორციელებას. ლიცენზირების გარდა, ამ სუბიექტებზე მუდმივი ზედამხედველობა ხორციელდება ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე.

[165] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 237.

[166] ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 16.

[167] საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ N1775, 24/06/2005.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გარანტად ისეთი სუბიექტები არიან განსაზღვრულნი, რომელთა სიტყვასაც ავტორიტეტი და ფასი აქვს.[168]

5.3.ბენეფიციარი, საგარანტიო ურთიერთობის ძლიერი სუბიექტი

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში, ბენეფიციარი მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტია. URDG #458-ის შესაბამისად, ბენეფიციარი ძირითადი ვალდებულების მონაწილეა, რომლის მიმართ პრინციპალს ეკისრება ვალდებულების შესრულება.[169] იგი ძირითად ვალდებულებაში შეიძლება იყოს იმპორტიორი, შემკვეთი, შემძენი ან დამქირავებელი, რომელიც პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვს საბანკო გარანტიის წარმოდგენას. სწორედ, ბენეფიციარის სასარგებლოდ გაიცემა საბანკო გარანტია.[170]

სახელმწიფო ტენდერებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ბენეფიციარი არის საბიუჯეტო ორგანიზაცია,[171] რომელიც ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების განკარგვით, შესაბამისი საჭიროებების არსებობის დროს, ახდენს შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებას და მისგან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის ითხოვს საბანკო გარანტიას. ამგვარ ურთიერთობაში გამოყენებული გარანტია კიდევ უფრო მომეტებული საფრთხის შემცველია, ვინაიდან, სატენდერო ურთიერთობაში სახელმწიფო არ არის მოქნილი და ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული წესითა და გამონაკლის შემთხვევაში ხორციელდება. ბენეფიციარი ყველაზე ძლიერი სუბიექტია საგარანტიო ურთიერთობაში. მას გააჩნია მოთხოვნის უფლება და მისი რეალიზებისას მხოლოდ საგარანტიო პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება აქვს.

5.4. კონტრგარანტი

[168] ჭანტურია ლ. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 204.

[169] URDG 2(2).

[170] Kelly-Louw M, Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 21.

[171]საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „საბიუჯეტო ორგანიზაცია - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე, სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის /ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია.

საგარანტიო ურთიერთობაში ტრადიციული სამი სუბიექტის გარდა, შესაძლებელია მონაწილეობდეს მეოთხე სუბიექტი. აღნიშნული პირი, ასევე, მძლავრი ფინანსური რესურსის მქონე პირია და იგი მაშინ ერთვება ურთიერთობაში, როდესაც პრინციპალის მიერ შერჩეული გარანტი, ბენეფიციარისათვის მიუღებელი პირია. განსაკუთრებით საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობებში, სადაც მყიდველი და გამყიდველი სხვადასხვა ქვეყნების რეზიდენტები არიან და ერთი პირისათვის მისაღები ბანკი ან სადაზღვევო კომპანია მიუღებელი ან/და უცნობია ხელშეკრულების მეორე მხარისთვის. მაშინ პრინციპალის გარანტმა შეიძლება მიმართოს ბენეფიციარის გარანტს, ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე, ხოლო ბენეფიციარის გარანტს მისცეს თავისი საბანკო გარანტია. ამ შემთხვევაში პრინციპალის გარანტი ჩაითვლება კონტრგარანტად, ხოლო მის მიერ ბენეფიციარის გარანტისათვის მიცემული საბანკო გარანტია – კონტრგარანტიად.[172]

კონტრგარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ კონტრგარანტის მიერ გარანტისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურებას, ხოლო კონტრგარანტის წინაშე რეგრესის წესით პასუხისმგებელი კვლავ პრინციპალი რჩება.[173]

საერთაშორისო სამართალი კონტრგარანტს, ასევე, „მიმთითებელ მხარედ“[174] მოიხსენიებს, ვინაიდან, იგულისხმება, რომ პრინციპალის თხოვნით კონტრგარანტი, თავის მხრივ, თხოვს (უთითებს) გარანტს ამ უკანასკნელის კლიენტის – ბენეფიციარის სასარგებლოდ, საბანკო გარანტიის გაცემას.[175]

გაეროს კონვენციის მე-6 მუხლის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, „კონტრაგარანტი ნიშნავს კონტრგარანტიის გამცემ პირს, ხოლო ამავე მუხლის “გ” ქვეპუნქტის შესაბამისად, „კონტრგარანტია არის გარანტის/გამცემი პირის მიერ გაცემული ვალდებულება მიმთითებელი პირის სასარგებლოდ, რომელიც შეიცავს გადახდის ვალდებულებას მარტივი მოთხოვნის ან გარანტიაში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება გარანტიის პირობებს.“

URDG N758-ის მიხედვით, „კონტრგარანტი არის კონტრგარანტიის გამცემი პირი, რომელსაც გასცემს გარანტის ან სხვა კონტრგარანტის სასარგებლოდ და წარმოადგენს მხარეს, რომელიც მოქმედებს საკუთარი რისკით. “

[172]ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 22.
[173]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008. 21
[174]აღნიშნული პირი იწოდება, როგორც „Instructing Party“.
[175]ფოფხაძე გ. საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 18

სამწუხაროდ, სსკ არ შეიცავს კონტრგარანტიისა და არც ინსტრუქციების გამცემი მხარის განსაზღვრებებს.[176] შესაბამისად, მათი უფლებებისა და მოვალეობების რეგლამენტირება უნდა განხორციელდეს ზოგად სახელშეკრულებო ნორმათა საფუძველზე.

6. საბანკო გარანტიის ურთიერთობის სტრუქტურა

6.1. პირდაპირი (სამმხრივი) საბანკო გარანტიის სქემა

კომერციულ ურთიერთობაში გამოყენებად საბანკო გარანტიაში უმეტესად სამი სუბიექტი მონაწილეობს. ამგვარი ურთიერთობის დროს, გარანტი პრინციპალის მომსახურე სუბიექტია, რომელიც საქმიანობას ეწევა იმავე ქვეყანაში, სადაც პრინციპალი იმყოფება.

ბენეფიციარი, შეიძლება იყოს, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყანაში მყოფი პირი. ამგვარი სტრუქტურის მქონე საგარანტიო ურთიერთობა იწოდება, როგორც პირდაპირი საბანკო გარანტია, სადაც გარანტი, ბენეფიციარის სასარგებლოდ, კისრულობს თანხის გადახდას პირდაპირ, ყოველგვარი დამატებითი სუბიექტის მონაწილეობის გარეშე. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდგომ, გარანტი ახდენს მოთხოვნის რეგულირებას და თანხის გადახდის შემთხვევაში რეგრესის წესით მოთხოვნას მიმართავს პრინციპალისაკენ.[177]

[178]



ასეთ შემთხვევაში საგარანტიო ურთიერთობა მოიცავს სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ გარიგებას:

[176]ხატიაშვილი ა., საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა, 2011, 24.
[177]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 22.
[178] პირდაპირი საგარანტიო ურთიერთობის სტრუქტურა.

ა) პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ხელშეკრულება,

სსკ-ს 881-ე მუხლი ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის, არსებულ უზრუნველყოფილ ვალდებულებას ძირითად ვალდებულებას უწოდებს. სწორედ მასშია განსაზღვრული შეთანხმება საბანკო გარანტიის წარდგენის შესახებ. ბენეფიციარი და პრინციპალი სახელშეკრულებო ურთიერთობისას თანხმდებიან საბანკო გარანტიის პირობების, რაოდენობის, საგარანტიო თანხის ოდენობის და იმ კონკრეტული ბანკის შესახებ, რომლის მიერ გაცემული გარანტია მისაღებია კრედიტორისათვის.[179]

ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული უზრუნველყოფილ ვალდებულებაში შეიძლება განისაზღვროს გარანტიის პირობები. გარანტის მიერ გაცემული გარანტიის მიღებით ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას მის პირობებზე. გარანტიის პირობებზე დათანხმება ბენეფიციარის მიერ ხდება კონკლიდენტურად გარანტიის მიღებით.[180]

ბ) გარანტიის გაცემის თაობაზე პრინციპალსა და გარანტს შორის არსებული ხელშეკრულება,[181]

საბანკო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით პრინციპალსა და გარანტს შორის იდება ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება,[182] რომლის საფუძველზეც გარანტი კისრულობს საბანკო გარანტიის გაცემას. გარანტი ამისათვის იღებს საზღაურს, თუმცა ამ ხელშეკრულების დადება არ ნიშნავს გარანტიის არსებობას. გარანტი ამით კისრულობს ვალდებულებას გასცეს საბანკო გარანტია.[183] გარანტი ამ ხელშეკრულებით მკაცრად არის შებოჭილი და მასში მითითებული პირობებით უნდა გასცეს გარანტია. მას არ შეუძლია გადაუხვიოს და თვითნებურად გასცეს საბანკო გარანტია. დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ დროს შეუძლია, როდესაც პრინციპალი ანიჭებს ამის უფლებამოსილებას.[184] ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრება გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდის შემდგომ გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების საკითხი.

გ) საბანკო გარანტია

---

[179] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 211.

[180] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014. 571.

[181] M. Kelly-Louw, Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2010, 23.

[182] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი N4, ტომი N2, 216.

[183] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014. 570.

[184] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014. 571.

გარანტი განსაზღვრავს საბანკო გარანტიის პირობებს და გასცემს გარანტიას, რომელიც ცალმხრივი ხელშეკრულებაა და გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას წარმოშობს გარანტის წინაშე.[185] გარანტს სწორედ მასში მითითებული პირობების შესაბამისად უწევს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა.[186]

ზემოთ მითითებული ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები განსხვავებულია. ურთიერთობა მიიჩნევა პირდაპირი სქემის მქონედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს პირთა სიმრავლე ამ ურთიერთობაში. შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე პრინციპალი ან ბენეფიციარი ერთი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, თუმცა აღნიშნული მაინც სამსუბიექტიანი ურთიერთობაა.

გარანტი შესაძლებელია დაუკავშირდეს ბენეფიციარის ქვეყანაში არსებულ ბანკს, ვინაიდან, შემოწმებულ იქნეს ხელშეკრულებასა ან სხვა დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის სიზუსტე ან ნამდვილობა. ამ შემთხვევაში ეს ბანკი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონტრგარანტად. იგი სამმხრივი ურთიერთობის სტრუქტურის ნაწილია. ვინაიდან, საკონსულტაციო ხასიათის მიმართვა საგარანტიო ვალდებულებას არ წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში დამხმარე ბანკის[187] როლი შემოიფარგლება მხოლოდ საკონსულტაციო მოქმედებით. იგი ვალდებულია გარანტის მიერ გადაცემული ინფორმაციის მოძიებასა თუ დოკუმენტაციის ნამდვილობის გადამოწმების დროს იმოქმედოს გულისხმიერების პრინციპის დაცვით.[188] ამასთან, არამართლზომიერების ან სხვაგვარი უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში დამხმარე ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია გარანტს.[189]

6.2. არაპირდაპირი (ოთხმხრივი) საბანკო გარანტიის სქემა

საბანკო გარანტიის ურთიერთობის არაპირდაპირ სტრუქტურაში ჩართულები არიან: პრინციპალი, მისი პარტნიორი გარანტი (კონტრგარანტი), ბენეფიციარი და მისი პარტნიორი გარანტი. ამგვარი ურთიერთობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბენეფიციარს სურს, რომ გარანტი მისი სანდო კომპანია იყოს, ვიდრე ენდოს პრინციპალის მიერ წარდგენილ გარანტს.[190]

---

[185]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის №ას-562-871-09 გადაწყვეტილება.

[186]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის N2/7526-15 გადაწყვეტილება.

[187] აღნიშნული იწოდება - Advising Bank.

[188]Goode R., Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, ICC Publication no 510, 2000. 11.

[189] Houtte H. V., The law of international trade, 2nd ed., 2002, 267.

[190]Bertrams R., Bank guarantees in international trade, Kluwer Law International, 2004.78.

ამ მიზნით, პრინციპალის პარტნიორი გარანტი („კონტრგარანტი“, „მიმთითებელი მხარე“) უკავშირდება და ბენეფიციარის პარტნიორ გარანტს თხოვს, რომ გასცეს საბანკო გარანტია ბენეფიციარის სასარგებლოდ, რომლის კონტრუზრუნველყოფასაც მიმთითებელი მხარე თავად ახდენს ბენეფიციარის პარტნიორი გარანტის სასარგებლოდ კონტრგარანტიის გაცემის გზით.[191]

შესაბამისად, არაპირდაპირ საგარანტიო ურთიერთობაში წარმოიშობა მეოთხე ხელშეკრულებაც – პრინციპალის პარტნიორ კონტრგარანტსა (მიმთითებელ მხარესა) და ბენეფიციარის პარტნიორ გარანტს (საბანკო გარანტიის გამცემს) შორის.

ეს ხელშეკრულება ორ ასპექტს მოიცავს:

(1) მიმთითებელი მხარის დავალებას გარანტის მიმართ, გასცეს საბანკო გარანტია, რომლის პირობები გარანტის მიერ სავალდებულო წესით დასაცავია, თუ ის მითითებას ეთანხმება;

(2) კონტრგარანტიას, რომელსაც გარანტი გარანტიის გაცემის წინაპირობად ითხოვს. ამგვარად, ეს ხელშეკრულება ფორმდება არა პრინციპალსა და გარანტს, არამედ პრინციპალის პარტნიორ კონტრგარანტსა და ბენეფიციარის პარტნიორ გარანტს შორის. [192]



[193]

ამგვარად, პირდაპირი გარანტიისას არსებობს ოთხი ცალკეული გარიგება, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია:

ა) ძირითადი ხელშეკრულება პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის;

[25] Bertrams R., Bank Guarantees in International Trade, Kluwer Law International, 2004 18.
[192] გ. ფოფხაძე, საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016,18.
[193]ოთხსუბიექტიანი საგარანტიო ურთიერთობის სტრუქტურა.

ბ) გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია;[194]

გ) კონტრგარანტია, გაცემული კონტრგარანტის (მიმთითებელი მხარის) მიერ გარანტის სასარგებლოდ;

დ) გარანტიის გაცემის თაობაზე ხელშეკრულება პრინციპალსა და კონტრგარანტს (მიმთითებელ მხარეს) შორის, რომელიც მოიცავს რეგრესის წესით მიმთითებელი მხარისთვის კონტრანაზღაურებას.[195]

ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის შესაბამისი საგარანტიო მოთხოვნის საფუძველზე, გარანტმა ანაზღაურება უნდა გასცეს და მიმთითებელ მხარეს სათანადო კონტრსაგარანტიო ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია წაუყენოს, რასაც მიმთითებელი მხარე აანაზღაურებს და რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნას წაუყენებს პრინციპალს.

კონტრგარანტია ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის შესაბამისი მოთხოვნის საგარანტიო ანაზღაურების კონტრ ანაზღაურებას უზრუნველყოფს, მაგრამ არ მოიცავს გარანტსა და ბენეფიციარს ან პრინციპალს შორის სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან ამავე გარანტიასთან დაკავშირებულ სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფას.[196]

სსკ არაფერს ამბობს არაპირდაპირი გარანტიების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და არ შეიცავს კონტრგარანტიისა და არც ინსტრუქციის გამცემი მხარის განსაზღვრებასა და რეგულირების წესს.[197] აქედან გამომდინარე კონტრგარანტიიდან გამომდინარე სამართლებრივი დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ გარანტიის ზოგადი ნორმების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ამგვარი ჩანაწერის არარსებობის გამო, სასამართლომ კონტრგარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობები, სსკ-ს ზოგად ნაწილში არსებული მუხლებით მოაწესრიგა.[198]

7. საბანკო გარანტიის განსხვავება სხვა ურთიერთობებისაგან

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობების განსაზღვრისა და მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობის სწორად მართვისათვის უმნიშვნელოვანესია გარანტიის ბუნების განსაზღვრა.

---

[194]აღნიშნული ხელშეკრულება იწოდება როგორც Indemnity Contract.

[195]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 23.

[196]ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 22

[197]ხატიაშვილი ა., საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა, 2011, 23

[198] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის N2ბ/82-15 გადაწყვეტილება.

გარანტიის ბუნებაზე მსჯელობისას აუცილებელია აღინიშნოს ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან მისი დამოუკიდებელი ხასიათი. დამოუკიდებელი ბუნება გარანტიას განასხვავებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან. გარანტი ცალმხრივად იძლევა დაპირებას მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაიხადოს ფულადი თანხა.[199]

7.1. საბანკო გარანტიის განსხვავება თავდებობისაგან

7.1.1. თავდებობის სამართლებრივი ბუნება

საბანკო გარანტიის მსგავსად, თავდებობა უზრუნველყოფის ვალდებულებით- სამართლებრივი გარიგებაა. მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან შედარებით საბანკო გარანტია ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს მის მიმართ. სსკ-ს 891-ე მუხლის მიხედვით: „თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად“. ამით თავდები თვითონ კი არ კისრულობს მოვალის ვალდებულების შესრულებას, არამედ თავდებად უდგება კრედიტორს, რომ მოვალე შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.[200]

თავდებობა ცალმხრივი, კონსენსუალური და კაუზალური ხელშეკრულებაა, რომელშიც მონაწილეობს თავდები და კრედიტორი. თავდებობის ხელშეკრულების მიზანი კრედიტორის წინაშე მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფაა.[201]

თავდებობა ფორმა სავალდებულო გარიგებაა. თავდებს და კრედიტორს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრება ხელშეკრულების არსებითი

---

[199] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 205.

[200] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 183

[201] ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891-ე. http://www.gccc.ge/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-i-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-xxii-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-891/ 26.09.2017.

პირობები. მათ შორის, თავდების პასუხისმგებლობის საზღვრები და მაქსიმალური მოცულობა.[202]

თავდებობის ხელშეკრულებაში შეიძლება არ მონაწილეობს ძირითადი ურთიერთობის მოვალე, თუმცა თავდებობის შინაარი სწორედ მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფაა. მოვალემ შეიძლება არ იცოდეს თავდებობის ხელშეკრულების არსებობის შესახებ ან არ დაეთანხმოს მას, თუმცა, ეს არ მოქმედებს თავდებობის ხელშეკრულების ძალმოსილებაზე. ვინაიდან ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. ის შეიძლება ძირითადი ვალდებულების წარმოშობამდე გაფორმდეს და სამართლებრივ საფუძველს თავის თავში ატარებს.[203]

თავდებობის ხელშეკრულების ნიშანი მისი აქცესორული ბუნებაა,[204] რაც ძირითად ვალდებულებაზე დამოკიდებულებას ნიშნავს. „თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია ძირითადი ვალდებულების არსებობა.“[205] თავდების მიმართ კრედიტორის მოთხოვნის არსებობა დაკავშირებულია ძირითადი ვალდებულების არსებობასთან. შეუძლებელია თავდებობის უფლების დაგირავება ან სხვისთვის გადაცემა. ახალი კრედიტორისათვის ძირითადი ვალის გადაცემით მასზე გადადის უზრუნველყოფის საშუალებაც.[206]

თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე მისგან გამომდინარე მოთხოვნის არსებობა და ფარგლები სრულად დამოუკიდებულია უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობასა და ფარგლებზე. თუ ძირითადი უფლება არ წარმოიშობა ბათილობის ან სხვა საფუძვლით თავდებობაც არ ითვლება წარმოშობილად, თუ ძირითადი უფლება შემდგომში გაუქმდა, ეს

---

[202] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი N4, ტომი N2, 2001, 228.

[203] ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891-ე. http://www.gccc.ge/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-i-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-xxii-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-891/ 08.10.2017.

[204] სსკ-ს 153-ე მუხლის მიხედვით, „აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს.“

[205] სსკ-ს 893-ე მუხლი.

[206] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 183

ავტომატურად იწვევს თავდებობის გაუქმებასაც, მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების ან ერთმანეთს შორის კომუნიკაციის გარეშე.[207]

7.1.2. თავდებობისა და გარანტიის შედარებით სამართლებრივი ანალიზი

გარანტია თავდებობის მსგავსად, უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებაა.[208] თუმცა თავდებობისგან განსხვავებით, გარანტის მიერ გაცემულ ცალმხრივი დოკუმენტია, სადაც განსაზღვრულია ის პირობები, რომელიც გარანტის მიერ თანხის გადახდის საფუძველია. თავისი სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული. იგი აბსტრაქტული გარიგებაა და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად.[209]

მოთხოვნის უზრუნველყოფის ამ საშუალებათა განმასხვავებელი ნიშანი, მათი გამცემ პირთა წრეა. საბანკო გარანტიის შემთხვევაში გამცემი უმეტესად ლიცენზირებული სუბიექტია, ხოლო თავდები შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. სხვადასხვა ქვეყანაში თავდებობა და საბანკო გარანტია ერთმანეთის სინონიმად გამოიყენება.[210] მაგალითად, სამხრეთ აფრიკა.

თავდებობის აქცესორული ბუნება ანგლო-ამერიკულ სამართალში არის გათვალისწინებული. მაგ. ინგლისურ სამართალში თავდებობის ხელშეკრულების თავდების კრედიტორის სასარგებლოდ კისრულობს ვალდებულებას მოახდინოს ვალდებულების შესრულება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. თავდებობა მეორადი და აქცესორულია, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემდგომ ხდება მისი წარმოშობა.[211]

ინგლისური პრაქტიკა და სამართალი პრინციპულად არ განასხვავებს საბანკო გარანტიასა და თავდებობას. აქ ტერმინი თავდების გარანტია[212] ტრადიციულად გულისხმობს უზრუნველყოფის აქცესორულ ტიპს და მასში მოიაზრება როგორც ძირითად ვალდებულებაზე დამოკიდებული ვალდებულება. ტერმინი თავდებობა, რომელიც ცხადად და არაორაზროვნად გამოხატავს უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას, გადაიქცა დრომოჭმულად და უკვე იშვიათად იხმარება. [213]

ინგლისურ სამართალში დამოუკიდებელი გარანტიის გარდა, არსებობს თავდების გარანტია, რომლის სტრუქტურა დამოუკიდებელი (ჩვეულებრივი)

---

[207] ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891-ე. 3.
[208] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 208.
[209] ჭეჭელაშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891-ე. 3.
[210] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 36.
[211] Andrews G. M, Millett R., Law of Guarantees 3 ed, 2000, 62.
[212] Surytiship Guarantee.
[213] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი, 2015.

გარანტიის იდენტურია. თუმცა არსებითი განსხვავება მისი დამოკიდებული, აქცესორული და მეორადი ბუნებაა. გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულებაზე. გარანტის ვალდებულება გარანტიიდან გამომდინარე არსებობს ძირითად ვალდებულებასთან ერთად.[214]

ამგვარი გარანტია მეორადია ბუნებით და მისი გამოთხოვა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ პრინციპალი ბრალეული ქმედებით დაარღვევს ვალდებულებას და დარღვევაზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება.[215]

აშშ-ში თავდებობის ხელშეკრულება გარანტიის სინონიმია. ხელშეკრულების ერთი მხარე კისრულობს ვალდებულების შესრულებას მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.[216] თავდებობა აქცესორული, მეორადი ბუნებისაა. მისგან გამომდინარე მოთხოვნა დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების არსებობაზე და ამ ვალდებულების დარღვევის შემდგომ შეიძლება მისი ამოქმედება. კერძოდ, განსხვავებით რეზერვული აკრედიტივისაგან, რომელიც პირველადია და შესრულების დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ იწყებს მოქმედებას.[217]

ზოგიერთი მეცნიერი საბანკო გარანტიას ტრადიციულად მეორად ვალდებულებად მიიჩნევს, რაც გულისხმობს მის დამოკიდებულებას ძირითად ვალდებულებაზე. ვინაიდან, გარანტი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული გადაიხადოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა, თუ მოვალემ დაარღვია ვალდებულება.[218]

ამრიგად, საბანკო გარანტიისა და თავდებობის სამართლებრივი ბუნება ერთმანეთის მსგავსია. ორივე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა და ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. ზოგ ქვეყანაში მათი იდენტურად გამოყენების მიუხედავად, საერთაშორისო პრაქტიკაში გარანტია თავდებობისაგან, სწორედ დამოუკიდებელი ბუნებით განსხვავდება.

7.2. საბანკო გარანტიის განსხვავება დოკუმენტური აკრედიტივისაგან

7.2.1. აკრედიტივის ცნება და არსი

[214]Bethell-Jones R., Guarantees and Indemnities: Some Important Differences, 2006, 156.
[215]The Guide to the URDG, Note, 10, 15.
[216]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008. 36. ციტირებულია: Restatement Third, Suretyship and Guarantee, section 1. 1996.
[217]Dolan F., The Law of letters of Credit, 66.
[218]Kurkela M.S. Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade Law 2 ed (2008) 12.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ ხელშეკრულებისა და ანგარიშსწორების სხვადასხვა ფორმით შექმნა და ჩამოყალიბება განაპირობა. ამგვარ ურთიერთობებში შესაძლებელია ხელშეკრულების დადების, შესრულების ადგილი და მხარეთა ადგილსამყოფელი არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების წარმატება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ანგარიშსწორების მონაწილეთა გადახდისუნარიანობა.[219]

7.2.2. აკრედიტივის რეგულირების წყაროები

დოკუმენტური აკრედიტივი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, სადაც ხელშეკრულების მხარეები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტი პირები არიან. აკრედიტივი ანგარიშსწორების ისეთი ფორმაა, რომელიც ამცირებს ბიზნეს-რისკებს და ორივე მხარეს ფაქტობრივად გარანტირებულს ხდის შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.[220]

საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში აკრედიტივთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებულ იქნა დოკუმენტური აკრედიტივის უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები[221] UCP N82.[222] პრაქტიკის განვითარებასთან ერთად აუცილებელი გახდა ამ წესების სხვადასხვა დროს გადამუშავება. შესაბამისად, გამოიცა UCP N 51,[223] UCP 222,[224] UCP290,[225] UCP400,[226] UCP500,[227] UCP600.[228] ამ წესების გარდა აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებისას გამოიყენება ა) საერთაშორისო სავაჭრო პალატის უნიფიცირებული წესები დოკუმენტური აკრედიტივიდან

[219]ზამბახიძე თ., დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002, 74.

[220]გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 215.

[221]1929 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების სტანდარტიზაციის მცდელობა მოეხდინათ. 1933 წელს ვენაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო დოკუმენტურ აკრედიტივთან დაკავშირებული წესები.

[222] გამოქვეყნებულ იქნა 1933 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის N82-ე პუბლიკაციით.

[223] გამოქვეყნებულ იქნა 1951 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის N51-ე პუბლიკაციით.

[224] გამოქვეყნებულ იქნა 1962 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის N222-ე პუბლიკაციით.

[225] გამოქვეყნებულ იქნა 1974 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის N290-ე პუბლიკაციით.

[226] გამოქვეყნებულ იქნა 1983 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის N400-ე პუბლიკაციით.

[227] გამოქვეყნებულ იქნა 1993 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის N500-ე პუბლიკაციით.

[228] გამოქვეყნებულ იქნა 2007 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის N600-ე პუბლიკაციით და ძალაშია 2007 წელის 01 ივლისიდან.

გამომდინარე ბანკთა შორის ანაზღაურების შესახებ,[229] ბ) ბანკის მიერ დოკუმენტური აკრედიტივის შემოწმების საერთაშორისო სტანდარტები.[230]

დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ მოქმედი წესები არის საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ კომერციული ურთიერთობების სტანდარტიზაციის ერთ-ერთი წარმატებული მცდელობის შედეგი. უნიფიცირებული წესები სავალდებულო ხასიათის არ არის. მხარეებს უფლება აქვთ აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობები მოაწესრიგონ ამ წესებით. ამის შესახებ მითითებას თავად წესები შეიცავს. კერძოდ, UCP600 და UCP500-ის პირველი მუხლის შესაბამისად, წესები გამოიყენება ყველა იმ აკრედიტივის მიმართ, თუ ტექსტი პირდაპირ უთითებს ამ წესების გამოყენებაზე.“

უნიფიცირებული წესები მსოფლიო საბანკო სექტორის შრომის შედეგია, რათა მოეხდინათ ერთიანი სამოქმედო წესების დადგენა.[231] მიუხედავად წესების არასავალდებულო ბუნებისა, უნიფიცირებული წესები შეიძლება მიჩნეულ იქნას “de-facto” ან “quasi” კანონად და აკრედიტივთან დაკავშირებული ურთიერთობების ქვაკუთხედად.[232]

ამასთან, უნიფიცირებული წესები უმსხვილესი ბანკების მიერ გამოყენებადი პრაქტიკიდან გადაიქცა უნივერსალურ ნორმატიულ ჩვეულებად.[233] რეზერვულ აკრედიტივზე უნიფიცირებული წესების გავრცელების შესახებ მოსაზრება 1977 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო კომისიის მიერ იქნა გაჟღერებული. 1983 წელს უნიფიცირებული წესების N400-ე პუბლიკაციაში პირველად გამოჩნდა მითითება რეზერვული აკრედიტივის გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად უნიფიცირებული წესები გამოიყენება, როგორც დოკუმენტური, ისე რეზერვული აკრედიტივის მიმართ.[234]

7.2.3. აკრედიტივის განმარტება

UCP 500-ის შესაბამისად, „დოკუმენტური აკრედიტივი ნიშნავს, ბანკსა და კლიენტს შორის არსებული განსაზღვრული სახის შეთანხმებას. ამ შეთანხმების ძალით ბანკი-ემიტენტი მოქმედებს თავისი კლიენტ-იმპორტიორის (აკრედიტივის გახსნაზე დავალების მიმცემი) მითითებით და მის მიერ მიცემული ინსტრუქციების საფუძველზე ან საკუთარი სახელით, ვალდებულებას

[229] UCC 725.

[230]Collyier G., Guide To documentary Credits, International chamber of commerce, 2014, 4.

[231]Wayen M.A., The Uniform Customs and Practice as a Source of Documentary Credit law in the Unitified States, Canada and Great Britain: A Comparison of Application and Interpretation, 1989,147.

[232]Elliniger E.P., The Uniform Custom- Their nature and 1983 revision, 1984, 578.

[233]Kozolchyk B., Wheble B. S, In Memoriam, Annual Survey of Letter of Credit Law and Practice, 1989, 21.

[234] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008. 100.

იღებს განახორციელოს გადახდა ბენეფიციარის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ გადახდა ხორციელდება მხოლოდდამხოლოდ ბენეფიციარის მიერ ვალდებულების შესრულების შემდგომ.[235]

UCP 600-ის მე-2 მუხლის მიხედვით, „აკრედიტივი არის ბანკის მიერ გაცემული გამოუთხოვადი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს თანხის გადახდას შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში.“ ამავე მუხლით განმარტებულია, „შესაბამისი დოკუმენტი არის აკრედიტივის პირობებისა და დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნა.“[236]

აკრედიტივის განმარტებას სსკ-იც ითვალისწინებს, უნდა აღინიშნოს ამ დეფინიციის მგავსება უნიფიცირებული წესების მიერ დადგენილ განმარტებასთან. კერძოდ, „აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები.“[237] ამ დეფინიციის შინაარსი სრულ შესაბამისობაშია უნიფიცირებული წესების მიერ დადგენილ აკრედიტივის განმარტებასთან. გარდა ამისა, სსკ-ს 878-ე მუხლი შემდეგნაირად უთითებს საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტური აკრედიტივის დამკვიდრებული ჩვეულებების გამოყენების ვალდებულებას:[238] „თუ სხვა რამ არ არის

---

[235]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 281.

[236]Collyier G., Guide To documentary Credits, International Chamber of Commerce, 2014, 4.

[237] სსკ-ს 876-ე მუხლი.

[238] თ. ზამბახიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 876-ე მუხლი, 2. http://www.gccc.ge/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-i-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-xxi-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91/iv-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9A/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-876/ 10.10.2017.

შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტური აკრედიტივის ან დოკუმენტური ინკასოს დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით.“

7.2.4. აკრედიტივის მონაწილე სუბიექტები და ურთიერთობის სტრუქტურა

აკრედიტივის ურთიერთობაში რამდენიმე სუბიექტი მონაწილეობს: ა) განმცხადებელი, რომლის თხოვნით ბანკი გასცემს აკრედიტივს, თუმცა იგი აკრედიტივის მხარე არ არის, ბ) ბენეფიციარი ანუ გამყიდველი, რომლის სასარგებლოდაც უნდა მოხდეს გადახდა, გ) ბანკი, რომელიც გახსნის აკრედიტივს და კისრულობს თანხის გადახდის ვალდებულებას. ამ ურთიერთობაში შეიძლება ჩართულ იქნეს რამდენიმე ბანკი, თუმცა მათი ფუნქციები განსხვავებულია. რამდენიმე ბანკის მონაწილეობა კომერციული ურთიერთობების ფართო მასშტაბებით არის განპირობებული. თუ ძირითადი ურთიერთობის მონაწილე სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სუბიექტებია, შესაძლებელია აკრედიტივის გამცემი არ იყოს გამყიდველის მომსახურე ბანკი. შესაბამისად, აუცილებელი ხდება გამყიდველის ქვეყანაში მოქმედი ბანკის ჩართვა. შესაბამისად, ურთიერთობაში შეიძლება მონაწილეობდეს გამხსნელი ბანკი,[239] მრჩეველი ბანკი,[240] დამადასტურებელი[241] და ნომინირებული[242] ბანკი.[243]

აკრედიტივით ანგარიშსწორების სქემა დაახლოებით ასე გამოიყურება:

ა) მხარეები ადგენენ აკრედიტივის პირობებს;

ბ) იმპორტიორი (მყიდველი), ექსპორტიორთან (გამყიდველთან) შეთანხმებულ ვადებში აძლევს დავალებას თავის ბანკს აკრედიტივის გახსნის შესახებ;

გ) ბანკი უგზავნის წერილს - „ავიზოს“ ბენეფიციარის ბანკს, რითაც ნიშნავს მას თავის სავიზო ბანკად. ამავდროულად უგზავნის მას ფულად თანხას აკრედიტივის შესასრულებლად და ავალებს ბენეფიციარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას;

---

[239]UCP N600-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, გამცემი ბანკი, განმცხადებლის ან საკუთარი სახელით ხსნის აკრედიტივს.

[240]UCP N600-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, მრჩეველი ბანკი ატყობინებს ბენეფიციარს აკრედიტივის გახსნის შესახებ. მისი ერთადერთი ვალდებულებაა ინფორმაციის მიწოდება. იგი პასუხს არ აგებს თანხის გადახდაზე.

[241]UCP N600-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, დამადასტურებელი ბანკი ადასტურებს აკრედიტივის გახსნას გამცემი ბანკის უფლებამოსილებით ან თხოვნით.

[242]UCP N600-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, ნომინირებული ბანკი ადასტურებს აკრედიტივის ნამდვილობას.

[243] Collyier G., Guide To documentary Credits, International chamber of commerce, 2014, 14.

დ) შემსრულებელი ბანკი უგზავნის ავიზოს ბენეფიციარს, ატყობინებს მას მის სასარგებლოდ აკრედიტივის გახსნის შესახებ და პირობებს, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც ბანკი უფლებამოსილია გასცეს თანხა, რომელიც ბანკ-ემიტენტისაგან არის მიღებული;

ე) ავიზოს მიღების შემდგომ ექსპორტიორი იძენს ბენეფიციარის სტატუსს და უფლებას მოითხოვოს აკრედიტივის შესრულება მასში მითითებული პირობებით;

ვ) ექსპორტიორი ახორციელებს საქონლის გადმოტვირთვას და აფორმებს საზღაურის მიღებისათვის აუცილებელ დოკუმენტებს, რის შემდგომაც წარუდგენს მას შემსრულებელ ბანკს;

ზ) ეს უკანასკნელი ამოწმებს მათ შესაბამისობას აკრედიტივის პირობებთან, ახორციელებს ექსპორტიორთან ანგარიშსწორებას და უგზავნის ბანკ-ემიტენტს მოთხოვნას გადახდილი თანხის კომპენსაციის შესახებ;

თ) დოკუმენტაციის გაფორმების სისწორის გადამოწმების შემდგომ ბანკი-ემიტენტი უნაზღაურებს შემსრულებელ ბანკს გაცემულ თანხას და გადასცემს იმპორტიორს საქონლის განკარგვისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას, რომელიც იძლევა ტვირთვის მიღების უფლებას.[244] აკრედიტივის ანგარიშსწორების ეს სქემა ზოგადი ხასიათისაა და აკრედიტივის კონკრეტული სახის არჩევისას გარკვეულწილად შეიძლება შეიცვალოს.[245]

7.2.5. აკრედიტივის არსი და მნიშვნელობა

[244] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 281,

[245] ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 876-ე მუხლი, 4. http://www.gccc.ge/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-i-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-xxi-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91/iv-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9A/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-876/. 10.10.2017.

აკრედიტივით ანგარიშსწორების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველი იღებს გადახდის მყარ გარანტიას, ხოლო მყიდველი ამის შედეგად იძენს საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგანზე.[246]

აკრედიტივის ოთხი ძირითადი ფუნქცია გამოიყოფა. ა) იგი ამცირებს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქონლის გადაცემის შემდგომ მყიდველის მიერ თანხის გადახდაზე უარის თქმის რისკს; ბ) უზრუნველყოფს იმპორტიორის ფულადი რესურსების აკუმულირებას, ხოლო ექსპორტიორს აძლევს საშუალებას მიიღოს თანხები, სანამ გამცემი ბანკი მოახდენს თანხის გადახდას; გ) ახდენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას; დ) გამყიდველს უნარჩუნებს უფლებას იმპორტიორისგან მიიღოს თანხა ბანკის მიერ უარის თქმის შემთხვევაში.[247]

გარანტიის მსგავსად, აკრედიტივის კრედიტორის ინტერესების დაცვას ემსახურება და თავის თავში გარკვეულწილად მოიცავს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქციასაც.[248] მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება თუ ბენეფიციარმა უკვე შეასრულა მის მიერ ნაკისრი ვალდებულება.[249]

უნიფიცირებული წესების დღეს მოქმედი რედაქცია არ განასხვავებს დოკუმენტურ და რეზერვულ აკრედიტივს. დოკუმენტური აკრედიტივი გადახდის საშუალებაა, საქონლის მიღებისა და მიწოდებული მომსახურების სანაცვლოდ. მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობის მიუხედავად, რეზერვული აკრედიტივი სხვადასხვა კომერციული და ფინანსური ოპერაციების შესრულებას

---

[246] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი N4, ტომი N2, 2001, 210.

[247] Alavi H, Documentary Letters of Credit, Legal Nature and Sources of Law, 2016, 103.

[248] ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 876-ე მუხლი, 4. http://www.gccc.ge/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-i-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-xxi-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91/iv-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9A/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-876/. 10.10.2017.

[249] Collyier G., Guide To documentary Credits, International chamber of commerce, 2014, 51.

უზრუნველყოფს. რეზერვული აკრედიტივის დოკუმენტურ აკრედიტივთან მსგავსების მიუხედავად, მისი მოქმედება დაკავშირებულია ბენეფიციარის წინაშე უზრუნველყოფილი ვალდებულების დარღვევასთან.[250]

7.2.6. დოკუმენტური აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების შედარებითი ანალიზი

დოკუმენტური აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება ერთმანეთის მსგავსია. აკრედიტივით ანგარიშსწორებისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა საქონლის, არამედ დოკუმენტაციის ბრუნვას, რომელთა მიხედვით კონტროლდება საქონლის გადაადგილება.[251]

აკრედიტივიდან გამომდინარე ურთიერთობების ყველა სუბიექტს შეხება აქვს დოკუმენტებთან და არა საქონელთან ან მომსახურებასთან. აკრედიტივის წარმოდგენასთან დაკავშირებული ინსტრუქციები და თვითონ აკრედიტივი უნდა იყოს სრული და ზუსტად უნდა უთითებდეს იმ დოკუმენტებზე, რომელთა წარმოდგენის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს ანგარიშსწორება ან გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტირება.[252]

აკრედიტივის დოკუმენტური ბუნებიდან გამომდინარე ბანკი ამოწმებს მასთან წარდგენილ დოკუმენტაციას და არავითარ შემთხვევაში საქონელსა თუ მომსახურებას ან ხელშეკრულების შესრულებას. საბანკო დაწესებულება ახდენს გადახდას გამყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში და მოკლებულია შესაძლებლობას მოახდინოს შესრულებული ვალდებულების ხარისხისა და ნამდვილობის შემოწმება. დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე გადახდა უნდა განხორციელდეს ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში.[253] აკრედიტივის დოკუმენტური ბუნება ხაზგასმულია უნიფიცირებული წესების N600 რედაქციის მე-5 მუხლში.[254]

---

[250]Collyier G., Guide To Documentary Credits, International Chamber of Commerce, , 2014, 52.

[251]ზამბახიძე თ., დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002, 74.

[252]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 281.

[253]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008. 113.

[254]ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 876-ე მუხლი, 4.
http://www.gccc.ge/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-i-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83

დოკუმენტური ბუნება საბანკო გარანტიისა და აკრედიტივისათვის დამახასიათებელი ნიშანია. ასევე, აღსანიშნავია ამ ორი ურთიერთობის დამოუკიდებლობა ძირითადი ურთიერთობისაგან.

ისტორიულად აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპი სავაჭრო ურთიერთობებიდან მომდინარეობს, როდესაც გამყიდველი ითხოვდა ნასყიდობის საზღაურის მიღების გარანტიას საქონლის გადაგზავნის შემთხვევაში. გამყიდველის მოთხოვნით იგი მოთხოვნის გარანტირებულად დაკმაყოფილების საშუალება უნდა ყოფილიყო, მის მიერ მტკიცების განხორციელების გარეშე, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო ნასყიდობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენით (ზედნადები, კომერციული ინვოისი და სხვა).[255] ასეთ შემთხვევაში მყიდველი მოკლებული იყო შესაძლებლობას ზუსტად სცოდნოდა ნასყიდობის საგნის ხარისხი და რაოდენობა, თუმცა დაზიანებული ან უხარისხო საქონლის გაგზავნის მიუხედავად, მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში, მყიდველს უნდა ჰქონოდა ინტერესების დაცვის მექანიზმი. სასამართლომ ამ მიზნით არამართლზომიერი მოთხოვნების უარყოფის პრინციპი დაადგინა კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე.[256]

მოგვიანებით, უზრუნველყოფის საშუალებები სამშენებლო პროექტებშიც გამოჩნდა. დამკვეთის მოთხოვნით შემსრულებელი ბანკის მიერ ესქროუ (Escrow) ანგარიშზე განათავსებდა ფულად თანხას, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ფულადი სახსრების სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებამდე უმოძრაოდ განთავსება მიუღებელი იყო მიმწოდებლისათვის. დოკუმენტური ბუნების ფინანსური მექანიზმის გამოყენებით შეცვლილ იქნა სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების პრაქტიკა. იმისათვის, რომ დოკუმენტური ბუნების გადახდის საშუალება მისაღები ყოფილიყო ბენეფიციარისათვის, იგი მიჩნეულ იქნა ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებელ ინსტრუმენტად.[257]

აკრედიტივიდან გამომდინარე ურთიერთობაში ბანკის ვალდებულება დამოუკიდებელია მისი კლიენტის მიერ ხელშეკრულების მხარესთან დადებული

%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-xxi-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91/iv-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9A/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-876/. 10.10.2017.

[255]Blodgett S, Mayer M., International Letters of Credit: Arbitral Alternatives to Litigating Fraud, 1998, 2

[256]Blodgett S., Mayer M., International Letters of Credit: Arbitral Alternatives to Litigating Fraud, 1998, 3.

[257] Goode R, Commercial Law, (2 ed,1995), 1038.

ხელშეკრულებისაგან. UCP 500-ის მესამე მუხლის შესაბამისად, „აკრედიტივი თავის ბუნებით წარმოადგენს გარიგებას, განპირობებულს ნასყიდობის ან სხვა ხელშეკრულებით, რასაც შეიძლება იგი ეფუძნებოდეს. ბანკები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შებოჭილნი იყვნენ ან მათ რაიმე ფორმით შეეხოთ ეს ხელშეკრულებები. იმ შემთხვევაშიც კი, როცა რაიმე სახის მითითებები არსებობს მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში.“[258]

UCP N600-ით გათვალისწინებულია აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპი. კერძოდ, მე-4 მუხლის მიხედვით, „თავისი ბუნებით აკრედიტივი დამოუკიდებელია ნასყიდობის ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებისაგან. ბანკს არა აქვს კავშირი ამ ხელშეკრულებასთან მაშინაც კი, როცა თავად აკრედიტივი შეიცავს მითითებას ამ კონტრაქტზე.[259]

ამ ორი ინსტრუმენტის მსგავსი ხასიათი არაერთხელ აღინიშნა სასამართლო გადაწყვეტილებებში. საქმეში Edward Owen Engineering Ltd v. Barclays Bank International Ltd[260] სასამართლომ განმარტა, რომ: „შესრულების გარანტია არის ახალი წარმონაქმნი. მას გააჩნია საკმაოდ ბევრი მსგავსება აკრედიტივთან... დადგენილია, რომ როდესაც ბანკი მოახდენს აკრედიტივის გაცემასა და დამოწმებას, იგი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადახდა თუ დოკუმენტები აკმაყოფილებს აკრედიტივის პირობებს. ყველა დავა გამყიდველსა და მყიდველს შორის უნდა გადაწყდეს მათ შორის. ბანკი პასუხისმგებელია აკრედიტივზე... საბანკო გარანტია იმავე წესს იზიარებს... ბანკი, რომელიც გასცემს შესრულების გარანტიას, პასუხისმგებელია გარანტიის პირობების შესაბამისად. იგი არ ერევა ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობაში. კერძოდ, შეასრულა თუ არა ხელშეკრულების მხარემ ვალდებულება, ან ვისი ბრალით მოხდა ვალდებულების დარღვევა. გარანტი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადახდა მოთხოვნის შესაბამისად, დამატებითი მტკიცების საჭიროების გარეშე. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს, როდესაც ბანკის მიერ განხორციელებულია არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც ცნობილი გახდა გარანტისათვის.“[261]

საერთაშორისო პრაქტიკაში ამ ორი სამართლებრივი ურთიერთობის ერთად განხილვა ძალიან ხშირად ხდება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანია ხელშეკრულების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერი მოქმედება. საქმეში Interco Ltd v. Notis Shipping Corporation of Liberia, The Bhoja

---

[258]მლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 281.

[259] ზამბახიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 876-ე მუხლი, 4.

[260][1978] 1 All ER 976, [1978] 1 QB 159, [1977] 3 WLR 764, [1978] 1 Lloyds Rep 166., http://swarb.co.uk/edward-owen-engineering-ltd-v-barclays-bank-international-ltd-ca-1978/, 09.10.2017.

[261]https://www.lawteacher.net/free-law-essays/commercial-law/question-of-fraud-in-bankers-documentary-credits-commercial-law-essay.php, 26.08.2017.

Trader[262] აღნიშნულია, რომ „დოკუმენტური აკრედიტივი უნდა იქნეს განხილული, როგორც საბანკო გარანტია, ვინაიდან, ორივე „მაცოცხლებელი სისხლია" კომერციული ურთიერთობებისათვის. თუმცა მსგავსების მიუხედავად, აღსანიშნავია, მათ შორის განსხვავება. კერძოდ, დოკუმენტური აკრედიტივი საბანკო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმაა, სადაც საბანკო დაწესებულებამ უნდა მოახდინოს ანგარიშსწორება ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ხოლო გარანტია უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც კრედიტორის ინტერესების დაცვის მიზნით გამოიყენება. გარანტიის გამოყენების ზოგადი საფუძველია: არ არსებობს მოთხოვნა, ვალდებულების დარღვევის გარეშე.[263]

აკრედიტივსა და გარანტიას შემდეგი იდენტური თვისებები გააჩნიათ: ა) გადახდის აბსტრაქტული პირობები, კერძოდ, მათ არ სჭირდებათ ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დაცვა; ბ) ავტონომიური ბუნება - ბანკი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადახდა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. თანხის გადახდა უნდა მოხდეს აკრედიტივის შემთხვევაში ვალდებულების შესრულების, ხოლო გარანტიის შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში; გ) დოკუმენტური ბუნება - ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში და პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, დამატებითი გარე ფაქტებისა და მოვლენების გარეშე. ორივე შემთხვევაში ბანკი ახდენს ვალდებულების შესრულებას წარდგენილი დოკუმენტაციის გონივრული შესწავლის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ არსებობს ბენეფიციარის არამართლზომიერი მოქმედება.[264]

მსგავსი ბუნების მიუხედავად, უნდა გამოიყოს ამ ორი ურთიერთობის განმასხვავებელი ნიშნები. კერძოდ, აკრედიტივი იცავს გამყიდველის ინტერესებს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის არსებობის დროს. აკრედიტივი გაიცემა საბანკო დაწესებულების მიერ და ბანკის დამოუკიდებელი დაპირებაა გამყიდველის მიერ ნასყიდობის დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე მოახდინოს თანხის გადახდა. მაგ. ზედნადები, კონოსამენტი დ აშ.[265]

მათ შორის არსებითი განსხვავება გადახდის პირობებსა და ფუნქციაში მდგომარეობს. აკრედიტივი საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფართოდ გამოყენებული გადახდის საშუალებაა. კერძოდ, როდესაც გამყიდველი ახორციელებს საქონლის მყიდველისათვის ან გადამზიდავისათვის გადაცემას, ნასყიდობის დოკუმენტაციის ბანკისათვის წარდგენის შემდგომ ბანკი ახდენს ნასყიდობის საფასურის გადახდას. აკრედიტივის შემთხვევაში არსებითია

[262] Loyd's Rep 256, 1981. http://swarb.co.uk/intraco-limited-v-notis-shipping-corporation-ca-1981/ 10.10.2017.

[263] Miss L., Letters of Credit: Injunctions as a Remedy for Fraud in UCCm, sec.5-114, 1979, 495

[264]Goode R., Abistract payment Undertakings in international Trasnsactions, Brooklyn Journal of International law 1,1996, 4.

[265]Collyier G., Guide To Documentary Credits, International Chamber of Commerce, 2014, 41.

ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. აკრედიტივი ვალდებულების შესრულების შემდგომ შეიძლება განაღდდეს.[266]

თუ აკრედიტივი კრედიტორის პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებაა, საბანკო გარანტია ვალდებულების დარღვევის შემდგომ შეიძლება იქნეს გამოთხოვილი. აკრედიტივისაგან განსხვავებით, საბანკო გარანტია არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის სახელშეკრულებო სამართლებრივი გარიგებაა.

პრინციპალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა გარანტიის გამოთხოვის საფუძველია. გარანტიისაგან განსხვავებით აკრედიტივის დროს ბანკი არ იღებს მოვალის სანაცვლოდ გადახდის ვალდებულებას მოვალის გადაუხდელობის შემთხვევაში. აკრედიტივს აქვს არა უზრუნველყოფის, არამედ გადახდის ფუნქცია.[267]

8. გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი

8.1.საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობების განსაზღვრისა და მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების სწორად მართვისათვის უმნიშვნელოვანესია გარანტიის ბუნების განსაზღვრა.

საბანკო გარანტიის სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობისას აუცილებელია აღინიშნოს ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობიდან მისი დამოუკიდებელი ხასიათი.[268] გარანტიისა და რეზერვერული აკრედიტივის მსგავსად დოკუმენტურ აკრედიტივს დამოუკიდებელი ბუნება გააჩნია. იგი გულისხმობს შემდეგს, რომ გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის არსებობა არ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებზე.[269]

საბანკო გარანტიების დამოუკიდებლობის პრინციპი ასახულია გაეროს სავაჭრო კომისიის მიერ შექმნილ დამოუკიდებელი გარანტიებისა და

[266]Enonchong N., The Autonomy principle of letter of Credit: An Illegality Exception? 2006, 404.
[267] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2014, 210.
[268]Kelly-Louw M., Limiting exceptions to the autonomy principle of demand guarantees and letters of credit. 2008. 197.
[269] Oelofse A., The law of Documentary Letters of Credit in Comparative Perspective, 1997, 354.

რეზერვული აკრედიტივების შესახებ 1996 წლის ნიუ-იორკის კონვენციაში[270] და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შექმნილ უნიფიცირებულ წესებში.[271]

კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, „კონვენციის მიზნებისათვის გარანტის ვალდებულება: ა) არ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების არსებობასა ან კანონიერებაზე (მათ შორის ვალდებულებაზე, რომელიც გარანტიით ან რეზერვული აკრედიტივით არის უზრუნველყოფილი); ბ) ან რაიმე პირობაზე, რომელიც არ არის მითითებული გარანტიაში, ან რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას, გარდა ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა.“ გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება ამავე სახით არის ასახული URDG N458-სა და URDG N758-ში.

URDG N458-ში აღნიშნულია, რომ გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი,[272] რომელიც გარანტიას ძირითადი ვალდებულებისაგან არააქცესორულ გარიგებად მიიჩნევს. „გარანტია, მისი ბუნებით დამოუკიდებელია ხელშეკრულების ან ტენდერის პირობებისაგან, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა იგი. გარანტი არ არის შეზღუდული ან დაკავშირებული ამ ვალდებულების ან ტენდერის პირობებით, მიუხედავად იმისა, რომ გარანტია შეიცავს მასზე მითითებას. გარანტის ვალდებულება საგარანტიო თანხ(ებ)ის გადახდასთან დაკავშირებით გამომდინარეობს საგარანტიო თანხის მოთხოვნაში, რომელიც უნდა იყოს გარანტიის პირობებთან შესაბამისი.“

URDG N758-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „საბანკო გარანტია, თავისი ბუნებით დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან და გარანტი არ არის დაკავშირებული ან შეზღუდული ამ (ძირითადი) ვალდებულების პირობებით. გარანტიაში არსებული მითითება ძირითად ვალდებულებაზე არ ცვლის გარანტიის დამოუკიდებლობის ბუნებას. გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულება არ არის

[270]გაეროს სავაჭრო კომისიის კონვენცია დამოუკიდებელი გარანტიებისა და დოკუმენტური აკრედიტივის შესახებ, UN Convention on demand guarantees and stand-by letters of Credit.

[271]დოკუმენტური აკრედიტივის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის პრინციპი გათვალისწინებულია მათ მიმართ მოქმედ უნიფიცირებულ წესებში. UCP 600-ის მეოთხე მუხლი განმარტავს, რომ „აკრედიტივი, მისი ბუნებით ნასყიდობის ან სხვა სახის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელია. ბანკი არ არის შეზღუდული და დამოკიდებული ამ ხელშეკრულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტივი შეიძლება შეიცავდეს მითითებას ამ ხელშეკრულებაზე. აკრედიტივის დოკუმენტური ბუნების შესახებ ასევე საუბრობს ამავე წესების მე-5 მუხლი, რომელიც ადასტურებს, რომ „ბანკი ამოწმებს დოკუმენტებს და არა საქონელს, მომსახურებას ან შესრულებას, რომელსაც ეს დოკუმენტები ეხება“.

[272]საბანკო გარანტია წარმოდგენს ხელშეკრულებისა და სატენდერო პირობებისაგან დამოუკიდებელ გარიგებას, რომელსაც იგი ემყარება“.

დამოკიდებული არც ერთ სხვა ვალდებულებაზე, გარდა ბენეფიციარსა და გარანტს შორის არსებული ურთიერთობისა.“

დამოუკიდებლობის პრინციპის არსებობის ძირითადი მიზანი კომერციულ ურთიერთობებში ბენეფიციარისათვის საკუთარი ფინანსური მოთხოვნის გარანტირებულად დაკმაყოფილება და თანხის გადამხდელუნარიანი სუბიექტისაგან მიღების საშუალებაა.[273]

გარანტიის გაცემი არ არის ძირითადი ვალდებულების მონაწილე. იგი პრინციპალისაგან ნაკისრი ვალდებულებასთან შედარებით შეუსაბამო მნიშვნელობის ანაზღაურებას იღებს და გასცემს გარანტიას. შესაბამისად, მას არ ევალება დამატებითი გამოძიებისა და კვლევის ჩატარება მოთხოვნის სისწორისა და ნამდვილობის შემოწმებისათვის.[274] გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების უფლება დამოკიდებულია გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებზე, რომელიც გარანტიის გაცემის საფუძველია.[275]

გარანტია არააქცესორულია, რომლის შედეგი იმაშია, რომ გარანტს არ შეუძლია წარუდგინოს შესაგებელი, რომელიც ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული უზრუნველყოფილი ურთიერთობიდან გამომდინარეობს.[276]

დამოუკიდებლობის პრინციპი განსაკუთრებით ხაზგასმულია უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში.[277] უპირობო გარანტია განცალკევებულია ძირითადი ვალდებულებისაგან და ძირითადი ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები დამოუკიდებელია მისგან.[278] მოთხოვნის სწრაფად დაკმაყოფილების[279] მიზნით ბანკის ვალდებულება დამოუკიდებელია არა მარტო ბენეფიციარსა და პრინციპალს, არამედ პრინციპალსა და გარანტს შორის არსებული ურთიერთობისაგან.

დამოუკიდებლობის პრინციპის განმარტებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია. გარანტიის არააქცესორულობიდან გამომდინარე, საბანკო გარანტია პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობის გარეშეც არსებობს, მაშინაც კი, როცა ძირითადი ვალდებულება არ წარმოშობილა ან იგი

---

[273]Hsu C., The Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, 2006, 3.

[274]Coleman M., Performance Guarantee, 1990, 230.

[275] Hsu C.H., the Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, 2006, 5.

[276]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 577.

[277]აღნიშნული იწოდება, როგორც Demand/Independent/Unconditional Gaurantee. წყაროებში მოიხსენიება, როგორც დამოუკიდებელი/მოთხოვნამდე/უპირობო გარანტია.

[278]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 75.

[279]Hsu C.H., The Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, 14.

მოგვიანებით ბათილი გახდა,[280] მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულდა ან შეწყდა.[281]

ხშირად გარანტიის დამოუკიდებლობის ტერმინს აბსტრაქტულობითაც მოიხსენიებენ. ძირითადი ვალდებულებისაგან საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა მის არააქცესორულობას უსვამს ხაზს. ამ ტერმინის გაზიარების შემთხვევაში, გარანტია აბსტრაქტული უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს.[282]

განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, გარანტის ვალდებულება ერთნაირად დამოუკიდებელია, როგორც ძირითადი ვალდებულების მონაწილეების, ასევე, თავად გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული საგარანტიო ხელშეკრულებისაგან.[283] გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება გახდეს: ა) პრინციპალის მიერ გარანტის წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა; 2) პრინციპალის გადახდისუუნარობა; 3) გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხის პრინციპალისაგან რეგრესის წესით მიღების უფლების დაკარგვა. ეს უკანასკნელი უარის თქმის ყველაზე გახშირებული არგუმენტია, თუმცა სასამართლოს მიერ იგი არ არის გაზიარებული.[284] გარანტია რისკის გადანაწილების ინსტრუმენტია. პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულებისა და ფინანსური სიმყარის რისკი გადადის გარანტზე.[285]

დამოუკიდებლობის პრინციპის არსებობა არ გამორიცხავს გარანტის შესაგებლის წარდგენის უფლებას. გარანტს შეუძლია წარადგინოს შესაგებელი, რომელიც უშუალოდ საბანკო გარანტიიდან გამომდინარეობს.[286] გარანტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები ან უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში, მოთხოვნა შეესაბამება თუ არა საბანკო გარანტიით განსაზღვრულ პირობებს.[287]

ავტონომიურობის პრინციპი საბანკო გარანტიის უმთავრეს ღირსებად უნდა მივიჩნიოთ. გარანტი საკუთარი შეხედულებისამებრ ახდენს შემთხვევის

---

[280] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 213.

[281]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014. 576.

[282]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ. რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 578.

[283]Barru D. J., how to Guarantee Contractor Performance on International Construction Projects: Comparing Surety Bonds with Bank Guarantees and Standby Letters of Credit, George Washington International Law Review, 2005, 78-80.

[284] Re Deloittee and Toeuch Inc, 2 Bank, L.R 310, 1993.

[285] Wunnicke B., Under US law, what happened to the parties to an L/C when one of them goes bankrupt? DCI, 2, 1996, 141.

[286] იგივე, 577.

[287]Hsu C. H., The Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, National Taiwan University Law Review, 2006, 3.

რეგულირებას და ძირითადი ვალდებულების სუბიექტთა უფლებები და მოვალეობები გარანტის ქმედებაზე გავლენას ვერ ახდენს. გარანტის ვალდებულება ერთნაირად დამოუკიდებელია, როგორც ძირითადი ვალდებულების, ასევე, თავად გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული საგარანტიო ხელშეკრულებისაგან.[288]

პრინციპალს ბენეფიციარის ან გარანტის მიმართ შესაძლებელია გააჩნდეს შემხვედრი მოთხოვნა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, თუმცა დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე პრინციპალის მითითება მოთხოვნათა გაქვითვის შესახებ დაუშვებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, რაც აისახა გადაწყვეტილებაში[289] Steinmeyer v. Warner Consolidated Corp.[290] განიმარტა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა არ შეიძლება ძირითადი ვალდებულებიდან იზოლირებულად იქნეს მიჩნეული. ვინაიდან, იგი ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია. მოსარჩელის მოთხოვნისათვის გვერდის ავლა არ იქნებოდა სამართლიანი, როდესაც მოპასუხე ვალდებულების დარღვევის მიუხედავად ითხოვდა რეზერვული აკრედიტივიდან გამომდინარე თანხის გადახდას.[291]

ამ გადაწყვეტილებით დამოუკიდებლობის პრინციპის გადახედვა მოხდა და იგი საკმაოდ მკაცრი განსჯის საგანი გახდა.[292] საპირისპირო მოსაზრებით, საბანკო გარანტია და აკრედიტივი კომერციული ურთიერთობების არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტრუმენტებია. არსებითია, რომ გარანტმა თანხის გადახდა მოახდინოს მასთან წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე და პრინციპალს არ ჰქონდეს თანხის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლებამოსილება, ბენეფიციარის მიმართ არსებული შემხვედრი მოთხოვნის გამო. პრინციპალის შემხვედრი მოთხოვნა არ შეიძლება გახდეს ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის განხორციელების შეზღუდვის საფუძველი. გარანტიის გაცემით პრინციპალი ეთანხმება საკუთარი უფლების შეზღუდვას,

---

[288]Barru D.J., How to Guarantee Contractor Performance on International Construction Projects: Comparing Surety Bonds with Bank Guarantees and Standby Letters of Credit, 2005, 80.

[289] 116, California Appeal Court, PRTR, 57,1974.

[290]მხარის მიერ გაცემულ იქნა სხვადასხვაგვარი თამასუქი მოპასუხისათვის სააქციო კაპიტალის შესაძენად. მოპასუხის სასარგებლოდ თამასუქის გადასახდელი თანხის უზრუნველსაყოფად გაცემულ იქნა რეზერვული აკრედიტივი. ერთი თამასუქი უზრუნველყოფდა „ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში სრული ზიანის ანაზღაურებას.“ მოსარჩელის მითითებით მოპასუხემ დაარღვია შეტყობინების ვალდებულება, რომელმაც მოგვიანებით გავლენა მოახდინა სააქციო კაპიტალის ფასზე. მოსარჩელემ მოთხოვნის გაქვითვის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აკრძალვის განხორციელება.

[291] Steinmeyer v. Warner Cons.Corp, 42 Cal. App. 3d 516, 1974, http://law.justia.com/cases/california/court-of-appeal/3d/42/515.html, 01.09.2017.

[292]Farrar E., An examination of UCC, Arctical 5, Letter of Credit, 45, Business La, 1521, 1990, 1616.

რომ შემხვედრი მოთხოვნის არსებობა გავლენას ვერ მოახდენს გარანტის მიერ თანხის გადახდაზე.[293]

გარანტის ვალდებულება არის ბენეფიციარის მიერ მართლზომიერი და სამართლებრივად სწორი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში საგარანტიო თანხის გადახდა, თუმცა ეს არ ნიშნავს მის პასიურ როლსა და ავტონომიურობის პრინციპის აბსოლუტურობას. არამართლზომიერი მოთხოვნა დამოუკიდებლობის პრინციპის საერთაშორისოდ აღიარებული გამონაკლისია.[294] არამართლზომიერი მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს ის გარემოება, რაც ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. პრაქტიკაში საკმაოდ რთულია არამართლზომიერი მოთხოვნის პრევენცია,[295] თუმცა გარანტი მოვალეა მოახდინოს ყველა გარემოების ძირეული გამოკვლევა, რათა არ მოხდეს არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

8.2. კონტრგარანტიის დამოუკიდებლობა გარანტისაგან

კომერციულ ურთიერთობებში შესაძლებელია გარანტის მიერ გაცემული გარანტია სხვადასხვა მიზეზით არ იქნეს მისაღები ბენეფიციარისათვის. ასეთ შემთხვევაში, ამ სუბიექტის მიერ გაიცემა კონტრგარანტია, რომელსაც მიიღებს გარანტი და ბენეფიციარისათვის გასცემს გარანტიას. ამ შემთხვევაში კონტრგარანტს მოთხოვნის უფლება უჩნდება გარანტის მიმართ კონტრგარანტიის საფუძველზე. გარანტსა და კონტრგარანტს შორის არსებობს ორი ურთიერთდაკავშირებული, თუმცა განსხვავებული ურთიერთობა. ერთი, რომელიც აგენტის და მეორე, რომელიც ბენეფიციარისათვის გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდის შემდგომ გადახდილი თანხის ანაზღაურების ხელშეკრულებიდან წარმოიშვება.[296] გარანტი, მასსა და ბენეფიციარს შორის მოქმედებს, როგორც პრინციპალი, ხოლო მასსა და კონტრგარანტს შორის, როგორც აგენტი.[297]

კონტრგარანტია ძირითადი გარანტიის მსგავსად დოკუმენტური ხასიათისაა. იგი დამოუკიდებელია არამარტო ბენეფიციარსა და პრინციპალს

[293]Hsu C. H., The Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, National Taiwan University Law Review, 2006, 5.
[294]Enonchong N., The Autonomy principle of letter of Credit: An Illegality Exception? 2006, 404.
[295] Pugh-Thomas A., Letters of credit –injunctions-the purist and the pragmatist: Can a buyer bypass the guarantor and stop the seller from demand payment from the guarantor? 1996, 210.
[296]Goode R., Guide to the ICC Uniform Rules for demand Guarantees 1992, 20.
[297]Hsu C.H., the Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, 2006, 15.

შორის არსებული ძირითადი ვალდებულებისაგან, არამედ კონტრგარანტსა და პრინციპალს შორის არსებული ურთიერთობისაგან.[298]

კონტრგარანტია გამოიყენება კონტრგარანტის მიერ თავდაპირველი გარანტის მიმართ მოთხოვნის წარდგენისა და გარანტიის საფუძველზე გადახდილი თანხის თავდაპირველი გარანტისაგან მიღების მიზნით. ამ ორი ურთიერთობის დამოუკიდებლობის პრინციპის საფუძველზე გამოიყოფა გარანტისა და კონტრგარანტის ურთიერთობის საკითხი, როდესაც ძირითადი გარანტი მიიღებს შეუსაბამო მოთხოვნას ან მოთხოვნას ვადის გასვლის შემდგომ. ეს ორი გარიგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის ნამდვილობაზე გავლენას ვერ ახდენს ვერც კონტრგარანტიის ნამდვილობა და ვერც ძირითადი გარანტის მიერ კონტრგარანტის მიმართ ვალდებულების დარღვევა.[299]

დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ ძირითადი გარანტის მიერ დარღვეულ იქნა მოთხოვნის რეგულირების პროცედურა და ისეთი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რომელიც არ შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს, კონტრგარანტი უფლებამოსილია უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თუ კონტრგარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა არ შეესაბამება კონტრგარანტიის პირობებს ან მოთხოვნა ვადის გასვლის შემდგომ არის წარდგენილი.[300]

კონტრგარანტია ძირითადი გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის წარდგენილი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნას უზრუნველყოფს. ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, ძირითადი გარანტი მოთხოვნას წარუდგენს კონტრგარანტს კონტრგარანტიის საფუძველზე. მოთხოვნა აუცილებელია იყოს კონტრგარანტიის პირობების შესაბამისი. კონტრგარანტს უფლება აქვს უარი განაცხადოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თუ მოთხოვნა კონტრგარანტიის პირობებს არ შეესაბამება.

სსკ არ ითვალისწინებს ჩანაწერს კონტრგარანტიის შესახებ. ასევე, არანაირი მითითება არ არსებობს კონტრგარანტიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. კონტრგარანტიიდან წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგება და მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა საბანკო გარანტიის მარეგულირებელი ზოგადი წესების შესაბამისად ხდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება[301] ძირითადი გარანტის მიერ კონტრგარანტის მიმართ

[298]Betrams R., Counter-guarantees in An indirect, Independent (First Demand) Guarantes Structure, International Business and Financial Law, 1997, 376.

[299]Betrams R., Counter-guarantees in an indirect, Independent (First Demand) Guarantes Structure, International Business and Financial Law, 1997, 377.

[300]Hsu C H., the Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, 2006, 15.

[301] თბილისის საქალაქო სასამართლო 2014 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება N 2/10771.14.

მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. კონტრგარანტია გაცემული იქნა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ბენეფიციარისათვის კონტრგარანტი დაუსაბუთებელი არგუმენტის საფუძველზე „მიუღებელი“ პირი იყო. შემსყიდველმა არ მიიღო ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რის საფუძველზე პრინციპალი იძულებული იქნა კონტრგარანტიის საფუძველზე შემყიდველისათვის მისაღები სხვა გარანტისაგან მიეღო გარანტია. გაცემულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების 5 საბანკო გარანტია, რომლებიც თავის მხრივ, ამავე რაოდენობის კონტრ გარანტიით იყო უზრუნველყოფილი.

საბანკო გარანტია სასყიდლიანი ბუნებისაა.[302] პრინციპალი ვალდებულია საფასური გადაიხადოს გარანტიისა და კონტრგარანტიის გაცემის სანაცვლოდ. განსახილველ შემთხვევაში პრინციპალმა კონტრგარანტს არ გადაუხადა გარანტიის გაცემის საზღაური. თუმცა მის მიერ სრულად შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უზრუნველყოფილი ვალდებულება.

ბენეფიციარისაგან გარანტიების გათავისუფლების შეტყობინების გარანტის მიერ მიღების შემდგომ, გარანტმა კონტრგარანტს წარუდგინა მოთხოვნა კონტრგარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდასთან დაკავშირებით. მოთხოვნაში მითითებული იყო, რომ პრინციპალმა დაარღვია გარანტის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატა საფასურის გადაუხდელობაში. კონტრგარანტმა უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა, რომ უზრუნველყოფილი ვალდებულება ეხებოდა ბენეფიციართან დადებულ ხელშეკრულების უზრუნველყოფას. ვინაიდან, უზრუნველყოფილი ვალდებულება სრულად შესრულდა და მოთხოვნა შეუსაბამო იყო საბანკო გარანტიის პირობებთან.

სასამართლო გადაწყვეტილებით[303] სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ კონტრგარანტია უზრუნველყოფდა პრინციპალის მიერ ძირითადი გარანტის წინაშე ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებას. შესაბამისად, კონტრგარანტს დაეკისრა გარანტიების საფასურის გადახდა.[304]

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულ იქნა კონტრგარანტის სააპელაციო საჩივარი და გარანტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.[305] სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ს 52-ე[306] მუხლის

---

[302]სსკ-ს 879-ე მუხლის მიხედვით, „საბანკო გარანტიის გაცემის სანაცვლოდ გარანტი იხდის საზღაურს“.

[303]თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ნოემბრის N 2/10771-14 გადაწყვეტილება.

[304]თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ნოემბრის N 2/10771-14 გადაწყვეტილება.

[305] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 2ბ/82-15, N330210014533662.

[306] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 22/06/1997.

საფუძველზე „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“. მოცემული ნორმის მიზანია გაირკვეს, კონკრეტულად რა განზრახვა ჰქონდათ ხელშეკრულების მხარეებს და როგორ უნდა გავიგოთ ხელშეკრულების სადავო გამონათქვამი... კანონით გადამწყვეტია „ნების გონივრული განსჯა“, რაც ნიშნავს სადავო გამონათქვამებისათვის იმ მნიშვნელობის მინიჭების დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიანიჭებდა. გონივრულობა მოცემული ურთიერთობის სრულად აღქმა და განსჯაა.’’

აღნიშნულ შემთხვევაში კონტრგარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულება უზრუნველყოფდა ბენეფიციარისათვის ფულადი თანხის გადახდას, არაუმეტეს გარანტიის თანხისა, თუ პრინციპალი მის წინაშე დაარღვევდა ნაკისრ ძირითად ვალდებულებას.“ ნორმის განმარტებისას სასამართლომ არაგონივრულად მიიჩნია ამ ნორმის ისე განმარტება, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი იყო საბანკო გარანტიის გაცემისათვის დაწესებული ერთჯერადი საზღაური.“[307]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში,[308] რომელმაც გარანტის საჩივარი დასაშვებად ცნო და განმარტა, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.[309] საკასაციო პალატამ არსებითად განიხილა საჩივარი, თუმცა არ დააკმაყოფილა.[310]

სასამართლო გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება საბანკო გარანტიის მიმართ არსებულ ძირითად პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში გარანტია უზრუნველყოფდა ძირითადი გარანტის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგად გადახდილი თანხის რეგრესის წესით დაკმაყოფილებას. კონტრგარანტიისა და გარანტიის თანხების იდენტურობიდან გამომდინარე მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ კონტრგარანტია მხოლოდ ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება იყო. მასში გათვალისწინებული ვერ იქნებოდა სხვა დამატებითი სახსრების გადახდის ვალდებულება. მაგ. პირგასამტეხლო, ზიანი თუ სხვა სანქცია. ასეთის არსებობის შემთხვევაში გარანტიის პირობებში უნდა აღნიშნულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ კონტრგარანტიის მარეგულირებელი ნორმების არარსებობის გამო ამ დავიდან გამომდინარე

[307]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის N2ბ/82-15, N330210014533662 გადაწყვეტილება.

[308]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-1203-1163-2016 გადაწყვეტილება.

[309] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[310]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-1203-1163-2016 გადაწყვეტილება.

ურთიერთობების რეგულირება სსკ-ს ზოგადი ნორმების საფუძველზე მოახდინა და ნორმის გონივრული განსჯისა და განმარტების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება.[311]

8.3. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

სსკ სრულად იმეორებს საბანკო გარანტიის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ დამოუკიდებლობის პრინციპს. საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება სსკ-ს[312] 881-ე მუხლში არის გამოკვეთილად მითითებული. „საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.“

საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების შესახებ ხაზგასმით აღინიშნა სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში. კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება - ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე...“[313]

„სსკ-ს 881-ე მუხლით საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის გაცემული...”[314]

“საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას გამოარჩევს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან. საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ ვალდებულებას.”[315]

---

[311] საინტერესოა, როგორ დაასაბუთებს ამ გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი სასამართლო. მას დასაბუთებული გადაწყვეტილება ჯერ არ მოუმზადებია.

[312] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.

[313] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის № ას-562-871-09 განჩინება.

[314] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 20 იანვრის №3კ-62-01 გადაწყვეტილება.

[315] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის №ას-781-996-08 გადაწყვეტილება.

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის ბუნების ხაზგასმით სასამართლომ ერთმანეთისაგან განაცალკევა უზრუნველყოფილი ვალდებულება და გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულება. გარანტი ვალდებულია იმოქმედოს მხოლოდ გარანტიის პირობებისა და წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად. გარანტი მოკლებულია შესაძლებლობას მიუთითოს რაიმე საფუძველზე, რომელიც პრინციპალს აძლევს თანხის გადახდაზე უარის თქმის უფლებას უზრუნველყოფილი ვალდებულების ფარგლებში.

სახელშეკრულებო და საგარანტიო პირობების კონკურენციის ფარგლებში საგარანტიო მოთხოვნის მართვისას, გარანტმა უნდა იხელმძღვანელოს მის მიერ გაცემული დოკუმენტის პირობით, რომელიც ბოჭავს მას და ავალდებულებს თანხის გადახდას მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში. სახელშეკრულებო და საგარანტიო პირობების კონკურენციის შემთხვევაში გარანტი ვალდებულია მოთხოვნის რეგულირებისას იხელმძღვანელოს საგარანტიო პირობებით.

დამოუკიდებელი ბუნება და მისი შეზღუდული ხასიათი სასამართლომ შემდეგნაირად განმარტა: „საბანკო გარანტიის შინაარსის მომწესრიგებელი ნორმა[316] შეფასების ორ მნიშვნელოვან კრიტერიუმს განსაზღვრავს: ფორმალურს და ფუნქციონალურს. ფორმალურ კონტექსტში საბანკო გარანტიის შინაარსი ყოველთვის ორ სამართლებრივ ურთიერთობას ითვალისწინებს: 1) ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის და, 2) ბენეფიციარსა და გარანტს შორის. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ურთიერთობა დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს, ანუ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მიუხედავად, არ გამოირიცხება გარანტის გადახდის ვალდებულება... საბანკო გარანტიის შესახებ სსკ-ს ნორმების ერთობლიობაში განმარტების შედეგად იკვეთება, რომ სსკ-ს 881-ე მუხლი საბანკო გარანტიას წარმოაჩენს, როგორც ძირითადი ვალდებულებისგან სრულად განყენებულ ვალდებულებას, მეორეს მხრივ კი - სსკ-ს 887-ე მუხლი ავალდებულებს გარანტს, დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს და ბენეფიციარს, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლით ან ბათილია. ასეთი შეტყობინების შემდგომ, ბენეფიციარის მიერ წარდგენილი განმეორებითი მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას. ამ ნორმაში გარკვეულწილად კავშირი მყარდება ძირითად ვალდებულებასა და გარანტის ვალდებულებას შორის, რაც ბუნებრივია, არ გულისხმობს მის აქცესორულ ხასიათს, მაგრამ ერთგვარად ასუსტებს საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის ხარისხს, რაც კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ვალდებულების დაწესებით კანონი ერთგვარ გულისხმიერების ვალდებულებას აკისრებს გარანტს, რაც გულისხმობს მისი მხრიდან ძირითად ვალდებულებასთან

[316] იგულისხმება სსკ-ს 879-ე მუხლი.

დაკავშირებით გარკვეული საკითხების მხედველობაში მიღებას. ამდენად, საბანკო გარანტია არ არის მთლიანად განცალკევებული ძირითადი უზრუნველყოფილი ვალდებულებისგან.[317]

აღნიშნული გადაწყვეტილება უდავოდ პოზიტიურად უნდა შეფასდეს. სასამართლომ ხაზი გაუსვა საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის ბუნებას და მისი შეზღუდული ბუნება გამოყო. გარანტია ავტონომიური ბუნების მიუხედავად, სრულად ვერ იქნება განყენებული ძირითადი ვალდებულებისაგან. იგი გაცემულია და უზრუნველყოფს ძირითად ურთიერთობას. შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეების მოქმედება გავლენას ახდენს გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებით გარანტიის დამოუკიდებლობის შეზღუდული ხასიათი იქნა გამოკვეთილი. კერძოდ, გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება არ არის აბსოლუტური. კეთილსინდისიერებისა და არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის პრინციპი მისი შეზღუდვის უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

9.საბანკო გარანტიის „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი

დამოუკიდებლობის პრინციპის გარდა საბანკო გარანტიის მიმართ გამოიყენება “ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი,[318] რომლის მიხედვით ბენეფიციარის მოთხოვნა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საბანკო გარანტიის პირობებს და მასვე უნდა დაერთოს გარანტიაში გათვალისწინებული დოკუმენტები.[319] „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვა ბენეფიციარის უმთავრესი ვალდებულებაა. ეს პრინციპი გარანტისა და პრინციპალის ინტერესებს იცავს.

დოკუმენტური მოთხოვნის ზუსტად განხორციელების შემთხვევაში, კრედიტორი[320] მიიღებს საგარანტიო თანხას. მოვალე[321] ინფორმირებულია, რომ თანხის გადახდა არ მოხდება ზუსტად შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის გარეშე.[322]

პრაქტიკაში ბენეფიციართა მიერ ბანკში წარდგენილ დოკუმენტებში აკრედიტივისა და გარანტიათა პირობებთან შეუსაბამობები საკმაოდ ხშირია.

---

[317]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 სექტემბრის N2/9973-10 გადაწყვეტილება.

[318]ეს პრინციპი სხვადასხვა წყაროებში განსხვავებულად მოიხსენება. მაგ. პროფესორი ზვიად გაბისონია მას მოიხსენიებს, როგორც „ზუსტი შესატყვისობის“ პრინციპს. ა. ხატიაშვილი მას „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპად იხსენიებს. ინგლისურენოვან ლიტერატურაში იგი მოიხსენება, როგორც Principle of „Strict Compliance“.

[319]Mofleh A.I., Abstract payment undertaking: To what extent are they truly abstract? 2009, 10.

[320]დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში გამყიდველი, გარანტიის შემთხვევაში ბენეფიციარი.

[321]დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში გამცხადებელი, გარანტიის შემთხვევაში - პრინციპალი.

[322]Mofleh A.I., Abstract payment undertaking: To what extent are they truly abstract? 2009, 11.

საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში წარდგენილი დოკუმენტების 2/3 მინიმუმ ერთ შეუსაბამობას მაინც შეიცავს. შესაბამისად, ბანკები უარს აცხადებენ ბენეფიციარისათვის თანხის გადახდაზე.[323]

მხარეთა შორის პრობლემა წარმოიშვება განსხვავებული ინტერესების კოლიზიის დროს. აბსტრაქციის პრინციპის შესაბამისად, პრინციპალი ატარებს ძირითადი ვალდებულების შესრულების შესახებ მტკიცების ტვირთს. მტკიცების შეუძლებლობის შემთხვევაში პრინციპალი უფლებამოსილია დაეყრდნოს „ზუსტი შესაბამისობის“ დოქტრინას და მიუთითოს დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.[324]

ბენეფიციარი მოთხოვნის განხორციელების დროს ვალდებულია ხელმძღვანელობდეს ამ პრინციპის დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუსაბამოდ განხორციელებული მოთხოვნა თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ხშირ შემთხვევაში ბანკის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობები უმნიშვნელო ხასიათისაა და მხარეებს ხარვეზების მიუხედავად სურთ ტრანზაქციის დასრულება. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი არ ნიშნავს პირობებთან სიტყვა-სიტყვით თანხვედრას, შესაბამისობის საკითხი დგინდება შინაარსიდან და არა მექანიკური განმარტებიდან გამომდინარე.[325] ამ დოქტრინის მთავარი პრინციპია: დოკუმენტები ზუსტად შეესაბამებოდეს აკრედიტივის/გარანტიის პირობებს, გარანტს არანაირი ვალდებულება არ ეკისრება განსაზღვროს დოკუმენტების სამართლებრივი საფუძვლები, არ არის საკმარისი თითოეული დოკუმენტის შედარება აკრედიტივის პირობებთან, აუცილებელია მათი ერთმანეთთან შედარება ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად.[326]

9.1. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის განმარტება უნიფიცირებულ წესებში

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობაში ბენეფიციარის უმთავრესი ვალდებულება მოთხოვნის სწორად წარდგენაა. გარანტი ამ მოთხოვნის შემოწმების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას თანხის გადახდასთან დაკავშირებით. სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს სწორი და ზუსტი მოთხოვნის წარდგენა, ხოლო გარანტი ვალდებულია ჯეროვნად და გულისხმიერად გამოიკვლიოს მასთან წარდგენილი მოთხოვნა.[327]

---

[323]გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2017, 287.

[324] Mofleh A.I., Abstract payment undertaking: To what extent are they truly abstract? 2009, 12.

[325] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2017, 288.

[326]გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2017, 290.

[327]მოთხოვნამდე გარანტიების შესახებ N458 უნიფიცირებული წესების მე-9 მუხლი: „ყველა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ან წარდგენილია საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მათ შორის მოთხოვნა, შემოწმებულ უნდა იქნეს გარანტის მიერ გონივრული

ბენეფიციარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს გონივრული განსჯის და შემოწმების შედეგად მიღებული. გარანტი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ შესამოწმებელი დოკუმენტაცია ზუსტად შეესაბამება გარანტიის პირობებს.[328]

URDG N758 აზუსტებს და განმარტავს „სათანადო მოთხოვნას“ და „სათანადო წარდგენას.“[329] წესების შესაბამისად, გარანტია წარდგენილ უნდა იქნეს გარანტიის პირობების, უნიფიცირებული წესების ან საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესების შესაბამისად. ამავე უნიფიცირებული წესების მიხედვით, „მოთხოვნა გამყარებული უნდა იქნეს გარანტიაში მითითებული სხვა დოკუმენტებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში - ბენეფიციარის მითითებით, თუ რაში გამოიხატა აპლიკანტის (პრინციპალის) მიერ ძირითადი ვალდებულებების დარღვევა. ეს მითითება შეიძლება აღინიშნოს მოთხოვნაში ან არსებობდეს ცალკე ხელმოწერილ დოკუმენტად, რაც თან უნდა დაერთოს მოთხოვნას ან გაიგზავნოს ცალკე, მაგრამ მასში უნდა მიეთითოს მოცემული მოთხოვნა.“[330]

„ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვის ვალდებულება იდენტურია დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ. UCPN600-ის მე-14 და მე-16 მუხლი ზუსტად ითვალისწინებს აკრედიტივიდან გამომდინარე წარდგენილი მოთხოვნის შემოწმების წესს. დოკუმენტების წარდგენის შემდგომ, ბანკი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს მათი შესაბამისობა აკრედიტივის პირობებთან.[331] ბანკი ვალდებულია სწორად და სრულყოფილად მიაწოდოს ინფორმაცია აპლიკანტს, როდესაც მოთხოვნა არ შეესაბამება აკრედიტივის პირობებს. ბანკი ყურადღებით ისმენს აპლიკანტის მოსაზრებებს და პოზიციებს შეუსაბამო დოკუმენტებთან დაკავშირებით და დეტალურად გადასცემს მას ბენეფიციარს.[332]

წინდახედულობის გათვალისწინებით, შეესაბამება თუ არა ისინი საბანკო გარანტიის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები არ შეესაბამება პირობებს, გარანტია უნდა იქნეს უარყოფილი“. ამ მუხლით გათვალისწინებული პრინციპი გამოიყენება დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ. UCP 600-ის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ „აკრედიტივის გამცემი ბანკი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის შემოწმება მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეესაბამება თუ არა ისინი გარანტიის პირობებს“.

[328] Kelly-Louw M., The Documentary Nature of Demand Guarantees and the Doctrine of Strict Compliance, (part 2) 2009, 478.

[329]URDG N758-ის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „სათანადო მოთხოვნას წარმოადგენს მოთხოვნა, რომელიც აკმაყოფილებს სათანადოდ წარდგენის კრიტერიუმებს”, ხოლო „სათანადო წარდგენა არის - I) გარანტიის პირობების შესაბამისად მოთხოვნის წარდგენა, II) ამ წესების დაცვით წარდგენილი მოთხოვნა; III) - გარანტიაში შესაბამისი პირობების მითითების არარსებობის ან ამ წესებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკით მოთხოვნამდე გარანტიების მიერ დადგენილი მოთხოვნით წარდგენილი მოთხოვნა.“

[330]Kelly-Louw M., Selective legal Aspects of Demand Bank Guarantees, 2008, 126.

[331]Collyier G., Guide to documentary Credits, International Chamber of Commerce, 2014, 242.

[332]გაბისონია ზ, საბანკო სამართალი, 2017, 290.

ბანკი ვალდებულია აცნობოს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან 5 დღის ვადაში. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ყველა შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციას, რაც გახდა თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძველი.[333]

ამგვარი ზუსტი მოთხოვნის დოქტრინის არსებობა უპირატესად პრინციპალის ინტერესების დაცვას ემსახურება[334] და გარანტს აღჭურავს უარის თქმის უფლებით, თუ მოთხოვნა არის შეუსაბამო დოკუმენტაციასთან. მოთხოვნის განხორციელებისას უმნიშვნელო და ტექნიკური შეცდომები არ შეიძლება გახდეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.[335]

9.2. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი კონვენციის შესაბამისად

კონვენცია საგარანტიო შემთხვევის რეგულირების პროცესში მხარეთა მიერ უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებაზე მიუთითებს. იგი გარანტს აკისრებს საკუთარი უფლებების კეთილსინდისიერად და გონივრული წინდახედულობით განხორციელების ვალდებულებას. კერძოდ, გარანტი ვალდებულია საკუთარი ვალდებულებები შეასრულოს კეთილსინდისიერად და უხეში გაუფრთხილებელი ქმედების გარეშე. ვალდებულების შესრულებისას ამ პრინციპის დაცვას ითვალისწინებს კონვენციის რამდენიმე მუხლი. მე-13 მუხლის შესაბამისად, ურთიერთობის მართვისას გარანტიისა და რეზერვული აკრედიტივის მიმართ დადგენილი წესების მე-14 მუხლის მიხედვით, გარანტი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერებით და გულისხმიერებით საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელი საერთაშორისო საბანკო სტანდარტის[336] შესაბამისად.[337]

კონვენცია მიუთითებს „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვის შესახებ და განსაზღვრავს ბენეფიციარის ვალდებულებას მოახდინოს სწორი და პირობების შესაბამისი მოთხოვნის წარდგენა.[338] გარანტი ამოწმებს საფუძვლიანობას და ახდენს დაკმაყოფილებას დამკვიდრებული საერთაშორისო

[333]Collyier G, Guide to documentary Credits, International Chamber of Commerce, 2014, 243.

[334]ხატიაშვილი ა., საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა, 2011, 36.

[335]Barru D. J., How to Guarantee Contractor Performance on International Construction Projects: Comparing Surety Bonds with Bank Guarantees and Standby Letters of Credit, 2005, 75.

[336] Standards for International Practice.

[337] Kelly-Louw M., the Documentary Nature of Demand Guarantees and the Doctrine of Strict Compliance, (part 2) 2009, 481.

[338] Dolan J.F., The UN Convention on International Independent Undertakings: Do States with Mature Letter-of- Credit Regimes Need it", Banking and Finance Law Review, 1998, 13.

საბანკო სტანდარტის[339] შესაბამისად.[340] ამ სტანდარტებზე მითითებით, კონვენციამ აღიარა „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი და ხაზი გაუსვა ბენეფიციარის ზუსტი მოთხოვნისა და გარანტის მიერ საგარანტიო პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.[341] სასამართლო მკაცრად აკონტროლებს ბენეფიციარის სწორი და სამართლიანი მოთხოვნის განხორციელების ვალდებულებას.

„ზუსტის შესაბამისობის“ პრინციპის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა, არამარტო შინაარსის, არამედ სწორი დოკუმენტაციის დართვის ვალდებულება. გარანტის მიერ ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს სათანადო და ამომწურავი დოკუმენტაციის დაურთველობა. ამასთან, ზუსტად შესაბამისი მოთხოვნის წარდგენა და სრულყოფილი დოკუმენტაციის ბენეფიციარისათვის გადაცემა უნდა განხორციელდეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე.[342] შესაბამისად, დაგვიანებული მოთხოვნა, შეუსაბამო ან არასრულად დართული დოკუმენტაცია ან/და ნაკლიანი მოთხოვნა ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია.[343]

„ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის საფუძველზე დასაბუთებული მოთხოვნა ეხება მოთხოვნის შინაარსსა და დოკუმენტაციას. მოთხოვნაში არსებული გრამატიკული, წერილობითი და სხვა სახის ტექნიკური შეცდომები არ არის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. გადაწყვეტილებაში Seaconsar Far East Limited v. Bank Markazi Jomhouri Islami Iran,[344] აკრედიტივი ითვალისწინებდა მყიდველის სახელის მითითებას ყველა გვერდზე, რაც მოთხოვნაში დაცული არ იყო. სასამართლომ განმარტა, რომ მსგავსი ტექნიკური ხასიათის შეცდომა არ შეიძლება გამხდარიყო თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძველი.[345]

---

[339]International Standards Banking Practice (ISBP).

[340] კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით, გარანტი ვალდებულია, მოახდინოს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტაციის შემოწმება ამ კონვენციის მე-14 მუხლში მითითებული სტანდარტის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს, გარანტი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის დაკმაყოფილება საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად“.

[341]Kelly-Louw M., The Documentary Nature of Demand Guarantees and the Doctrine of Strict Compliance (Part 2) 2009, 481.

[342] უნიფიცირებული წესების მე-19 მუხლის მიხედვით: „საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს გარანტიის ვადის გასვლამდე, ან გარანტიაში მითითებული მოვლების დაგდომამდე. გარანტიის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა დოკუმენტი და განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს გარანტისათვის ვადის გასვლამდე მითითებულ ადგილას. სხვა შემთხვევაში გარანტი ვალდებულია უარი თქვას ანაზღაურებაზე.“ იგივე პრინციპი დადგენილია დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ UCP 600-ის მე-6 მუხლის შესაბამისად.

[343]Kelly-Louw M., The Documentary Nature of Demand Guarantees and the Doctrine of Strict Compliance (Part 2) 2009, 482.

[344] Seaconsar Far East Ltd V Bank Markazi Jomhouri Islami Iran: HL 15 Oct 1993.

[345] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 65.

9.3. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის განმარტება სასამართლოების მიერ

„ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი არაერთხელ განიმარტა სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ. იგი პირველად დაამკვიდრა ვისკონტის ლორდთა პალატის სასამართლომ: “ბანკის ფილიალი საზღვარგარეთ, რომელიც ვერ ერკვევა აკრედიტივით დაფინანსებულ ბიზნეს ტრანზაქციის დეტალებში, ვერ აიღებს თავის თავზე იმის გადაწყვეტილებას, თუ რა დოკუმენტი იქნება კარგი ან ცუდი ტრანზაქციისათვის. თუ ბანკი შეასრულებს იმას, რაც ევალება აკრედიტივის დროს, მაშინ იგი დაცული იქნება, ხოლო თუ გადაუხვევს თავის უფლებამოსილებას და დაიწყებს დოკუმენტების სამართლებრივ შეფასებას, მაშინ ბანკი მოქმედებს თავისი რისკით და თავის თავზე იღებს ტრანზაქციის განხორციელების რისკებს.“[346]

გადაწყვეტილებაში Howe Richardson Scale Co. Ltd. V. Poli-Mex-Cekop[347] განმარტებულია, რომ „მოთხოვნა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს საბანკო გარანტიის პირობებს და დოკუმენტებს. ასევე, აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნა უნდა იქნეს მკაცრად შესაბამისი მის პირობებთან.“ Frans Maas (UK) Ltd v. Habib Bank AG Zurich საქმეში ინგლისის სასამართლომ „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი განმარტა ისე, რომ გარანტიის პირობის შესაბამისად, გარანტი კისრულობდა ბენეფიციარისათვის თანხის გადახდას, წერილობითი მოთხოვნის წარდგენისას, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ბენეფიციარის მიერ წარდგენილ მოთხოვნაში მითითებული იყო, რომ „პრინციპალმა ვერ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება და მოითხოვა 500,00£-ის გადახდა.“ სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნიდან ვერ დასტურდებოდა თანხის გადახდის საფუძველი, რომელიც პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა იყო.[348] შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა გარანტიის პირობებთან იყო შეუსაბამო.

საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება განმარტებული იქნა საქმეზე I.E. Contractors Ltd v. Lloyds Bank Plc and Rafidian Bank.[349] „გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის შესაბამისობის დაცვის ვალდებულება დამოკიდებულია თავად გარანტიის პირობებზე.[350]

---

[346] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2017, 289.

[347] სამხრეთ აფრიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

[348]Elliot F. Project security: bonds and guarantees, 10. https://www.fenwickelliott.com/sites/default/files/nick_gould_-_project_security_bonds_and_gurantees_paper_for_university_of_vienna.indd_.pdf, 10. ბოლო შემოწმების თარიღი 15/07/2017.

[349] I.E. Contractors Ltd v. Lloyds Bank Plc and Rafidian Bank, LIoyd's Bank 1990 2 Lloyd’s Rep.496, https://www.i-law.com/ilaw/doc/view.htm?id=150222, ბოლო შემოწმების თარიღი 15/07/2017.

[350]მოსამართლე სტაუტონის მოსაზრებით დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ დადგენილი ზუსტი შესაბამისობის პრინციპის მომეტებული ან ნაკლები სიმკაცრე დამოკიდებულია

საბანკო გარანტიის პირობის შესაბამისად, გარანტი „კისრულობდა პასუხისმგებლობას უპირობოდ გადაეხადა გარანტიაში მითითებული თანხა, პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის ზიანის (მიყენების) გაცხადების შემთხვევაში.“ ძირითადი ვალდებულება ეხებოდა პრინციპალების მიერ ერაყში ფრინველთა სასაკლაოების მშენებლობას. 1984 წლის 4 დეკემბერს ბენეფიციარმა მიუთითა, რომ პრინციპალმა ვერ შეასრულა სამუშაოები და მოითხოვა საგარანტიო თანხის გადახადა.“ მოთხოვნაში მითითებული არ იყო ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ. გარანტმა მოთხოვნა გადაუგზავნა კონტრგარანტს. ამ საქმეზე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. კერძოდ, პირველმა ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გარანტისათვის დაკისრებასთან დაკავშირებით. დოქტრინის შესაბამისად განიმარტა, რომ: 1) გარანტს არ მიუღია ხელშეკრულების შესრულების გარანტიის პირობებთან შესაბამისი მოთხოვნა, 2) კონტრგარანტს არ მიუღია კონტრგარანტიის პირობებთან შესაბამისი მოთხოვნა.[351]

სააპელაციო სასამართლომ საგარანტიო მოთხოვნა განმარტა უფრო ფართოდ, რაც გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი გახდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საბანკო გარანტიის შემთხვევაში ნაკლები აუცილებლობა არსებობს გამოყენებულ იქნეს „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი. „გარანტიის შემთხვევაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნას, როგორც თანხის გადახდის მატერიალურ საფუძველს და არა მის ზუსტ შესაბამისობას პირობებთან.[352] სასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნა იყო შესაბამისი გარანტიის პირობებთან და თანხის გადახდა ევალებოდა გარანტს.“

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული მოსაზრება გაკრიტიკებულ იქნა სხვადასხვა ავტორების[353] მიერ. კერძოდ, მიიჩნევა, რომ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შემდგომ გარანტი არ არის ვალდებული აწარმოოს რთული და კომპლექსური „გამოძიება“ მოთხოვნის გარანტიის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თუმცა იგი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძვლების შესწავლა. უნიფიცირებული წესების კომენტარის ავტორი რ. გუდი განმარტავს, „სტანდარტი უნდა იყოს შესაბამისი საღ აზრთან.“[354]

ვალდებულების შინაარსზე. ციტირებულია, Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 2

[351] Hein online, Citation: 9 Const. L. Int'l 13 2014. The usage of on-demand bonds has become more prevalent and calls more frequent, 2014,17., Citation: 9 Const. L. Int'l 13 2014, ბოლო შემოწმების თარიღი 10/12/2016;

[352]Mofleh A.I, Abstract Payment Undertakings: To what extent are they truly abstract, 2005, 35.

[353]შედარებისათვის შეგიძლიათ იხილოთ: R.Goode, Commercial Law, 1026, R. Jack, Documentary Credits, 2001, 366.

[354]Goode R., Abstract Payment Undertakings and the Rules of the International Chamber of Commerce, 1995, 740.

საბანკო გარანტიის ბუნებასა და მოთხოვნის „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპთან დაკავშირებით არსებობს ორი საწინააღმდეგო მოსაზრება. პირველი მოსაზრების შესაბამისად, ბანკი ვალდებულია მხოლოდ მოთხოვნის ფორმალური შესაბამისობა შეამოწმოს და მოახდინოს ბენეფიციარის დაკმაყოფილება.[355] ამ შემთხვევაში გარანტს აქვს ნაკლები რისკი შეცდომაში იქნეს შეყვანილი და პასუხისმგებლობის რისკი პრინციპალს ეკისრება. მეორე მოსაზრების თანახმად, გარანტი ვალდებულია მოთხოვნის სრული და ამომწურავი შემოწმება მოახდინოს და შესაბამისობის დადგენის შემდგომ გადაიხადოს თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტი დაკარგავს გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას პრინციპალისაგან.[356]

უნიფიცირებული წესებისა და კონვენციის მიერ „ზუსტი შესაბამისობის პრინციპის“ დადგენა პრინციპალის ინტერესების დაცვას ემსახურება. გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მიმართ არსებობს ერთადერთი ვალდებულება. კერძოდ, გარანტს წარუდგინოს სწორი, გამართული და დროული მოთხოვნა. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გარანტისაგან თანხის მოთხოვნის უფლების დაკარგვა აბსოლუტურად კანონიერია.

9.4 „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად

„ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვის ვალდებულება სსკ-შიც არის გათვალისწინებული. კერძოდ, 885-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია.“

ამასთან, ბენეფიციარის გამართული და ჯეროვანი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ ვადაში. ამ ორი მოთხოვნის დაცვა ბენეფიციარის ვალდებულებაა. მისი დარღვევა გარანტისათვის წარმოშობს ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის უფლებას.

„ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვის ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა განვითარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. თუმცა შესაბამისობის დადგენისას არ ხდება მოთხოვნის ფორმალურ შესაბამისობაზე ყურადღების მიქცევა.

---

[355]აღნიშნული მოსაზრება მხარდაჭერილია მოსამართლე სტაუტონის მიერ და აღნიშნულია 1981 მიღებულ გადაწყვეტილებაში.

[356]Mofleh A.I., Abstract Payment undertaking: To what exent are they truly Asbitract”, 2005, 36.

სასამართლომ განმარტა მოთხოვნის მატერიალური საფუძვლების შესაბამისობა გარანტიის პირობებთან.[357] გარანტი უთითებდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის რამდენიმე საფუძველს: ა) საგარანტიო მოთხოვნის გადაცემას ვადის გასვლის შემდგომ, ბ) საავანსო გარანტიის შემცირებას შესრულებული სამუშაოების ოდენობის შესაბამისად, გ) მოთხოვნის შინაარსობრივ სიზუსტეს, რაც მოიცავს დარღვევის შესახებ მითითების არარსებობას. სსკ-ს 885-ე მუხლში არსებული იმპერატიული ჩანაწერის მიუხედავად, ბენეფიციარს არ აღუწერია პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შინაარსი და არ დაურთავს გარანტიაში მითითებული (დარღვევის დამადასტურებელი) დოკუმენტაცია. ბენეფიციარმა გარანტის სრულყოფილი ინფორმირება არ მოახდინა. სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა მოთხოვნის ფორმალური შესაბამისობის საკითხი და იმსჯელა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სხვა საფუძვლებზე. ბენეფიციარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა არცერთი ინსტანციის სასამართლოს მიერ. სასამართლო ვალდებული იყო გაემახვილებინა ყურადღება მოთხოვნის შინაარსობრივ ნაწილზე და განემარტა, წარმოადგენდა თუ არა ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს.[358]

საგარანტიო მოთხოვნის წარდგენის ფორმასთან დაკავშირებით, გარანტი უთითებდა, რომ მისი ჯეროვანი ინფორმირება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ არ მომხდარა. კერძოდ, ბენეფიციარი ვალდებული იყო მოთხოვნაში მიეთითებინა რაში გამოიხატებოდა ძირითადი ვალდებულების დარღვევა და რამდენს შეადგენდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის მიყენებული ზარალი, რის შემდეგაც გარანტი უზრუნველყოფდა მოსარჩელისათვის გარანტიის თანხის ანაზღაურებას საგარანტიო თანხის ფარგლებში. გარანტის მიერ თანხის გადახდაზე უარის ერთადერთი საფუძველი ჯეროვანი მოთხოვნის განუხორციელებლობა იყო. სასამართლომ განმარტა, რომ გარანტი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი უარი თქვას ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე თუ მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდგომ,[359] რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა.[360]

---

[357]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №2/856-15; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/4559-15, №330210015703697, რომელიც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

[358]თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 2016 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება №2/7526-15; თბილისის სააპელაციო პალატის 2017 წლის 10 აპრილის N2ბ/4510-16 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის განჩინება.

[359] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი, 26/06/1997.

[360] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მაისის განჩინება №2ბ7114/14, №330210014403740.

მოცემულ საქმეზე დადგინდა, რომ გარანტი თანხის გადახდაზე უარს არ აცხადებდა არც ერთი იმ საფუძვლით, როგორიცაა: 1) შეუსაბამობა გარანტიის პირობებთან და/ან 2) მოთხოვნის წარდგენა გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა მიერ ერთადერთი პირობა, რაც თანხის გაცემის სავალდებულო წინაპირობად განისაზღვრებოდა იყო მოთხოვნის ვადაში წარდგენა. მოთხოვნის წარდგენის რაიმე სპეციალურ პირობებზე მხარეები არ შეთანხმებულან. ვინაიდან, გარანტია რაიმე სპეციალურ პირობას არ ადგენდა და არც უარი თანხის გაცემაზე ამ კუთხით დასაბუთებული არ იყო, არ არსებობდა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის მიზეზების კვლევის და დადგენის საჭიროება. შესაბამისად, სასამართლომ დააკისრა გარანტს თანხის გადახდა.

სასამართლოს არ განუმარტავს სსკ-ს 885-ე მუხლით გათვალისწინებული იმპერატიული ვალდებულება, რომელიც გარანტის ჯეროვნად ინფორმირების ვალდებულებას აკისრებს ბენეფიციარს. ამ მუხლის პირველი ნაწილი ბენეფიციარს ავალდებულებს მოთხოვნის განხორციელებისას: ა) მოახდინოს მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენა; ბ) დაურთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტაცია; გ) აუწყოს რაში გამოიხატება ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ამ სამი მოთხოვნიდან ერთ-ერთის დარღვევა „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დარღვევით წარდგენილ მოთხოვნას ნიშნავს, რაც საერთაშორისოდ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, გარანტს ათავისუფლებს თანხის გადახდის ვალდებულებისაგან. კანონში ამ ჩანაწერის მიუხედავად, სასამართლომ მოთხოვნის წარდგენის სპეციალური წესის არსებობა მხარეთა შეთანხმებას დაუკავშირა, რითაც უგულვებელყო „ზუსტი შესაბამისობის“ საკმაოდ მნიშვნელოვანი პრინციპი.

ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დაცვის ვალდებულება შემდეგნაირად იქნა ხაზგასმული:„კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა რისკების თავიდან აცილებას. რისკების შესამცირებლად გამოიყენება სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალებები. სწორედ ამგვარი სიძნელეების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა დამოუკიდებელი გარანტიების ინსტიტუტი, რომელთაც ძირითადად გასცემენ ფინანსურად ისეთი საიმედო და მდგრადი ინსტიტუტები, როგორიცაა ბანკები და სადაზღვევო კომპანიები. საბანკო გარანტიის კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი (არააქცესორული) ბუნებისა და დამოუკიდებლობის მიუხედავად ძირითადი ვალდებულებისაგან, მისი გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან წინაპირობას, კერძოდ: 1. ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს, 2. მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში.

მითითებული წესი განმტკიცებულია სსკ-ს 887-ე მუხლის პირველ ნაწილში... ამდენად, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახის და ხარისხის კვლევა გარანტის მხრიდან გონივრული წინდახედულობის

ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის, ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში, ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა).

სწორედ ამიტომ უწოდებენ კომერციულ პრაქტიკაში საბანკო გარანტიას ე.წ. დოკუმენტურ ოპერაციას. სასამართლო მიუთითებს, რომ გარანტი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი უარი თქვას ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე თუ, მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინება გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ, რასაც, განსახილველ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა... საქმეში წარმოდგენილი საბანკო გარანტიების მეორე პუნქტით ირკვევა, რომ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს პრინციპალის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტი და მოთხოვნის (ზარალის) ოდენობა. ასევე, მას თან უნდა დაერთოს აღნიშნული ფაქტისა და ოდენობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები... ბენეფიციარის წერილებით, ირკვევა, რომ მოთხოვნას თან არ ახლდა ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტისა და ოდენობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები... შესაბამისად, ზემოაღნიშნული დასაბუთების გათვალისწინებით, გარანტს გააჩნდა უფლებამოსილება უარი ეთქვა ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე.“[361]

ამგვარი განმარტებით სასამართლომ ხაზი გაუსვა „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვის ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინის პირდაპირი მითითება არ მომხდარა. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დარღვევა საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

„ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის განმარტება არ მომხდარა, თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ „სსკ-ს 885-ე მუხლი ავსებს 887-ე მუხლის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ.“[362] შესაბამისად, „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დარღვევა ვადის გასვლისა და გარანტიის პირობებთან შეუსაბამობასთან ერთად წარმოადგენს, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. ამ ჩანაწერით სასამართლომ მიუთითა, რომ გარანტის ვალდებულებაა იმის შემოწმება თუ მოთხოვნას რამდენად ერთვის გარანტიით განსაზღვრული დოკუმენტაცია და მათი წარმოდგენა გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ ხომ არ მოხდა, საგარანტიო მოთხოვნა ხომ არ სცილდება გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, მასში ხომ არ არის მოთხოვნილი ისეთი

[361] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის N2/5224-16 გადაწყვეტილება.

[362] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის N781-996-08 გადაწყვეტილება.

ვალდებულების დარღვევის შესახებ, რომელიც გარანტიის პირობით არ იყო უზრუნველყოფილი.[363]

დამოუკიდებლობის პრინციპთან ერთად გარანტიის „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია გარანტისათვის. მისი მნიშვნელობა ხაზგასმულია უნიფიცირებული წესებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ მცირეა ისეთი გადაწყვეტილებების რიცხვი, სადაც ამ პრინციპის დარღვევა სასამართლომ გარანტის პასუხისმგებლობის გათავისუფლების საფუძვლად მიიჩნია. ერთგვაროვანი პრაქტიკის არ არსებობის მიუხედავად, ზემოთგანხილული რამდენიმე გადაწყვეტილება წინაგადადმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. უცნობია, როგორ მოხდება პრაქტიკის შემდგომი განვითარება,[364] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ს კონვენციისა და უნიფიცირებული წესების მსგავსი პოზიცია უჭირავს და აბსოლუტურად განამტკიცებს საერთაშორისო პრაქტიკაში გაბატონებულ პოზიციას მათთან მიმართებით. ბენეფიციარი ვალდებულია მოთხოვნის წარდგენისას დაიცვას „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი. ამ პრინციპის უმთავრესი მოვალეობაა პრინციპალის ინტერესების დაცვა ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებისაგან.

10. საბანკო გარანტიის დოკუმენტური ბუნება

10.1 დოკუმენტური ბუნების არსი

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობისა და „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპთან ერთად აღსანიშნავია მისი დოკუმენტური ბუნება. ეს ნიშნავს, იმას რომ მასთან დაკავშირებული ყველა მხარე დაკავშირებულია დოკუმენტების მოძრაობასთან და არა თავად საქონელთან, რაზედაც დადებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის ძირითადი გარიგება.[365] ბენეფიციარს ევალება გარანტს წარუდგინოს გარანტიის პირობების შესაბამისი მოთხოვნა გარანტიაში მითითებული დოკუმენტაციის დართვით. საგარანტიო შემთხვევის რეგულირების პროცესში გარანტი ახდენს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, თუმცა არ არის ვალდებული მოახდინოს მათი ავთენტურობის დადასტურება. გარანტი არ არის ვალდებული მოახდინოს გარე ფაქტების

[363] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ივლისის Nას13-53-1277-2012 გადაწყვეტილება.

[364]თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქმე N2/24930-16, სადაც ამ პრინციპის დარღვევის მიუხედავად გარანტიის თანხა გარანტს მაინც დაეკისრა (გადაწყვეტილების მიღებული იქნა 26/01/2017). სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჯერ არ მოუმზადებია, თუმცა ცხადია, რომ ამ პრინციპის დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა მაინც დააკმაყოფილა. ამგვარი გადაწყვეტილების არსებობა ერთგვაროვანი პრაქტიკის არ არსებობას ნიშნავს, რომელიც მომავალში უნდა აღმოიფხვრას.

[365]გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2017,273.

„გამოძიება“/გამოკვლევა, თუ რა გახდა ვალდებულების დარღვევის საფუძველი და რამდენია პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა.[366]

გარანტი ფულად თანხას წარდგენილი დოკუმენტების სანაცვლოდ იხდის და არა იმის საფუძველზე, გამოგზავნილი საქონელი მიუვიდა თუ არა იმპორტიორს ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისად ან მიიღო თუ არა ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მეორე მხარემ და აშ.[367]

დოკუმენტური ბუნება საერთოა აკრედიტივისა და გარანტისათვის. აკრედიტივის და გარანტიის პირობებში ზუსტად და დეტალურად უნდა იყოს მითითებული იმ დოკუმენტთა ჩამონათვალი, რომელიც თანხის მისაღებად ბენეფიციარმა უნდა წარუდგინოს ბანკს/გარანტს. ამ დროს გარანტი მოქმედებს აკრედიტივის/გარანტიის მანდატის ქვეშ და თანხას უხდის ბენეფიციარს იმ დოკუმენტების წარმოდგენის სანაცვლოდ, რომლებიც განუხრელად შეესაბამებიან პირობებს. მხოლოდ ამ წესების შესრულებისა და დაცვის შემდგომ აქვს უფლება გარანტს მოსთხოვოს აპლიკანტს/პრინციპალს თანხის ანაზღაურება.[368]

UCP N600-ის მე-5 მუხლი განმარტავს დოკუმენტურ ბუნებას. კერძოდ, „ბანკი გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და არა საქონლის, შესრულების ან მიწოდებული სერვისის შესაბამისად, რომელსაც წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეეხება.“ ამავე წესების მე-14 მუხლი განმარტავს, რომ „ბანკი ვალდებულია შეამოწმოს მოთხოვნის შესაბამისობა, მხოლოდ მისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.“

ამ წესებმა გარანტიათა დოკუმენტურ ბუნების განმარტებისას ხაზი გაუსვა, რომ „გარანტი საქმეს აწარმოებს დოკუმენტებით და არა პროდუქციით, მომსახურებით ან შესრულებით, რომელთაც ეს დოკუმენტები შეიძლება უკავშირდებოდეს.“ გადახდის პირობაა არა ფაქტები, არამედ იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც შეეხებიან ფაქტებს. ბანკის მოვალეობაა შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი დოკუმენტები გარანტიაში აღწერილ დოკუმენტებს, რაც საკმაოდ წააგავს საბანკო ოპერაციას. ბანკებს არ ევალება იქონიოს საქმე ფაქტებთან, რომელთაც აღნიშნული დოკუმენტები შეეხებათ.[369] ამ წესებით ბანკებს გაუმარტივდათ საგარანტიო შემთხვევის რეგულირება, ხოლო ბენეფიციარს - მტკიცების ტვირთი. ბენეფიციარის საგარანტიო მოთხოვნის

[366]Goode R., Abstract Payment Undertakings and the Rules of the International Chamber of commerce, 1995, 725.

[367]Chung-Hsin H., The Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, 2006, 5.

[368]გაბისონია ზ., „საბანკო სამართალი“ 2017. 273.

[369]ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 102.

დაკმაყოფილებაზე უარის საფუძვლები მხოლოდ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება იქნება გაცხადებული.[370]

URDG N458-ის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარანტიის დოკუმენტური ბუნება არის „გარანტის ვალდებულება მოახდინოს თანხის გადახდა... წერილობითი მოთხოვნისა და დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) წარდგენის შემთხვევაში.“

ISP98 იმპერატიულად განსაზღვრავს რეზერვული აკრედიტივის სამართლებრივ ბუნებას. 1.06 პუნქტის მიხედვით, „რეზერვული აკრედიტივი არის გამოუთხოვადი, დამოუკიდებელი, დოკუმენტური და მავალდებულებელი, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნულის შესახებ მითითებას.“ წესებში არის საკმაოდ ამომწურავად განმარტებული ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულებები, მოთხოვნის განხორციელების და შემოწმების წესი და ვადები, თანხის გადახდის პირობები.[371]

დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, აკრედიტივის გამცემის ვალდებულება არ არის დამოკიდებული: ა) ბანკის მიერ აპლიკანტისაგან გადახდილი თანხის ანაზღაურების უფლებასა ან შესაძლებლობაზე, ბ) ბენეფიციარის შესაძლებლობებზე, აპლიკანტისაგან მიიღოს გადახდა, გ) აკრედიტივის მითითებაზე რეგრესის წესით ანაზღაურების ან ძირითადი ვალდებულების შესახებ, დ) გამცემის ინფორმირებულობაზე ვალდებულების შესრულების ან გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულების ან ძირითადი ვალდებულების დარღვევასთან.[372] აკრედიტივის დამოუკიდებლობის საკითხს კიდევ უფრო ამძაფრებს შემდეგი ჩანაწერი „ბენეფიციარის მიმართ არსებული ვალდებულება დამოუკიდებელია გამცემის აპლიკანტის მიმართ არსებულ უფლების ან მოვალეობისაგან.“[373]

დამოუკიდებლობის პრინციპთან ერთად წესებით აღიარებული დოკუმენტური ბუნება. მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში ბანკი მოქმედებს მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად. ბანკის ვალდებულება შემოიფარგლება დოკუმენტაციის აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის შემოწმებით.[374] რეზერვული აკრედიტივის ბუნებიდან გამომდინარე, გამცემის

[370] ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 8.
[371]Dolan F., Analysing Bank Drafted Standby Letter of Credit Rules, the International Standby Practices (ISP98), 2000, 105.
[372]Byrne F., the Official Commentary on the ISP98, 1.06.
[373]Kelly-Louw M, International Measures to Prohibit Fraudulent Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 2010, 95.
[374]Kayembe G., the Fraud Exception in Bank, 9.

ვალდებულება დამოკიდებულია წარდგენილ დოკუმენტაციაზე და მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებაზე.[375]

გარანტიის დოკუმენტური ბუნება ავალდებულებს გარანტს მოახდინოს შემთხვევის სრული და ამომწურავი შემოწმება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ ახდენს საკუთარი ინტერესების ჯეროვან დაცვას. დოკუმენტური ბუნებიდან გამომდინარე გარანტის ვალდებულება თანხის გადახდის შესახებ დამოკიდებულია განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გარანტია უპირობო ხასიათისაა და მარტოოდენ მოთხოვნის წარმოდგენაც საკმარისია ფულადი თანხის გადახდისათვის.

გარანტიის უმნიშვნელოვანესი დამოუკიდებლობისა და დოკუმენტურობის პრინციპები მისი მთავარი ღირსებაა, რადგან გარანტი დამოუკიდებელია მხარეებთან ურთიერთობისას და მისი მოქმედება არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა მხარის უფლებებისა და მოვალეობების ჯეროვან განხორციელებასთან. იგი საკუთარი შეხედულებით, მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და გააჩნია უფლებამოსილება უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მხარეს, იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა არაზუსტად ან შეუსაბამოდ არის განხორციელებული.

10.2. გარანტიის არადოკუმენტური პირობა

საბანკო გარანტიის დოკუმენტური ბუნება შეზღუდულად იქნა გათვალისწინებული URDG -ის მიხედვით. იგი გარანტიის არადოკუმენტური პირობების არსებობას დასაშვებად მიიჩნევს, იმ შემთხვევაში თუ საბანკო გარანტიის ტექსტი შეიცავდეს მითითებას დოკუმენტაციის დართვის აუცილებლობის არ არსებობის შესახებ.[376] საბანკო გარანტიის პირობიდან გამომდინარე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება აკრედიტივის გამცემი გარანტის მიერ არ იყოს დამოკიდებული წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე.[377] გარანტიაში უნდა მიეთითოს გარანტიის გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა. ამ შემთხვევაში გარანტიის პირობა არ შეიცავს ბენეფიციარის ვალდებულებას მოახდინოს მოთხოვნაზე იმ

[375] Dolan F., Analysing Bank Drafted Standby Letter of Credit Rules, the International Standby Practices (ISP98), 2000, 105.

[376] URDG N758-ის მუხლი N7.

377 Hugo C.F., The law relation to documentary credits from a South African perspectives with special eference to the legal position of the issuins and confirminf Banks". 22. http://scholar.sun.ac.za/handle/10019.1/4676 27.09.2017.

დოკუმენტაციის დართვა, რომელიც დაადასტურებდა ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების დარღვევას.

ამგვარი ჩანაწერის მიუხედავად, უნიფიცირებული წესები მაინც უწესებს ბენეფიციარს ვალდებულებას, რომ მოთხოვნაში აღწეროს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ.[378] მიიჩნევენ, რომ ამგვარი ვალდებულება დოკუმენტურობის პრინციპის შენარჩუნებაა. რამდენადაც საბანკო გარანტიებში, ცალკე აღებული, მარტოოდენ მოთხოვნაც დოკუმენტურად განიხილება და მეტიც, მოთხოვნასთან ერთად პრინციპალის ბრალეულობის შესახებ წარმოსადგენი მითითებაც დოკუმენტად მოიაზრება.[379]

არადოკუმენტური პირობა გარანტისათვის რამდენიმე პრობლემას წარმოშობს. იგი პრინციპალის ინტერესების დაცვას ემსახურება, თუმცა ბენეფიციარისა და თავად გარანტისათვის მომეტებული რისკია. ვინაიდან, გარანტი ვალდებულია სრულად მოახდინოს შემთხვევის შესწავლა და გამოიკვლიოს ყველა გარემოება, სანამ მოახდენს შემთხვევის რეგულირების დასრულებას. ამგვარი პირობა არახელსაყრელია გარანტისათვის და მას დამატებით ვალდებულებას აკისრებს. მიუხედავად ამისა, უნიფიცირებული წესების განვითარების შედეგად ყველა აქტში ხაზგასმით არის მითითება გარანტიის დოკუმენტური ბუნების შესახებ. ბანკი მხოლოდ მასთან წარდგენილ დოკუმენტაციას შეისწავლის და შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას.[380]

10.3. გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების ნეგატიური მხარე

საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება ხელშეკრულების ერთი მხარისათვის ფუფუნებაა. ბენეფიციარი წარადგენს მოთხოვნას გარანტიაში მითითებულ დოკუმენტების დართვით. გარანტიის დოკუმენტური ბუნება ბოჭავს გარანტს მოახდინოს საკუთარი შეხედულებისამებრ დოკუმენტაციის მოძიება და მხოლოდ წარდგენილი მასალების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში არსებობს საკმაოდ მაღალი რისკი იმისა, რომ ურთიერთობის ერთ-ერთმა მხარემ მოახდინოს მისი უფლების ბოროტად გამოყენება და განახორციელოს არამართლზომიერი[381] ქმედება.

---

[378] მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება.

[379]ხატიაშვილი ა., საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა, 2011, 37.

[380] Kelly -Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008.51.

[381]აღნიშნული ტერმინი საერთაშორისო პრაქტიკაში განმარტებულია, როგორც “Fraud”, რომელიც ითარგმნება, როგორც თაღლითობა, თუმცა იგი განსხვავდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში გათვალისწინებული თაღლითობის შემადგენლობისაგან.

არამართლზომიერი მოთხოვნების სიმრავლეს ხელი შეუწყო სასამართლოს მითითებამ გარანტიის დამოუკიდებელ და დოკუმენტურ ბუნებაზე. კერძოდ, ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკით, გარანტი იზღუდება მხოლოდ მასთან წარდგენილი დოკუმენტაციით და უპირობო გარანტიის შემთხვევაში ახდენს მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუმცა აღნიშნული ვალდებულება აბსოლუტური არ არის. გარანტი თავისუფლდება გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მოთხოვნა არამართლზომიერია. მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ მტკიცების ტვირთი გარანტს ეკისრება, რომლის მიმართ ეს ტვირთი პრინციპალმა უნდა სწიოს. გარანტი წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა დოკუმენტაციის წარდგენა და დასაბუთება პრინციპალის ვალდებულებაა.

არამართლზომიერი მოთხოვნის მართვის პროცესში შესაძლებელია კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების ჩართულობა. საქართველოში ძალიან მცირეა იმ შემთხვევათა რაოდენობა, სადაც არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებაში ჩართული ყოფილიყო კომპეტენტური საგამოძიებო ორგანო (არაერთი მიმართვის მიუხედავად). შესაბამისად, პრინციპალი და გარანტი სასამართლოში საკუთარი ძალისხმევით ახორციელებენ მტკიცების ტვირთის რეალიზებას, რომელიც არამართლზომიერი მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

11. საბანკო გარანტიათა კლასიფიკაცია უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის მიხედვით

საბანკო გარანტიის სტრუქტურის დიფერენცირებასთან ერთად აუცილებელია მოხდეს მათი კლასიფიცირება იმ ნიშნით, თუ რა სახის ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფას ემსახურება.[382] უზრუნველყოფილის ვალდებულების შინაარსის მიხედვით, განასხვავებენ ორი ძირითადი სახის გარანტიებს: ა) გარანტიები, რომლებიც ემსახურებიან ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფას, ბ) გარანტიები, რომლებიც ემსახურებიან არაფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფას. პირველი მათგანი ემსახურება, ისეთი ვალდებულების შესრულებას, როგორიცაა მაგ: მყიდველის ვალდებულება გადაიხადოს ნასყიდობის საფასური, ან დამკვეთის ვალდებულება აანაზღაუროს გაწეული მომსახურების საზღაური. გარანტიათა მეორე სახე, რომელიც არაფინანსური ვალდებულების შესრულებას ემსახურება შეიძლება დაიყოს ქვესახეობად: სატენდერო, შესრულების, ხარისხის უზრუნველყოფის და ამ. [383]

[382] Sitpro's Financial Guide op cite note 5 at.4. სქოლიო 45.

[383]ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 7.

უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის მიხედვით, პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია გარანტიათა შემდეგი სახეები: 1) სატენდერო, 2) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის, 3) წინასწარი საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფის, 4) დეფექტებზე პასუხისმგებლობის (ხარისხის) გარანტია. თუმცა მათ გარდა არსებობს, ასევე, თანხის დაკავების გარანტია, გადახდის გარანტია, საბაჟო გარანტია და აშ.

11.1. სატენდერო საბანკო გარანტია

სატენდერო საბანკო გარანტია[384] პრინციპალის მიერ სატენდერო ურთიერთობებში შესვლის დროს გამოიყენება. მისი ძირითადი ფუნქცია საჯაროდ გამოცხადებულ აუქციონში/ტენდერში ბენეფიციარის ინტერესების დაცვაა.[385]

იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში მონაწილეობას მიიღებს სუბიექტი, გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. სატენდერო გარანტია ემსახურება აუქციონის/ტენდერის ჩატარების შემდგომ ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფას. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში მონაწილე სუბიექტი უარს იტყვის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბენეფიციარი მოახდენს სატენდერო საბანკო გარანტიის გამოთხოვას.[386]

სატენდერო გარანტიები საქართველოში სახელმწიფო ტენდერებში აქტიურად გამოიყენება. ამ სახის გარანტია თითქმის ყველა ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა. მათთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ.

აღნიშნული ბრძანება სატენდერო გარანტიას მოიხსენიებს როგორც სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონულ გარანტიას, რომელიც გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით. პრეტენდენტის მიერ სააგენტოსათვის სისტემის მეშვეობით წარდგენილი გარანტირების მექანიზმი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ტოლია.[387]

---

[384] Tender bond or Bid Bond.

[385] Dedu V., Enciu A., Guarantees in Banking Operations with Bank Customers. 40.

[386] ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, 4 (52) 2016, 124.

[387] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 1-ლი მუხლის "3[2]" პუნქტი.

ამ გარანტიის ერთადერთი მიზანი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფაა. კერძოდ, პრეტენდენტმა ბოროტად არ გამოიყენოს უფლებამოსილება და ტენდერში გამარჯვების შემდგომ უარი არ თქვას ხელშეკრულების დადებაზე.

ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) თუ ელექტრონული გარანტია გაცემულია ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით – ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებიდან არანაკლებ 120 დღე, იმ შემთხვევაში თუ ელექტრონულ ტენდერში, რომელშიც სატენდერო პირობების გაცნობისა და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა ნაკლებია 20 დღეზე, ხოლო არანაკლებ 160 დღე – ელექტრონულ ტენდერში, რომელშიც სატენდერო პირობების გაცნობისა და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა შეადგენს ან აღემატება 20 დღეს, ბ) ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის საბოლოო სტატუსის მინიჭებიდან 10 დღე, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.[388]

ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“, „შეწყვეტილია“ ან „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მინიჭებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში, პრეტენდენტს უბრუნდება ელექტრონული გარანტია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ 1) თუ პრეტენდენტი ელექტრონული ვაჭრობის მიმდინარეობისას უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე და მოხდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია შემდეგი საფუძვლებით: ა) იგი უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე; ბ) იგი არ წარადგენს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს დადგენილ ვადაში ან მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს; ვ) იგი უარს ამბობს ან სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე; ზ) იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას; თ) იგი არ წარადგენს ხარჯთაღრიცხვას დადგენილი წესით, არ დააზუსტებს მას დადგენილ ვადაში, დაზუსტების შედეგად არსებითად შეცვლის მას ან/და გაზრდის წინადადების ფასს, ან/და არ წარადგენს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს ან ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს ან/და ტექნიკურ დოკუმენტაციას.[389]

[388]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 23-ე მუხლი.

[389]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 23-ე მუხლი.

ბრძანება ზუსტად ითვალისწინებს ელექტრონული სატენდერო გარანტიის გამოთხოვის საფუძვლებს. იმ შემთხვევაში თუ ზემოთ მითითებული საფუძვლით მოხდა პირის დისკვალიფიკაცია, სააგენტო გარანტისაგან მოითხოვს საგარანტიო თანხის გადახდას. ეს ჩამონათვალი ამომწურავად არის მოცემული ბრძანებაში და ბენეფიციარებს თვითნებობის საშუალებას უზღუდავს. ამასთან, გარანტიის სუბიექტთა მიერ ზუსტად არის გაცნობიერებული მოთხოვნის საფუძველი და შინაარსი გადმოცემულია დისკვალიფიკაციის შესახებ ოქმში. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არ ეთანხმება შემსყიდველი კომისიის ოქმს მას უფლება აქვს აღნიშნული გაასაჩივროს შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოში, რომლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით შემდგომში საჩივრდება სასამართლოში. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში საგარანტიო მოთხოვნა გაუქმდება და გარანტი თავისუფლდება საგარანტიო თანხის გადახდისაგან.

შესყიდვების ურთიერთობაში მოქმედი წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ელექტრონული ფორმით წარედგინება და მისი მოთხოვნაც ელექტრონული ფორმით ხორციელდება. შესაბამისად, საგარანტიო მოთხოვნა ამ შემთხვევაში ელექტრონული ფორმით იქნა ჩანაცვლებული. კერძოდ, მისი რეგისტრაციაც და ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა ორივე ელექტრონულად ხდება.

სსკ-ს 881-ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად, „ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენა საჭირო არ არის, თუ ბენეფიციარსა და გარანტს შორის არსებობს შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღების თაობაზე.“ ეს არის ერთ-ერთი ცვლილება, რომელიც სსკ-ში საბანკო გარანტიის მომწესრიგებელმა ნორმებმა განიცადა მისი მიღებიდან დღემდე. ეს ცვლილება ნაკარნახევი იყო ურთიერთობების განვითარებით. კერძოდ, გარანტიის დოკუმენტური ხასიათი ელექტრონული ფორმით შეიცვალა. გარანტი ავტორიზებული პირია, რომელსაც გააჩნია წვდომა შესაბამის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაზე. შემსყიდველის გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ ხდება საგარანტიო თანხის მოთხოვნის საფუძველი.[390] მოთხოვნა ელექტრონული ფორმით წარედგინება გარანტს და მასში მითითებული არ არის დარღვევისა და დისკვალიფიკაციის საფუძველი. გარანტიის გამოთხოვის საფუძველი შემსყიდველის ოქმშია მითითებული, რომელიც ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე. ელექტრონულ მოთხოვნას არ ახლავს მოთხოვნის დასაბუთება და იგი დამოუკიდებლად უნდა მოიძიოს გარანტმა. ამგვარი მოთხოვნა

[390]აღნიშნული ეხება მხოლოდ იმ საფუძველს რომელიც ბრძანების მე-13 მუხლის „ბ“, „გ“ ,“ე“, „ვ“, და „ზ“ ქვეპუნქტებშია მოცემული.

დოკუმენტურობის პრინციპის დარღვევად შეიძლება იქნეს მიჩნეული. თუმცა ეს საკითხი სადავო არც ერთ შემთხვევაში არ გამხდარა.

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის გამოთხოვის ამომწურავად განსაზღვრული ჩამონათვალი ურთიერთობების სუბიექტების ინტერესებს უკეთ იცავს. ბენეფიციარი მოკლებულია შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მოთხოვნის საფუძველი, ხოლო გარანტს გააჩნია ვალდებულება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში მოახდინოს თანხის გადახდა. მოთხოვნის ზუსტად ჩამოთვლილი საფუძვლები და ბუნდოვანების არ არსებობა დავათა ნაკლებობის წინაპირობაა. შესაბამისად, ქართულ პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათია ელექტრონულ სატენდერო გარანტიასთან დაკავშირებული დავები.[391]

11.2. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია

ხელშეკრულების შესრულების გარანტია[392] პრინციპალის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულების ჯეროვან, დროულ და განსაზღვრულ ადგილას შესრულებას უზრუნველყოფს.

შესრულების გარანტია, როგორც წესი წარედგინება ხელშეკრულების დადებამდე. აღნიშნული გარანტიის მიზანი ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა ვალდებულების წარმოშობიდან მის შეწყვეტამდე.[393]გარანტიის ოდენობა ხელშეკრულების მხარეთა ნების საფუძველზე დამოუკიდებლად განისაზღვრება, თუმცა მისი მოცულობა უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება უზრუნველყოფილი ვალდებულების 5-დან 10 %-მდე.[394]

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია გამოიყენება როგორც ტენდერების (საჯარო თუ კერძო), ისე კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში სუბიექტთა შორის დადებული გარიგებების შემთხვევებში და მისი ტექსტი (საგარანტიო პირობები) ყველაზე მრავალფეროვანია. მსოფლიოს მასშტაბით ასობით ვარიანტი არსებობს.[395]

საქართველოში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში. „თუ (შესყიდვების) ხელშეკრულების საერთო ღირებულება

[391]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, 4 (52) 2016, 127.

[392] Performance Bond or Completion Bond.

[393]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 28.

[394]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 29

[395] ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 33

შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია."[396]

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მოცულობის ოდენობა, კერძოდ, მისი ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით. შესაძლებელია მისი ოდენობა გაიზარდოს და განისაზღვროს ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 10%-ის ჩათვლით, იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.[397]

11.3. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება ხელშეკრულების მხარის მიერ წინასწარ გადახდილი ხელშეკრულების ღირებულების მიზნობრივად ათვისების უზრუნველსაყოფად.

ბენეფიციარის მხრიდან ხელშეკრულების ღირებულების სრული ან ნაწილობრივი წინასწარი ანაზღაურების შემთხვევაში საბანკო გარანტია უზრუნველყოფს თანხის მიზნობრივად ხარჯვას. თანხის ავანსის არამიზნობრივად გაუხარჯაობის შემთხვევაში ბენეფიციარს დაუბრუნდება გაუხარჯავი თანხა გარანტიის პირობების შესაბამისად.

საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის მსგავსი მიზნობრიობა აქვს შუალედური ანგარიშსწორების საბანკო გარანტიასაც,[398]იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელით ხდება პროექტის მომდევნო ეტაპებზე წინსწრებით გადახდილი თანხების შესაბამისი უზრუნველყოფა. თუმცა, ჩვენი აზრით, არსობრივად, ორივე ერთნაირია და საწყის თუ შემდეგ ეტაპზე, დაკვეთის შესრულებამდე და მის შესასრულებლად ანგარიშსწორებას უკავშირდება.[399]

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა, როგორც წესი, ხელშეკრულების ღირებულების 10 ან 20 პროცენტის ოდენობით განისაზღვრება,

---

[396]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 33-ე მუხლი,
http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/eleqtronuli_tenderis_Catarebis_wesi.pdf.aspx ბოლო შემოწმების თარიღი 28.12,2017.

[397]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 33-ე მუხლი მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები.

[398]Interim payment guarantee,

[399] ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 34

თუმცა მისი ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის უმნიშვნელოვანესი მიზანი ხელშეკრულების მხარის სახსრების სათანადო და ჯეროვანი ხარჯვის უზრუნველყოფაა. საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის გაცემის საფუძველზე ბენეფიციარი პრინციპალს უხდის ხელშეკრულების ღირებულებას, რომელიც სამუშაოს შესრულებას უნდა მოხმარდეს. საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის მიზნიდან გამომდინარე მისი პირობა შემოიფარგლება გაცემული თანხის მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველყოფით და საბანკო გარანტიის მოცულობა მცირდება ბენეფიციარისათვის პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოსა თუ ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივი მიწოდების ოდენობით. შესაძლებელია ხელშეკრულების დარღვევის მიუხედავად არ მოხდეს საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა, ვინაიდან, პრინციპალმა უკვე შეუსრულა ბენეფიციარს ავანსის ოდენობით გათვალისწინებული სამუშაო. საავანსო-საბანკო გარანტიის თანხა მხოლოდ წინასწარ გაცემული თანხის დაბრუნებასა ან/და ხარჯვას უზრუნველყოფს და ხელშეკრულების სრულად შესრულებაზე პასუხისმგებლობას არ მოიცავს.

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სავალდებულოდ გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში. „წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით“.[400]

საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის სავალდებულობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივად და უსაფრთხოდ მართვას. კერძოდ, ხელშეკრულების მხარე საბიუჯეტო სახსრების მიღების შემთხვევაში ვალდებულია სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუხარჯავი თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება გარანტს მოუწევს, რომელიც მძლავრი ფინანსური ინსტიტუტია და მისი გადახდისუნარიანობა სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება ზედამხედველი სუბიექტის მიერ.

11.3.1. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის განმარტება სასამართლოს მიერ

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას დანარჩენებისაგან განსხვავებული ბუნება გააჩნია, რაც მისი ოდენობის შემცირებაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში არსად არ არის გაწერილი

[400] ბრძანების მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი.

საბანკო გარანტიის ოდენობის შემცირების შესახებ ნორმა, მისი რეგულირება მთლიანად ხელშეკრულების მხარეთა ნებას არის მინდობილი. მხარეთა თავისუფალი ნების პირობებში ხელშეკრულების მხარეები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ, როგორც ხელშეკრულების, ისე საბანკო გარანტიის პირობებს. თუმცა დავის წარმოშობის შემთხვევაში სასამართლოს განმარტება აუცილებელია. მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებაში მსგავსი ჩანაწერი ბუნდოვანია ან საერთოდ არ არსებობს.

საკანონმდებლო ან სახელშეკრულებო ვაკუუმის პირობებში სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა განიმარტოს მოთხოვნის მართლზომიერება და გადახდის არარსებობის საფუძველი. თუმცა როგორ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება თუ არ არსებობის მისი რეგულირების არც სახელშეკრულებო და არც საკანონმდებლო ნორმა? საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა არაერთხელ გამხდარა დავის საგანი. სასამართლო გადაწყვეტილებით[401] სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი და გარანტს დაეკისრა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის სრული ოდენობით გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები სრულად იქნა დასრულებული და ხელშეკრულების ღირებულება პრინციპალმა სრულად მიიღო ბენეფიციარისაგან სამუშაოების დასრულების შემდგომ. სამუშაოთა ჯეროვანი და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესრულება დასტურდება ექსპერტიზის დასკვნით და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ამის მიუხედავად, ბენეფიციარმა სრულად მოითხოვა საბანკო გარანტიის თანხა. პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია გარანტიის პირობებსა და მოთხოვნის მართლზომიერებაზე. განმარტა, რომ ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა სრულად უნდა დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. ასევე, განმარტა, რომ სამუშაოთა სრულად შესრულება გამორიცხავს საავანსო უზრუნველყოფის გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნას. შესაბამისად, მიუხედავად ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნისა, გარანტს არ გააჩნია საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვალდებულება.

საბანკო გარანტიათა სახეებსა და კატეგორიებზე ფართო განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ.[402] გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გაცემული ფულადი თანხის

[401] გადაწყვეტილება ეხებოდა სახელმწიფო საიდუმლოების მქონე ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეს მიენიჭა სახელმწიფო საიდუმლოების მქონე სტატუსი, რის გამოც დავის დეტალებს ვერ გავასაჯაროებთ.

[402] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის N2ბ/3777-14 გადაწყვეტილება.

მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისთვის უნდა დადგინდეს გარანტიის ხელშეკრულების პირობებიდან მოქმედების ვადა. ამ მიმართებით პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ არსებობს საბანკო გარანტიის არაერთი სახე. (როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო კანონმდებლობაში დამკვიდრებულია საბანკო გარანტიის შემდეგი სახეები: გადახდის გარანტია, სატენდერო გარანტია, შესრულების გარანტია, საავანსო გადახდის გარანტია). მათ შორის პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია საავანსო გადახდის გარანტია, რომლის ძირითადი მიზანია გაცემული ავანსის მიზანმიმართულად გამოყენება. საავანსო გადახდის გარანტია უზრუნველყოფს, რომ მყიდველმა ტრანზაქციაში ინვესტირებული ფულის რაიმე დანაკარგი არ განიცადოს, თუმცა იგი არ უზრუნველყოფს მყიდველის მიერ საქონლის მიუღებლობით განცდილი შემოსავლის ან მოგების დანაკარგის რეკომპენსირებას".[403]

ამგვარი განმარტება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია. სასამართლოს ამგვარი ფართო განმარტება იმიტომ დასჭირდა, რომ ქართულ კანონმდებლობაში არ არის მოწესრიგებული და განმარტებული საბანკო გარანტიის სახეები და მათი თავისებურება. სასამართლო პრაქტიკის განვითარებისა და დავის გადაწყვეტისათვის სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია ასეთი ფართო განმარტების გაკეთება. სასამართლომ სწორად გამიჯნა გარანტიის სახეები და მათი განსხვავებული ხასიათი.

საავანსო უზრუნველყოფის შემცირების საკითხი არაერთხელ იქნა განმარტებული სასამართლოს მიერ. მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისა და ბენეფიციარის მიერ მისი მიღებისასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ[404] დადგენილად მიიჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების ფარგლებში პრინციპალს შესრულებული ჰქონდა 36 671,00 ლარის ღირებულების სამუშაო, რომლის მიღებაზე ბენეფიციარმა უარი განაცხადა და სრულად მოითხოვა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა. პრინციპალის მიერ სამუშაოთა ნაწილობრივი შესრულება დასტურდებოდა ექსპერტიზის დასკვნით. პალატამ ყურადღება მიაქცია საავანსო გარანტიის პირობებზე და განმარტა, რომ საგარანტიო თანხა ავტომატურად მცირდება პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საგარანტიო პირობის მიუხედავად, ბენეფიციარმა გარანტს სრულად წარუდგინა წერილობითი მოთხოვნა არა პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად შემცირებულ თანხაზე, არამედ სრულ თანხაზე, რაც არ შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს. პალატამ

[403] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის N2ბ/3772-14 გადაწყვეტილება
[404]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება N2ბ/4125-14, 330210013385366.

განმარტა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა არის არამართლზომიერი და მისი ოდენობა უნდა შემცირდეს პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობით. საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.[405]

მიმაჩნია, რომ სასამართლოს ამგვარი მსჯელობა შეესაბამება საბანკო გარანტიის ბუნებასა და თავისებურებას. სასამართლომ სწორად იმსჯელა საავანსო გარანტიის ბუნებასთან დაკავშირებით და ბენეფიციარის მოთხოვნა არამართლზომიერად მიიჩნია.

ამგვარი გადაწყვეტილების მიუხედავად, საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები იდენტური არ არის. ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას კი რეგულაციისა და პრაქტიკის არ არსებობა უშლის ხელს.

11.4. დეფექტებზე პასუხისმგებლობის (ხარისხის) გარანტია

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობაში გამოიყენება დეფექტებზე პასუხიმგებლობის (ხარისხის) გარანტია,[406] რომელიც გამოიყენება ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის (შესრულებული სამუშაოს) დეფექტების გამოსწორების თანხების უზრუნველსაყოფად. პროექტის დასრულების შემდეგ, რიგ შემთხვევებში, დამკვეთი (ბენეფიციარი) შესყიდვის ღირებულების ნაწილს, რომელიც განეკუთვნება და გადასახდელია პრინციპალისათვის, შეთანხმებული ვადით აკავებს, რათა ამ ვადაში დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში ეს თანხა შემსრულებლის მეშვეობით ან მის გარეშე მოახმაროს დეფექტის აღმოფხვრას. ამ დაკავებულ თანხას „დეფექტის ფონდს“ უწოდებენ ხოლმე. როგორც წესი, „დეფექტის ფონდი“ ხელშეკრულების ღირებულების 2,5-დან 10 %-მდეა, ხოლო ვადა – საშუალოდ 1 ან 2 წელი. მაგრამ, იმ მიზნით, რომ პრინციპალმა „დეფექტის ფონდის“ თანხა პროექტის დასრულებისთანავე მიიღოს და სხვა პროექტებს მოახმაროს, მხარეთა შეთანხმებით, ამ თანხის ჩანაცვლება შეიძლება მოხდეს ამავე ღირებულების ხარისხის (დეფექტზე პასუხისმგებლობის) საბანკო გარანტიით.[407]

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიას პრინციპალი წარადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად შესრულების შემდგომ. ამასთან,

[405]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის №ას-425-405-2015 გადაწყვეტილება.

[406]ეს გარანტია ინგლისურენოვან მასალებში მოიხსენება, როგორც Quality guarantee, warranty guarantee, maintenance guarantee, retention guarantee.

[407] ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 35.

აუცილებელია ბენეფიციარმა მიიღოს შესრულება და ხელშეკრულების ღირებულების სრულად გადახდამდე ითხოვს ხარისხის გარანტია. გარანტიის ვადა ბენეფიციარის მიერ წინასწარ და ერთპიროვნულად განისაზღვრება. ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვს გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა თუ საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს აღმოაჩნდა დეფექტი. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს დეფექტის აღმოფხვრისათვის აუცილებელი ხარჯის ოდენობას, რომლის განსაზღვრა ექსპერტის ან სპეციალისტის მიერ უნდა მოხდეს. ამასთან, აუცილებელია დადასტურდეს, რომ დეფექტი, რომლის აღმოფხვრასაც ითხოვს ბენეფიციარი, პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოს უშუალო შედეგს წარმოადგენს.[408]

დეფექტებზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე დავისას არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება ამ გარანტიის ბუნებასა და უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსზე.[409] საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გარანტმა პრინციპალის თხოვნით წერილობით იკისრა შეუქცევადი ვალდებულება გადაეხადა ნებისმიერი თანხა, რომელიც მთლიანობაში არ აღემატებოდა 70 000 ლარს, პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, სადაც მითითებული იქნებოდა, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით მის მიერ აღებული ვალდებულება, თანხის ან მოთხოვნის საფუძვლის წარმოდგენის თუ დასაბუთების გარეშე. პირველივე მოთხოვნისთანავე და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გარანტი ვალდებულია გადაიხადოს საბანკო გარანტიის თანხა საგარანტიო მოთხოვნის წარდგენისას.[410]

სასამართლომ გარანტის ვალდებულება მხოლოდ პირობას დაუკავშირა და ძირითადი ურთიერთობისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ

---

[408] ასეთ შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს რა წარმოადგენს დეფექტის გამომწვევ მიზეზს? პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაო იყო არაჯეროვანი თუ სხვა გარემოება გახდა მისი წარმოშობის საფუძველი. მაგ. პრინციპალმა ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის შესაბამისად, განახორციელა სამუშაო, თუმცა პროექტი იყო შეუსაბამო გარემო პირობებთან. კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული არ იყო ტენიანი გარემო და ჰიდროიზოლაციის თავისებურება. შესაბამისად, პროექტის დაცვით განხორციელებული სამუშაოს მიუხედავად, კედლები დატენიანდა და დაზიანდა. შესაბამისად, ბენეფიციარმა მოითხოვა თანხის გადახდა. აღნიშნული საქმე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. საქმის მსვლელობისას წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნით განიმარტა, რომ კედლების დაზიანება გამოწვეულია იმ პროექტის ხარვეზებით, რომელიც ბენეფიციარმა გადასცა პრინციპალს. ამ უკანასკნელის მიერ სამუშაოები შესრულდა პროექტის შესაბამისად, თუმცა კედლის დაზიანება მაინც მოხდა. სასამართლო ვალდებულია განმარტოს, დეფექტებზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტიის არსი და თავისებურება. ამასთან, განსაზღვროს მოთხოვნის მართლზომიერება და გარანტიაზე უარის თქმის საფუძველი.

[409] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივლისის N2ბ/6871-16 გადაწყვეტილება.

[410] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 დეკემბრის №33021001500100931б, №ას-1231-1151-2017 გადაწყვეტილება.

ვალდებულებად მიიჩნია.[411] „იმავდროულად, საგულისხმოა, რომ სსკ-ს 887-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გარანტი არათუ მოცემულ შემთხვევაში, არამედ მაშინაც კი არის ვალდებული შეასრულოს ბენეფიციარის მოთხოვნა, როდესაც მისთვის ცნობილია, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას. მით უფრო რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტი იღებდა შეუქცევად ვალდებულებას პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა. ამ სამართლებრივი საფუძვლით არ არის გასაზიარებელი საკასაციო პრეტენზია გარანტიის დაკმაყოფილების წანამძღვრებად ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების მიწოდების შესახებ. რაც შეეხება თანხის მოცულობას, დადგენილია, რომ გარანტმა პრინციპალის თხოვნით იკისრა ვალდებულება გადაეხადა ნებისმიერი თანხა, რომელიც მთლიანობაში არ აღმატებოდა 70 000 ლარს. შესაბამისად, საკასაციო საჩივარი არც ამ ნაწილშია გასაზიარებელი.“[412]

გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენისა და თანხის გადახდის აღნიშნულ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ სასამართლოს არ შეუფასებია საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ობიექტზე არსებულ დეფექტებზე პრინციპალის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა. ამასთან, არ უმსჯელია დეფექტების აღმოფხვის შესახებ თანხის ოდენობასთან დაკაშირებით და გარანტიის თანხა სრულად დააკისრა მოპასუხე მხარეს.

სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დეფექტებზე პასუხისმგებლობის გარანტიის მიზანსა და არსს. აღნიშნული გარანტია განსხვავდება ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიისაგან და პასუხს

---

[411]დავის გადაწყვეტის საკვანძო საკითხი იმაში მდგომარეობს, წარმოშობილი იყო თუ არა საბანკო გარანტიის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი წინაპირობები. 2015 წლის 19 მარტს სკოლის დირექტორმა ბენეფიციარს გაუგზავნა წერილი შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების არსებობის და მასზე რეაგირების თაობაზე. ბენეფიციარმა 2015 წლის 24 მარტს საგარანტიო ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მიმართა პრინციპალს და აცნობა სკოლაში შესრულებულ სამუშაოებზე გამოვლენილი ხარვეზები. აგრეთვე, მოითხოვა არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა ხარვეზების სრულად აღმოფხვრა.

ბენეფიციარმა გარანტს გარანტიის მოქმედების ვადაში წარუდგინა წერილობითი მოთხოვნა და სკოლის შენობის მშენებლობის სამუშაოს ხარვეზიანად შესრულების გამო მოითხოვა დეფექტებზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე საგარანტიო თანხების ანაზღაურება [სსკ-ის 879-ე მუხლი], რითაც შეასრულა გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება [სსკ-ის 885-ე მუხლი].

[412] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 დეკემბრის №330210015001009316, №ას-1231-1151-2017 გადაწყვეტილება.

აგებს იმ დეფექტების აღმოფხვრაზე, რომელიც სამუშაოს დასრულების შემდგომ კონკრეტულ ვადაში გამოვლინდება. ამასთან, არსებითია განისაზღვროს პრინციპალის პასუხისმგებლობის საკითხი დეფექტებთან მიმართებით, ხოლო მოთხოვნილი თანხის ოდენობა სრულად უნდა შეესაბამებოდეს დეფექტების აღმოფხვისათვის აუცილებელ ოდენობას.

11.5. საბაჟო გარანტია

საბაჟო გარანტია აქტიურად გამოიყენება, როგორც კერძოსამართლებრივ, ისე საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში. საბაჟო გარანტია გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 251-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვროს გარანტიის წარდგენის, გამოყენების და გარანტიის წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევები და საგარანტიო თანხის ოდენობა. აღნიშნული საკითხის დეტალური რეგულირება მოხდა 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციით. კერძოდ, ამ ბრძანების 33-ე მუხლი საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძვლებს ითვალისწინებს.[413] ამავე დროს ბრძანება დეტალურად და ამომწურავად

[413] ა) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანისას; ბ) შიდა გადამუშავებისას; გ) დეკლარანტსა და საგადასახადო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უთანხმოების დროს საქონლის გაშვებისას; დ) როდესაც დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას; ე) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად; ვ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად; ზ) საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების იმპორტისას; თ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, როდესაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით; ი) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სანქციის – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის მოქმედების პერიოდში სამართალდამრღვევისათვის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების მიცემისას. კ) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას.

განსაზღვრავს საგარანტიო თანხის ოდენობას,[414] მოქმედების ვადასა[415] და გამოთხოვის პირობებს. შესაბამისად, საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი

[414] ა) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინება დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას;
ბ) შიდა გადამუშავებისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას, რომელიც განისაზღვრება გადაუმუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძველზე, შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს გადაუმუშავებელი საქონლისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელების განაკვეთებით; გ) დეკლარანტსა და საგადასახადო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უთანხმოების დროს საქონლის გაშვებისას – კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებს და დეკლარანტის მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ (გადახდილ) გადასახდელებს შორის სხვაობას; დ) როცა დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას – კორექტირებული საბაჟო დეკლარაციით განსაზღვრულ გადასახდელებს და თავდაპირველი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ (გადახდილ) გადასახდელებს შორის სხვაობას; ე) ერთი პირის საბაჟო საწყობის (საბაჟო საწყობების) საქმიანობის ნებართვის (ნებართვების) მისაღებად – 200 000 ლარს; ვ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად - 50 000 ევროს ეკვივალენტი ლარში; ზ) საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების, ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის იმპორტისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას; თ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელზე თავდებობის ხელშეკრულების წარდგენისას – დეკლარირებულ საქონელზე იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას; ი) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სანქციის – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის მოქმედების პერიოდში სამართალდამრღვევისათვის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების მიცემისას – 5 000 ლარს. კ) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.

[415] ა) არ უნდა იყოს გარანტიის წარდგენიდან 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები; ბ) დეკლარანტსა და საგადასახადო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უთანხმოების დროს საქონლის გაშვებისას, ან იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას, ან საერთაშორისო-საავიაციო ან საერთაშორისო-საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან ასეთი რეისების განხორციელების ან მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის იმპორტისას – არ უნდა იყოს გარანტიის წარდგენიდან 60 კალენდარულ დღეზე ნაკლები; გ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად – არ უნდა იყოს ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები. ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა გარანტიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში; დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული

საგადასახადო/საბაჟო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემოსავლების სამსახური გარანტიის თანხის გამოთხოვას მოახდენს გარანტისაგან გადასახადის გადამხდელის დამოუკიდებელი შეტყობინების გარეშე. ასეთი ამომწურავი ჩამონათვალის გამო ამ სახის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე დავა სასამართლო პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს.

11.6. სხვა სახის საბანკო გარანტიები

პრაქტიკაში გამოყენება ათეულობით სახეობის საბანკო გარანტია, თუმცა შესრულების უზრუნველყოფისა და საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებადია. ამ სახეობების გარდა, ასევე ცნობილია გადახდის გარანტია,[416] რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახეობის ფულადი მოთხოვნების შესრულებას, მიუხედავად მათი წარმოშობის საფუძვლებისა. იგი გამოიყენება პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების განხორციელებისათვის.[417]

გადახდის გარანტია უმეტესად კონსიგნაციით ნასყიდობის შემთხვევაში გამოიყენება. ბენეფიციარი გამოითხოვს საბანკო გარანტიას, თუ მყიდველმა ნასყიდობის საფასური ვადაში არ გადაიხადა.[418]

სასამართლო გარანტია გამოიყენება მოსარჩელის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩანაცვლების მიზნით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებამ შესაძლებელია გაართულოს მოპასუხის მიერ კომერციული საქმიანობის გაგრძელება. ამიტომ სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ჩანაცვლებული უნდა იქნეს შესაბამისი სასამართლო საბანკო გარანტიით. სასამართლო გარანტიებიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა და თანხის გადახდა ხდება საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე, რომლის შესაბამისად მოპასუხეს დაეკისრება მოსარჩელისათვის გარკვეული თანხის გადახდა. გარანტიის მაქსიმალური ოდენობა, როგორც წესი, ემთხვევა დავის საგნის

საგადასახადო სანქციის – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის მოქმედების პერიოდში სამართალდამრღვევისათვის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების მიცემისას – არ უნდა იყოს საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის მოქმედების ვადის დარჩენილ ნაწილზე ნაკლები. ე) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად – არ უნდა იყოს ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები. ამასთან, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა გარანტიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში. ვ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელზე თავდებობის ხელშეკრულების წარდგენისას – არ უნდა იყოს მისი წარდგენიდან 6 თვეზე ნაკლები.

[416] Payment Guarantee.

[417] გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2017, 318.

[418] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 232.

ღირებულებას ან სარჩელის უზრუნველყოფის საგნის უზრუნველყოფის ოდენობას.[419]

12. საბანკო გარანტიათა კლასიფიკაცია მოთხოვნის წარდგენისა და გადახდის მექანიზმის მიხედვით

საბანკო გარანტიაში დასაშვებია გადახდის სხვადასხვაგვარი მექანიზმის არსებობა.[420] გადახდის მექანიზმი წარმოადგენს უპირატესობას ბენეფიციარისათვის და განსაზღვრავს რისკის იმ დონეს, რომლის წინაშეც პრინციპალი დგას.[421]

გადახდის მექანიზმით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადახდა უნდა მოხდეს: ა) ხელშეკრულებაში არსებული პირობის მიხედვით ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე, პრინციპალის ბრალეულობის ყოველგვარი მტკიცების გარეშე; ბ) ბენეფიციარის მიერ სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარდგენის შემდგომ; გ) ბენეფიციარის მხრიდან მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენის სანაცვლოდ.[422]

გადახდის მექანიზმებიდან ყველაზე მაღალი რისკის შემცველია პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტია. იგი იწოდება, როგორც „უპირობო“ გარანტია. ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარის მოთხოვნა მაინც წარმოშობს გარანტის მიერ თანხის გადახდის ვალდებულებას ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის საფუძვლის დამატებითი დამტკიცების გარეშე.[423] უპირობო გარანტიის შემთხვევაში გარანტი ვერ ეყრდნობა მითითებებს ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ჯეროვნად განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, გარანტი მოკლებულია შესაძლებლობას მიუთითოს რომ ვალდებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონია ან დარღვევა პრინციპალის ბრალით არ არის გამოწვეული.

პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი საბანკო გარანტიები განსაკუთრებით მიმზიდველია ბენეფიციარისათვის, ვინაიდან, მათი ინტერესების დაცვას ემსახურება.[424] თუ საბანკო გარანტია მიუთითებს ასეთ მექანიზმზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ბენეფიციარს უფლება აქვს გადახდის შესახებ

---

[419]ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 57.

[420]ხოტენაშვილი პ., საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6. N2-3 330.

[421] Kayembe G.L., The Fraud Exception in Bank Guarantee, 2008, 20.

[422]ხატიაშვილი ა., საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა. 2011. 46,

[423] Penn G., On-demand Bonds – Primary or Secondary Obligations? 1986, 224

[424] Kayembe G.L., The Fraud Exception in Bank Guarantee, 2008, 21.

უბრალო მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე მიიღოს თანხა. მას არ სჭირდება რაიმე მტკიცებულების წარდგენა, რომელიც დაადასტურებს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას.[425] ბენეფიციარს მხოლოდ მოეთხოვება წერილობითი მოთხოვნის წარდგენა და მითითება ვალდებულების დარღვევის შესახებ.[426]

პირველივე მოთხოვნისთანავე გარანტიები შეიძლება დაიყოს: ა) "უბრალო მოთხოვნისთანავე" გარანტიებად,[427] რომლის დროსაც აუცილებელია უბრალო წერილობითი მოთხოვნის წარდგენა რაიმე დამატებითი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. გარანტს არ გააჩნია უფლებამოსილება გადაამოწმოს[428] ბენეფიციარის განცხადების უტყუარობა. ვინაიდან, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებულ ძირითად გარიგებაში მას არ გააჩნია რაიმე უფლებები;[429] ბ) გარანტიებად, რომლებიც უნდა შეიცავდნენ მითითებას პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის შესახებ.[430] მოთხოვნაში უნდა აისახოს დარღვევის შესახებ ინფორმაცია, რომლის ვალდებულება უნიფიცირებულ წესებში არის გათვალისწინებული. კერძოდ, URDG N458-ის მე-20 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, „მოთხოვნა უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დართვით და ითვალისწინებდეს, რომ პრინციპალმა დაარღვია ძირითადი ვალდებულება ან სატენდერო გარანტიის შემთხვევაში, ტენდერის პირობები." იგივე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს მხარეებს გამორიცხონ „ა" ქვეპუნქტით მითითებული გადახდის მექანიზმი, თუმცა მისი განხორციელება დასაშვებია, მხოლოდ გარანტიის ტექსტში მითითებით.

URDG N758 ბენეფიციარს გარანტიით მითითებული დოკუმენტაციის წარდგენისა და დარღვევის შესახებ მითითების ვალდებულებას ითვალისწინებს. გარანტიაში მინიმუმ უნდა მიეთითოს ვალდებულების დარღვევისა და პრინციპალის ბრალეულობის შესახებ.[431] თუმცა აღნიშნული ვალდებულება შეიძლება გარანტიის პირობით გამორიცხოს.[432]

პირველივე მოთხოვნისთანავე გარანტიების დროს არ ხდება სხვა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა და მას უწოდებენ „უპირობო"[433] საბანკო გარანტიებს. „პირობიანი" საბანკო გარანტიების შემთხვევაში, ვალდებულების

---

[425] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 44.

[426] Bestrams R., Bank Guarantees in International Trade, 3rd, ed. 48.

[427] Simple Demand Guarantee.

[428] მე-20 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

[429] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 45.

[430] Bestrams R., Bank Guarantees in International Trade. 48.

[431] Cowdell P., McGregor P., Guide to International Trade and Finance, international Chamber of Commerce, 2015, 214.

[432] მე-15 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

[433] Unconditional.

დარღვევის აღწერის გარდა, აუცილებელია მოთხოვნაზე დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დართვა.[434]

12.1. უპირობო გარანტიები

უპირობო გარანტიები პრინციპალისათვის მაღალი რისკის შემცველია, თუმცა საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში იგი ფართოდ გამოიყენება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი „უპირობო“ ან „პირველივე მოთხოვნისთანავე“ გარანტიების არსებობას არ ითვალისწინებს. სსკ-ს 885-ე მუხლი განმარტავს მოთხოვნის წარდგენის წესსა და პროცედურებს და ამით გამორიცხავს უპირობო გარანტიის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. ეს მუხლი ბენეფიციარს მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. კერძოდ, ა) მის მიერ განხორციელებული მოთხოვნა აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იქნეს წარდგენილი, ბ) მას უნდა დაერთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტაცია, და გ) დეტალურად აღიწეროს რაში გამოიხატება ძირითადი ვალდებულების დარღვევა. ამ პირობების შესრულება აუცილებელი იქნება ბენეფიციარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ სსკ-ს მოქმედება გავრცელდება მხოლოდ “პირობითი” ხასიათის საბანკო გარანტიებზე, ხოლო მისი მოქმედების ფარგლებში ვერ შევა ე. წ. “პირველი მოთხოვნისთანავე” ანუ “უპირობო” გარანტიები.[435]

საქართველოს კანონმდებლობით უპირობო გარანტიების არარსებობა უდავოდ დადებითი მოვლენაა. შესაბამისად უპირობო/პირველივე მოთხოვნით გადასახდელი საბანკო გარანტიების მოთხოვნა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებიც ბენეფიციარები არიან, ასევე, მათ მიერ ბრძანებებით დამტკიცებული უპირობო საბანკო გარანტიის ფორმატები არასწორია და უნდა მიესადაგოს სამოქალაქო კოდექსის, როგორც იერარქიულად ზემდგომი ნორმატიული აქტის შესაბამის ნორმებს.[436]

საბანკო გარანტიის უპირობოობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ყველა საბანკო გარანტია, სულ მცირე, შეიცავს მითითებას გარანტიის მოქმედების ვადისა და უზრუნველსაყოფი ვალდებულების შინაარსის შესახებ. ისინი გარანტიის პირობად უნდა იქნეს მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში უპირობო გარანტიის არსებობა უნდა გამოირიცხოს და ყველა გარანტია „პირობიან“ გარანტიად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, უზრუნველყოფილი

[434] Kayembe G.L, The Fraud Exception in Bank Guarantee, 2008, 28.

[435] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის ხარისხის მინიჭებისთვის, 2015, 27.

[436] იგივე, ნ. ჭიპაშვილი, 32.

ვალდებულების დასახელებითა და შინაარსის მითითებით კონკრეტდება შესასრულებელი გარანტიის პირობა, რაც გამორიცხავს გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდას სხვა ვალდებულების დარღვევისას.

12.2. გარანტიები, რომელთა გადახდა მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტების სანაცვლოდ ხდება

უპირობო გარანტიების შემთხვევაში პრინციპალის ინტერესები უმეტესად ბენეფიციარის კეთილსინდისიერებაზეა დამყარებული. ამგვარი გარანტიების შემთხვევაში იზრდება არამართლზომიერი მოთხოვნების წარდგენის რისკი. მისი შემცირების ერთი-ერთი საფუძველია გარანტიაში იმ პირობის გათვალისწინება, რომ საგარანტიო თანხის გადახდა მოხდება ბენეფიციარის მხრიდან მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენის სანაცვლოდ.[437] URDG N758-ის შესაბამისად, მხარეებმა შეიძლება განსაზღვრონ, რომ მოთხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებაა: ა) ნოტარიულად დამოწმებული შეუსრულებელი სავალო დოკუმენტი, ბ) დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული სერტიფიკატი; გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ; დ) სასამართლო გადაწყვეტილება.[438] ამგვარი დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა. შესაძლებელია, ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე განსხვავდებოდეს ძირითადი ურთიერთობის შინაარსის მიხედვით.[439] მაგ. სატენდერო გარანტია შეიძლება ითხოვდეს იმის დადასტურებას, რომ სუბიექტმა მონაწილება მიიღო ტენდერში და გამარჯვების შემდგომ უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის შემთხვევაში, შეიძლება ითვალისწინებდეს, ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენას.[440] URDG N758-ის შესაბამისად, გარანტიის გამცემი მხარე პასუხს არ აგებს წარდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, სიზუსტესა და სისწორეზე.[441]

---

[437] Kayembe G.L.,, The Fraud Exception in Bank Guarantee, 2008, 23.

[438] Cowdell P., McGregor P., Guide to International Trade and Finance, international Chamber of Commerce, 2015, 214.

[439] ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, 2015, 44.

[440] ხატიაშვილი ა., საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა“, 2011, 49.

[441] Cowdell P., McGregor P, Guide to International Trade and Finance, international Chamber of Commerce, 2015, 214.

12.3. სასამართლოს ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი საბანკო გარანტიები

საბანკო გარანტიათა მესამე ტიპი მისი გადახდის მექანიზმის მიხედვით დაკავშირებულია ბენეფიციარის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარდგენასთან.[442] ამგვარი ჩანაწერი უმეტესად სასამართლო გარანტიების პირობად არის მითითებული. ეს არ არის უბრალოდ თანხის ანაზღაურება, არამედ ფაქტიურად წარმოადგენს ბენეფიციარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელიც ადასტურებს ბანკის მიერ გადახდის ვალდებულებას.[443]

სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარდგენის სანაცვლოდ გადახდის გარანტიას ხშირად თავდებობის ურთიერთობას ადარებენ. მსგავსების მიუხედავად, აღსანიშნავია კონცეპტუალური სხვაობა. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს თანხის გადახდაზე, სანამ არ იქნება წარდგენილი სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობას ასახავს. გარანტი ამ დავის მონაწილე არ არის. იგი დავის დასრულების შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას და ვალდებულია შეამოწმოს გადაწყვეტილება რამდენად შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს. თავდებობის შემთხვევაში თავდები ჩართულია ძირითად დავაში და უფლება აქვს კრედიტორს წარუდგინოს ყველა შესაგებელი, რაც გააჩნია ძირითად მოვალეს.[444]

13. საბანკო გარანტიის მოთხოვნის წარდგენა და შემოწმება

13.1. მოთხოვნის წარდგენის წესი

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მიერ თანხის მიღების ერთ-ერთი წინაპირობა მოთხოვნის წარდგენაა, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

URDG N458-ის შესაბამისად, გადახდის წინაპირობაა წერილობითი მოთხოვნის წარდგენა. ამავე წესების მე-2 მუხლის შესაბამისად, ფულადი თანხის გადახდევინებისათვის აუცილებელია გარანტიის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი წერილობითი მოთხოვნის და სხვა ისეთი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომლებსაც შეიძლება ითვალისწინებდეს საბანკო გარანტია. იგივე მუხლი

[442]Bertrams R, Bank Guarantees in international trade, 3rd ed., Kluwer law international, 2004, 58.

[443]ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 52.

[444]Kayembe G.L., The Fraud Exception in Bank Guarantee, 2008, 24.

განსაზღვრავს, რომ „წერილობითი ფორმით წარდგენა გულისხმობს შეტყობინების გაგზავნას ავთენტური ტელესაკომუნიკაციო საშუალების ან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.“ წერილობითი ფორმით წარდგენილ მოთხოვნას უნდა დაერთოს ბენეფიციარის განცხადება, პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების, ხოლო სატენდერო გარანტიის შემთხვევაში - სატენდერო პირობების დარღვევის შესახებ.“[445] განცხადება შესაძლებელია თავად მოთხოვნაში ან ცალკე დოკუმენტად იყოს გათვალისწინებული.[446]

საბანკო გარანტიის პირობით შეიძლება მოთხოვნილი იქნეს სხვადასხვა დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება. მათ შორის, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებული სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ცხადია, რომ მოთხოვნა და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ ვადაში და შესაბამისი წესის დაცვით.[447]

URDG N758-ში გათვალისწინებულ ტერმინთა განმარტების შესაბამისად, მოთხოვნა[448] არის საბანკო გარანტიის საფუძველზე ბენეფიციარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის წარდგენა ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნით. აღნიშნული მუხლი დოკუმენტს განმარტავს, როგორც ბენეფიციარის მიერ წარდგენილ მოთხოვნას, რომელიც შეიცავს მითითებას პრინციპალის ბრალეულობაზე.[449]

ბენეფიციარი ვალდებულია მოთხოვნა წარადგინოს: ა) გარანტიის გამოცემის ადგილზე, ან გარანტიით გათვალისწინებულ ადგილას; ბ) გარანტიაში მითითებული ვადის გასვლამდე.[450]

მოთხოვნის წარდგენისთანავე მოთხოვა დასრულებულად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოთხოვნაში პირდაპირ არის მითითებული, რომ დასრულდება მოგვიანებით.[451]

მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. მოთხოვნის წარდგენის ფორმა მითითებული უნდა იქნეს გარანტიის პირობებში. იმ შემთხვევაში თუ გარანტიაში აღნიშნულია მოთხოვნის ელექტრონული წარდგენის შესაძლებლობა, გარანტი ვალდებულია მიუთითოს წარდგენის ფორმატი, წარდგენის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის

---

[445] მუხლი მე-20,

[446] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008. 84.

[447] The Guide to the URDG, 21.

[448] Demand.

[449]ხატიაშვილი ა., საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა, 2011, 53.

[450]URDG N758-ის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[451] URDG N758-ის მე-14 მუხლის „ბ“ და „გ “ქვეპუნქტები.

არსებობა, წარდგენისათვის აუცილებელი ელექტრონული ფოსტის მისამართი. თუ გარანტია პირდაპირ არ უთითებს წარდგენის ფორმას, მაშინ ივარაუდება, რომ წარდგენა უნდა მოხდეს წერილობით, მატერიალური დოკუმენტის სახით.[452]

მოთხოვნის წარდგენა ბენეფიციარის მიერ შემთხვევის რეგულირების პროცესის დაწყების საფუძველია. დამოუკიდებლობის პრინციპიდან და დოკუმენტური ბუნებიდან გამომდინარე გარანტი შეზღუდულია წარდგენილი მოთხოვნითა და დოკუმენტაციით. იგი შემოიფარგლება მხარეთა მიერ მისთვის წარდგენილი მასალების შემოწმებით.

ბენეფიციარი ვალდებულია გარანტთან წარადგინოს სრულყოფილი მოთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს. მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს გარანტიის მაინდენტიფიცირებელი ინფორმაცია, გარანტიას უნდა დაერთოს გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და უნდა მიეთითოს რაში მდგომარეობს გარანტიის უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების დარღვევა.[453]

კონტრგარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნაში უნდა მიეთითოს განცხადება იმ მხარის მიერ, ვის სასარგებლოდაც იქნა კონტრგარანტია გაცემული, უნდა აღინიშნოს, რომ გარანტმა მიიღო ბენეფიციარისაგან შესაბამისი შეტყობინება გარანტიის თანხის გადახდასთან დაკავშირებით.[454]

გარანტიის პირობებით შეიძლება გამოირიცხოს ბენეფიციარის „დამსაბუთებელი“ განცხადების წარდგენა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გარანტიაში მითითებული იყოს მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.[455]

ბენეფიციარის დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენა მისი ერთადერთი მოვალეობაა. უფლება პრინციპალის მიმართ საფუძვლიანი და სამართლიანი მაშინ ხდება, თუ ბენეფიციარი დასაბუთებულ განაცხადს ჩაწერს წერილობით მოთხოვნაში და ზუსტად მიუთითებს ვალდებულების დარღვევის ფაქტს, აღწერს გარემოებებს და ზედ დაურთავს დოკუმენტს/მტკიცებულებას ვალდებულების დარღვევის შესახებ, რაც გარანტიით მოითხოვება. ეს ბენეფიციარის ერთადერთი ვალდებულებაა საგარანტიო ურთიერთობაში, რომელიც კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს.[456]

13.2. საბანკო გარანტიის ვადა

[452] URDG N758-ის მე-14 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.
[453] URDG N758-ის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[454] URDG N758-ის მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.
[455] URDG N758-ის მე-15 მუხლის „“ ქვეპუნქტი.
[456] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 147.

საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა - ეს ის ვადაა, რომლის განმავლობაში არსებობს ბენეფიციარის უფლება მოთხოვნის წაყენების თაობაზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების ვადაზე და იგი შეიძლება იყოს უფრო მეტი ან ნაკლები უზრუნველყოფილი ვალდებულების მოქმედების ვადაზე ან იყოს ამ ვადის შესაბამისი.[457]ამ ვადის გასვლის შემდგომ საბანკო გარანტია ბენეფიციარისათვის უვარგისი ხდება, რადგან ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დასრულებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.[458]

საბანკო გარანტიის ვადისა და ვადის გასვლასთან დაკავშირებული ჩანაწერები გარანტიის არსებითი პირობაა.[459] მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეგულირების პროცესში. გარანტიაში გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე დამდგარი მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას. ვადის გასვლა, ბენეფიციარის მოთხოვნის გაქარწყლების საფუძველია URDG-ის ორივე რედაქციის მიხედვით. კერძოდ, N458-ე რედაქციით, მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნას გარანტიით გათვალისწინებულ ვადამდე ან იმ მოვლენის დადგომამდე, რომელიც გარანტიაში იყო მითითებული. აუცილებელია გარანტიაში აღინიშნოს საბანკო გარანტიის ვადაც ან მოვლენა, რომლის დადგომასაც უკავშირებს გარანტია მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას. თუ საბანკო გარანტიაში მითითებულია მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა, ვადასთან ან მოვლენის დადგომასთან დაკავშირებით, მაშინ გარანტიის მოქმედების ამოწურვა დამოკიდებულია ორი ელემენტიდან პირველის დადგომასთან.[460]

URDG N758 შესაბამისი მოთხოვნის წარდგენას, ასევე, საბანკო გარანტიის ვადას ან გარანტიაში მითითებულ მოვლენას უკავშირებს (მაგ. ახალი საავადმყოფოს აშენება, რომელიც ძირითადი ხელშეკრულების საგანი იყო).[461]

ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე ან გარანტიაში მითითებული მოვლენის დადგომამდე. შესაძლებელია, მოთხოვნის წარდგენა და დოკუმენტაციის გარანტისათვის მიწოდება სხვადასხვა დროს მოხდეს. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნაში უნდა მიეთითოს, რომ მისი სრულყოფა მოხდება მოგვიანებით. თუ მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემა მოგვიანებით უნდა მოხდეს, აუცილებელია მის განხორციელება საგარანტიო ვადის გასვლამდე.[462] ვადის

[457]გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2017, 328.

[458]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 218.

[459]Kelly –Louw M., Selective legal Aspects of demand Bank Guarantee, 2008, 94.

[460]მოთხოვნამდე გარანტიების უნიფიცირებული წესების N458 22-ე მუხლი.

[461]Cowdell P., McGregor P., Guide to International Trade and Finance, international Chamber of Commerce, 2015, 216.

[462] URDG N758-ის 14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

გასვლის შემდგომ მიწოდებული დოკუმენტი გარანტის მიერ არ მიიღება და ითვლება, რომ წარდგენილი მოთხოვნა ხარვეზიანია, რომელიც დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

ბენეფიციარის მოთხოვნა შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი,[463] ერთჯერადი ან მრავალჯერადი.[464] ნაწილობრივი მოთხოვნის შემთხვევაში ბენეფიციარი ითხოვს გარანტიის თანხის ნაწილს. მრავალჯერადი მოთხოვნისას, გარანტიის ვადის გასვლამდე შესაძლებელია რამდენიმე მოთხოვნის წარდგენა, თუ გარანტიით არ არის აკრძალული მრავალჯერადი მოთხოვნის განხორციელება.[465]

ერთჯერადი მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში წესები საკმაოდ ლიბერალურია ბენეფიციარისათვის. ერთი მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში, თუ მოთხოვნა იქნა უარყოფილი, გარანტს უფლება აქვს გარანტიის ვადის გასვლამდე წარადგინოს მეორე მოთხოვნა.[466] მოთხოვნა ითვლება შეუსაბამოდ, თუ მასში მოთხოვნის თანხა აღემატება გარანტიით გათვალისწინებულ ოდენობას, ან ბენეფიციარის მოთხოვნას ან თანდართულ დოკუმენტში მითითებული ოდენობა მთლიანობაში ნაკლებია მოთხოვნილ ოდენობაზე.[467] გარანტი გარანტიის ბუნებიდან გამომდინარე იზღუდება გარანტიაში მითითებული თანხით, ვადით და პირობებით.

13.2.1. დაუძლეველი ძალა, როგორც საგარანტიო ვადის გასვლის საპატიო საფუძველი

საგარანტიო ვადის გასვლა ბენეფიციარის მოთხოვნის გაქარწყლების საფუძველია. ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი მოთხოვნა ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

URDG N758 მოთხოვნის წარდგენის ვადის გაშვებას საპატიოდ მიიჩნევს, თუ ის გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მიერ. დაუძლეველი ძალა ნიშნავს სტიქიურ უბედურებებს, ამბოხებებს, სახალხო მღელვარებებს, აჯანყებებს, ომებს, ტერორისტულ აქტებს, ან ნებისმიერ სხვა გარემოებას, რაც სცილდება გარანტის ან კონტრგარანტის კონტროლის ფარგლებს და რომლებიც ეწინააღმდეგებიან (ხელს უშლიან) მათ ამ წესებით დარეგულირებული მოქმედებების განხორციელებაში.[468]

---

[463] URDG N758-ის მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.
[464] URDG N758-ის მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[465] URDG N758-ის მე-17 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.
[466] URDG N758-ის მე-17 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.
[467] URDG N758-ის მე-17 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.
[468] URDG N758-ის 26-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

თუ გარანტიის ვადის გასვლა ემთხვევა გარემოებას, როცა წარდგენას ან გადახდას ხელს უშლის დაუძლეველი ძალა, მაშინ 1) ყოველი გარანტია და შესაბამისად, კონტრგარანტია გრძელდება 30 კალენდარული დღით იმ თარიღიდან, რომელშიც ისინი უნდა ამოწურულიყვნენ და გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ინსტრუქციის გამცემს, კონტრგარანტიის შემთხვევაში - კონტრგარანტს, დაუძლეველი ძალის არსებობის ან ვადის გაგრძელების შესახებ. თავის მხრივ, კონტრგარანტი აცნობებს ინსტრუქციის გამცემ მხარეს.

ii. ვადის ათვლა წარდგენილი გარანტიის შემოწმებისათვის, რომელიც დაუძლეველი ძალის დადგომამდე ვერ იქნა შემოწმებული, შეჩერდება გარანტის საქმიანობის განახლებამდე;

iii. სათანადო მოთხოვნა გარანტიის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია დაუძლეველი ძალის დადგომამდე, მაგრამ არ გადახდილა მისი დადგომის გამო, გარანტმა უნდა გადაიხადოს დაუძლეველი ძალის დასრულებისთანავე მაშინაც კი, თუ გარანტიის მოქმედების ვადა ამ მომენტისთვის ამოიწურება. ამასთან, გარანტს უნდა ჰქონდეს უფლება წარმოადგინოს მოთხოვნა კონტრგარანტიის მიხედვით 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაუძლეველი ძალის შეწყვეტიდან, მაშინაც კი თუ კონტრგარანტიის მოქმედების ვადა ამოწურულია.

გ. თუ კონტრგარანტიის ვადა იწურება მაშინ, როცა წარდგენას ან გადახდას დაუძლეველი ძალა აფერხებს, მაშინ: i. კონტრგარანტია გრძელდება 30 კალენდარული დღით იმ თარიღიდან, რომელშიც კონტრგარანტმა გარანტი გააფრთხილა დაუძლეველი ძალის გარემოების დასრულების შესახებ. თავის მხრივ, კონტრგარანტი ვალდებულია, შესაძლებლობის გაჩენისთანავე გააფრთხილოს ინსტრუქციის გამცემი მხარე, ფორსმაჟორისა და ვადის გაგრძელების შესახებ; ii. ვადის ათვლა შემოწმებისათვის მე-20 მუხლის შესაბამისად წარდგენილი გარანტიისათვის, რომელიც არ იქნა შემოწმებული დაუძლეველი ძალის დადგომამდე, შეჩერდება კონტრგარანტის საქმიანობის განახლებამდე; და iii. სათანადო მოთხოვნა, კონტრგარანტიის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ფორსმაჟორის დადგომამდე, მაგრამ არ გადახდილა დაუძლეველი ძალის დადგომის გამო, გადახდილ უნდა იქნეს დაუძლეველი ძალის დასრულებისთანავე მაშინაც კი, თუ კონტრგარანტიის მოქმედების ვადა ამ მომენტისთვის ამოიწურება.

დ. ნებისმიერი გაგრძელება, შეჩერება ან გადახდა ამ მუხლის შესაბამისად, აკისრებს ვალდებულებას ინსტრუქციის გამცემ მხარეს. ე. არანაირი დამატებითი პასუხისმგებლობა დაუძლეველი ძალის შედეგების გამო გარანტს და კონტრგარანტს არ ეკისრებათ.[469]

[469] URDG N758-ის 26-ე მუხლი.

ეს ნორმა, გარანტიების შესახებ საერთაშორისო წესების არსებობის მანძილზე, პირველად URDG N758-ში გაჩნდა და ნოვატორულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაუძლეველი ძალის შესახებ ნორმა 1995 წლიდან ჩაწერილია დოკუმენტური ინკასოს N522-ე წესებში. საინკასო ოპერაციებში მონაწილე ბანკებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ შედეგებისათვის, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფორსმაჟორულმა გარემოებებმა (დაუძლეველი ძალა), რომლებსაც ეს წესები მიაკუთვნებენ ამბოხებებს, სამოქალაქო მღელვარებებს, ომებს და სხვა მიზეზებს, რომლებიც მათ კონტროლს არ ექვემდებარება.[470]

დაუძლეველი ძალის შესახებ მითეთებების არსებობს UCP-ში, ოღონდ აკრედიტივის თავისებურების გათვალისწინებით. „ბანკი თავისი საქმიანობის განახლების შემთხვევაში არ შეასრულებს გადახდის ვალდებულებებს ან ნეგოციაციას[471] აკრედიტივის მიხედვით, თუ მისი მოქმედების ვადა გავიდა ბანკის საქმიანობის შეჩერების პერიოდში“. ამ ორი მუხლის ერთმანეთთან შედარებით დგინდება, რომ გარანტის ვალდებულება გაცილებით უფრო რთული და საპასუხისმგებლოა. დაუძლეველი ძალა დროებით აფერხებს გადახდას, მაგრამ გარანტის ვალდებულება არ უქმდება დაუძლეველი ძალის გამო.[472]

13.2.2. დაუძლეველი ძალა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი საფუძველი საქართველოს კანონმდებლობით

თანამედროვე საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში ფართოდ გამოიყენება ფორსმაჟორული დათქმები, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების მხარეები თავად განსაზღვრავენ იმ გარემოებებს, რომლებიც იწვევენ მათი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.[473]

ფორსმაჟორი რომანული ცნებიდან იღებს სათავეს, რომელიც განმტკიცებულ იქნა ნაპოლეონის კოდექსში და ცნობილია თითქმის ყველა დიდი სამართლებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნის სისტემაში. ფორსმაჟორი ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის სახით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლის სახით მოქმედებს მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი

[470]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 278.

[471]ნეგოციაცია არის ბენეფიციარის (ექსპორტიორის) მიერ წარმოდგენილი თამასუქების (ტრატების) აღრიცხვა – ოპერაცია, როცა ბანკი ყიდულობს თამასუქებს, რის შედეგადაც მასზე გადადის თამასუქის საფუძველზე გადახდის მოთხოვნის უფლება, ბენეფიციარი კი დაუყოვნებლივ იღებს თამასუქის საფუძველზე გადახდას გადახდის ვადის დადგომამდე.

[472]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 173.

[473]ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი , წიგნი მესამე, 2001, 374.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან დროებით ან მუდმივ, სრულ ან ნაწილობრივ განთავისუფლებას. ფორსმაჟორი, როგორც შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საფუძველი იმ დაბრკოლებისათვის, რომელიც მოვალის კონტროლისა და რისკის სფეროს მიღმა წარმოიშვა, აერთიანებს და განაზოგადებს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისთვის ნიშანდობლივ თავისებურებებს, რის საფუძველზეც საკუთარ ცნებაში მოიაზრებს მისთვის აუცილებელი წინაპირობების სისტემატიზირებულ კატალოგს და, შესაბამისად, მიიჩნევა სახელშეკრულებო სამართლის უზოგადეს პრინციპად.[474]

დაუძლეველი ძალა გულისხმობს ისეთი მოვლენის დადგომას, რომელიც შესრულების შეუძლებლობას განაპირობებს. დაუძლეველი ძალის საფუძველზე მოვალე თავისუფლდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან, ხოლო ხელშეკრულება წყდება, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა და მხარეებს არ წარმოეშობათ ამგვარი ცვლილებების ხელშეკრულებაში შეტანის მიზნით მოლაპარაკებების წარმოების ვალდებულება.[475] დაუძლეველი ძალის გამო შესაძლებელია მოვალეს ვალდებულების შესრულება შეუფერხდეს.

სსკ-ს ცალკე არ განმარტავს შესრულების შეუძლებლობის პრობლემას, მაგრამ შესრულების შეუძლებლობის შემთხვევა ასახულია გარიგების, ბრალეულობის, შეცვლილი გარემოებების და დაუძლეველი ძალის მომწესრიგებელ ნორმებში.[476] მიუხედავად განმარტების არარსებობისა მოვალის მიერ ვადა ვადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.[477]

URDG N758-ე წესის შესაბამისად, თუ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლა ემთხვევა იმ გარემოებას, რომელსაც ხელს უშლის დაუძლეველი ძალა, ყოველი გარანტია და კონტრგარანტია გრძელდება ოცდაათი კალენდარული დღით იმ თარიღიდან, როცა გარანტიის მოქმედება უნდა ამოწურულიყო. გარანტი ვალდებულია დაუძლეველი ძალისა და გარანტიის ვადის გაგრძელების შესახებ დაუყონებლივ შეატყობინოს პრინციპალს.[478]

---

[474]ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2014, 35.

[475]ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 59,

[476] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 325.

[477]ჭანტურია ლ., ზოიძე ბ, ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი , წიგნი მესამე, 2001, 423.

[478]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, 2015,174.

13.3. საბანკო გარანტიის ვადა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

საბანკო გარანტიის ვადა სსკ-ს მიხედვით იმპერატიულად არის განსაზღვრული. საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღეს, თუ გარანტიაში სხვა რაიმე არ არის აღნიშნული,[479] ხოლო ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის გადახდასთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.[480] ვადის მიზანია ბენეფიციარის მოთხოვნის განხორციელების დროში შეზღუდვა.[481] საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი მოთხოვნა დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.[482] ვადის გასვლის რისკი ბენეფიციარს ეკისრება თუკი მოთხოვნა დროულად იქნა წარდგენილი, მაგრამ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ბენეფიციარი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე ჯეროვანი წესით წარადგინოს მოთხოვნა და მოითხოვოს დაკმაყოფილება. დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ გამორიცხულია.[483]

სსკ მოთხოვნის წარდგენას მხოლოდ ვადას უკავშირებს. მოვლენის დადგომასთან დაკავშირებული გარანტიის მოქმედების ვადის გასვლა კოდექსით გათვალისწინებული არაა. სსკ განსაზღვრავს მოთხოვნის წარდგენის ფორმასა და წესს.[484] მოთხოვნა უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით და აუცილებელია მიეთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა და დაერთოს გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ამ ფორმის დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა იქნება ბათილი, რაც გარანტს გადახდაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს და იმავდროულად უარის თქმის მოვალეობასაც აკისრებს.[485]

სსკ არაფერს ამბობს ნაწილობრივი ან მრავალჯერადი მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობაზე. მხოლოდ მითითებულია, რომ გარანტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდით.[486] შესაბამისად, თუ გარანტიაში პირდაპირ არ არის მითითებული მრავალჯერადი მოთხოვნის აკრძალვა, დასაშვებია ბენეფიციარის ნაწილობრივი

[479]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლი.

[480]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მესამე ნაწილი.

[481]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 582.

[482]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[483]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 582.

[484]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[485]ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 222.

[486] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლი.

მოთხოვნის განხორციელება. თუმცა მოთხოვნილი თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს გარანტიაში მითითებული თანხის ოდენობაზე მეტი.

სსკ, URDG N758-ისაგან განსხვავებით, არც იმას მიუთითებს, ვალდებულია თუ არა გარანტი გადაუხადოს ბენეფიციარს თუ გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში ბენეფიციარი გამოასწორებს მოთხოვნაში მითითებულ უზუსტობას და განმეორებით წარუდგენს გარანტს გამართულ მოთხოვნას.[487] ასევე, გაურკვეველია, ბენეფიციარს შეუძლია თუ არა თავისი არასათანადო მოთხოვნის შესწორება, ხელახლა წარდგენა და ჩაითვლება თუ არა ასეთი შესრულებული მოთხოვნა „სხვა მოთხოვნად“. ვინაიდან, სსკ იმპერატიულად არაფერს ითვალისწინებს ამის საწინააღმდეგოდ, ივარაუდება, რომ კერძო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, რადგან პირდაპირ არ იკრძალება გარანტის მიერ ერთხელ უარყოფილი და შესწორებული მოთხოვნის წარდგენა, ის შეიძლება „სხვა“ მოთხოვნად განვიხილოთ და სანამ გარანტიის მოქმედების ვადა არ გასულა, შესაძლებელია წარდგენილიც იქნეს და გადახდით დაკმაყოფილებულიც.[488]

13.4. საბანკო გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი მოთხოვნის სამართლებრივი შედეგის შეფასება სასამართლოს მიერ

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდგომ წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხზე არაერთხელ იმსჯელა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ.[489] დავის საგანს წარმოადგენდა გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი მოთხოვნა, მოქმედების ვადაში უფლებამოსილი პირისათვის მოთხოვნის წარდგენა, ვადის გასვლის შემდგომ გაზრდილი მოთხოვნის წარდგენა.

[487] გაბოსინია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 246.

[488] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, 2015, 174.

[489] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბრის №ას-1595-1498-2012 გადაწყვეტილება; თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის 2/24991-16 გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ნოემბრის 2/24987-16 გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება 2/24988-16, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს 2/ბ-582-2015 გადაწყვეტილება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის 2/ბ-754-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ[490] განმარტა, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე. ვინაიდან, სსკ-ს 887-ე მუხლით რეგლამენტირებულია საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან გარანტის გათავისუფლების პირობები, რომელთაგან ერთ-ერთია მოთხოვნის წარდგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით.[491] კანონმდებელი ნების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს - გარანტის წინაშე მის გამოვლენას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დაცვით, ანუ ნების ნამდვილობა პირდაპირ კავშირშია ადრესატის მიერ მისი მიღების ობიექტურ შესაძლებლობასთან. ასეთ ვითარებაში ურთიერთობის მარეგულირებლად გვევლინება სსკ-ს 51-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. ამ შემთხვევაში, ბენეფიციარმა ნება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გამოავლინა (ვადის უკანასკნელ დღეს), თუმცა ეს ნება ნამდვილად საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ იქცა მაშინ, როდესაც ობიექტურად მიუვიდა გარანტს. ვადის უკანასკნელ დღეს შეტყობინების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის რისკის მატარებლად ნების გამომვლენი მიიჩნევა და არა ნების ადრესატი. თანხის ანაზღაურების მოთხოვნა ბენეფიციარმა ფოსტას გადასცა გარანტიის ვადის უკანასკნელ დღეს და ნება გარანტს მიუვიდა გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რაც გარანტს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების ვალდებულებისგან ათავისუფლებს.[492]

ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ვადების განსხვავებასთან დაკავშირებით. მოსარჩელე უთითებდა, რომ მან მოთხოვნა გარანტიით გათვალისწინებულ ვადაში გადასცა ფოსტის წარმომადგენელს, რომელმაც გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ ჩააბარა იგი გარანტს.

---

[490]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბერი №ას-1595-1498-2012 გადაწყვეტილება.

[491]სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით გაცემული გარანტია მოქმედებდა 2012 წლის 15 ივნისის ჩათვლით. პრინციპალმა დადგენილ ვადაში სამუშაოების შესრულება ვერ უზრუნველყო, რის გამოც 2012 წლის 15 ივნისს ბენეფიციარმა ფოსტის მეშვეობის წერილობით მიმართა გარანტს თანხის ანაზღაურების შესახებ. მოთხოვნა გარანტს ფოსტის მეშვეობით 2012 წლის 18 მაისს ჩაბარდა. მოსარჩელის განმარტებით, სსსრ-ს 61-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მას არ დაურღვევია გარანტიის მოქმედების ვადა, ვინაიდან, გარანტიის მოქმედების ვადაში მოთხოვნა ჩააბარა ფოსტას.

[492]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბრის №ას-1595-1498-2012 გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ-ს[493] პირველი მუხლით კანონმდებელმა განსაზღვრა საპროცესო კანონმდებლობის რეგულირების სფერო, რომელიც მხოლოდ სასამართლოში წარმოების წესებზე ვრცელდება. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში სსსკ სპეციალური კანონია და ამ ურთიერთობების რეგულირების მიზნით მათი ანალოგიის გზით გამოყენება ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის პრინციპებს.[494] ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე ფოსტისათვის დოკუმენტის ჩაბარების გათანაბრება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაცვასთან, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული.[495]

13.5. მოთხოვნის უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის ვალდებულება

საბანკო გარანტიის წარდგენის ვადის გასვლის შემდგომ გარანტისათვის წარდგენილი მოთხოვნა ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია. საბანკო გარანტიის ვადაში წარდგენის მიუხედავად სადავო გახდა მისი უფლებამოსილი პირისთვის გადაცემის საკითხი.

საბანკო გარანტიის მოთხოვნის უფლებამოსილი პირისათვის მიწოდება რამდენჯერმე გახდა განმარტების საკითხი სასამართლო მიერ. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა საბანკო გარანტიის ვადის ბოლო დღეს ჩაბარდა ქ. ბათუმში არსებულ სამედიცინო ცენტრში დასაქმებულ ექიმს, რომელსაც უფლება ჰქონდა ამ სადაზღვევო კომპანიის სახელით გაეწია სამედიცინო კონსულტაცია, მიეღო პაციენტები და ეწარმოებინა სამედიცინო დოკუმენტაცია. მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ექიმს გადაცემული ჰქონდა ბეჭედი. ექიმმა ჩაიბარა საგარანტიო მოთხოვნა და სხვა სამედიცინო დოკუმენტაციასთან ერთად ერთი თვის შემდგომ გადააგზავნა სადაზღვევო კომპანიის (გარანტის) სამედიცინო დეპარტამენტში. გარანტის უფლებამოსილ პირს შეტყობინება ჩაბარდა ვადის ამოწურვის შემდგომ ერთი თვისა და ორი დღის შემდეგ. გარანტმა შეტყობინება დაგვიანებულად წარმოდგენილად მიიჩნია და უარი უთხრა თანხის გადახდაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ[496] გააუქმა სასამართლოს[497] გადაწყვეტილება და

[493]საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს კანონი N1106 14/11/1997.

[494] სსკ-ს მე-5 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, „სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით“.

[495] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბრის №ას-1595-1498-2012 გადაწყვეტილება,

[496] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს 2/ბ-582-2015 გადაწყვეტილება.

[497] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 აპრილის 2-2647/14 გადაწყვეტილება.

განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ ვერ დადასტურდა, რომ ექიმი იყო გარანტის თანამშრომელი და უფლებამოსილი იყო მიეღო მსგავსი სახის შეტყობინებები. არაუფლებამოსილი პირისათვის შეტყობინების გადაცემა არ იქნა მიჩნეული მოთხოვნის ვადაში წარდგენად.[498] სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.[499]

უფლებამოსილი პირისათვის მოთხოვნის ვადაში გადაცემა სხვადასხვაგვარად არის განმარტებული სასამართლოს მიერ. სსკ მოთხოვნის წარდგენის ადგილისა და უფლებამოსილი პირის შესახებ არაფერს ამბობს, დავისას სასამართლომ უნდა განმარტოს მოთხოვნის მიმღების უფლებამოსილების საკითხი.

გარანტი, როგორც მეწარმე სუბიექტი სამოქალაქო ურთიერთობებში გამოდის მისი წარმომადგენლის სახით. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის[500] და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“[501] საქართველოს კანონის შესაბამისად, კომერციული ბანკი[502] და სადაზღვევო კომპანია[503] შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით.[504] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის[505] შესაბამისად, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი, თუ წესდებით სხვა რაიმე არ არის განსაზღვრული.[506] სსკ-ს შესაბამისად, იურიდიული პირის ადგილსამყოფელია მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი.[507] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს მისამართი, რომელზედაც

---

[498] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს 2/ბ-582-2015 გადაწყვეტილება.

[499] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის Nას-1082-101902015 გადაწყვეტილება.

[500] „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი N690 02/05/1997.

[501] საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, N121, 23/02/1996.

[502] „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

[503] „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნტის შესაბამისად, მზღვეველი არის სააქციო საზოგადოების ორგანიზებულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.

[504]მზღვეველისათვის სააქციო საზოგადოების ფორმით საქმიანობის განხორციელების აუცილებლობის შესახებ, გათვალისწინებული იქნა 2015 წლის 10 ივნისის „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით. ცვლილებებამდე სადაზღვევო კომპანია შეიძლება შექმნილიყო, როგორც სააქციო საზოგადოების, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით.

[505] საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ N577, 28/10/1994.

[506] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

[507] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი.

შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდგომ წერილობითი შეტყობინება ითვლება ოფიციალურად გაგზავნილად.[508] რეესტრში რეგისტრირებულ სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი/ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნა ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა. რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება შესაბამისი პირისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.[509]

საბანკო გარანტიის პირობით შეიძლება შეიზღუდოს მოთხოვნის ჩაბარების წესი. შესაძლებელია მითითებულ იქნეს კონკრეტულად რომელიმე ფილიალ(ებ)ში ჩაბარების ვალდებულება. ამასთან, გამოირიცხოს ელექტრონული ფორმით ჩაბარების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა ჩაბარებულად ითვლება თუ იგი ჩაბარდა გარანტიაში მითითებულ მისამართზე და ფორმით. სხვა მისამართზე მოთხოვნის ჩაბარების შემთხვევაში მოთხოვნა არ ითვლება შესაბამის ვადაში ჯეროვნად ჩაბარებულად. თუ გარანტიაში მითითებული არაა ჩაბარების განსაკუთრებული წესი და ადგილი, მაშინ ითვლება, რომ მოთხოვნა შეიძლება ჩაბარდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. აღნიშნულ შემთხვევაში[510] გარანტიის ტექსტში მითითებული იყო, რომ „მოთხოვნა უშუალოდ გარანტს უნდა ჩაბარდეს მოქმედების ვადაში. ამასთან, დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით ჩაბარება“. ასეთ შემთხვევაში გარანტმა თავისი პირობით შეზღუდა ბენეფიციარი და მიუთითა მოთხოვნის გარანტიის მოქმედების ვადაში უშუალოდ მასთან ჩაბარება და გამორიცხა ელექტრონული ფორმით მიწოდება. არც ერთი ინსტანციის სასამართლოს ამომწურავად არ განუხილავს მოთხოვნის ჩაბარების ადგილი და წესი. სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ზოგადად მიუთითა[511] პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების არამართებულობასთან დაკავშირებით და მიმღები პირის უფლებამოსილების შესახებ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს გადააკისრა.

13.6. საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება

საბანკო გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელია გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდეს, რომელიც ახალი გარანტიის გაცემით ფორმდება. ახალ გარანტიაში მიეთითება გაგრძელებული ვადა, ხოლო მისი გაცემა უნდა

[508] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეოთხე ნაწილი.
[509] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეხუთე ნაწილი.
[510] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 აპრილის 2-2647/14 გადაწყვეტილება.
[511] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს 2/ბ-582-2015 გადაწყვეტილება.

მოხდეს ჩვეულებრივი გარანტიის გაცემისათვის დადგენილი წესით. სსკ-ს არაფერს ამბობს საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელების შესახებ და სპეციალურ მითითებას არ შეიცავს, შესაბამისად, გარანტიის გაგრძელება უნდა მოხდეს გარანტიის გაცემისათვის დადგენილი ზოგადი წესის მიხედვით და გაგრძელებული გარანტია უნდა აკმაყოფილებს გარანტიისათვის დადგენილ წესებს. მათ შორის, აღნიშნული უნდა იქნეს ვადა, ძირითადი ვალდებულების შინაარსი, საგარანტიო თანხა, მოთხოვნის შინაარსი და ამ.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუქმებულ იქნა სამტრედიის რაიონული სასამართლოს[512] გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოთხოვნა გარანტის მიმართ თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. მოპასუხის პოზიცია ემყარებოდა მოთხოვნის ვადის გასვლის შემდგომ წარმოდგენას. კერძოდ, გარანტიის ვადა გასული იქნა 2013 წლის 15 დეკემბერს, ხოლო მოთხოვნა 2014 წლის 06 იანვარს იქნა გადაცემული გარანტისათვის. ბენეფიციარი ამტკიცებდა, რომ საბანკო გარანტიის თავდაპირველი ვადა გაგრძელდა 2014 წლის 16 იანვრამდე და მიუთითებდა საქმეში არსებულ დოკუმენტზე, რომელიც დაბეჭდილი იყო გარანტის ტიტულოვან ფურცელზე, თუმცა იგი არ იყო ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული, განსხვავებით საქმეში არსებული საბანკო გარანტიისაგან, რომელიც ხელმოწერილი იყო გარანტის გენერალური დირექტორის მიერ და იყო ასევე ბეჭედდასმული. პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული დოკუმენტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა გარიგებად და წარმოშობდა შესაბამის სამართლებრივ შედეგებს, თუ გარანტის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერით დაადასტურებდა ამ საწარმოს მიერ ნების გამოვლენასა და დოკუმენტში მითითებულ პირობებზე თანხმობას განაცხადებდა. რადგან სუბიექტის მიერ ნების გამოვლენას ადასტურებს ამ სუბიექტის (მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის) ხელმოწერა წერილობით დოკუმენტზე და არა მხოლოდ მის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი გარიგების ტექსტი. გარანტის მიერ 2013 წლის 6 სექტემბერს გაცემული საბანკო გარანტიის ვადა ამოიწურა 2013 წლის 15 დეკემბერს და 2014 წლის 6 იანვარს ბენეფიციარის მიერ წარდგენილი მოთხოვნა იყო დაგვიანებული, შესაბამისად, გარანტს ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა მის შესრულებაზე. ერთმანეთთან კომუნიკაციის სხვა ფორმაზე, გარდა წერილობითი მიმოწერისა, საბანკო გარანტიის მხარეები არ შეთანხმებულან.[513] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუშვებლობის გამო ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.[514]

[512]სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის #2/97-14 გადაწყვეტილება.

[513]ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის 2/ბ-754-2014 გადაწყვეტილება.

[514]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის №ას-300-287-2015 გადაწყვეტილება.

სსკ-ს მიხედვით, საბანკო გარანტიის გაგრძელების რეგულაციის არ არსებობის გამო აღნიშნული საკითხი კიდევ ერთი სასამართლოს გადაწყვეტილებაში გახდა სადავო.[515] მოსარჩელის მითითებით ახალი საბანკო გარანტიით გაგრძელებულ იქნა ძველი საბანკო გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გარანტია პირდაპირ უთითებდა გაგრძელების შესახებ, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „სამოქალაქო უფლების განხორციელება დაკავშირებულია დროის ფაქტორთან. საბანკო გარანტია, როგორც კერძო-სამართლებრივი ინსტიტუტი შებოჭილია შეთანხმებული დროის ფარგლებით, რომლის განმავლობაშიც ბენეფიციარს შეუძლია მისი უფლების რეალიზაცია. ვადების ფუნქციური დანიშნულება სამოქალაქო-სამართლებრივ სივრცეში განსაზღვრულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის მნიშვნელობით, შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მოქმედების ვადა გულისხმობს შეთანხმების მოქმედების ხანგრძლივობას. ამის გათვალისწინებით, სსკ-ს 889-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე წყდება: გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა... საქმეში არსებული პირველად გაცემული გარანტიის ვადა ამოიწურა 2008 წლის 31 დეკემბერს.... ამდენად, ზემოთ მოყვანილი ნორმის პირდაპირი მნიშვნელობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მათ აღარ გააჩნდათ იურიდიული ძალა. განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა, გაგრძელდა თუ არა აღნიშნული საბანკო გარანტიების მოქმედება ახალი საბანკო გარანტიების გაცემით, როდესაც ასეთ გაგრძელებაზე მასში მითითებული იყო... ვალდებულების შეწყვეტა, როგორც იურიდიული მოვლენა, განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგებს ვალდებულებითი ურთიერთობის დასრულების შინაარსით და ათავისუფლებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულებებისაგან. როგორც აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსი განიხილავს ვადას, როგორც იურიდიულ ფაქტს, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი შეწყვეტის წინაპირობის სახით არის ჩამოყალიბებული. ვალდებულების მოქმედების ვადის დადგომა ამთავრებს სამართლებრივ ურთიერთობას, შესაბამისად, ვადის გასვლის შემდეგ, დაუშვებელია ახალი შეთანხმებისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭება უკვე დასრულებული ვალდებულების მოქმედების გაგრძელების მიზნით.“[516]

13.7. საბანკო გარანტიის ვადის მნიშვნელობა

[515]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 სექტემბრის N #2/9973-10 გადაწყვეტილება.

[516] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 სექტემბრის N #2/9973-10 გადაწყვეტილება.

საბანკო გარანტიის ვადას სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტების კერძო-სამართლებრივი ინტერესების დაცვის გარდა, უდიდესი საჯარო-სამართლებრივი ფუნქცია გააჩნია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტად გამოდის, როგორც წესი კომერციული ბანკი ან სადაზღვევო კომპანია. ორივე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც საქართველოში ლიცენზირების დღიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე მუდმივ ზედამხედველობას ექვემდებარება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ.[517] საბანკო გარანტიის ვადის გასვლის შემთხვევაში გარანტს უფლება აქვს გარანტიის ფარგლებში არსებული ფულადი რეზერვები[518] გამოათავისუფლოს და მიმართოს იგი სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად, გადამზღვევს და ზედამხედველ ორგანოს აცნობოს მოთხოვნის არარსებობის

[517]„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, საფინანსო სექტორის ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ზედამხედველობის მიზნით საქმიანობის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, ბანკი და სადაზღვევო კომპანია ვალდებულნი არიან ზედამხედველს მიაწოდონ ინფორმაცია მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

[518] „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, „მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და სადაზღვევო სისტემის არსებობა.“ მზღვეველი ვალდებულია დაიცვას სამსახურის მიერ დადგენილი, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები: ა) სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობა და გაანგარიშებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა;
ბ) სადაზღვევო რეზერვების ოდენობა სახეობათა მიხედვით; გ) სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების ზღვრული თანაფარდობა სადაზღვევო რეზერვებთან; დ) კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა; ვ) საზედამხედველო კაპიტალის ოდენობასა და გაანგარიშებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობას შორის თანაფარდობა.

დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბერის ბრძანებით სადაზღვევო რეზერვების განსაზღვრის და დამტკიცების წესი. ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „მზღვეველი ვალდებულია შექმნას სადაზღვევო რეზერვები არასიცოცხლის, სიცოცხლისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სახეობებისათვის.“ ამ კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, სადაზღვევო რეზერვების სახეობებია:1) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, ბ) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი, გ) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის ბრძანებით დამტკიცდა კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციის და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის და გამოყენების წესი. ამ წესის შესაბამისად, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან: ა) განახორციელონ აქტივების კლასიფიკაცია და შექმნან შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვები იმ თავიანთი წერილობითი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია მათი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და რომლებიც დაცული უნდა იყოს კრედიტების მართვის დოკუმენტებში. იგი მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკის შემმოწმებლებისათვის.

შესახებ, გააუქმოს გადახდილი საგარანტიო თანხის რეგრესის უფლების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალებები.

საგარანტიო მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში გარანტი ვალდებულია მართოს საგარანტიო შემთხვევა, გადაზღვევის არსებობის შემთხვევაში აცნობოს გადამზღვევს მოთხოვნის არსებობის შესახებ, მოახდინოს გაცხადებული მოთხოვნის კანონის წესით დაცვით რეზერვირება და ვადაში აცნობოს ზედამხედველ ორგანოს. შესაბამისად, არაუფლებამოსილი სუბიექტისათვის (მაგ. ფოსტა) მოთხოვნის გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მოთხოვნის გარანტისათვის წარდგენად, თუ არაუფლებამოსილმა სუბიექტმა გარანტს მოთხოვნა გადასცა გარანტიის ვადაში. ვადის გასვლა ავტომატურად აქარწყლებს გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის ყველა უფლებას.

ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი ან გაზრდილი მოთხოვნა გარანტის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს უარყოფილი. სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება[519] საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით არასწორი იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ გარანტია იყო ნამდვილი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე არ არსებობდა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი. ზემდგომმა სასამართლომ[520] სწორად მიუთითა წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირის ნების გამოხატვის ნაკლებობაზე[521] და ხელმოწერის არარსებობის გამო „გაგრძელებული“ გარანტია ძალის მქონედ არ მიიჩნია.

14. ალტერნატიული მოთხოვნა „გააგრძელე ან გადაიხადე”

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე საერთაშორისო პრაქტიკაში დადგენილია ალტერნატიული მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა, როდესაც ბენეფიციარი წარადგენს მოთხოვნას „გააგრძელე ან გადაიხადე“ ან „გადაიხადე ან გააგრძელე“. გარანტიის ვადის გაგრძელება შეიძლება გამოიწვიოს ძირითად ვალდებულებაში ცვლილებების შეტანამ, ახალი ვალდებულებების დამატებამ ან ძირითადი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებამ, რომელსაც თავის

[519] სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის #2/97-14 გადაწყვეტილება.

[520] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის №ას-300-287-2015 გადაწყვეტილება.

[521] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება საწარმოს სახელით გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საწარმოს სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლას გულისხმობს. კომპანიის წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება კომერციული ბანკის და სადაზღვევო კომპანიის შემთხვევაში დირექტორს გააჩნია, თუ მის მიერ ეს უფლემოსილება დელეგირებული არ არის სხვა პირზე.

მხრივ შეიძლება ობიექტური მიზეზი ჰქონდეს. ვადის გაგრძელება შეიძლება ნიშნავდეს მოქმედ გარანტიაში ცვლილებების შეტანას.[522]

ამ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა გათვალისწინებულია უნიფიცირებული წესებით.[523] ამ წესების შესაბამისად, გარანტი ვალდებულია გადაიხადოს დაუყონებლივ, ან გააგრძელოს გარანტიის მოქმედების ვადა.[524]

URDG N758-ის 23-ე მუხლის მიხედვით, „თუ გადახდის სათანადო მოთხოვნა შეიცავს, ალტერნატივის სახით თხოვნას, გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, გარანტს შეუძლია შეაჩეროს გადახდა გარანტიის მიხედვით, არაუმეტეს 30 დღის ვადით, რომელიც აითვლება მოთხოვნის მიღების მეორე დღიდან."

URDG N458-ე რედაქციაში ალტერნატიული მოთხოვნის თითქმის იგივე სქემაა გათვალისწინებული, როგორიც მის შემდგომ წესებში. თუმცა მცირედი განსხვავებით. 26-ე მუხლი მოთხოვნის შეჩერების რაიმე კონკრეტულ ვადას არ ითვალისწინებს და უთითებს შეჩერების უფლებამოსილებას, იმ ვადით, რაც გონივრულია პრინციპალსა და ბენეფიციარის შორის გარანტიის გაგრძელების ვადის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

ალტერნატიული მოთხოვნის შესაძლებლობა ხელშეკრულების მხარის ინტერესების დაცვის მიზნითაა გათვალისწინებული. კეთილსინდისიერად მოქმედ ბენეფიციარს შეიძლება გააჩნდეს პრინციპალის მიერ ვალდებულების ჯეროვნად და სრულად შესრულების მოლოდინი. შესაბამისად, ამგვარი მოთხოვნით იგი აძლევს გარანტს შესაძლებლობას გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე გასცეს გაგრძელებული გარანტია ან გადაიხადოს საგარანტიო თანხა.[525]

ალტერნატიული მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია კონტრგარანტისათვის. „თუ შეჩერების შემდეგ გარანტი წარადგენს სათანადო მოთხოვნას კონტრგარანტიის მიხედვით, რაც შეიცავს ალტერნატივის სახით თხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ, კონტრგარანტს შეუძლია შეაჩეროს გადახდა დროის იმ პერიოდით, რომელიც არ აღემატება დროის იმ მონაკვეთს, როცა გარანტიის მიხედვით გადახდაა შეჩერებული - მინუს ოთხი კალენდარული დღე. გარანტი ვალდებულია ავტომატურად გადაიხადოს თანხა, თუ ვადის გაგრძელება არ მოხდა.[526]

---

[522]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, 2015, 162.

[523] რეზერვული აკრედიტივის მიმართ მოქმედი წესების (ISP 98)-ის 3.09 წესი.

[524] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008. 87.

[525]The Guide to the URDG, 22.

[526]Cowdell P., McGregor P., Guide to International Trade and Finance, International Chamber of Commerce, 2015, 211.

უნიფიცირებული წესების ორივე რედაქციის შესაბამისად, ალტერნატიული მოთხოვნის მიღების შემდგომ, გარანტი ვალდებულია დაყოვნების გარეშე აცნობოს პრინციპალს ალტერნატიული მოთხოვნის შესახებ. თუ ამგვარი მოთხოვნა კეთილსინდისიერად განხორციელდა, გარანტი უფლებამოსილია პრინციპალის მიერ მისთვის წინასწარ გადაცემული უფლებამოსილებით გააგრძელოს გარანტია. ამგვარი უფლებამოსილება შეიძლება პრინციპალისაგან წინასწარ იქნას მიღებული ან მოთხოვნის წარდგენის შემდგომ.[527]

გარანტი ან კონტრგარანტი უფლებამოსილია უარი თქვას ნებისმიერ გაგრძელებაზე მაშინაც თუ ინსტრუქციას მიიღებს ვადის გაგრძელებაზე და ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს თანხა.[528] თანხის გადახდის ან ვადის გაგრძელების შემთხვევაში გარანტი ვალდებულია მოახდინოს მხარის ინფორმირება მისი გადაწყვეტილების შესახებ.[529]

თუ გარანტის მიერ დადასტურდება, რომ ალტერნატიული მოთხოვნა არამართლზომიერია, გარანტი უფლებამოსილია უარი თქვას თანხის გადახდაზე. გამოსაყენებელი ქვეყნის მატერიალური სამართლის ნორმების შესაბამისად, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს უარის თქმის კიდევ სხვა საფუძველი.[530] თუ მოთხოვნის გაგრძელება ვერ მოხდა, გარანტი ვალდებულია გადაიხადოს თანხა, თუ მოთხოვნა გარანტიის პირობებს შეესაბამება.[531]

14.1. ალტერნატიული მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

სსკ ალტერნატიული მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით არანაირ ჩანაწერს არ ითვალისწინებს. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე აკრძალული არაა ამგვარი მოთხოვნის წარდგენა, თუ გარანტია მისი აკრძალვის შესახებ არ უთითებს. ალტერნატიული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში რეგულირება უნდა განხორციელდეს გარანტიისათვის დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად. რეგულირების არ არსებობის შემთხვევაში ბუნდოვანია, რა ვადაში უნდა გაგრძელდეს გარანტია. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ ალტერნატიული მოთხოვნა წარედგინა გარანტიის ვადის გასვლის ბოლო დღეს. თუ გარანტიის გაგრძელებას იმავე პროცედურას დავუკავშირებთ, რაც გარანტიის გაცემისათვის

[527]Goode R., Abstract Payment Undertakings in International Transactions,1996, 18.
[528] 23-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.
[529]URDG N758-ის მე-23 მუხლის „g” ქვეპუნქტი.
[530]Goode R., Abstract Payment Undertakings in International Transactions, 1996, 18.
[531]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 87.

არის საჭირო, მაშინ გაგრძელებამდე აუცილებელი იქნება პრინციპალის თანხმობა. გარანტი დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად ვერ მოახდენს ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუმცა ალტერნატიული მოთხოვნის დაკმაყოფილება გარანტისათვის სავალდებულო არაა.

ასეთ შემთხვევაში გარანტი დამოუკიდებლად წყვეტს ვადის გაგრძელების საკითხს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე - საგარანტიო ვალდებულების ბოჭვის ფარგლებში. ის უფლებამოსილია არ გაიზიაროს პრინციპალის მითითება ვადის გაგრძელების შესახებ, არც ბენეფიციარის მოთხოვნა მიიღოს ვადის გაგრძელებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს საგარანტიო თანხა, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა აკმაყოფილებს პირობებს.[532]

15. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე წარდგენილი მოთხოვნის შემოწმება

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა საგარანტიო შემთხვევის რეგულირების დაწყების საფუძველი და საგარანტიო ურთიერთობების ყველაზე რთული ეტაპია. სირთულე მდგომარეობს მოთხოვნის წარდგენის შემდგომ გარანტის მიერ უფლება-მოვალეობების სწორად განხორციელებაში. გარანტიის დამოუკიდებლობისა და დოკუმენტურობის პრინციპი გარანტს აკისრებს სწორი გადაწყვეტილების მიღების სიმძიმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკარგება გადახდილი თანხის რეგრესის წესით პრინციპალისაგან მიღების უფლება.

URDG N458 გარანტს აკისრებს ვალდებულებას მოთხოვნის წარდგენის შემდეგ მისი შემოწმება მოახდინოს "გონივრული სიფრთხილით", რათა დადასტურდეს მათი შესაბამისობა გარანტიის პირობებთან. კერძოდ, "გარანტიით განსაზღვრული და წარდგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის მოთხოვნა, გარანტის მიერ უნდა შემოწმდეს სათანადო გულისხმიერებით, რათა დადასტურდეს ისინი შეესაბამებიან თუ არა საბანკო გარანტიის პირობებს. თუ ეს დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან ეწინააღმდეგება მათ, იგი უნდა იქნეს უარყოფილი."[533]

გარანტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორის, ადეკვატურობის და უტყუარობისათვის. მისი ვალდებულება დოკუმენტებისა და მოთხოვნის გულისხმიერად და კეთილსინდისიერად შემოწმებაა, რათა დადგინდეს რამდენად შეესაბამება მოთხოვნა საბანკო გარანტიის პირობებს. გარანტის ვალდებულება მოთხოვნისა და დოკუმენტაციის

[532]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 163.
[533]URDG N458-ის მე-9 მუხლი.

გარეგან ვიზუალურ შემოწმებას გულისხმობს.[534] გარანტის პასუხისმგებლობა არ ვრცელდება მისი კონტროლის გარეთ არსებულ მოქმედებებზე.[535]

მოთხოვნის შემოწმების პროცესში აუცილებელია პრინციპალის ჩართვა, რათა მან დროულად და ჯეროვნად დაიცვას თავი არამართლზომიერი მოთხოვნისაგან. გარანტი ვალდებულია დაყოვნების გარეშე აცნობოს პრინციპალს მოთხოვნის შესახებ.[536]

გარანტიის რეგულირების პროცესი ბენეფიციარისა და პრინციპალის ინტერესების ბალანსის დაცვით უნდა წარიმართოს და ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად საკითხებს: ა) დამოუკიდებლობის პრინციპს,[537] ბ) გარანტისათვის წარდგენილი მასალების შემოწმების ვალდებულებას, გ) ზუსტი შესაბამისობის პრინციპს.[538]

15.1. მოთხოვნის შემოწმების წესი URDG N458-ის მიხედვით

URDG მე-20 მუხლი შეიცავს მოთხოვნის წარდგენისას პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ დოკუმენტაციის დართვის ვალდებულებას. ამასთან, აუცილებელია მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ვალდებულების დარღვევა პრინციპალის ბრალეული ქმედებით იქნა გამოწვეული.[539] URDG ბენეფიციარს[540] ავალდებულებს საგარანტიო მოთხოვნის წერილობითი ფორმით განხორციელებისას მიუთითოს ვალდებულების დარღვევის ფაქტი და აღწერილობა, რათა პრინციპალი დაცული იყოს არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებისაგან.[541]

ამ მუხლის არსებობის ერთადერთი მიზანი არამართლზომიერი მოთხოვნების პრევენციაა, ისე რომ არ დაირღვეს გარანტიის დოკუმენტური ბუნება და ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესი. ბენეფიციარის ამგვარი ვალდებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოთხოვნის დოკუმენტური ბუნების დარღვევად, რადგან ბენეფიციარის მიერ დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მიუხედავად, გარანტი

[534]Kelly –Louw M., Selective legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 93.
[535]Ellinger E. P., The Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP): Their Development and
the Current Revisions, 2007, 166.
[536]URDG N458-ის მე-17 მუხლი.
[537]URDG N458-ის მე-2 მუხლის „ბ "ქვეპუნქტი.
[538]Debattista C., Performance Bonds and Letters of Credit: A Cracked Mirror Image, 1997, 295.
[539]Goode R, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, 1992, 93.
[540]URDG N458-ე წესების მე-20 მუხლი მსგავსია სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესების URCG-ის მე-9 მუხლთან.
[541]იგივე მოთხოვნა არსებობს კონტ-გარანტიის შემთხვევაში.

შემოიფარგლება მისთვის გადაცემული დოკუმენტაციის შემოწმებით.[542]ამ მუხლის ეფექტურობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა.[543] თუმცა დადგინდა, რომ არამართლზომიერი მოთხოვნის თავიდან აცილების და დაცვის საუკეთესო მექანიზმი პრინციპალის მყისიერი ინფორმირებაა. თუმცა პრინციპალის მიერ პროტესტის წარდგენის შემთხვევაში ბანკს მხოლოდ დისკრეცია გააჩნია უარი თქვას თანხის გადახდაზე.

URDG N458-ით მოხდა სახელშეკრულებო გარანტიების უნიფიცირებული წესების ჩანაცვლება, რომლითაც აუცილებელი იყო პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის დადასტურება. ამ წესებით თავდაცვის მხოლოდ მარტივი მექანიზმი იქნა გათვალისწინებული, რომელიც გარანტს პრინციპალისათვის შეტყობინების უპირობო ვალდებულებას აკისრებდა. ამის მიუხედავად, უნიფიცირებული წესების ეს რედაქცია დღეს ნაკლებად არის გამოყენებული. ამის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ მოთხოვნის განმარტების აუცილებლობაა. ბანკებისათვის ამგვარი გარანტიები ნაკლებად იყო მიღებული, ვიდრე უპირობო გარანტიები, რომელიც მოთხოვნის დადასტურებას არ ავალდებულებდა ბენეფიციარს.[544]

15.2. მოთხოვნის შემოწმების წესი URDG N758-ის მიხედვით

გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენისას URDG N758 წინამორბედის მსგავსად, გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენისა და პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის მითითების ვალდებულებას ითვალისწინებს.

წესები თავად განსაზღვრავს, რა შეიძლება მიჩნეული იქნა „წარდგენად“. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება, როგორც გარანტისათვის გარანტიიდან გამომდინარე დოკუმენტაციის მიწოდება, ასევე, მოთხოვნის გარდა, სხვადასხვა დოკუმენტის გადაცემა.[545] მაგ. ვალდებულების გათავისუფლების დოკუმენტი. ამავე მუხლში განმარტებულია „შესაბამისი წარდგენა,“[546] რომელიც ნიშნავს წარდგენას, რომელიც 1) შეესაბამება გარანტიის პირობებს, 2) შეესაბამება იმ წესებს, რაც გარანტიის პირობებით არის დადგენილი, 3) იმ შემთხვევაში, თუ გარანტიაში არ არის მითითებული წესები და პირობები, მაშინ მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს

[542]Goode R, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, 1992, 739.
[543] Gao X.,The Fraud Rule in the Law of Letters of Credit: A Comparative Study, 2002, 59.
[544] Ellinger E.P., British Business Law: Banking Law, 2005, 704,
[545]URDG N758-ის მე-2 მუხლი.
[546]Complying presentation.

დამოუკიდებელი გარანტიების მიმართ საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტებს.[547]

URDG N758 მიხედვით, მოთხოვნის წარდგენის შემდგომ გარანტმა უნდა შეამოწმოს მოთხოვნა ფორმალური ნიშნებით შეესაბამება თუ არა პირობებს.[548] დაცულია თუ არა ვადა და წარდგენის ადგილი. გარანტიით გათვალისწინებული მონაცემები უნდა შემოწმდეს თავად ამ დოკუმენტის, გარანტიისა და წესების კონტექსტის გათვალისწინებით. მონაცემები შეიძლება არ იყოს იდენტური, თუმცა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გარანტიით გათვალისწინებულ სხვა ნებისმიერ დოკუმენტში ან თავად გარანტიაში ასახულ მონაცემს.[549]

მოთხოვნის შემოწმებისათვის უნიფიცირებული წესები საკმაოდ შემჭიდროვებულ ვადას განსაზღვრას. სრულყოფილი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში,[550] გარანტი ვალდებულია მოთხოვნა შეამოწმოს წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვადის შემცირება ან შეცვლა არ შეიძლება გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის საფუძვლით. თუ მოთხოვნა არ არის სრულყოფილი, მაშინ შემოწმების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს გარანტისათვის სრულყოფილი მოთხოვნის გადაცემამდე.[551]გარანტი მოთხოვნის შემოწმების პროცესში რთავს პრინციპალს[552]და დაყოვნების გარეშე გადასცემს შესაბამისი მოთხოვნის ასლს და ყველა თანდართულ დოკუმენტს.

15.3. მოთხოვნის შემოწმების ვალდებულება კონვენციის შესაბამისად

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის გონივრული გულისხმიერებით შემოწმების ვალდებულება გათვალისწინებულია კონვენციაში.[553] გარანტის ქცევის ვალდებულება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი უნდა იყოს, რომელიც თავად ამ გარანტიით არის დადგენილი.[554]

გარანტი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად და გონივრული გულისხმიერებით მოახდინოს მოთხოვნის შემოწმება.[555] გარანტი არ შეიძლება

---

[547]URDG N758-ის მე-2 მუხლი.

[548]URDG N758-ის მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[549]URDG N758-ის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

[550]თუ მოთხოვნაში არ არის მითითებული, რომ მოთხოვნა შემდგომში იქნება სრულყოფილი.

[551]URDG N758-ის მე-20 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[552]URDG N758-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, ინსტრუქციის გამცემი მხარე არის მხარე, რომელიც აძლევს მითითებებს გარანტს ან კონტრ-გარანტს და პასუხისმგებელია გარანტის წინაშე, კონტ-გარანტიის შემთხვევაში კონტ-გარანტის წინაშე. ინსტრუქციის მიმცემი მხარე შეიძლება იყოს ან შეიძლება არ იყოს აპლიკანტი.

[553]კონვენციის მე-14 მუხლი.

[554]Dolan J.F., The UN Convention on International Independent Undertakings: Do States with Mature Letter-of-Credit Regimes Need It?, 1998, 11.

[555]კონვენციის მე-14 მუხლის პირველი ნაწილი.

გათავისუფლდეს კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულების დარღვევის ან განზრახ უხეში ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისაგან.[556] ამგვარი წესის დაცვით განხორციელების ვალდებულება განსაკუთრებით ხაზგასმულია მოთხოვნის შემოწმებისას პროცესში.

გარანტი ვალდებულია მოთხოვნა შეამოწმოს კეთილსინდისიერად და გონივრული გულისხმიერებით გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების მიმართ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ეს სტანდარტი ზუსტად მითითებული არაა, თუმცა ამ ჩანაწერით საგარანტიო თანხის გადახდის წინაპირობად მიიჩნევა მოთხოვნის ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დაცვა.[557]

15.4. მოთხოვნის მართვა საერთაშორისო რეზერვული აკრედიტივის წესების მიხედვით

საგარანტიო მოთხოვნის შემოწმების ვალდებულება საერთაშორისო რეზერვული აკრედიტივის მე-4 წესშია გათვალისწინებული. ამ წესში მოთხოვნის შემოწმების პროცესში გარანტის ვალდებულება შემსუბუქებულია და პრინციპალის ინტერესების ყველაზე ნაკლებ დაცვას ახდენს. გადახდის მოთხოვნა აუცილებლად უნდა იყო რეზერვული აკრედიტივის პირობების შესაბამისი.[558]

4.03 წესი აზუსტებს დოკუმენტაციის შემოწმებისას მხოლოდ რეზერვული აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის ვალდებულებას.[559] გარანტი არ არის ვალდებული მოახდინოს მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის ერთმანეთთან შედარება. ვინაიდან, ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე არ მოითხოვება განიმარტოს რაში მდგომარეობს შეუსაბამობა.[560]

4.01 წესების მეორე პუნქტი „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპის დაცვის ვალდებულებას პირდაპირ არ განსაზღვრავს. ჩანაწერი მოთხოვნის შემოწმებისას საკმაოდ ბუნდოვან შემოწმების სტანდარტზე უთითებს. ამ წესებით ძალაში რჩება გარანტის რეზერვული აკრედიტივიდან გამომდინარე ვალდებულება შეამოწმოს მხოლოდ მასთან წარდგენილი დოკუმენტაცია და დოკუმენტების მიღმა არ აწარმოოს გამოძიება.[561]

---

[556]კონვენციის მე-14 მუხლის მეორე ნაწილი.

[557]Dolan J.F., The UN Convention on International Independent Undertakings: Do States with Mature Letter-of- Credit Regimes Need it, 1998, 11.

[558]საერთაშორისო რეზერვული აკრედიტივის შესახებ პრაქტიკა (ISP98) 4.01 წესი.

[559]Byrne J.E., the International Standby Practices (ISP98): New Rules for Standby Letters of Credit, Uniform Commercial Code Law Journal 1999, 165.

[560] The Official Commentary on the ISP98, note 154 Official Comment 3, 4.03, 146

[561] The Official Commentary on the ISP98 note 154 Official Comment 1and 2, 4.01, 140.

4.2. წესის შესაბამისად, გარანტი არ არის ვალდებული შეამოწმოს საგარანტიო ურთიერთობის მიღმა არსებული დოკუმენტაცია, რომელიც არ არის საჭირო რეზერვული აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნის შემოწმებისას. ამგვარი დოკუმენტაცია უნდა იქნეს უგულვებელყოფილი და უკან უნდა დაუბრუნდეს მხარეს.[562] საბანკო გარანტიის პირობებით შეიძლება არ იყო გათვალისწინებული არანაირი დოკუმენტის წარმოდგენა. შესაბამისად, გადახდა დოკუმენტური მოთხოვნის საფუძველზე უნდა მოხდეს.[563]

15.5. მოთხოვნის შემოწმება სსკ-ს მიხედვით

ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა არ გულისხმობს მისი დაკმაყოფილების უალტერნატივო ვალდებულებას. გარანტი ვალდებულია ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას შეუდგეს მის ანალიზს და შემოწმებას[564] და დაუყონებლივ აცნობოს პრინციპალს. გარანტი ვალდებულია მოთხოვნის შემოწმება მოახდინოს გონივრული მზრუნველობით[565] და შეტყობინებასთან ერთად პრინციპალს გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ,[566] რომელიც ძირითადი ვალდებულების სუბიექტია და მას აქვს უფლება მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება. პრინციპალის დაუყოვნებლივი შეტყობინება ნიშნავს მის ინფორმირებას „ბრალეული გაჭიანურების გარეშე“ და იგი როგორც წესი მომდევნო სამუშაო დღეს სრულდება.[567] გარდა ამისა, გარანტი მოვალეა პრინციპალს შეატყობინოს, რომ საგარანტიო შემთხვევის თაობაზე შემოწმება უკვე ჩატარდა და გადახდა უნდა განხორციელდეს.[568]

დაუყოვნებლივი ინფორმირების ვალდებულება საბანკო გარანტიის მომეტებულ რისკთან არის დაკავშირებული და პრინციპალის ინტერესების დაცვას ემსახურება. ამ უკანასკნელს შესაძლებლობა უნდა მიეცეს წარადგინოს მოსაზრებები მოთხოვნის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ან

[562] The Official Commentary on the ISP98 op cit note 154 Official Comments 1–5, 4.02,143.

[563] Kelly-Louw M, Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 67.

[564] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 539.

[565] სსკ-ს 886-ე მუხლის მეორე ნაწილი.

[566] სსკ-ს 886-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[567] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 582.

[568] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 225.

მართლზომიერი მოთხოვნის შემთხვევაში თავად განახორციელოს გადახდა და თავიდან აიცილოს რეგრესული პასუხისმგებლობა გარანტის წინაშე.[569]

გარანტიის დოკუმენტურ ბუნებასთან ერთად გარანტის ეს ვალდებულება არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებისაგან პრევენციის ერთ-ერთი საშუალებაა. ინფორმირებასთან ერთად პრინციპალს უნდა განესაზღვროს ვადა საკუთარი ინტერესების დაცვისათვის.[570]მათ შორის მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გარანტიის რეგულირების შეჩერება.[571]თუ ბანკი დაარღვევს ინფორმირების ვალდებულებას, მაშინ მან პრინციპალს უნდა აუნაზღაუროს ამ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.[572]

16. შეუსაბამო მოთხოვნა და თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძვლები

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის შემოწმების დასრულების შემდგომ გარანტი იღებს გადაწყვეტილებას თანხის გადახდის ან გადახდაზე უარის თქმის შესახებ. საგარანტიო თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძვლები იურისტებს შორის დიდი ხანია დავის საგანია.[573] ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებების არსებობას სასამართლოს განსხვავებული გადაწყვეტილებები ადასტურებს.[574]

საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილების უმთავრესი საფუძველი საბანკო გარანტიის ვადის დასრულებამდე ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დაცვით წარდგენილი მოთხოვნაა, რომელიც შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს. თუმცა პრაქტიკაში ყველაზე მეტი დავა სწორედ ამ საკითთან დაკავშირებით არსებობს.

საგარანტიო მოთხოვნა შესაბამისია, თუ ის გარანტიის პირობების შესაბამისად არის წარმოდგენილი. თუ გარანტი განსაზღვრავს, რომ მოთხოვნა არ

---

[569]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014,, 582.

[570] Bergsten E. E., A New Regime for International Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit: The UNCITRAL Draft Convention on Guaranty Letters, 1993, 27. 872,

[571] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 150.

[572] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 583.

[573]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, 2015, 162.

[574] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 თებერვლის N2ბ/4125-14 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 30 ოქტომბერს Nას-425-405-2015 გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ნოემბერის N2ბ/304-17 გადაწყვეტილება.

შეესაბამება გარანტიის პირობებს იგი უფლებამოსილია უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე, ან მიმართოს პრინციპალს მიიღოს განსხვავებებით წარმოდგენილი მოთხოვნა.[575]იგივე ჩანაწერი არსებობს კონტრგარანტიდან გამომდინარე გარანტის მიერ კონტრგარანტისათვის წარდგენილი მოთხოვნისას.[576]

საბანკო გარანტიის პირობებთან შეუსაბამო მოთხოვნის გადახდის შემთხვევაში პრინციპალს არ ეკისრება გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების ვალდებულება. მოთხოვნის შემოწმებისას გარანტი არ არის შეზღუდული პრინციპალის მითითებები სავალდებულოდ გაიზიაროს. შეუსაბამო მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში პრინციპალისაგან მიღებული დადასტურების შემთხვევაშიც კი გარანტი უფლებამოსილია არ გადაიხადოს თანხა.[577]

საგარანტიო მოთხოვნის რეგულირების დასრულების შემდეგ გარანტი ვალდებულია აცნობოს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამგვარი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს დაუყონებლივ, მაგრამ არაუმეტეს შეტყობინების მიღებიდან მე-5 დღის ბოლომდე.[578] შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას: 1) მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, 2) ყველა იმ საფუძველზე, რაც გახდა მოთხოვნის უარყოფის საფუძველი.[579] ამ წესის დაუცველობა გარანტს უკარგავს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლებამოსილებას.[580]

სსკ-ს 887-ე მუხლის პირველი ნაწილი უარის თქმის საფუძვლად ვადის გასვლასთან ერთად, მოთხოვნის გარანტიის პირობებთან შეუსაბამობას მიიჩნევს და გარანტს უარის თქმის შესახებ დაუყონებლივ ინფორმირების ვალდებულებას აკისრებს. გარანტი ვალდებულია შეამოწმოს თუ რამდენად შეესაბამება ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო პირობებს,[581] რაშიც იგულისხმება, გარანტიის მატერიალური და ფორმალური პირობები. მაგ. ვადა, წარდგენილი დოკუმენტაცია, მოთხოვნის დასაბუთება.

სსკ-ს 887-ე მუხლი გარანტს ავალდებულებს უარი უთხრას „ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ.“ თუმცა ამ მუხლში არ არის მითითება დოკუმენტურობისა და „ზუსტი შესაბამისობის“

[575] URDG N758-ის 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[576] URDG N758-ის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.
[577] URDG N758-ის 24-ე მუხლის „c“ ქვეპუნქტი.
[578] URDG N758-ის 24-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.
[579] URDG N758-ის 24-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.
[580] URDG N758-ის 24-ე მუხლის „f“ ქვეპუნქტი.
[581]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 583.

პრინციპების დარღვევით წარდგენილი მოთხოვნის უარყოფის ვალდებულებასთან.

საკანონმდებლო ვაკუუმი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეავსო, როდესაც განმარტა, რომ „885-ე მუხლი ავსებს 887-ე მუხლის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ.“[582] ამ ჩანაწერით სასამართლომ მიუთითა, რომ გარანტის ვალდებულებაა იმის შემოწმება თუ მოთხოვნას რამდენად ერთვის გარანტიით განსაზღვრული დოკუმენტაცია და მათი წარმოდგენა გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ ხომ არ მოხდა, საგარანტიო მოთხოვნა ხომ არ სცილდება გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, მასში ხომ არ არის მოთხოვნილი ისეთი ვალდებულების დარღვევის შესახებ, რომელიც გარანტიის პირობით არ იყო უზრუნველყოფილი.[583]

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გარანტი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ბენეფიციარს. ამ ჩანაწერის მიუხედავად, სსკ არაფერს ამბობს შეტყობინების შინაარსზე. შესაბამისად, ივარაუდება, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარის სრულად ინფორმირება უნდა მოხდეს ყველა იმ საფუძვლების შესახებ, რომელიც უარის თქმის მიზეზი გახდა.

გარანტი ვალდებულია უარი განაცხადოს თანხის გადახდაზე მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. გარანტის უარი არ ნიშნავს, მისი ვალდებულების ავტომატურ შეწყვეტას. ბენეფიციარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ხელმეორედ წარადგინოს ჯეროვანი მოთხოვნა გარანტის მიმართ და მოსთხოვოს მას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.[584] სსკ მეორე მოთხოვნის წარდგენის შესახებ დუმს, თუმცა მის წარდგენის შემთხვევაში იგი მიიჩნევა არა განმეორებით, არამედ ახალ მოთხოვნად და რეგულირების პროცესის დაწყების საფუძველია.

ყველაზე დიდ დავას იურისტებს შორის სსკ-ს 887-ე მუხლის მეორე ნაწილი იწვევს. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ ძირითადი ვალდებულება მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა

[582] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის N781-996-08 გადაწყვეტილება.

[583] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ივლისის Nას13-53-1277-2012 გადაწყვეტილება.

[584]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 584.

ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას. ამ ნორმის არსებობას გარანტიის აქცესორული ბუნებით განმარტავენ. ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა, გარანტის პასუხისმგებლობის შეწყვეტას ბენეფიციარის მიმართ არ იწვევს.[585] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა,[586] რომ საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას გამოარჩევს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან. საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ და უპირობო ვალდებულებას. საბანკო გარანტიის ზემოაღნიშნული თავისებურება ასახულია სსკ-ის 881-ე მუხლში, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. ბენეფიციარის წინაშე გარანტის ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის გამოხატულება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად კანონმდებელი ორ ძირითად შემთხვევას განიხილავს, კერძოდ: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. ცხადია, დასახელებულ პირობათაგან არც ერთს არა აქვს კავშირი ძირითად ვალდებულებასთან. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორიცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა

[585] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის N781-996-08 გადაწყვეტილება.

[586] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 სექტემბერის Nას-749-709-2015 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 4 მაისის №ას-161-151-2015 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 ივნისის №ას-492-460-2017 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 თებერვლის №ას-1038-999-2016 გადაწყვეტილება.

დაკმაყოფილებას ექვემდებარება სსკ-ის 887-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.[587]

სსკ ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს ამომწურავად ითვალისწინებს. ვალდებულება წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით, დეპონირებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატიებით და აშ. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულება შეიძლება შეწყდეს საგარანტიო თანხის პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის გადახდით. ვალდებულების შესრულების, ბათილობით ან შეწყვეტის მიუხედავად გარანტის პასუხიმგებლობის არსებობას გარანტიისა და თავდებობის გამიჯვნის საფუძვლად მიიჩნევენ.[588]ამ საფუძვლების არსებობის შემთხვევაში განმეობითი მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს, როცა ბენეფიციარის ქმედება არ არის არამართლზომიერი, იგი კეთილსინდისიერია მოთხოვნის განხორციელების დროს და არ არის ინფორმირებული ამ საფუძვლების არსებობის შესახებ.

განმეორებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულების შესახებ ჩანაწერი ახალისებს ბენეფიციარს გარანტისაგან სრულად მოითხოვოს საგარანტიო თანხის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპალის მიმართ მოთხოვნის მატერიალური საფუძველი არ არსებობს. ბენეფიციარის მიერ გარანტისაგან გადახდის მოთხოვნა მაშინ, როდესაც პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულება შესრულებულია, განხილული უნდა იქნეს როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. სსკ საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად არამართლზომიერ მოთხოვნას არ ითვალისწინებს, თუმცა ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეთა მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას კრძალავს.

17. არამართლზომიერი მოთხოვნა, საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი

საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის დამოუკიდებელი ბუნება მის დადებით მხარედ ითვლება. ვინაიდან, კრედიტორი სწრაფად ახდენს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, გარანტიას ხშირად მოიხსენებენ, როგორც კომერციული ურთიერთობების „სისხლს“ და მიიჩნევა, რომ ისინი ისეთივე კარგია, როგორც ნაღდი ფული. გარანტის ვალდებულება თანხის გადახდის შესახებ არ არის დაკავშირებული კლიენტის ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი

[587] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 ივნისის №ას-492-460-2017 გადაწყვეტილება.

[588] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 226.

ვალდებულების შესრულებასთან.[589] დამოუკიდებლობის პრინციპის მიუხედავად, გარანტს უფლება აქვს უარის თქვას თუ მოთხოვნა არის არამართლზომიერი.[590]

არამართლზომიერი მოთხოვნა საბანკო გარანტიის და აკრედიტივის დამოუკიდებელი ბუნების საერთაშორისოდ აღიარებული გამონაკლისია.[591] სასამართლო ვალდებულია ჩაერიოს და გამოიკვლიოს ყველა არსებითი სახის გარემოება, რაც არამართლზომიერების საფუძვლით გარანტის მიერ ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.[592]

17.1 არამართლზომიერი მოთხოვნის არსი

არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებისას გარანტს ეკისრება დიდი როლი, რათა მოახდინოს მოთხოვნის ზუსტი და სწორი მართვა. მან უარი უნდა განაცხადოს ასეთი სახის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. არამართლზომიერი მოთხოვნა ინგლისურენოვან ლიტერატურაში მოხსენიებულია, როგორც „Fraud", რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „თაღლითობა", „მოტყუება", „სიყალბე", „სიცრუე". ამ ტერმინთა პირდაპირი მნიშვნელობა ნაკლებად შეიძლება გამოვიყენოთ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს თაღლითობას, როგორც „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით."[593] ჩამოთვლილი მნიშვნელობიდან არც ერთი არ შეესაბამება ბენეფიციარის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად წარმოდგენილი მოთხოვნის შინაარსს, რომელიც საბანკო გარანტიის თანხის გამოთხოვისაკენ არის მიმართული.

ტერმინი „Fraud" სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად განიმარტება. საერთაშორისო პრაქტიკაში ბენეფიციარის მხრიდან ამგვარ მოთხოვნად მიიჩნევენ შემდეგ შემთხვევებს:

ა) თუ ბენეფიციარმა იცის ან ადვილად შეუძლია გაარკვიოს, რომ ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები არ წარმოშობილა (მაგ.,

[589] Klark G., "As good and Cash?" Injuring Calls on Letters of Credit and Performance Guarantees", 2006, 14.

[590]ეს ტერმინი ინგლისურენოვან ლიტერატურაში იწოდება, როგორც „Fraud". სიტყვასიტყვითი თარგმნით იგი ქართულად ითარგმნება, როგორც თაღლითობა, მოტყუება, გაყალბებული, არანამდვილი.

[591]Enchant N., the Autonomy Principle of Letters of Credit: an Illegality Expectation? 2006, 405.

[592]Pugh-Thomas A., Letters of Credit – Injections- the purist and the pragmatist: Can a buyer bypass the guarantee and stop the seller from demanding payment from guarantor? 1996, 210.

[593]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი, საქართველოს კანონი N2287, 22/07/1999.

პრინციპალის ბრალით ძირითადი ვალდებულების დარღვევა, ზიანის დადგომა და აშ.);

ბ) თუ ბენეფიციარმა იცის ან ადვილად შეუძლია გაარკვიოს, რომ ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები დადგა, მაგრამ ის არაარსებითია (მაგ., ვალდებულების დარღვევა არაარსებითია, ზიანის მოცულობა ნაკლებია და აშ.);

გ) თუ ბენეფიციარმა იცის ან ადვილად შეუძლია გაარკვიოს, რომ ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები დადგა, მაგრამ მასზე პრინციპალი პასუხს არ აგებს (მაგ., პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ბენეფიციარის ბრალით ან პრინციპალის ბრალის გარეშე);

დ) თუ ბენეფიციარმა იცის ან ადვილად შეუძლია გაარკვიოს, რომ საგარანტიო მოთხოვნაში დასახელებული ფაქტი არანამდვილია ან თანდართული დოკუმენტაცია გაყალბებულია.[594]

ამ განმარტებების განზოგადების შედეგად ცხადია, რომ ტერმინი "Fraud"-ი არ შეიძლება თაღლითობის მნიშვნელობით იქნეს გამოყენებული. ნაშრომში გამოყენებული "Fraud"-ილი ქმედებით წარმომდგარი მოთხოვნის მიმართ გამოყენებული იქნება ტერმინი არამართლზომიერი.

არამართლზომიერ მოთხოვნად მიიჩნევა 1) ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის განხორციელებამდე შესაბამისი დოკუმენტაციის გაყალბება (არამართლზომიერი მოთხოვნა ვიწრო გაგებით) და ბენეფიციარის მიერ ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე განზრახ არამართლზომიერი ქმედება. მაგ. ნაკლიანი ნივთის გაგზავნა (არამართლზომიერი მოთხოვნა ფართო გაგებით).[595]

სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მონაწილე გარანტი ვალდებულია დაინახოს და შეაფასოს წარდგენილი დოკუმენტაციის მიღმა არსებული ფაქტობრივი გარემოებები და არამართლზომიერების აღმოჩენის შემდგომ უარი თქვას თანხის გადახდაზე.

არამართლზომიერ მოთხოვნად აღიარებისათვის სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს გარე მტკიცებულებას, რომელიც აკრედიტივის/გარანტიის პირობების მიღმა არსებობს. აღნიშნული პრინციპი მიჩნეულია ყველაზე „საკამათო და არეულ საკითხად".[596] ვინაიდან, შეიძლება მან შეზღუდოს დოკუმენტურობის პრინციპი.

[594]გ, ფოფხაძე., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 42.
[595]Kelly-low M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 165.
[596]UNION A., Fraud in the Transaction": Enjoining Letters of Credit during the Iranian Revolution. 1980. 93.

17.2. არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის მიზეზები

არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის სამი ძირითადი მიზეზი გამოიყოფა: 1) უნდა მოხდეს კანონის ვაკუუმის ამოფხვრა; 2) დაცული იქნეს საჯარო წესრიგი; 3) გაიზარდოს აკრედიტივის/გარანტიის გამოყენება.[597]

17.2.1. ვაკუუმის აღმოფხვრის მიზანი

არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის პრინციპის ერთი-ერთი მიზანი კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაა. მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება კანონმდებლობაში იშვიათი. შესაბამისად, მისი განმარტება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულად უნდა მოხდეს ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.

ავტონომიურობის პრინციპი ავალდებულებს გარანტს გადაიხადოს თანხა და მართლზომიერად გადახდილი თანხის რეგრესის წესით დაბრუნება მოითხოვოს პრინციპალისაგან. გარანტი ვალდებულია გულისხმიერად შეამოწმოს მოთხოვნა და დარწმუნდეს, რომ მოთხოვნა შესაბამისია გარანტიის/აკრედიტივის პირობებთან. დოკუმენტური ბუნების გამო, ბენეფიციარი არ არის ვალდებული ადასტუროს მის მიერ ვალდებულების შესრულება.[598] მას მხოლოდ ეკისრება პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენა.

დამოუკიდებლობის პრინციპი სამოქმედო სივრცეს უტოვებს არაკეთილსინდისიერ ბენეფიციარს, რათა მან საკუთარი უფლება ბოროტად გამოიყენოს. ბენეფიციარს შეუძლია ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე მოითხოვოს თანხის გადახდა ან სხვაგვარად განახორციელოს არამართლზომიერი მოთხოვნა. თუმცა აღნიშნული პრინციპი ზღუდავს მისი უფლებამოსილების სივრცეს და თანხის მიღების შესაძლებლობას. არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფით შეუძლებელია ამგვარი მოთხოვნის წარდგენის პრევენცია, თუმცა შესაძლებელია მათი რაოდენობის შემცირება.[599]

17.2.2. საჯარო წესრიგი, როგორც არამართლზომიერი მოთხოვნის კონტროლი

[597]Buckley R. P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 664,

[598]GUID X., The Fraud Rule under the UN Convention on Independent Guarantees and Standby Letters of Credit: A Significant Contribution from an International Perspective, 2010, 9.

[599] Buckley R. P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 664,

არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესების განვითარება საჯარო წესრიგის იმპერატიული ნორმების არსებობამ განაპირობა.[600] არაკეთილსინდისიერი ბენეფიციარი არ შეიძლება დაეყრდნოს ავტონომიურობის პრინციპს და მოითხოვოს გადახდა ყალბი ან ფალსიფიცირებული დოკუმენტაციის საფუძველზე.[601]

ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეზე United City Merchants v. Royal Bank of Canada[602] სასამართლომ მიუთითა, რომ Ex Turpi Causa non Oritur[603] პრინციპზე დაყრდნობით არ შეიძლება არაკეთილსინდისიერ მხარეს არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების ნება დაერთოს. არამართლზომიერი მოთხოვნა დადგენილი გამონაკლისია და დადასტურებულია, რომ „სიყალბე ათავისუფლებს ყველაფერს.“[604]

17.2.3. აკრედიტივისა და გარანტიების გამოყენების წახალისება

აკრედიტივის გამოყენების მიზანი ბენეფიციარის მოთხოვნის გარანტირებულად დაკმაყოფილებაა, თუმცა, იგი იცავს განმცხადებლის ინტერესს უარი ეთქვას არამართლზომიერ მოთხოვნას. საბანკო გარანტია გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ დადგა გარანტიის პირობებით განსაზღვრული რისკი. გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა უზრუნველყოფილია პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი დაარღვევს ძირითად ვალდებულებას. ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნა აზიანებს პრინციპალისა და გარანტის ინტერესებს. პრინციპალს შეუძლია უარი თქვას არამართლზომიერი მოთხოვნისას გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურებაზე.[605]

არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესების არსებობა უმეტესად პრინციპალის ინტერესების დაცვას ემსახურება. მათი არსებობით ურთიერთობის სუსტი მხარისათვის გარანტირებულია დაცვის მინიმალური სტანდარტი.[606]

---

[600] Karkalla M.Sc., Letters of Credit and Bank Guarantees under International Trade law, 2008. 181.

[601] Enonchong E., the Autonomy principle of the letter of Credit: an illegality exception? 2006, 405.

[602] მიღებულია ინგლისის სააპელაციო პალატის მიერ 1983 წელს.

[603] აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, დაუშვებელია სამართლებრივი მოქმედების განხორციელება მეორე მხარის მიერ არამართლზომიერი ქმედების საფუძველზე.

[604] Fraud Unravels all.

[605] Kelly-Louw M., Selective legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 172.

[606] Buckley R. P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 23, Iss. 4 [2014], Art. 2, 667.

ამგვარი წესების არარსებობა გამოიწვევდა საგარანტიო ურთიერთობებში პრინციპალის ინტერესების დაცვის გარეშე დატოვებას.[607]

სასამართლო ვალდებულია მოახდინოს მხარეთა ინტერესების ბალანსი საგარანტიო ურთიერთობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი შედეგი. ბალანსის დაცვა მიიღწევა სწორედ არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფით. ამგვარი გამონაკლისის არსებობა დამყარებულია Fraut Omnia Corrumpit[608] პრინციპზე. ბანკის ვალდებულება თანხის გადახდასთან დაკავშირებით არ არსებობს, თუ მოთხოვნა არამართლზომიერია. მოთხოვნის საფუძვლის გარეშე წარმოდგენა ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებაა.[609]

18. არამართლზომიერი მოთხოვნების საქმეთა ისტორიული განვითარება

გარანტიისა და აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპის ზოგადი წესის შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავა არ არის დაკავშირებული ბანკის მიერ შესასრულებელ ვალდებულებასთან. არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი, როცა კრედიტორის მიერ წარდგენილი მოთხოვნა ემყარება ყალბ გარემოებებს და გარანტი ინფორმირებულია ამის შესახებ.[610]

არამართლზომიერი მოთხოვნა პირველად 1765 წელს ინგლისში მიღებულ გადაწყვეტილებაში იქნა მოხსენიებული. Pillans and Rose v. Van Mierop and Hopkins[611] საქმეში დავა ეხებოდა აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნას. სასამართლომ განმარტა, „თუ სახელშეკრულებო ურთიერთობისას არსებობს „სიყალბე“ და არაკეთილსინდისიერება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების/აკრედიტივის გაუქმება. მაგრამ ამ შემთვევაში ცხადია, რომ არც ერთს ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნული დავა ორი საუკუნის წინ იქნა განხილული, როდესაც აკრედიტივი განვითარების ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდა. დავა ეხებოდა ძირითადი ვალდებულების შესრულებას და არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებული პრინციპების ამომწურავი განხილვა ამ საქმეში არ მომხდარა.

---

[607]Kozolchyk B., the Immunization of Fraudulently Procured Letter of Credit Acceptances: All Services Exportacao, Importacao Comercio, S.A. v. Banco Bamerindus do Brazil S.A. and First Commercial v. Gotham Originals, 1992-1993, 370.

[608] „სიყალბე ხრწნის/აფუჭებს ყველაფერს“. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, სიყალბე აუქმებს ყველა სამართლებრივ გადაწყვეტილებას.

[609] Valipoori H, Effective Fraud in the Documentary Transactions, MAGNT Research Report (ISSN. 1444-8939) 2015, 5.

[610] Connerty A., Fraud and Documentaty Credits: The approaches of the English courts. 4.

[611] 97 Eng. Rep. 10351, 1765.

თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ არამართლზომიერი ქმედება არ შეიძლება დაცული იქნეს კანონით. ამ საქმეში პირველად გამოჩნდა აკრედიტივთან დაკავშირებული არამართლზომიერი წესების უარყოფის მარცვალი.[612]

სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში აკრედიტივის გამოყენების რიცხვი გასული საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ გაიზარდა. ამ პერიოდიდან იწყება დავების სიმრავლე. 1919 წელს აშშ-ში მიღებული გადაწყვეტილებით Higgins v. Steinhardter.[613] მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი აკრძალვა აკრედიტივიდან გამომდინარე თანხის გადახდასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა. სასამართლომ განმარტა, რომ აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა უნდა მომხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ტრანსპორტირება მოხდება არაუგვიანეს 07 ნოემბრისა. აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნა ვადის გასვლის გამო გაუქმდა. სასამართლოს, არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის შეფასება ამ გადაწყვეტილებაში, არ მოუხდენია, თუმცა მიუთითა, „გადახდა ზედნადებში მითითებული ყალბი ინფორმაციის საფუძველზე არამართლზომიერია. მან უარყო აკრედიტივის გამცემის არგუმენტი „უდანაშაულო“ მესამე პირის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც თანამედროვე პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.[614]

არამართლზომიერი მოთხოვნის შესახებ განმარტებები ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში 1920 წლიდან გაჩნდა, როდესაც რამდენიმე გადაწყვეტილებაში იგი გამონაკლისად იქნა მიჩნეული. Societe metallurgie d' aubrives and villerrups v. british bank for foreign Trade-ის[615] საქმეში სასამართლომ ნასყიდობის ხელშეკრულების ნაკლის გამო მოთხოვნის სიყალბეზე მიუთითა. მყიდველის მიერ სიყალბის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულების

---

[612] R. P. Buckley, X. Gao, The Development of the Fraud Rule in the Letter of Credit Law: the journalney so far and the road ahead, Vol. 23, Iss. 4, 2014. 668.

[613] 175 N.Y.S. 279 (1919). მოსარჩელის მიერ აკრედიტივი გამოყენებულ იქნა საქონლის გემით ტრანსპორტირების საფასურის გადასახდელად. შეთანხმების შესაბამისად, საქონლის ტრასპორტირება უნდა მომხდარიყო 1918 წლის 7 ნოემბრამდე. მოსარჩელემ მიმართა ბენეფიციარს და მოითხოვა აკრედიტივიდან გამომდინარე თანხის გადახდაზე უარის თქმა. ვინაიდან, დარღვეული იქნა ვადა და საქონლის მიწოდება არ განხორციელდა 1918 წლის დეკემბრამდე. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ გამყიდველმა გააყალბა სასაქონლო ზედნადები, სადაც მითითებული იყო, რომ ტრანსპორტირება დასრულდებოდა 1918 წლის 30 ოქტომბერს.

[614] R. P. Buckley, X. Gao, იგივე, 671.

[615] N11 Lloyd's List L. Rep. 168 K.B. 1922. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საზღაური უნდა გადახდილიყო აკრედიტივის მეშვეობით. მოპასუხემ/აკრედიტივის გამცემმა გადაიხადა ფასი პირველივე მოთხოვნისთანავე, თუმცა მას შემდგომ, რაც მყიდველმა შეატყობინა და წარუდგინა დოკუმენტაცია ნასყიდობის საგნის ნაკლთან დაკავშირებით. გამყიდველმა ზიანის ანაზღაურებით მიმართა ბანკს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლის შესახებ წარდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი სასამართლომ დავა გამყიდველის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

წარდგენის მიუხედავად ბანკმა მაინც გადაიხადა თანხა. ყალბი მოთხოვნის შემთხვევაში ბანკის უარი თანხის გადახდაზე იქნებოდა კანონიერი.[616]

ამ საქმისაგან განსხვავებით Old colomy trust Co v. Lawyers's title and Trust Co[617] საქმეში სასამართლომ დოკუმენტაციის ხარვეზი არ მიიჩნია პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად. თუმცა მიუთითა, რომ გაყალბებული დოკუმენტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აკრედიტივისათვის შესაბამის დოკუმენტად.[618]

გასული საუკუნის 1970-80-იან წლებში არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების რიცხვი გაიზარდა, რომელიც ეხებოდა საბანკო გარანტიებიდან და დოკუმენტური აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

ინგლისის სასამართლომ მიიღო არაერთი საინტერესო გადაწყვეტილება.[619] მათ შორის Edward owen Engineering limited v. Barclays bank international limited,[620] სადაც სასამართლომ საბანკო გარანტია შეადარა დოკუმენტურ აკრედიტივს და მიუთითა Sztejn v. J Henry Schorlder Banking Corporation-ის გადაწყვეტილებაზე. „ბანკი ვალდებული არ არის გადაიხადოს თანხა თუ მისთვის ცნობილია, რომ დოკუმენტაცია გაყალბებულია ან მოთხოვნა თანხის გადახდასთან დაკავშირებით ემყარება არასწორ გარემოებებს." ბანკი უნდა დარწმუნდეს რომ მოთხოვნა პირობების შესაბამისადაა წარდგენილი. თუმცა არ არის ვალდებული იკვლიოს მოთხოვნის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ან პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი. ბანკი ვალდებულია

---

[616] Buckley R. P., Gao X, The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 671.

[617] 279 U.S. 716, 1929.

[618] Buckley R. P., Gao X, The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 673.

[619] R D Harbottle (Mercantile) Ltd v. National Wesmistes Bank (1978), Discount Records Limited v. Barclayes Bank Limited (1975).

[620]ინგლისის სააპელაციო სასამართლოს 1978 წლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის ძირითადი პრინციპები ახსნა და მას „locus classicus" უწოდა. Edward owen სახელშეკრულებო ურთიერთობაში იყოს ლიბიის აგრარული განვითარების საბჭოსთან და ლიბიაში უნდა აეშენებინა რამდენიმე დიდი სათბური. ლიბიურმა მხარემ მოითხოვა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენა, რომელიც უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით. გარანტია გაიცა ლიბიის ბანკის მიერ, რომელმაც მითითება მიიღო Barcly Bank-საგან ლიბიური მხარის სასარგებლოდ გაეცა გარანტია. გარანტიის პირობის შესაბამისად, გარანტმა იკისრა ვალდებულება გადაეხადა თანხა ყოველგვარი დასაბუთებისა და პირობის გარეშე. ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, ლიბიურ მხარეს უნდა გაეხსნა დოკუმენტური აკრედიტივი შემსრულებლის სასარგებლოდ, რომელიც შესრულებული იქნა, თუმცა იგი არ იყო დადასტურებული ხელშეკრულების შესაბამისად. მხარეთა შორის რამდენიმე თვიანი უშედეგო მოლაპარაკების შემდგომ ლიბიურმა მხარემ საგარანტიო მოთხოვნა წარადგინა და მოითხოვა გარანტიის თანხის გადახდა.

მოახდინოს თანხის გადახდა, თუმცა მხოლოდ ერთი გამონაკლისი არსებობს, როდესაც ცხადად დასტურდება, რომ მოთხოვნა არამართლზომიერია და ბანკი ინფორმირებულია ამის შესახებ.

არამართლზომიერი მოთხოვნა გარანტის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია. მოთხოვნასა და თანდართულ მასალებზე აუცილებელია სიზუსტით აღინიშნოს ყველა არსებითი ხასიათის ინფორმაცია. საქმეში United City Merchants Ltd and Glas Fibres and Equipments Ltd v. Royal bank of Canada, Vitrorefuerzos SA and Banco Contitental SA[621] გამყიდველმა პერუელ მყიდველს მიჰყიდა საქონელი. მხარეები შეთანხმდნენ აკრედიტივის გამოყენებაზე, რომელიც გაცემული იყო პერუს, ხოლო დამოწმებული იყოს კანადის სამეფო ბანკის მიერ. საქონელი გემზე ჩაიტვირთა 1976 წლის 16 დეკემბერს აკრედიტივის ვადის გასვლის მეორე დღეს. გადამზიდავის ბროკერმა (მესამე პირი), ზედნადებში ჩატვირთვის დღედ მიუთითა სხვა თარიღი (აკრედიტივის მოქმედების ვადა). ბანკმა უარი თქვა დოკუმენტაციის წარდგენაზე და გამყიდველმა მიმართა სასამართლოს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. მან განმარტა, რომ არამართლზომიერი მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს Ex Turpi Causa non Oritur პრინციპთან მიმართებით, რაც არაკეთილსინდისიერი მხარის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა. ამ შემთხვევაში დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაციის აღნიშვნა ბენეფიციარს არ მოუხდენია, არამედ მესამე პირმა, რომელიც არ იყო ხელშეკრულების მხარე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა კანონიერად ცნო. სააპელაციო პალატამ გამოიყენა "Half-way House" პოზიცია და განმარტა აკრედიტივის დამოუკიდებელი ბუნება და არამართლზომიერება, როგორც გამონაკლისი. „დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების კომერციული მიზეზი არის გამყიდველის დარწმუნება, რომ მხარეთა შორის არსებული დავა ძირითადი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე არ იქნება თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძველი. დამოუკიდებლობის პრინციპს გააჩნია გამონაკლისი, როდესაც გამყიდველი წარადგენს არამართლზომიერ მოთხოვნას... „არამართლზომიერება ათავისუფლებს ყველაფერს"...[622]

მოსამართლე ლორდმა დიპლოკმა, არამართლზომიერება გამონაკლისად მიიჩნია, თუმცა დასძინა, არამართლზომიერი ქმედება განხორციელებული უნდა იყოს გამყიდველის (ბენეფიციარი) მიერ. გამყიდველი პასუხს ვერ აგებს მესამე პირის მიერ ჩადენილი არამართლზომიერ ქმედებისათვის. თუ დოკუმენტაცია

[621]ინგლისის ლორდთა პალატის 1982 წლის გადაწყვეტილება 2 AII ER 720. ბანკთან წარდგენილი დოკუმენტური აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნა შეიცავდა ტექნიკურ შეცდომას. კერძოდ, საქონლის ჩატვირთვის თარიღად 1976 წლის 16 დეკემბრის ნაცვლად მითითებული იყო 15 დეკემბერი. (აკრედიტივის ბოლო ვადა). საქონლის ჩატვირთვა განხორციელდა 16 დეკემბერს.
[622] Froud Unravels all.

გაუქმებული/ანულირებული იქნება სიყალბის გამო, ბანკი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადახდა, თუ დოკუმენტაციის გაყალბება ბენეფიციარს/მყიდველს არ მოუხდენია და იგი მოქმედებდა კეთილსინდისიერად.[623]

19. არამართლზომიერი მოთხოვნები სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს მაგალითზე

19.1 არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესები ინგლისის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

აკრედიტივისათვის დადგენილი არამართლზომიერი მოთხოვნასთან დაკავშირებული პრაქტიკა სასამართლოს მიერ გავრცელდა გარანტიების მიმართ. საქმეში Howe Richadrson Co Ltd v. Polimes-cekop and National Wesmister Band Ltd,[624] სასამართლომ საბანკო გარანტიებთან მიმართებით არამართლზომიერი მოთხოვნა გამონაკლისად მიიჩნია. „გამოუთხოვადი აკრედიტივის მსგავსი პოზიცია უნდა გააჩნდეს ბანკს გარანტიების მიმართ. გარანტს ეკისრება ვალდებულების შესრულება სპეციფიკური ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელიც არ არის დამოკიდებული ძირითადი ხელშეკრულების სუბიექტების მიერ ვალდებულების შესრულებაზე. ბანკი უნდა დარწმუნდეს, რომ დადგა ის მოვლენა, რომელიც მის მიერ ვალდებულების შესრულების წინაპირობაა.“[625]

საქმეში “Intraco Ltd v notis Shipping Corporation” (The Bhoja Trader) სასამართლომ აკრედიტივი და საბანკო გარანტია კომერციული ურთიერთობის „სისხლად“ მოიხსენია და განმარტა, რომ ამ ურთიერთობაში სასამართლოს დაუსაბუთებელმა ჩარევამ, არამართლზომიერი მოთხოვნის გარდა, შესაძლებელია გამოიწვიოს ამ ურთიერთობის თრომბოზი.“[626]

ინგლისის სასამართლოს არამართლზომიერი მოთხოვნის მიმართ საკმაოდ მკაცრი მიდგომა კიდევ ერთხელ განმეორდა გადაწყვეტილებაში Bolivinter Oil Sa V. Chase Menhatten Bank Commercial Bank of Syria and General Company of homes Refinery.[627] მოსარჩელის მიმართვის საფუძველზე გამოყენებულ იქნა სარჩელის

---

[623] Kelly – Louw M., Selective legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 190.

[624] 1978 წელი

[625] Kelly – Louw M, Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 190.

[626] 1981 2 LIoyd’s Rep 256 (CA) 257.

[627] საქმის გარემოებების შესაბამისად, მოსარჩელეს (Bolivinter oil) სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით ბენეფიციართან (Homs) უნდა წარედგინა შესრულების გარანტია. გარანტიის მისაღებად მოსარჩელემ Chase Manhattan Bank ("Chase") გახსნა აკრედიტივი და განათავსა ფულადი სახსრები. ამ უკანასკნელმა Commercial Bank of Syria ("CBS") ის სასარგებლოდ გასცა აკრედიტივის მოცულობის კონტრგარანტია, რომლის შემდგომ ამ

უზრუნველყოფის ღონისძიება და სასამართლომ აუკრძალა: 1) ბენეფიციარს მიემართა (სარჩელით) გარანტისათვის ან აკრედიტივის მომსახურე ბანკისათვის თანხის გადახდის მოთხოვნით; 2) აეკრძალა მოპასუხეს აკრედიტივიდან გამომდინარე თანხის გადახდა.

მოგვიანებით ზეპირი მოსმენის შემდგომ ბანკისა და გარანტის მიმართ შეზღუდვა მოიხსნა, თუმცა ბენეფიციარის მიმართ დარჩა უცვლელი.[628] სასამართლომ მიუთითა, რომ პრინციპალის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გარანტისათვის თანხის გადახდის აკრძალვის შესახებ, გამოყენებული უნდა იყოს გამონაკლის შემთხვევებში. თუ პრინციპალი ამ ღონისძიების გამოყენებას ხშირად მოახდენს, ამას შეუძლია დააზარალოს ბანკის ყველაზე დიდი აქტივი, მისი ფინანსური და სახელშეკრულებო რეპუტაცია. ასეთი ღონისძიების ხშირად გამოყენებამ შესაძლებელია გამოუთხოვადი აკრედიტივისა და საბანკო გარანტიების ღირებულება დააზარალოს.[629] უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ დადასტურდა, რომ ბანკმა იცის განხორციელებული ან მოსალოდნელი მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ და მტკიცებულება უნდა იყოს ზუსტი და დასტურდებოდეს: 1) არამართლზომიერი მოთხოვნის არსებობა; 2) ამის შესახებ მონაწილეთა (ბენეფიციარი და ბანკი) ინფორმირებულობის ფაქტი. [630]

ეს გადაწყვეტილება პრეცედენტული მნიშვნელობისაა. ეს განმარტება არაერთხელ იქნა გამოყენებული[631] არამართლზომიერ მოთხოვნასთან მიმართებით. ინგლისის სასამართლომ საკმაოდ მკაცრი მიდგომა ჩამოაყალიბა, რომელიც გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თავს არიდებდა ჩარეულიყო ბანკის აბსოლუტურ და უპირობო ვალდებულებაში.[632]

უკანასკნელმა ბენეფიციარის სასარგებლოდ გასცა გარანტია. მხარეთა შორის დავების შემდეგ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ბენეფიციარი მოახდენდა გარანტიის გათავისუფლებას, როდესაც მოსარჩელის კუთვნილი ნავთობის ხომალდი შევიდოდა სირიაში. მოსარჩელემ აცნობა გარანტიის გათავისუფლების შესახებ მომსახურე ბანკს Chase-ს, რომელმაც დადასტურებისათვის მიმართა გარანტს. ამ უკანასკნელმა კი აცნობა, რომ ბენეფიციარმა მოახდინა მოთხოვნის წარდგენა.

[628] 1984 1 LIoyd's Rep. 254.

[629] 1984 1 LIoyd's Rep. 257.

[630] O'Driscoll P. S., Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, Northwestern Journal of International Law & Business, 1985, 390.

[631]Deutsche Ruckversirung an v Walbrook Inruance Co Ltd and others (1994) 381 LMLN 4, Group Josi Re v. Walbrook Insurance Co ltd and Others (1994) 4 ALL ER 181 (QBD), Group Josi Re v. Walbrook Insurance Co ltd and Others (1996) 1 LIoyd's Rep 345 (CA) 1996, Czarnikow- Rionda Sugar Trading Inc v. Standard Bans London Ltd and Others (1999) 2 LIoyd's Rep 187, Balfour Beatty Civil Engineerign v Technical and General Guarantee Co Ltd (2000) 68 Con LR 180 (2000), CLC 252, CILL 1574.

[632] Kelly -Louw M., Selective Legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 192.

არამართლზომიერი წესების მიმართ მოქმედი საკმაოდ მკაცრი მიდგომა სასამართლოს მიერ შემსუბუქებულ იქნა Potton Homes Ltd. v. Coleman Contractors Ltd[633] გადაწყვეტილებაში.

მოსარჩელემ მოითხოვა უზრუნველყოფის სახით ბენეფიციარებისათვის თანხის მოთხოვნის უფლების აკრძალვა. სასამართლომ მიუთითა, რომ მას არ ჰქონდა უფლება ბენეფიციარებისათვის აეკრძალა თანხის მოთხოვნის უფლება, თუმცა მიიღო გადაწყვეტილება დავის დასრულებამდე მოეხდინა თანხის განთავსება ერთობლივ ანგარიშზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის შემთხვევა, როდესაც სასამართლო უფლებამოსილია ჩაერიოს მხარეთა ურთიერთობაში და აუკრძალოს ბენეფიციარს მოთხოვნის განხორციელება,[634] თუ გამყიდველი ხელშეკრულების შესრულებას არიდებს თავს, ეს სასამართლოს უჩენს უფლებას მყიდველს აუკრძალოს გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე უარს ამბობს უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებაზე ან არღვევს მას, გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ჰქონდეს მეორე მხარეს ამგვარი მექანიზმის გამოყენების უფლება. მოსამართლე ეველეინ ლჰ განმარტა, რომ თუ პრინციპალი დაადასტურებს, რომ ძირითადი ვალდებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მაშინ მიიჩნევა, რომ შესრულების გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა არამართლზომიერია.[635] თუმცა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გარემოებების მტკიცების ტვირთს. მოსამართლემ ამ საქმეში მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული გარემოებები, რომელიც მოთხოვნის არამართლზომიერებას დაადასტურებდა.[636] შესაბამისად, სასამართლომ გააუქმა თანხის გადახდის მოთხოვნის აკრძალვა.

არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოს ჩაურევლობის მკაცრი მიდგომის მიუხედავად, სასამართლომ ამგვარი მოთხოვნა გამონაკლისად კიდევ რამდენიმე საქმეში მიიჩნია.[637]

საბოლოოდ სასამართლო პრაქტიკით დადგინდა, რომ არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფისათვის აუცილებელია: ა)

---

[633](1984) 28 BLR 19 (CA). ძირითადი ვალდებულების სუბიექტები იყვნენ ინგლისური კომპანიები. მოსარჩელეს მოპასუხე მხარე უნდა მოემარაგებინა გემების მშენებლობის მიზნით ნახევარფაბრიკატი ნაწილებით ლიბიაში. მიმწოდებელმა გადასცა შესრულების გარანტია ორივე მოპასუხეს. მხარეთა შორის დავა წარმოიშვა შესრულებული სამუშაოს ხარვეზის აღმოჩენის შემდგომ. მოპასუხეებმა მოითხოვეს შესრულების გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდა, მაგრამ მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, რათა სასამართლოს აეკრძალა მოპასუხეებისათვის მოთხოვნის განხორციელება.

[634] (1984) 28 BLR 19 (CA) 28.

[635] Kelly -Louw M., Selective Legal Aspects of Bank Guarantee, 2008, 193.

[636] O'Driscoll P. S., Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, Northwestern Journal of International Law & Business, 1985, 392.

[637] Themehelp Ltd v. West and others, 1996 QB 84, (CA), Kvaerner Jonh Browns v. Midland Bank PLC, 1998, CLC 446,

არამართლზომიერების დამადასტურებელი ზუსტი და ძლიერი მტკიცებულების არსებობა; ბ) ბანკისათვის არამართლზომიერების დამადასტურებელი მტკიცებულების გადაცემა; გ) ბანკის დროული ინფორმირება არამართლზომიერებასთან დაკავშირებით.[638] სამივე პირობის კუმულატიურად არსებობისას შესაძლებელია ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბანკის ინფორმირება უარის თქმის საფუძველთან დაკავშირებით აუცილებელია. „თუ ურთიერთობების ერთ-ერთ მონაწილეს სურს დაადასტუროს არამართლზომიერი მოთხოვნის არსებობა, მან მტკიცებულება უნდა წარადგინოს და დაელოდოს ბანკს სათანადოდ შეამოწმებს თუ არა მოთხოვნას და მტკიცებულებებს.... ბანკი არ ამოწმებს წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძვლებს ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევისას... წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ჩაანაცვლებდა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში... რა თქმა უნდა განსხვავებულია შემთხვევა თუ ბანკი დარწმუნდა, რომ ბენეფიციარს არ ჰქონდა მოთხოვნის უფლება..[639]

19.2. არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესები აშშ-ს მაგალითზე

არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირებისა და უარყოფის წესი აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარდა. არამართლზომიერი მოთხოვნის განმარტება თავდაპირველად სასამართლო გადაწყვეტილებებით ხდებოდა. მოგვიანებით არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის პირობები ერთიან კომერციულ კოდექსში აისახა.

არამართლზომიერი მოთხოვნის წესებთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება Sztejn v. J Henry Schorlder Banking Corporation[640] მიღებულ იქნა 1941 წელს ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს მიერ. დოკუმენტური აკრედიტივის განვითარების ისტორიაში ამ გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ვინაიდან მასში გამოყენებული განმარტებები ციტირებულ იქნა არა მარტო აშშ-ს, არამედ მთლიანად ანგლო-ამერიკული სამართლის სხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ.[641] მოსარჩელემ ხელშეკრულება დადო ინდურ კომპანიასთან ჯაგრისების მასალის შეძენასთან დაკავშირებით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის საფასური გადახდილი იქნებოდა აკრედიტივის მეშვეობით. მოსარჩელემ აკრედიტივის გახსნის მოთხოვნით მიმართა მოპასუხეს, რათა გამყიდველის სასარგებლოდ გაეხსნა აკრედიტივი.

[638]Connerty A., Fraud and Dpcumantary Credits: The approach of the English Courts.
[639] Turkiye Is Bankasi V. Bank of China 2 Liyod/s Reports 611, 1996.
[640] 31 N.Y.S.2d 631 (1941).
[641]Buckley R. P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 697.

გამყიდველმა 50 ყუთი ჩატვირთა ხომალდზე და დოკუმენტაცია წარადგინა მომსახურე ბანკში თანხის მისაღებად. მყიდველმა მოთხოვნა წარუდგინა აკრედიტივის გამხსნელ ბანკს მოთხოვნის არამართლზომიერებასთან დაკავშირებით. თანხის გადახდამდე მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს ბანკისათვის თანხის გადახდის აკრძალვის გამოყენების მოთხოვნით. მოსარჩელის მითითებით ჩატვირთული ყუთები სავსე იყო ნაგავითა და სხვა მასალით, რითაც გამყიდველმა მოახდინა ვალდებულების შესრულების სიმულაცია.[642]

მოსარჩელე ადასტურებდა, რომ ბანკისათვის ცნობილი იყო ვალდებულების დარღვევის შესახებ. ბანკმა მიუთითა, რომ იგი ამოწმებდა მხოლოდ მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობას.

სასამართლო განხილვაზე, მოსამართლემ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ჩატვირთული საქონელი იყო უვარგისი გამოყენებისათვის. ამ გარემოებების შესაბამისად, სასამართლომ დაადასტურა, რომ აკრედიტივის მოთხოვნა იყო არამართლზომიერი. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ პირველად განმარტა დოკუმენტური აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპი. „დადგენილია, რომ აკრედიტივი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან. ბანკი აცხადებს თანხმობას გადაიხადოს თანხა, მასთან დოკუმენტაციის და არა საქონლის წარდგენის შემთხვევაში. აღნიშნული პრინციპი აკრედიტივის, როგორც საერთაშორისო სავაჭრო ინსტრუმენტის ეფექტურობის წინაპირობაა. აკრედიტივის გამოყენების უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს გამყიდველისათვის თანხის დაუყოვნებლივი მიღება. ეს იქნება არასასიამოვნო ჩარევა ბიზნეს ტრანზაქციაში თუ ბანკს თანხის გადახდამდე, ექნება ვალდებულება დოკუმენტაციის მიღმა შეამოწმოს ჩატვირთული საქონლის ხარისხი.“

დამოუკიდებლობის პრინციპი ითვალისწინებს, რომ მოთხოვნაზე დართული დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს... თუმცა აღნიშნულ შემთხვევა განსხვავებული იყო. დადასტურებულია, რომ გამყიდველმა განზრახ დაარღვია მყიდველის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატა უვარგისი საქონლის გადაცემაში. აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპი არ შეიძლება ისე ფართოდ იქნეს განმარტებული, რომ დაიცვას არაკეთილსინდისიერი გამყიდველი.“

სასამართლომ მიუთითა, რომ ბანკისათვის არ იქნება რთული იმ ვალდებულების დაკისრება, უარი განაცხადოს თანხის გადახდაზე, როცა მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ გაცხადებულია პრეტენზია, როცა საქონელი შეთანხმებულზე დაბალი ხარისხისაა ან სრულიად უვარგისია. ვინაიდან, მოთხოვნა და დოკუმენტაცია თავმოყრილია იმ პირთა ხელში,

[642] 31 N.Y.S.2d 631, Special Term 1941, 633.

რომლებიც ერთ პოზიციაზე დგანან. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აცნობეს არამართლზომიერი მოთხოვნის შესახებ. ბანკი არ შეიძლება მიჩნეულიყო კეთილსინდისიერ სუბიექტად, ვინაიდან, მან იცოდა მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ.

Sztejn საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება არის პრეცენდენტი არამართლზომიერი მოთხოვნის წესებთან დაკავშირებულ საქმეებზე. ამ გადაწყვეტილებამ სამი ძირითადი პრინციპი დაადგინა: 1) არამართლზომიერი მოთხოვნის შემთხვევაში თანხის გადახდა არ უნდა მოხდეს; 2) შემთხვევის რეგულირება უნდა შეწყდეს თუ დადასტურდა მოთხოვნის არამართლზომიერება; 3) მოთხოვნა უნდა განხორციელდეს აკრედიტივის პირობების შესაბამისად; 4) არამართლზომიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის მფლობელი კეთილსინდისიერია ამ ფაქტის მიმართ.[643]

Sztejn-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით არამართლზომიერი მოთხოვნის შესახებ სასამართლომ იმსჯელა ერთიანი კომერციული კოდექსის მე-5 თავში არამართლზომიერი მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმების მიღებამდე. UCC-ში არამართლზომიერი მოთხოვნის წესი 1964 წელს აისახა და უმეტესად გამოყენებულ იქნა 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ რევოლუციური მთავრობის მიერ განხორციელებულ მოთხოვნებზე წარმოებულ საქმეებში.[644]

19.3. არამართლზომიერი მოთხოვნა ერთიანი კომერციული კოდექსის შესაბამისად

ერთიანი კომერციული კოდექსის მე-5 სექციის 5-114 მუხლის პირვანდელი რედაქცია ითვალისწინებდა დოკუმენტური აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპს და არამართლზომიერ მოთხოვნას, როგორც ამ პრინციპიდან გამონაკლისს. დამოუკიდებლობის პრინციპის მიხედვით, ბანკი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის დაკმაყოფილება თუ მოთხოვნა შეესაბამება აკრედიტივის პირობებს. მიუხედავად იმისა, საქონელი და დოკუმენტები შეესაბამება თუ არა ძირითად ნასყიდობის ან მომხმარებელსა და ბენეფიციარს შორის არსებულ სხვა ხელშეკრულებას.

არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირების წესების ერთიან კომერციულ კოდექსში ასახვით: 1) პრინციპალისათვის შეიქმნა

[643] Buckley P. P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the Letter of Credit Law: The Journey so far and the road ahead, 2014, 681.

[644] James Casner A., Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses, Boston College Third World Law Journal, 1984, 239.

არაკეთილსინდისიერი ბენეფიციართაგან დაცვის მექანიზმი; 2) სასამართლოს უფლება მიეცა აუკრძალოს აკრედიტივის გამცემს თანხის გადახდა, თუ დადგინდა, რომ მოთხოვნა ან ძირითადი დოკუმენტი (მაგ. ინვოისი, ზედნადები, უფლებამოსილი პირის ხელმოწერა) ყალბია; ან გარიგების/ტრანზაქციის შესრულებისას არსებობს არამართლზომიერი მოქმედება; 2) აკრედიტივის გამცემს მიეცა უფლებამოსილება უარი განაცხადოს თანხის გადახდაზე, თუ შეიტყო მოთხოვნის, დოკუმენტის ან ბენეფიციარის მოქმედების არამართლზომიერების შესახებ.

პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი პრინციპების კოდიფიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პრაქტიკის ჰარმონიზაციისათვის და არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესების შემდგომი განვითარებისათვის.[645]

არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის რამდენიმე საფუძველი საკმაოდ არაზუსტი იყო. სასამართლოს უნდა განემარტა, როგორი მოთხოვნა ჩაითვლებოდა არამართლზომიერად და რას გულისხმობდა არაკეთილსინდისიერი ტრანზაქცია. მისი განმარტება სასამართლოს მიერ მოხდა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად.

არამართლზომიერი ტრანზაქციის განმარტებისას, სასამართლომ გამოიყენა Sec. & Exch. Com'n v. Capital Gains Research Bureau[646] გადაწყვეტილებაში გამოყენებული განმარტება. „არამართლზომიერება მოიცავს ყველა მოქმედებას, უმოქმედობას და დამალვას, რაც გულისხმობს სამართლებრივ ან სამართლიანი მოვალეობის, ნდობის ან რწმენის დარღვევას, რომელიც ვნებს სხვას ან რომლითაც უკანონო და არასამართლიანი უპირატესობა მიიღო სხვამ.“[647]

საქმეში Roman Ceramics Corporation v. Peoples Nationa Bank[648] არამართლზომიერ ტრანზაქციად იქნა მიჩნეული მოთხოვნა, რომელიც განხორციელდა ბენეფიციარის მიერ უკვე გადახდილი/შესრულებული ინვოისის საფუძველზე. საქმეში United Bank Limited v. Cambridge Sporting Goods[649] სასამართლომ განმარტა, რომ არამართლზომიერია მოთხოვნა, რომელიც ძირითადი ვალდებულების მართლზომიერად შეწყვეტის მიუხედავად წარმოიშვა.[650]

---

[645] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantees, 2008, 213.

[646] 375 U.S. 180, 194 (1963).

[647] Van der Vaart H.J., Standby Letters of Credit and the Problem of Bad Faith Calls, The Yale Journal of World Public Order, 1981, 48.

[648] 714 F 2d 1207 (3d Cir 1983);

[649] 41 N.Y.2d 254, 392 N.Y.S.2d 265, 360 N.E.2d 943 (1976).

[650] James Casner A., Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses, Boston College Third World Law Journal, 1984, 239.

19.4. არამართლზომიერი მოთხოვნა ირანის რევოლუციური მთავრობის მიერ წარდგენილი მოთხოვნების მაგალითზე

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სამშენებლო და სავაჭრო ურთიერთობებში გაიზარდა როგორც აკრედიტივის, ისე საბანკო გარანტიათა გამოყენება. აშშ-ში განხორციელებული საბანკო რეფორმის შემდგომ სიტყვა გარანტიის გამოყენება აიკრძალა. იგი ჩანაცვლდა რეზერვული აკრედიტივით.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მესამე ქვეყნებში სხვადასხვა სამშენებლო და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ დოკუმენტური და რეზერვული აკრედიტივების გამოყენების გაზრდა გამოიწვია. ხელშეკრულების მხარეებს მოთხოვნის დაკმაყოფილების დამატებითი უზრუნველყოფა ესაჭიროებოდათ.

ირანში განხორციელებული სამშენებლო პროექტებში უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული იყო რეზერვული აკრედიტივები. მათი ბენეფიციარი იყო ირანის სახელმწიფო, რომელთა სასარგებლოდაც აშშ-ში მოქმედი კომპანიები ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტს.

დაწყებული პროექტების მიმართ ირანის შაჰის პროამერიკული განწყობის შესაბამისად, აშშ-ში მოქმედი კომპანიების მიმართ წარდგენილი რეზერვული აკრედიტივებიდან გამომდინარე მოთხოვნა შეიძლება დადასტურებულიყო მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტით.

ირანის რევოლუციის შემდგომ ანტიამერიკული მთავრობის ხელში რეზერვული აკრედიტივი გადაიქცა ლეგიტიმურ, მაგრამ არამეგობრული სახელმწიფოს საწინააღმდეგო იარაღად.[651]

1979 წლის 14 ნოემბერს აშშ-ს პრეზიდენტის ჯიმ კარტერის ადმინისტრაციამ ირანის მთავრობასთან დაკავშირებულ ყველა პირს გაუყინა აშშ-ში კუთვნილი აქტივები.[652] ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა მას შემდეგ, რაც თეირანში მდებარე აშშ-ს საელჩოში მძევლად აიყვანეს აშშ-ს 66 მოქალაქე. სანქციების გამოყენებიდან ძალიან მალე გაჟღერებულ იქნა, რომ ირანის მთავრობა გეგმავდა აშშ-ს ყველა ბანკიდან აკრედიტივების თანხის გამოთხოვას.[653]

---

[651]James Casner A., Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses, Boston College Third World Law Journal, 1984, 244.

[652] აშშ-სათვის ამგვარი გადაწყვეტილება არ იყო უპრეცენდენტო. ვინაიდან, სხვადასხვა დროს ეს ღონისძიება გამოყენებული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩრდილოეთ კორეის, კამბოჯის, ვიეტნამისა და კუბის მიმართ. ირანის მიმართ გამოყენებული სანქციების შედეგად გაყინული თანხის ოდენობა 8-9 მილიად აშშ დოლარს შორის მერყეობდა.

[653]McGreevey R. M., The Iranian Crisis and U.S. Law, Northwestern Journal of International Law and Business, 1980.

ირანის ახალი ანტიამერიკული მთავრობის მიერ განხორციელდა რეზერვული აკრედიტივიდან გამომდინარე უზრუნველყოფილი თანხის გადახდის უამრავი მოთხოვნა. არაკეთილსინდისიერი მოთხოვნები ათეულობით სასამართლო დავის დაწყების საფუძველი გახდა.[654]

სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მოთხოვნის სიყალბის შესახებ მიუთითა სხვადასხვა საფუძვლით. მათ შორის ერთ-ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმეზე Itek Corp v First National Bank of Boston.[655] 1977 წელს მოსარჩელე სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდა ირანის მთავრობასთან, რათა ეწარმოებინა მაღალტექნოლოგიური ოპტიკური მოწყობილობები. ხელშეკრულების თანხად განისაზღვრა 22 500 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი იყო ოთხი საბანკო გარანტია. თითოეული 1 125 000 აშშ დოლარის უზრუნველყოფით, რომელიც დამოწმებული უნდა ყოფილიყო ირანის ომის სამინისტროს მიერ დასახელებული ირანული ბანკის მიერ. გარანტიები ძალაში შევიდა ირანის მთავრობის მიერ პრინციპალისათვის 4 500 000 აშშ დოლარის ავანსის გადახდის შემდგომ. ბენეფიციარისათვის წარდგენილი იქნა ირანული ბანკის მიერ დამოწმებული ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2 250 000 აშშ დოლარის უზრუნველყოფით. ამ უკანასკნელის მიზანი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება იყო. მიმწოდებლის მიერ გარანტიათა მიღება მოხდა ბანკისაგან, რომელზეც ირანის მთავრობა სრულ კონტროლს ახორციელებდა. ბანკმა მოითხოვა აშშ-ს ბანკის მიერ გაცემული კონტრგარანტია, რომლის პირობები სრულად შეესაბამებოდა მის მიერ გაცემულ გარანტიას. გარანტია გაცემული იქნა ბოსტონის პირველი ეროვნული ბანკის მიერ. ამ უკანასკნელის მიერ გაცემული გარანტიის პირობების შესაბამისად, ურთიერთობის გართულების შემდგომ ბენეფიციარმა მოთხოვნა წარუდგინა გარანტს, რომელმაც თავის მხრივ კონტრგარანტს წარუდგინა მოთხოვნა კონტრგარანტიიდან გამომდინარე.

უზრუნველყოფილი ხელშეკრულების პირობებით დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ ხელშეკრულების მხარეებს ერთმანეთის ინფორმირება უნდა მოეხდინათ. ამგვარი შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში ხელშეკრულება შეიძლება მოშლილიყო. ამ მიზეზით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა წყდებოდა.

1979 წლის 10 იანვარს ირანის რევოლუციის დროს იტეკის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულება ნაწილობრივ შესრულებული იყო. შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 20 300 000 აშშ დოლარს. რევოლუციის შემდგომ შეიქმნა ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომლის

[654] Van der Vaar H.J., Standby Letters of Credit and the Problem of Bad Faith Calls, 1981,
[655] 730 F 2d 19 (1984).

სახელმწიფო დეპარტამენტმა[656] გააუქმა იტეკსა და საიმპერატორო მთავრობას შორის გაფორმებული ტექნიკის ექსპორტის ლიცენზია. იტეკმა აცნობა ბენეფიციარს დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. 1980 წლის 9 იანვარს ბენეფიციარმა ბანკს წარუდგინა მოთხოვნა გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდის შესახებ. პრინციპალმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ბოსტონის პირველ ეროვნულ ბანკის წინააღმდეგ და მოითხოვა გადახდის აკრძალვა მისი არამართლზომიერების გამო. დროებითი მოთხოვნა დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ.

პრინციპალმა აცნობა ბანკს, რომ მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მათ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუძლებლობის შესახებ აცნობეს ბენეფიციარს. ამასთან, ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების გამო გარანტიის თანხის სრული მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

პრინციპალმა წარადგინა ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 1980 წლის მარტში იტეკმა განმეორებით აცნობა ბენეფიციარს ხელშეკრულების მოშლისა და გარანტიების გათავისუფლების შესახებ. 1980 წლის მარტსა და აპრილში ბენეფიციარმა განმეორებით მოითხოვა თანხის გადახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ყველა მოთხოვნა იყო უკანონო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.[657]

სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნა იყო არამართლზომიერი. ბენეფიციარმა მოითხოვა თანხის გადახდა ისეთი გარემოებების არსებობის მიუხედავად, რომელიც მას მოთხოვნის უფლებას არ ანიჭებდა.“[658] სასამართლომ მიუთითა, რომ დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ბენეფიციარს არ აძლევს უფლებას მოითხოვოს გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდა. პირობების საწინააღმდეგოდ, განხორციელებული მოთხოვნა მიიჩნევა არამართლზომიერ მოთხოვნად.

არამართლზომიერი მოთხოვნის ამომწურავი განმარტება ნორმატიულად არ არსებობდა. იგი სხვადასხვა დროს განსხვავებულად იქნა განმარტებული. ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თანხის გადახდაზე უარის თქმა დასაშვებია, მხოლოდ არამართლზომიერების სიცხადის შემთხვევაში ანუ როდესაც არაკეთილსინდისიერი მოქმედებები ხორციელდება მთელი ტრანზაქციის მანძილზე.[659] უარყოფილი უნდა იყოს როგორც „ჩვეულებრივი“,

[656] ომის სამინისტროს გაუქმების შემდგომ სახელმწიფო დეპარტამენტი გახდა მისი უფლებამონაცვლე.

[657] James Casner A., Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses, 1984, 254.

[658] Olefse L., the Law of the Documentary letters of Credit, 424.

[659] Krimm J.J., U.C.C. – Letters of Credit and Fraud in the Transaction, 1986, 60 Tulane Law Review 1099.

„განზრახი“, ასევე უფრო ფართომასშტაბიანი „კვალიფიციური“ „არამართლზომიერება.“[660]

ამგვარი განმარტებების შემდგომ სასამართლო პრაქტიკამ იგი კიდევ უფრო ფართოდ განმარტა. საქმეში NMC Enterprise v. Columbia Broadcastin Systems Inc[661] მოსარჩელე უთითებდა ნაკლიანი ნივთის გადაცემის შესახებ. გადაცემული სტერეო მოწყობილობა მხარეთა შეთანხმებულზე ნაკლები სიმძლავრის იყო. სასამართლომ განმარტა, რომ „როდესაც დოკუმენტაცია ან ტრანზაქცია განზრახ არის არაჯეროვნად შესრულებული, მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს ბანკის მიერ, მოთხოვნის აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის მიუხედავად.“[662]

არამართლზომიერი მოთხოვნის სასამართლოს სხვადასხვაგვარი განმარტება პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. 1979 წელს თეირანში მდებარე აშშ-ს საელჩოში შტურმამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები განსხვავებულია ამ შემთხვევის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებებისაგან.

19.5. არამართლზომიერი მოთხოვნის მიმართ მოქმედები წესების შემდგომი განვითარება

ერთიანი კომერციული კოდექსის მე-5 მუხლის თავდაპირველი რედაქციით, არამართლზომიერი მოთხოვნის შემთხვევაში განმცხადებელს ერთადერთი გზა ჰქონდა მოეთხოვა გადახდის აკრძალვა. კანონმდებლობით არ იყო დადგენილი არამართლზომიერი მოთხოვნის სტანდარტი და ზუსტი დეფინიცია. მოგვიანებით არამართლზომიერი მოთხოვნის რამდენიმე სტანდარტი სასამართლო პრაქტიკით იქნა დადგენილი.[663]

ა) კონსტრუქციული/კვალიფიციური არამართლზომიერება:

Dynamics Corp of America v Citizens & Southern National Bank[664] გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ ბენეფიციარის ყველა მნიშვნელოვანი გადაცდომა, რომელიც იწვევს სამართლიანი ვალდებულების დარღვევას არის არამართლზომიერი მოქმედება. ამ შემთხვევაში ინდოეთის მთავრობამ დადო ხელშეკრულება სამხედრო ნაწილის აღჭურვილობის ნასყიდობასთან დაკავშირებით. ინდოეთსა და პაკისტანს შორის ომის დაწყების შემდგომ ტვირთის ტრანსპორტირება შეუძლებელი გახდა. ინდოეთის მთავრობამ მოითხოვა თანხის გადახდა. სასამართლომ მიუთითა, რომ სიყალბის

[660] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 221.
[661] 14 UCC Rep Serv 1427 (NYSC 1974).
[662] Meral N., The Fraud Execption in Documentary Credits, 2012, 54.
[663] Meral N., The Fraud Exception in documentary credits, 2012, 56.
[664] 356 F Supp 991, ND Ga 1973).

აღკვეთა უფრო დიდი ინტერესია, ვიდრე აკრედიტივის გამოყენების წახალისება კომერციულ ურთიერთობებში.[665] არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის წესები სამართლის ნაწილია და საჯარო წესრიგი ზღუდავს მას.[666] მასთან დაკავშირებული სამართალი არ არის სტატიკური და სასამართლოს უფლება აქვს შეცვალოს იგი საზოგადოებაში კომერციული ტრანზაქციების ცვლილებასთან ერთად.[667]

ბ) განზრახი არამართლზომიერება

ნიუ იორკის უზენაესმა სასამართლომ NMC Enterprises Inc v Columbia Broadcasting System Inc[668] მიუთითა, რომ გამყიდველისათვის ცნობილი იყო ნივთის ნაკლი, რაც განზრახ არამართლზომიერებას წარმოადგენდა. თუ მყიდველის მიერ დადასტურდებოდა განზრახი არამართლზომიერი ქმედება, ბანკი თავისუფლდებოდა თანხის გადახდისაგან. ამგვარი განმარტება მოცემული იქნა, ასევე, გადაწყვეტილებაში MacMahon J in American Bell International v Islamic Republic of Iran.[669]გამყიდველის მიერ ყალბი დოკუმენტაციის წარდგენა საზღაურის მიღების მიზნით არის განზრახი არამართლზომიერება.[670]

გ) მოქნილი სტანდარტი

აღნიშნული სტანდარტი გამოიყენება, როდესაც გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევა უფრო სერიოზულია, ვიდრე უბრალოდ ხელშეკრულების დარღვევა. ამ სტანდარტის არსებობის მტკიცების ტვირთზე სასამართლომ მიუთითა გადაწყვეტილებაში United Bank Ltd v Cambridge Sporting Goods Corp.[671]

პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ბანკი არ მონაწილეობდა

---

[665] Buckley R. P., Gao X., The Development of the Fraud rule in letter of credit law: The Journey So Far and The road ahead, 3.

[666] Kelly – Louw M., the Selective Legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 195.

[667] Casner A. J., Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses. 83.

[668] 14 UCC Rep 1427 (NY Sup Ct 1974).

[669] 474 F Supp 420 (SDNY 1979)

[670] Nevin M., The fraud Expection in Documentary Credit: A Global Analysis, 2012. 54.

[671] 392 NYS 2d 265 (NY 1976), 271, Duke Sports-მა დადო ხელშეკრულება მოპასუხისათვის კრივის ხელთათმანების წარმოებასთან დაკავშირებით. პროექტი დაფინანსებული იყო ორი პაკისტანური ბანკის მიერ. გამოყენებულ იქნა დოკუმენტური აკრედიტივი კემბრიჯ სპორტის მიერ, რომელიც უზრუნველყოფდა მწარმოებლისათვის საფასურის გადახდას. ხელშეკრულება შეწყდა მოპასუხის მიერ. ერთი თვის შემდგომ პაკისტანის ბანკმა მწარმოებელს მისწერა, რომ ხელშეკრულების საგანი გაგზავნილ იქნა მოპასუხისათვის. ნივთის ინსპექტირების შემდგომ იგი სერიოზულად ნაკლიანი აღმოჩნდა. გარანტმა მოახდინა გადახდის აკრძალვა. მოსარჩელე ბანკმა მიუთითა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებაზე მათი კეთილსინდისიერების გამო. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ბანკი კეთილსინდისიერი იყო, მოთხოვნის მართლზომიერების მიმართ გადახდა უნდა განხორციელებულიყო.

არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების პროცესში. სააპელაციო პალატა დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიუთითა, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა ბანკის მოქმედება რაიმე სახით იყო დაკავშირებული თუ არა მოსარჩელესთან. ბანკი მოთხოვნის არამართლზომიერების მიმართ იყო კეთილსინდისიერი. სააპელაციო პალატამ შეცვალა გადაწყვეტილება და მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს გადააკისრა, რათა მას დაემტკიცებინა არამართლზომიერი მოთხოვნის მიმართ მისი კეთილსინდისიერების ფაქტი.[672]

დ) აშკარა არამართლზომიერება

ერთი სტანდარტი დადგენილ იქნა Intraworld Industries, Inc. v Girard Trust Bank,[673] როგორც აშკარა არამართლზომიერება, რომელიც გულისხმობს გამყიდველის მიერ ვალდებულების იმგვარ დარღვევას, რომელიც აკრედიტივიდან გამომდინარე ბანკის დამოუკიდებელი ვალდებულების განხორციელების შეუძლებლობას იწვევს.[674]

პენსილვანიის სასამართლომ უარი თქვა აკრძალვის გამოყენებაზე, მოიჯარის მიერ არამართლზომიერი მოთხოვნის მითითების მიუხედავად. მოიჯარის მტკიცებით მოთხოვნა არამართლზომიერი იყო. დოკუმენტაციაში მითითების მიუხედავად, დადგინდა, რომ მოთხოვნა ქირის გადახდის დარღვევას კი არა, ხელშეკრულებაში მითითებულ დამატებით სანქციას უკავშირდებოდა. სასამართლომ მიუთითა, რომ ავტონომიურობის პრინციპისა და აკრედიტივის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აკრძალვა გამოყენებული უნდა იქნეს მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. ასეთი შემთხვევაა, როცა ბენეფიციარის არამართლზომიერება მთელი გარიგებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დაკარგვას იწვევს და აკრედიტივის გამცემის დამოუკიდებელი ვალდებულების გამოყენება აზრს კარგავს.[675]

საქმეში New York Life Insurance Co. v. Hartford National Bank & Trust Co[676] განმეორებით იქნა გამოყენებული ტერმინი აშკარა არამართლზომიერება, სადაც სასამართლომ მოთხოვნის არამართლზომიერად მიჩნევის საკმაოდ მაღალი სტანდარტი დაადგინა და გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევა არამართლზომიერი მოთხოვნისაგან გამოყო. ეს სტანდარტი იცავს მყიდველს არაკეთილსინდისიერი გამყიდველისაგან.[677]

---

[672] http://202.194.14.112:8080/child/quanyingshouke/dianxinganlifenxi/2012-11/3596.html, 20.08.2017.

[673]Intraword Industries Inc v Girard Trust Bank 461 Pa 343 (1975).

[674] დოკუმენტური აკრედიტივი გამოყენებულ იქნა იჯარის ხელშეკრულებაში, მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდის დარღვევის მიზნით.

[675] Davidson A., Fraud - the Prime Exception to the Autonomy Principle in Letters of Credit, 2011. 41.

[676] 378 A 2d 562, Conn.1977.

[677] Meral N, The fraud expection in Documentary credit: A Global Analysis, 2012. 54.

19.6. ერთიანი კომერციული კოდექსის შემდგომი განვითარება

1995 წელს ერთიანი კომერციული კოდექსის მე-5 ნაწილის გადამუშავებულმა რედაქციამ დამოუკიდებლობის პრინციპი შეზღუდა არამართლზომიერი მოთხოვნის გამონაკლისით და მოთხოვნის დეფინიცია 5-109 ნაწილში განათავსა.[678] ცვლილებების შედეგად, აღმოფხვრილ იქნა ნორმის ყველა სისუსტე, რომელიც მის შესაბამისობას აყენებდა ეჭვქვეშ და აკრედიტივის განვითარებას აფერხებდა. ამასთან, არსებითი არამართლზომიერება, როგორც სტანდარტი დადგენილ იქნა გამონაკლისად.[679]

UCC-ის 5-109 მუხლის განახლებული რედაქციის შესაბამისად, „თუ მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, დასტურდება, რომ მოთხოვნა ზუსტად შეესაბამება აკრედიტივის წესებს, თუმცა დოკუმენტი/ინფორმაცია გაყალბებულია ან არამართლზომიერი დოკუმენტი წარდგენილია ბენეფიციარის მიერ აკრედიტივის გამცემის ან განმცხადებლისათვის: გამცემი ვალდებულია გადაიხადოს თანხა, თუ გადახდა მიმართულია: 1) იმ პირისათვის ვინც, მოქმედებდა კეთილსინდისიერად, არამართლზომიერი მოთხოვნის შეტყობინების გარეშე; 2) მხარისათვის ვინც კეთილსინდისიერად მოახდინა მოთხოვნის დადასტურება; 3) უფლებამოსილი პირის მიმართ, თუ გარანტის ან მოვალის მიერ გადავადდა ვალდებულების შესრულება, რომელიც შესრულდა გამოთხოვისთანავე (შემოწმების გარეშე) და სახეზე არ არის არამართლზომიერება; (2) გარანტმა, რომელიც კეთილსინდისიერად მოქმედებდა შეიძლება განაცხადოს ან არ განაცხადოს უარი სხვა საქმეებში მონაწილეობაზე. 2) თუ განმცხადებელი უთითებს, რომ შესაბამისი დოკუმენტი გაყალბებულია, ან ბენეფიციარის მიერ გამცემის ან განმცხადებლის მიმართ წარდგენილია არამართლზომიერი მოთხოვნა, შესაბამისი კომპეტენციის სასამართლოს შეუძლია დროებით ან მუდმივად აკრძალოს მოთხოვნის განხორციელება, იმ შემთხვევაში თუ დაადგენს, რომ 1) აკრძალვის გამოყენება არ არის აკრძალული იმ ქვეყნის სამართლის მიერ, რომელიც გამოიყენება აკრედიტივის ან მისგან გამომდინარე ვალდებულების მიმართ, 2) ბენეფიციარი, აკრედიტივის გამცემი სათანადოდ დაცულია აკრძალვის შედეგად მიყენებული ზიანისაგან, 3) აკრძალვის მოთხოვნა აკმაყოფილებს ყველა პირობას, რომელიც დადგენილია გამოსაყენებელი სამართლის მიერ, 4) სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, მოთხოვნის არამართლზომიერების გამო მოთხოვნის განმახორციელებელი პირი არ იმსახურებს დაცვას.“

განახლებული ნორმით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნა გადაწყვეტილი: 1) დადგინდა, რომ არამართლზომიერი მოთხოვნისას მხარის

[678] Amaefule C., the Exceptions to the pricniple of Autonomy of Documentary credits, 2011, 104.

[679] Buckley R. P., Gao X., The Development of the Fraud rules in letter of Credit law: The journey so far and the Road Ahead, 685

ინტერესების შესაბამისად, ა) გამცემმა უარი უნდა თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, და ბ) აპლიკანტმა უნდა მიმართოს სასამართლოს თანხის გადახდის ან მოთხოვნის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ; 2) დადგინდა, რომ უარყოფილი უნდა იქნეს მხოლოდ „არსებითი“ არამართლზომიერება; 3) განისაზღვრა სამი მხარე, რომლის მიმართ არ მოქმედებს ეს წესი: ა) თუ მოთხოვნის განმახორციელებელი პირი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და მისთვის უცნობი იყო არამართლზომიერების ფაქტი; 2) პირი, რომელმაც დაადასტურა მოთხოვნა კეთილსინდისიერად მოქმედებდა; 3) მოთხოვნის კანონიერმა მფლობელმა განახორციელა მოთხოვნა მიმღების აქცეპტირების შემდგომ; 4) მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, ცედენტს არ ეცნობა სიყალბისა და არსებითი არამართლზომიერების შესახებ.[680]

ამგვარი ჩანაწერის შემდგომ, კანონის განახლებულმა ნორმამ ამომწურავად განსაზღვრა მოთხოვნის არამართლზომიერად მიჩნევის სტანდარტი და ამგვარი შემთხვევის არსებობის დროს დაცული სუბიექტები.

სასამართლომ განახლებული 5-109 პირველად გამოიყენა საქმეში Western Surety Co v Bank of Southern Oregon.[681] მოსარჩელემ გამოსცა შესრულების გარანტია Black Oak Construction Company-ის სასარგებლოდ ვაშინგტონის ოლქში შესასრულებელი ვალდებულების უზრუნველყოფისათვის. Western Surety Company-მ გამოსცა შესრულების გარანტია ორეგონში მიმდინარე სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. პირობის შესაბამისად, სამხრეთ ორეგონის ბანკმა, გასცა ორი გამოუთხოვადი გარანტია მოსარჩელის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფდა შემსრულებლის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურებას. გარანტიის პირობაში მითითებული არ იყო, უზრუნველყოფილი პროექტის დასახელება. მოსარჩელის მიერ გაცემული გარანტიის პირობები იყო იდენტური, თუმცა განსხვავდებოდა საგარანტიო თანხები და ვადა. შემსრულებლის მიერ დარღვეული იქნა ვაშინგტონში მიმდინარე ვალდებულება. ბენეფიციარმა მოითხოვა აკრედიტივიდან გამომდინარე თანხის გადახდა. გარანტმა უარი უთხრა, ვინაიდან, მიაჩნდა, რომ მის მიერ გაცემული აკრედიტივი უზრუნველყოფდა მხოლოდ ორეგონის შტატში მიმდინარე ვალდებულების შესრულებას. არაკეთილსინდისიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა სასამართლომ, ვინაიდან ბანკმა ვერ დაადასტურა, რომ აკრედიტივი იყო მიმართული კონკრეტული პროექტის უზრუნველყოფისათვის. „ბანკმა, რომელიც მოქმედებდა კეთილსინდისიერად, შეიძლება უარი თქვას აკრედიტივის დაკმაყოფილებაზე, თუ წარდგენილი მოთხოვნა ხელს უწყობს ბენეფიციარის არამართლზომიერ ქმედებას. თუმცა არამართლზომიერება მოპასუხის დაცვის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში. არამართლზომიერება არ შეიძლება

[680] Buckley R. P., Gao X., The Development of Fraud rules in letter of Credit law: The jouney so far and the Road Ahead, 687.

[681] 257 F 3d 933 (9th Cir 2001), 44 UCC Rep Serv 2d (West) 1239.

მიჩნეულ იქნეს უარის თქმის მყარ საფუძველად, თუ ბენეფიციარს გააჩნია დასაბუთებული სარჩელი და მოთხოვნის ყველა საფუძველი.[682]

ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირველად მიუთითა 5-109 მუხლში გათვალისწინებულ „არსებით არამართლზომიერებაზე“, რომელიც შემდგომში არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა განმეორებული.[683]

UCC-ის 5-109 მუხლით გათვალისწინებული „არსებითი არამართლზომიერების” მიმართ იგივე სტანდარტი იქნა დადგენილი, რომელიც „აშკარა არამართლზომიერების“ საქმეებზე.[684]

სასამართლომ მოთხოვნის რეგულირების პროცესში გარანტს დააკისრა მოთხოვნის არამართლზომიერების შემთხვევაში მოთხოვნის უარყოფის ვალდებულება. მოთხოვნის რეგულირების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით არ უნდა დაირღვეს ერთი მხრივ აკრედიტივის/გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი, მეორე მხრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტთა ინტერესები. არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფა მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, როდესაც „მოთხოვნა აბსულუტურად უსაფუძვლოა“. აღნიშნული უკანონო „ვიწრო“ მიდგომის სახელით იწოდება.[685]

19.7. საფრანგეთი

საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საფრანგეთის კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული. კოდექსის ნორმა მის განმარტებას ახდენს და განსაზღვრავს არამართლზომიერი მოთხოვნის დაუშვებლობას. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2321-ე მუხლის მიხედვით, „დამოუკიდებელი საბანკო გარანტია არის გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულება, მესამე პირის ვალდებულების გამო, გადაიხადოს თანხა, პირველივე მოთხოვნისთანავე ან საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად.“ ამავე მუხლის მეორე წინადადება პირდაპირ გამორიცხავს ბენეფიციარის ვალდებულებას არამართლზომიერი, უფლების ბოროტად გამოყენებისა და პრინციპალის საზიანოდ განხორციელებული მოთხოვნის შემთხვევაში.

---

[682] http://caselaw.findlaw.com/us-9th-circuit/1004492.html, 20.08.2017.

[683]New Oreleans Brass LLC v. Whitney National Bank გადაწყვეტილებაში სასამართლომ „არსებითი არამართლზომიერება“ აშკარა არამართლზომიერებას გაუთანაბრა.

[684]Buckley R. P., Gao X., The Development of Fraud rules in letter of Credit law: The journey so far and the Road Ahead, 322.

[685] James G. Barnes & James E. Byrne, Letters of Credit: 2000 Cases, 56 business law 4. 2001.

ამგვარი მოკლე ჩანაწერის გამო აუცილებელი გახდა სასამართლოს განემარტა, რა წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენებასა და არამართლზომიერ მოთხოვნას.

ფრანგული დოქტრინით დადგენილია, რომ არამართლზომიერი მოთხოვნა მოიცავს დოკუმენტურ და არადოკუმენტურ ელემენტებს. არამართლზომიერი მოთხოვნისას ბენეფიციარი ადასტურებს პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება. აუცილებელია ბენეფიციარის ამგვარი მტკიცება საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდის პირობა იყოს. ბანკისათვის ცნობილი უნდა იყოს მოთხოვნის მცდარობის შესახებ.[686]

ფრანგულ დოქტრინაში არამართლზომიერი მოთხოვნის გარდა, არსებობს უფლების ბოროტად გამოყენებით განხორციელებული მოთხოვნა. იგი უმეტესად, უპირობო გარანტიების შემთხვევაში გამოიყენება, სადაც ბენეფიციარი წარადგენს რამდენიმე სიტყვიან მოთხოვნას. მაგ. „გადამიხადე თანხა“, ან „გადამიხადე თანხა, ვინაიდან, პრინციპალმა დაარღვია ვალდებულება.“ ფრანგი ავტორების მითითებით[687] ამგვარი მოთხოვნა თავისთავად არ მიიჩნევა არამართლზომიერ და უკანონო მოთხოვნად. ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება ხდება, იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი მოთხოვნა უკანონოა, არარსებული დასაბუთებით ან იმგვარი საფუძვლით, რომელიც პრინციპალთან შეთანხმებული არ იყო.[688]

არამართლზომიერი მოთხოვნის შესახებ საფრანგეთის სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა. სასამართლომ[689] გააუქმა დამოუკიდებელი საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე მოთხოვნები და მათ არასამართლიანი უწოდა. ვინაიდან, მოთხოვნები განხორციელებული იყო არამართლზომიერად და ეს უფლების ბოროტად გამოყენება იყო. საფრანგეთის სასამართლოს მიერ განვითარებული იქნა პრაქტიკა ლათინური პრინციპის „Frausomnia corrumpit“[690] დაცვით.

არამართლზომიერი მოთხოვნა საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვაა. სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბდა და არამართლზომიერად იქნა მიჩნეული შემდეგი მოთხოვნები: ა) ბენეფიციარმა მოითხოვა საგარანტიო თანხის გადახდა, თუმცა პირადად მიიღო

---

[686] Kozolski B., Bank Guarantee and Letter of Credit: Time for a Return of the Fold University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 11, Iss. 1, 1998, 38.

[687]ამგვარი მოსაზრება დაფიქსირებული აქვთ ნაშრომში: Gavalda and Stoufflet, La Lettre de Garantie Internatjonale, Revue Trimestrielle de dtroit commercial ed de droit economique 1, 1981, 1-3.

[688]Kozolski B., Bank Guarantee and Letter of Credit: Time for a return of the fold University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 11, Iss. 1, 1998, 39.

[689]Cour d'Appel of Paris, 20 June 1984; Cour de Cassation, Commercial Chamber, 10 June 1986

[690]არამართლზომიერი მოთხოვნა აფუჭებს ყველაფერს. (Fraud Corrups everything).

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება;[691] 2) ბენეფიციარმა მოითხოვა საგარანტიო თანხის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ შესრულების ვალდებულება არ დამდგარა;[692] 3) მოთხოვნა, რომელიც განხორციელებულია პოლიტიკური საფუძვლით;[693] 4) მოთხოვნა, რომელიც არ უკავშირდება საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებას;[694] 5) დამოუკიდებელი გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა, როდესაც, ბენეფიციარის მიერ დაუსაბუთებლად არ ანაზღაურდა შესრულებული სამუშაოს საზღაური; 6) მოთხოვნა, როდესაც ბენეფიციარი ცალმხრივად მიიჩნევს, რომ არ შესრულდა ძირითადი ვალდებულება,[695] 7) მოთხოვნა, სადაც ბენეფიციარმა თავად დაარღვია ვალდებულება და მხარეთა შორის მიმდინარეობს დავა,[696] 8) მოთხოვნა, როდესაც ბენეფიციარმა მოთხოვნამდე უარი თქვა დამოუკიდებელი გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნაზე.[697]

არამართლზომიერი და უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად განხორციელებული მოთხოვნები გამიჯნული იქნა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ 1987 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაში Societe-Technique Electrique de l'Oise Telecoise v. Union Maditerranenne de Banque.[698] აპელანტი და მოსარჩელე იყო ფრანგი ექსპორტიორი, რომელმაც მოპასუხე მხარის მიერ გაცემული კონტრგარანტია წარადგინა ლიბიის ბანკთან, რათა ლიბიელ კონტრაქტორთან ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველეყო. საგარანტიო მოთხოვნის შემდგომ მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს თანხის გადახდის აკრძალვის გამოყენების შესახებ, სადაც პრინციპალი უთითებდა არამართლზომიერი მოთხოვნის შესახებ. მისი მითითებით მოთხოვნა ბენეფიციარის უფლების ბოროტად გამოყენების შედეგი იყო და ამით გამოუსწორებელი ზიანი ადგებოდა მოსარჩელეს. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ სააპელაციო პალატამ გააუქმა გადაწყვეტილება შემდგომი არგუმენტით, რომ "მოთხოვნის აშკარა არაკეთილსინდისიერი ბუნება, არ შეიძლება გათანაბრებოდა არამართლზომიერ/მოთხოვნას, რომელიც გადახდაზე უარის თქმის საფუძველია.[699]

---

[691]Cour d'Appel of Paris, 20 June 1984; Cour de Cassation, Commercial Chamber, 10 June 1986

[692] Cour de Cassation, Commercial Chamber, 12 January 1993.

[693]Tribunal de Commerce of Paris, 12 February 1982.

[694]Tribunal de Commerce of Paris, 1 August 1984.

[695]Cour d'Appel of Paris, 27 June 1988.

[696]Tribunal de Commerce of Paris, 15 October 1982.

[697]Droe P.D., Calling Independent Guarantee under French Law, Heinonline, 26 Int'l Bus. Law. 463 1998, 465.

[698] 20 იანვარი 1987 წელი.

[699]Kozolchyk B., The Immunization of Fraudulently Procured Letter of Credit Acceptances: All Services Exportacao, Importacao Comercio, S.A. v. Banco Bamerindus do Brazil S.A. and First Commercial v. Gotham Originals, 372.

არამართლზომიერი და უფლების ბოროტად გამოყენებით წარდგენილი მოთხოვნის შედარება სასამართლომ მოახდინა ერთ-ერთი საქმეში და განმარტა, რომ „უფლების ბოროტად გამოყენება ფართო ცნებაა, რომელიც იმ შემთხვევას ნიშნავს, როდესაც ბენეფიციარს არ ჰქონდა მოთხოვნის განხორციელების უფლება, ხოლო არამართლზომიერი მოთხოვნა გულისხმობს ბენეფიციარის საზიანო განზრახვას.“[700]

ფრანგულ დოქტრინაში არასამართლიანი/არაკეთილსინდისიერი მოთხოვნის დასაბუთება უნდა აკმაყოფილებს რამდენიმე პირობას: ა) არაკეთილსინდისიერი მოთხოვნა უნდა იყოს ცხადი, რაც ნიშნავს, რომ არამართლზომიერება უნდა დადასტურდეს ეჭვის გარეშე, 2) გარანტი ვალდებულია მოთხოვნაზე უარის თქმა დაადასტუროს შესაბამისი მტკიცებულებით, რომელიც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების ობიექტურად გამოკვლევის შედეგია.[701]

არამართლზომიერი მოთხოვნის მართვის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პრინციპალის როლს, რომელიც უნდა ჩაერთოს რეგულირების პროცესში. გარანტს წარუდგინოს მტკიცებულებები, რომელიც უდავოდ ადასტურებს მოთხოვნის არამართლზომიერებას.

გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპისა და კომერციულ ვაჭრობაში მისი გამოყენების მიზნობრიობიდან გამომდინარე, გარანტი არ არის ვალდებული შეაჩეროს გადახდა, თუ პრინციპალის მიერ არ დადასტურდა ძირითადი ვალდებულების ბათილობა, გაუქმება ან მოვალის მიერ ვალდებულების სრულად შესრულება.[702] „თუ დასტურდება გარიგების ბათილობა, მოშლა/გაუქმება ან სრულად შესრულება, მოთხოვნა არამართლზომიერია... გარანტი ვალდებულია ან თავად განაცხადოს უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან სასამართლოს მიერ წარდგენილი დროებით ღონისძიების საფუძველზე...“[703]

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში არამართლზომიერი მოთხოვნის არსებობა დადებითად უნდა შეფასდეს. ფრანგული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ერთხმად უჭერს მხარს არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფას. გარანტი ვალდებულია შეამოწმოს მოთხოვნა და უარი უთხრას ბენეფიციარს არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოთხოვნა არამართლზომიერია თუ დადასტურდა, რომ ბენეფიციარი ითხოვს თანხის

[700] Kozolski B., Bank guarantee and letter of credit: time for a return of the fold University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 11, Iss. 1, 1998, 41.

[701]Droe P.D., Calling Independent Guarantee under French Law, International business lawyer, 1998, Heinonline, 26 Int'l Bus. Law. 463 1998, 465.

[702]Societte Fenchosm v. Banque Francios du Commerce Exterieur, 1985, G.P. 700.

[703]Kozolski B., Bank Guarantee and Letter of Credit: Time for a return of the fold, University of Pennsylvania Journal of International Law, 1998, 41.

გადახდას, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ვალდებულება სრულად შესრულებული, ბათილი ან შეწყვეტილია.

19.8. გერმანია

გსკ აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის მარეგულირებელ წესებს არ შეიცავს. საბანკო გარანტიის მიმართ გამოიყენება სკ §780-ე გათვალისწინებული თავდებობის ხელშეკრულების მიმართ გათვალისწინებული ნორმები. თუმცა საბანკო გარანტიისა და თავდებობის სამართლებრივი ბუნება აბსოლუტურად იდენტური არ არის. თავდებობა და საბანკო გარანტია ერთმანეთისაგან განსხვავდება რამდენიმე ელემენტით. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის პრინციპი და აქცესორული ბუნება.

გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება აღიარებული და გამიჯნული იქნა აქცესორული ბუნებისაგან, მას შემდეგ, რაც სასამართლომ განმარტა პირველი მოთხოვნისთანავე გადასახდელი საბანკო გარანტია. გერმანულ დოქტრინაში ეს ორი პრინციპი შემდეგნაირად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან. დამოუკიდებლობა ნიშნავს ერთი გარიგების სამართლებრივ დამოუკიდებლობას მეორე გარიგებისგან, ხოლო აქცესორულობა ერთი გარიგების წარმოშობისა და არსებობის დამოკიდებულებას სხვა ვალდებულებაზე.[704]

გერმანულ დოქტრინაში საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის მიმართ მოქმედებს მსგავსი პრინციპები. მათ შორის ზუსტი შესაბამისობის პრინციპის თანახმად, 1) მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს იმ პირობებს, რაც დადგენილია აკრედიტივით; 2) მოთხოვნა უნდა იყოს სწორი, რაც გულისხმობს მის ფორმალურ სისწორეს; 3) მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს აკრედიტივის პირობებს.[705]

გერმანული სასამართლოს მიდგომა მოთხოვნის პირობებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით განსხვავებულია და უფრო შემსუბუქებულია აშშ-ს ან ინგლისის პრაქტიკასთან შედარებით. გერმანიის სასამართლომ შესაბამისად მიიჩნია მოთხოვნა, რომელიც „მცირე უზუსტობებს“ შეიცავდა. მან განმარტა, რომ „თუ ყურადღებით შევაფასებთ მოთხოვნის პირობებს მივალთ დასკვნამდე, რომ აკრედიტივის პირობები მიღწეულია.[706] ზუსტი შესაბამისობის პრინციპის მიუხედავად, ტექნიკური ხასიათის უზუსტობა არ შეიძლება გახდეს უარის თქმის საფუძველი, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე.

---

[704]Westphalen V., Die Bankgarantie im Internationalen Handelsverkehr, 2nd ed. 1990, 78.

[705] Grassi P. S., Letter of Credit Transactions: The Banks' Position in Determining Documentary Compliance – A Comparative Evaluation under U.S., Swiss and German Law, Pace International Law Review 1995, 121.

[706] 1960 BGHWm 38.

გერმანული დოქტრინა არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის ვალდებულებასაც ითვალისწინებს. „ბანკს შეუძლია უარი თქვას თანხის გადახდაზე, როდესაც იცის მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს პრინციპალის ან სხვა პირისაგან.“ თუმცა აუცილებელია მიწოდებული მტკიცებულებით ცხადად დასტურდებოდეს არამართლზომიერება.

არამართლზომიერი მოთხოვნის გარდა, არსებობს უფლების ბოროტად გამოყენებით განხორციელებული მოთხოვნა. ამ უფლებასთან ერთად მოქმედებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების ვალდებულება და პრინციპალს ანიჭებს უფლებამოსილებას „მოახდინოს საკუთარი უფლების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა განხორციელდა იმის მიუხედავად, რომ გარანტიით გათვალისწინებული მოვლენა არ დამდგარა.“[707]

გერმანული დოქტრინა არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებით ნაყოფიერია. დოქტრინის ერთპიროვნული ხედვით, გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობები უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად გსკ-ს §242 -ის შესაბამისად. ეს ნორმა უკრძალავს ბენეფიციარს უსაფუძვლოდ მოითხოვოს პრინციპალისაგან თანხის გადახდა.[708] არამართლზომიერი მოთხოვნა ბანკისათვის თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძველია.[709] ერთ-ერთ საქმეში განიმარტა, რომ „მოთხოვნის ფორმალური სისწორის გარდა, რომელიც ამ შემთხვევაში არ იყო დაცული, მოთხოვნა არამართლზომიერი იყო.“

არამართლზომიერი მოთხოვნის განმარტებასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება. ერთი ნაწილი მასში მოიაზრებს არაკეთილსინდიერად, უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად წარდგენილ უსამართლო მოთხოვნას. საწინააღმდეგო მოსაზრებით არამართლზომიერი მოთხოვნა მოიცავს უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ მოთხოვნას.[710]

არამართლზომიერი მოთხოვნების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოჩნდა.

სასამართლომ განმარტა, რომ ბანკს შეუძლია უარი უთხრას ბენეფიციარს თანხის გადახდაზე, თუ დოკუმენტურად დასტურდება მოთხოვნის არამართლზომიერება.[711] ბანკი უფლებამოსილია შეამოწმოს მოთხოვნა, ხომ არ წარმოადგენს ბენეფიციარის უფლების ბოროტად გამოყენების შედეგს. გარანტის

[707]Kozolchyk B, Bank Guarantee and Letter of Credit: Time for a return of the fold, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 11, Iss. 1, 1998, 45.
[708]Nielsen J, Nielsen N., Standby Letters of Credit and the ISP 98: A European Perspective.
[709]Poeland I., Bertrams F., Bank Guarantees in International Trade: The Law and Practice of Independent (first Demand) Guarantees and Standby Letters of Credit in Civil Law and Common Law Jurisdictions, 340.
[710]BGH, NJW 1988, 2610; ebenso BGHZ 90, 287, 297 5 ZIP 1984, 685, 687.
[711]Judgment of March 12, 1984 90 BGHZ 287, 292m Judgemnet of January 17 1989, 43, wm.

მიერ არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება და შემდგომ რეგრესის წესით თანხის პრინციპალისაგან მიღება ამ უკანასკნელის ზიანის უდავოდ არსებობის საფუძველია. შესაბამისად, გარანტი უფლებამოსილი კი არა ვალდებულია უარი უთხრას ბენეფიციარს არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.[712]

19.9. არამართლზომიერი მოთხოვნა უნიფიცირებული წესების შესაბამისად

19.9.1. UCP 500, UCP-600

აკრედიტივის მიმართ მოქმედი უნიფიცირებული წესები არამართლზომიერი მოთხოვნის შესაბამისად პირდაპირ ჩანაწერს არ ითვალისწინებს. UCP 500 აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპის შესახებ მკაცრ ჩანაწერს შეიცავს. ბანკი არაა დაკავშირებული ძირითად ვალდებულებასთან. ის კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს თანხა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა ზუსტად შეესაბამება აკრედიტივის პირობებს.

დოკუმენტური აკრედიტივების მიმართ მოქმედი უნიფიცირებული წესების არც ერთი რედაქცია[713] პირდაპირ მითითებას არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს. ამასთან, UCP 600-ის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ჩანაწერს, რომ „ბანკი არ აგებს პასუხს მასთან წარდგენილი დოკუმენტის ფორმის, ნამდვილობის, სიზუსტის, ფალსიფიცირების ან სამართლებრივი ძალის არსებობასთან დაკავშირებით“. იგივე ნორმა არსებობს მისი უნიფიცირებული წესების N500 რედაქციაში. ბანკის მიმართ მოქმედები ამგვარი ჩანაწერი აკრედიტივის გამცემის ინტერესებს შეესაბამება და მათი არსებობა ამ ძლიერი ინსტიტუმენტის ინტერესების დაცვით უნდა აიხსნას. მიუხედავად იმისა, რომ უნიფიცირებული წესები საერთოდ არ შეიცავს არანაირ მითითებას არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის შესახებ. ეს უნდა აიხსნას ხელშეკრულების სუბიექტთა უფლება-მოვალეობების დამოუკიდებლობით.[714]

მიუხედავად დამოუკიდებლობის პრინციპის იმპერატიულობისა საერთაშორისო სავაჭრო პალატა აკრედიტივის ურთიერთობაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტებს დაცვის გარეშე არ ტოვებს. უნიფიცირებული წესები

[712] Blau W., Jedzig O., Bank Guarantees to Pay upon First Written Demand in German Courts, Heinonline, 23 Int'l L. 725, The International Lawyer, VOL. 23, NO. 3, 1989, 730.
[713] UCP 500, UCP N600.
[714]Kelly –Louw M, Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 715.

არამართლზომიერი მოთხოვნისაგან დაცვის წესების გათვალისწინებას სხვადასხვა ქვეყნის მატერიალურ სამართალს უტოვებს.[715]

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ბანკთა კომისიის მოსაზრებით, UCP 500-ის მე-3 მუხლით აღიარებულია აკრედიტივის ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობა და ხაზგასმულია, რომ ამ ურთიერთობის მონაწილეები ხელმძღვანელობენ დოკუმენტაციით და არა საქონელით. ამავე წესების მე-10 მუხლის "დ" ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია განმცხადებლისაგან რეგრესის წესით მიიღოს ანაზღაურება, თუ იგი მოიქცა აკრედიტივის პირობების შესაბამისად. რაც შეეხება არამართლზომიერ ან უფლების ბოროტად გამოყენებით წარდგენილი მოთხოვნის უარყოფის გამონაკლისს, მისი წესები განსხვავებულია სხვადასხვა იურისდიქციაში.[716]

საერთაშორისო-სავაჭრო კომისიის ამგვარი გადაწყვეტილება, მატერიალური სამართლისათვის გადაეცათ მოთხოვნის უარყოფის წესების განსაზღვრა, საკმაოდ რისკის შემცველი იყო. აშშ იყო ერთი-ერთი გამონაკლისი, რომელმაც ეს წესები იმპერატიულად კანონში გაითვალისწინა.[717] კანონში იმპერატიული დანაწესის არარსებობა არამართლზომიერი თუ უკანონო მოთხოვნის უარყოფის წესების განვითარებას აფერხებს.

არამართლზომიერი მოთხოვნის შესახებ უნიფიცირებული წესების ამგვარ მიდგომასთან დაკავშირებით მოსაზრებები განსხვავებულია. ავტორთა ერთი ნაწილის მოსაზრებით[718] წესებში არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებული ჩანაწერის არარსებობა წინგადადგმული ნაბიჯია. ვინაიდან, იგი ქვეყნის მატერიალურ სამართალს[719] უტოვებს უფლებამოსილებას თავად განსაზღვროს წესების დეფინიცია და მასთან დაკავშირებული მოთხოვნის მართვის საკითხები. ვინაიდან, უნიფიცირებული წესები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას არ შეუძლია ჩაანაცვლოს კანონი.[720] „უნიფიცირებული წესების შინაარსი ემსახურება საბანკო პრაქტიკის განვითარებას და იგი არაა კანონი... არამართლზომიერი მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება გამოსაყენებელი სამართლისა და დავის გადამწყვეტი სასამართლოს კომპეტენციაა.[721] მატერიალური სამართლის

[715]Connerty A., Fraud and Documentaty Credits: The approaches of the English courts, 15.

[716]Opinion of the ICC Banking Commission 1995-1996" ICC Publication NO 565, 22.

[717]Buckley R.P, The 1993 revision of the Uniform Customs and practice for Documantary Credits, George Washington Journal of International law and Economics, 1995, 303.

[718]Ulph J., The UCP 600: Documantary Credits in the twenty-first centure, Journal of business law, 2007, 371.

[719]Kelly - Louw M., Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 717.

[720]Davidson A, Fraud, the Prime Exception to the Autonomy Principle in Letters of Credit, 46.

[721]Goode R., Abstract Payment Undertakings and the Rules of the International Chamber of Commerce, 39 ST. Louis U. L.J. 725, 727, 1995.

მიხედვით, უნდა გადაწყდეს აკრედიტივთან დაკავშირებული დროებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი.[722] შესაბამისად, უნიფიცირებულმა წესებმა განზრახ რეგულირების მიღმა დატოვა არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები.[723]

განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, ერთიანი უნიფიცირებული წესების არასავალდებულო ხასიათის მიუხედავად, იგი De-Facto კანონია. ეს წესები გამოიყენება თითქმის ყველა საერთაშორისო აკრედიტივის მიმართ. შესაბამისად, მიჩნეული უნდა იქნეს როგორც კვაზი-კანონი. კომერციული ურთიერთობის მოწესრიგებისათვის უმჯობესია კანონი ამომწურავად აწესრიგებდეს ყველა საკითხს. უნიფიცირებულ წესებში არამართლზომიერი მოთხოვნის წესების უარყოფის საკითხის არარსებობა შეიძლება სხვადასხვა სადავო საკითხის წარმოშობის საფუძველი გახდეს. ამგვარი მოქმედებით უნიფიცირებულმა წესებმა ღიად და გაურკვევლად დატოვა არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირების საკითხი.[724] უნიფიცირებული წესების შემმუშავებელი კომისიისათვის კარგად იყო ცნობილი არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა მიუხედავად ამისა, იგი ღიად იქნა დატოვებული. შესაძლებელია ქვეყნის მატერიალურ სამართალში გათვალისწინებულმა ნორმებმა ზუსტად ვერ განსაზღვრონ პრობლემური მოთხოვნის მართვის წესები. ამასთან ერთად შესაძლებელია, მოსამართლეს მცირე გამოცდილება გააჩნდეს აკრედიტივთან დაკავშირებულ საკითხებთან. შესაბამისად, არსებობს ალბათობა იმისა, რომ სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილება საერთაშორისო ექსპერტების მწვავე კრიტიკის საგანი გახდეს. შესაბამისად, უმჯობესია, მსგავსი პრობლემური საკითხების განსაზღვრა საერთაშორისო ექსპერტების მიერ მოხდეს.[725]

19.10. არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირების წესი გარანტიების მიმართ მოქმედი უნიფიცირებული წესების შესაბამისად

19.10.1. სახელშეკრულებო გარანტიების შესახებ უნიფიცირებული წესები

საერთაშორისო-სავაჭრო პალატის მიერ შექმნილი სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესები შეიცავს არამართლზომიერი და დაუსაბუთებელი მოთხოვნებისაგან დაცვის რამდენიმე მექანიზმს. ეს წესები არ

[722] Dolan J. F., Commentary on Legislative Developments in Letter of Credit Law: An Interim Report, 8 BANKING & FIN. L. REV. 53, 63 1993.

[723]Barski A.K, Letters of Credit: A Comparison of Article 5 of the Uniform Commercial Code and the Uniform Customs and Practice for Documentary Credits, 41 Loy. L. REV. 735, 751 (1996.

[724] Gao X., The Fraud Rule in the Law of Letters of Credit: A Comparative Study, 2002, 57.

[725] Buckley P. P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 702.

ითვალისწინებს პირველი მოთხოვნისთანავე და დარღვევის შესახებ დამატებითი მტკიცებულების გარეშე გადასახდელი საბანკო გარანტიათა სახეს. არამართლზომიერი და დაუსაბუთებელი მოთხოვნების თავიდან აცილების მიზნით უნიფიცირებული წესები ავალდებულებს ბენეფიციარს მოთხოვნას დაურთოს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულება.[726] სწორედ ამ საფუძვლის გამო URCG ნაკლებად გამოყენებადი გახდა საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში და მისი ადგილი დაიკავა URDG-მ. ბენეფიციარებისათვის მიუღებელი იყო URCG-ს მე-8 და მე-9 მუხლები, რომელიც ითვალისწინებს ა) მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარმოდგენის ვალდებულებას, 2) ბენეფიციარის ვალდებულებას პრინციპალს აცნობოს მოთხოვნის წარმოდგენის შესახებ, 3) მოთხოვნა წარადგინოს გარანტიით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, 4) მოთხოვნა გარანტიაში მითითებული დოკუმენტაციის დართვით წარადგინოს.[727]

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, უნიფიცირებული წესები ხელშეკრულების მხარეებს უტოვებდა უფლებამოსილებას თავად განესაზღვრათ მოთხოვნის დართვისას წარმოსადგენი დოკუმენტაცია. თუ გარანტიით არ იყო გათვალისწინებული წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ბენეფიციარი ვალდებული იყო წარმოედგინა: ა) სატენდერო გარანტიის შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობისა და სატენდერო ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულება, 2) ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის შემთხვევაში, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.[728]

ბენეფიციარებისათვის სირთულე იყო საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ ვადაში მოთხოვნის წარმოდგენა, რომელსაც უნდა დართოდა დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუ გარანტიის პირობა შეიცავდა სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარმოდგენის ვალდებულებას, სამართალწარმოების საკმაოდ ხანგრძლივი ვადის გამო, რთულდებოდა სრულყოფილი მოთხოვნის წარმოდგენა საბანკო გარანტიით განსაზღვრულ ვადაში.[729]

მოთხოვნის წარმოდგენის პროცედურისა და მტკიცების ტვირთის გართულებით URCG-მ შეძლო დაუსაბუთებელი, ყალბი, უკანონო და არამართლზომიერი მოთხოვნების პრევენცია.[730]

---

[726] Kelly – Louw M., Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 719.

[727]Parsons P.J., Commercial Law Note: ICC uniform Rules for Contract Guarantees, 1979, 224.

[728]Kelly – Louw M., Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulent Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 2012, 721.

[729] Šarčević P., Volken P., (eds) International Contracts and Payments, 1991, 72.

[730]Goode R., Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees 1992, 251.

19.10.2. არამართლზომიერი მოთხოვნები URDG-ის მიხედვით

არამართლზომიერი მოთხოვნების წარმოდგენის პრევენციისა და დაცვის მექანიზმი უფრო სუსტია URDG-ის მიხედვით. ამ წესების ფორმირებისას ბენეფიციარისა და პრინციპალის ინტერესები დაუპირისპირდა ერთმანეთს. ბენეფიციართა ინტერესებისათვის უნდა შემსუბუქებულიყო მოთხოვნის წარდგენის პროცედურა და მტკიცების ტვირთი, ხოლო პრინციპალები ითხოვდნენ დაცვის მექანიზმის გათვალისწინებას.[731]

საბოლოოდ, უნიფიცირებული წესების მე-20 მუხლში გათვალისწინებულ იქნა, მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენა და პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაზე მითითება. ამგვარი ვალდებულების მიუხედავად, გარანტის ვალდებულება შემოიფარგლება წარდგენილი დოკუმენტაციის გულმოდგინედ შემოწმებით.[732]

მოთხოვნის შესახებ პრინციპალის პრეტენზიის წარმოდგენისას ბანკი არაა ვალდებული შეაჩეროს თანხის გადახდა. ბანკს უფლება აქვს დისკრეციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გადახდის ან რეგულირების შეჩერების შესახებ. ბანკი ვალდებულია გულისხმიერების პრინციპის დაცვით მოახდინოს მოთხოვნის მართვა და გადაწყვეტილების მიღება. არასწორი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება გადახდილი თანხის რეგრესის წესით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.[733]

URCG-ით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთი შედარებით შემსუბუქებულია URDG-ის მიხედვით. თუმცა მათში გათვალისწინებულია პრინციპალის ინტერესების დაცვის მექანიზმი. კერძოდ, მოცემულია ის მოთხოვნები, რომელიც მოთხოვნის განხორციელებისას უნდა იქნეს დაცული. ამ მოთხოვნების ერთადერთი ფუნქციაა არამართლზომიერი და უკანონო მოთხოვნის თავიდან აცილება. მათი არსებობა რამდენიმე უპირატესობითაა განპირობებული. კერძოდ, შეუძლიათ ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინოს ბენეფიციარზე არამართლზომიერი მოთხოვნის წარდგენასთან დაკავშირებით, [734] და პრინციპალს უადვილებს დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნისას მტკიცების პროცესს. მოთხოვნაში მითითებული დარღვევის გარემოების საწინააღმდეგოდ დადასტურებისას ადვილად შესაძლებელია ღონისძიების გამოყენება.[735] ამასთან, დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის

[731]Gao X., the Fraud Rule in the Law of Letters of Credit: A Comparative Study, 2002, 58.

[732] Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 721.

[733]Kelly – Louw M., Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 723.

[734]Goode R., The New I.C.C. Uniform Rules for Demand Guarantees, 1992, 195.

[735]Bergsten E.A., New Regime for International Independent Guarantees and Stand-By Letters of Credit: The UNCITRAL Draft Convention on Guaranty Letters, 1993, 870.

შემთხვევაში მოთხოვნაში მითითებული არასწორი გარემოებები ბენეფიციარისაგან გადახდილი თანხის უკან დაბრუნების საფუძველი შეიძლება გახდეს.[736]

URDG N458 არამართლზომიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით შემოიფარგლება მხოლოდ ამ ჩანაწერით და პირდაპირ მითითებას არ შეიცავს.[737] URDG N758 წინამორბედის მსგავსად არ შეიცავს პირდაპირ მითითებას არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირებასთან დაკავშირებით. წესების ამ რედაქციით უფრო შემსუბუქდა მოთხოვნის წარდგენისას ბენეფიციარის მტკიცების ტვირთი და გაიზარდა არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების შანსი. URDG N758 არამართლზომიერი მოთხოვნის პრევენციისათვის მოთხოვნის შესახებ პრინციპალისათვის დროულ შეტყობინებასა და მოთხოვნის გულისხმიერად შემოწმების ვალდებულებას ძალაში ტოვებს.

19.10.3. არამართლზომიერი მოთხოვნები რეზერვული აკრედიტივის საერთაშორისო წესების მიხედვით

საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის წესები არამართლზომიერი ან უკანონო მოთხოვნასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ ჩანაწერს არ შეიცავს. ამ საკითხის რეგულირებას მატერიალური სამართლის კომპეტენციად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ წესებში არ არის მოცემული არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის ვალდებულება, მასში გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები ამგვარი მოთხოვნის პრევენციის წინაპირობა შეიძლება იყოს.

წესების შესაბამისად, 1) გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა დოკუმენტური ხასიათისაა, 2) წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების გარდა ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას მოახდინოს გარემოებების გამოძიება, 3) ბენეფიციარს უფლება აქვს რეგრესის წესით მოითხოვოს მხოლოდ კეთილსინდისიერად განხორციელებული ქმედების შედეგად გადახდილი თანხა.[738]

ამგვარი ჩანაწერის მიუხედავად, ISP98 ეფუძნება პრეზუმფციას იმასთან დაკავშირებით, რომ გარანტიათა დამოუკიდებლობის პრინციპის ერთადერთი

[736]Riddall. R, Affaki G., Two Experts Debate why the Uniform Rules for Demand Guarantees are not Widely Used and Propose Solutions' 2001, 15.

[737] Mofleh A. I, Abstract payment Undertakings: to what extent are they truly Absctract?14.

[738]Byrne E., The Official Commentary on The Official Commentary on the International Standby Practices, 1998, 5.

გამონაკლისია ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნა, რომელიც არ უნდა დაკმაყოფილდეს.[739]

ამ შემთხვევაშიც ავტორთა მოსაზრებები ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. ერთი ნაწილის მიხედვით, წესების დადებით მხარედ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ არ შეიცავს მითითებას არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფასთან დაკავშირებით და მათ რეგულირებას კვლავ ეროვნული სამართლის კომპეტენციად განიხილავს. ვინაიდან, არამართლზომიერი მოთხოვნის განმარტება განსხვავებულია სხვადასხვა იურისდიქციის ქვეყნებში.[740] ავტორთა მეორე ნაწილი ეწინააღმდეგება მას და მიიჩნევს, რომ ეს პრობლემის აღმოფხვრის გზა ვერ იქნება.[741]

წესების მიხედვით, მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ბენეფიციარის წერილობით განცხადებით აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად. ბენეფიციარის განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) მოთხოვნის შესახებ მიმართვას, 2) მოთხოვნილი თანხის ოდენობას, 3) ბენეფიციარის ხელმოწერას. მოთხოვნასთან ერთად შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის დართვა.[742]

14.7 წესების შესაბამისად, თუ გარანტია მოითხოვს, რომ მოთხოვნა წარდგენილი იყოს ბენეფიციარის განცხადებასა ან დარღვევის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, თუმცა შინაარსის აღწერილობის გარეშე, მაშინ მოთხოვნა მიიჩნევა სათანადოდ, თუ ა) გადახდის მოთხოვნა დასაბუთებულია მასში მითითებული აღწერის შესაბამისად, ბ) გააჩნია მოთხოვნის თარიღი და ბენეფიციარის ხელმოწერა. 3.03, 4.08, 4.16 წესებით საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად, შეიძლება გამორიცხულ იქნეს მოთხოვნის წარდგენისას დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დართვისა და დარღვევის შესახებ მითითების აუცილებლობა. ეს არის უნიფიცირებული წესებისაგან უკან გადადგმული ნაბიჯი. ვინაიდან, უნიფიცირებული წესები სავალდებულოდ ითვალისწინებს მოთხოვნის განხორციელებისას დარღვევის შესახებ ინფორმირების აუცილებლობას.[743]

უნიფიცირებული წესებისგან კიდევ ერთი განსხვავებით, 3.10 წესი არ ავალდებულებს გარანტს მოთხოვნის დადგომისას აცნობოს პრინციპალს. ამ

[739]Kelly – Louw M., Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 726.

[740]Dolan J.F, Analying Bank Drafted Standby letter of Credit Rules, The International Standby Practice (ISP98), 2000, 129.

[741]Buckley P.P., Gao X, The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 693.

[742]Dolan J.F., Analyzing Bank Drafted Standby letter of Credit Rules, The International Standby Practice (ISP98), 2000, 183.

[743]Buckley P. P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 693

შემთხვევაში პრინციპალი უფლების დაცვის გარეშე რჩება. მოთხოვნის რეგულირების პროცესში იგი არათუ მონაწილეობს, არამედ ინფორმაციაც არ გააჩნია მოთხოვნის წარდგენის შესახებ. შესაბამისად, იგი მოკლებულია პროტესტის დაყენების ან სასამართლოსათვის დროებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.[744]

ამგვარი ჩანაწერის არსებობა წესების ოფიციალური კომენტარის ავტორის მოსაზრებით გამართლებულია გარანტიათა კომერციული მიზნებით, რათა ბენეფიციარმა დაყოვნების გარეშე მიიღოს თანხა და პრინციპალს შეეზღუდოს სასამართლოსათვის გადახდის აკრძალვის მიმართვის შესაძლებლობა. თუმცა ეს დანაწესი არ გამორიცხავს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დავის წარმოების შესაძლებლობას არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით. თანხის გადახდის შემდგომ ბენეფიციარის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს გადახდილი თანხის განკარგვის აკრძალვა დავის დასრულებამდე.[745]

19.11. არამართლზომიერი მოთხოვნა UNCITRAL-ის კონვენციის შესაბამისად

გაეროს სავაჭრო კომისიის მიერ შექმნილი კონვენცია დამოუკიდებელია გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მრავალფეროვან საფუძვლებს ითვალისწინებს.

კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, პირველ ნაწილში გათვალისწინებულია არამართლზომიერი მოთხოვნის შემდეგი საფუძვლები: ა) წარმოდგენილი დოკუმენტი არაა ნამდვილი; ბ) ანაზღაურებაზე უარის თქმა მართებულია მოთხოვნაში ან დოკუმენტაციაში მითითებული საფუძვლით; გ) მოთხოვნას არა აქვს საკმარისი საფუძველი, გარანტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და ჰქონდა ბენეფიციარის მიმართ თანხის გადახდაზე უარის თქმის უფლება.

ამ მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რომელიც მოთხოვნის დაუსაბუთებლობას ადასტურებს. კერძოდ, ა) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვითარება ან რისკი უეჭველად არ დამდგარა, ბ) გარიგება ბათილად არის ცნობილი სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარანტია ამ რისკისგან ბენეფიციარის დაცვას ემსახურებოდა, გ) ძირითადი ვალდებულება შესრულდა, დ) ძირითადი ვალდებულების შესრულებაში ბენეფიციარმა შეუშალა ხელი პრინციპალს, ე) კონტრგარანტმა

[744]Kelly – Louw M., Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 2012, 726.

[745]Kelly – Louw M., Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 2012, 732.

არაკეთილსინდისიერად გასცა საგარანტიო ანაზღაურება და კონტრგარანტიის საფუძველზე მოითხოვა თანხის დაბრუნება.[746]

კონვენციაში ამგვარი ჩამონათვალის არსებობის მიზანი იყო დაედგინა ერთიანი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა გარანტის ან სასამართლოს მიერ არამართლზომიერი, უკანონო და დაუსაბუთებელი მოთხოვნის რეგულირების პროცესში. ამგვარი მოთხოვნების შესახებ მითითება უმეტესად მაშინ ხდება, როცა დავა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით არსებობს.[747] კონვენცია არ შეიცავს არამართლზომიერი მოთხოვნის განმარტებას და არც პირდაპირ არის იგი მითითებული უარის თქმის საფუძვლად. მე-19 მუხლის სათაურად მითითებულია „თანხის გადახდის გამონაკლისები“ და ჩამოთვლილია კონკრეტული საფუძვლები, რომელიც უარის თქმისას უნდა იქნეს გამოყენებული.[748] ეს ჩამონათვალი შეიცავს ყველა იმ საფუძველს, რომელიც სხვადასხვა სამართლის სისტემის ქვეყანაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც არამართლზომიერი და უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად განხორციელებული მოთხოვნა. მათ შორის, ყალბი, არამართლზომიერი და უკანონო[749] მოთხოვნები.

კონვენცია არ აზუსტებს რა სტანდარტი უნდა იქნეს გამოყენებული ვალდებულების შესრულების ან საგარანტიო რისკის არდადგომის შეფასებისას. ცხადია, ყველა სადავო საკითხის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ობიექტური ტესტი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სხვადასხვაგვარი სტანდარტის დადგენა.[750] კონვენცია მიმართულია პრაქტიკაში არსებული შეუსაბამობებისა და პრობლემების აღმოფხვრისაკენ.[751]

კონვენციის მე-19 მუხლში მითითებული ჩამონათვალი კომერციული ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავს მიზნად და იგი უნიფიცირებული წესებისგან განსხვავებით ამ ურთიერთობების მოწესრიგებას ისახავს მიზნად. მოთხოვნის უარყოფის საფუძვლების დეტალური ჩამონათვალი არამართლზომიერი მოთხოვნების პრევენციისა და მხარეების მიერ ურთიერთობების კეთილსინდისიერად განხორციელების იძულების მექანიზმია.

---

[746] Meral N., A Global Analysis, The Fraud Exception in Documantary Credits: a Global Analysis. Ankara bar Review, 2012, 68.

[747]Explanatory note by the UNCITRAL Secretariat on the United Nations Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit,1997, 23.

[748]Busto D., Documentary Credits—UCP 500 & 400 Compared, ICC Brochure No 511, 49.

[749] „თუ დადასტურდა, რომ გარიგება ბათილად არის ცნობილი არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ“.

[750]Longwa Kayembe G., the Fraud Exception in Bank Guarantee, 2008, 40.

[751]Meral N., A Global Analysis, The Fraud Exception in Documantary Credits: A Global Analysis.2012, 68.

20. კეთილსინდისიერების პრინციპი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში

თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელია კეთილსინდისიერების პრინციპის აღიარება, რომლითაც კონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგლები. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან ან ამ ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის ნორმებიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს.[752]სსკ-ს რამდენიმე ნორმა იხსენიებს „კეთილსინდისიერების" პრინციპს, თუმცა კოდექსი ამ ტერმინის ლეგალურ განსაზღვრებას არ იძლევა. კეთილსინდისიერების პრინციპის ერთიანი ცნების შემუშავება შეუძლებელია, შესაბამისად, უმჯობესია განისაზღვროს ის კრიტერიუმები და ვალდებულებები, რომლითაც შესაძლებელი იქნება აიხსნას კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი.[753]

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების მიერ უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულება კოდექსის რამდენიმე მუხლით არის გათვალისწინებული. სსკ-ს მე-8 მუხლის შესაბამისად, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი."[754] მოცემული ფორმულირება არის ზოგადი დებულება, რომლის დეტალიზება სსკ-ს ცალკეულ მუხლებშიც ხდება.[755] კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტი ვრცელდება მთლიანად კერძო სამართალზე.[756] კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში ენიჭება. ეს არც არის გასაკვირი. სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) სამართალი სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უფრო მოცულობითი ნაწილია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას". ეს ორი მუხლი მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედია, რომლებითაც კოდექსი სამოქალაქო სამართალ ურთიერთობაში სოციალურ-ეთიკურ ღირებულებებს ამკვიდრებს.[757]

---

[752]კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 84.

[753]ხუბაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2014, 38.

[754]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი.

[755]ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, 2007, 38.

[756]ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2014, 38.

[757]ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, 2007, 39.

ზუსტი განმარტების არარსებობის მიუხედავად, კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.[758]

სამოქალაქო კოდექსი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს საკუთარი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებას აკისრებს. თუმცა უფლებათა შეზღუდვის ფუნქციას ითვალისწინებს,[759]რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს მხარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას და განმარტავს, რომ „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.“[760] უფლების შეზღუდვის ფუნქციას მოიხსენიებენ ისეთი ტერმინითაც, როგორიც არის „შემაკავებელი ფუნქცია“, რომელიც გამოიხატება ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაბალანსებასა და უფლებათა მავნებლური, გაუმართლებელი გამოყენების შეზღუდვაში.[761]

სსკ-ს 115-ე მუხლი უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის „კეთილსინდისიერების პრინციპის“ გამოხმაურებაა. ამ მუხლით კანონმდებელი ზოგადად კრძალავს უფლების ბოროტად გამოყენებას იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მისი კონკრეტული შემთხვევა სპეციალური იმპერატიული ნორმებით არ არის გათვალისწინებული.[762]

ზოგადი აკრძალვის შესაბამისად, დაუშვებელია უფლების ბოროტად გამოყენება მარტოოდენ იმ საფუძვლით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს უფლების განხორციელება, რომელიც სხვა პირს აყენებს ზიანს და არ ისახავს უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესების დაცვას.[763]

უფლების ბოროტად გამოყენება აკრძალულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, რომლის §226 განმარტავს, რომ დაუშვებელია უფლების ბოროტად გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანის მიადგენს სხვას. ამის გარდა გსკ უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ შემთხვევად დაუყოვნებლივი (იმავდროული) დაბრუნების ვალდებულებას მიიჩნევს. (dolo agit, qui petit, quod statim redditurus est (ლათ. „მზაკვრულად მოქმედებს ის, ვინც იმას ითხოვს, რაც,

[758] ზოიძე ბ. , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, 2001, 270.

[759] ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2014, 38.

[760] სსკს-115

[761]ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 66.

[762]ჩაჩავა ს., სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურია, (რედ), 2017, 654.

[763]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის #ას-1535-1438-2012 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 თებერვლის № ას-360-345-2016 გადაწყვეტილება.

იმავდროულად, უკანვე უნდა დააბრუნოს.“). უფლების ბოროტად გამოყენება არის კრედიტორის მიერ ისეთი საგნების მოთხოვნა, რომელიც მან მოვალეს სხვა სამართლებრივ საფუძველზე (მაგ. ზიანის ანაზღაურება ან უსაფუძვლო გამდიდრება) უკან უნდა დაუბრუნოს.[764]

უფლების გამოყენება გაუმართლებელია, როცა ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან არ დგინდება უფლების გამოყენების არანაირი მიზანი, გარდა სხვა პირისათვის ზიანის მიყენება. უფლების ასეთი განხორციელება დაუშვებელი და გაუმართლებელია.[765]

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში ბენეფიციარის საგარანტიო მოთხოვნა თანხის გადახდასთან დაკავშირებით, როცა მისთვის ცნობილია, რომ უზრუნველყოფილი ვალდებულება შესრულებული, შეწყვეტილი ან ბათილია, სხვა არაფერია თუ არა უფლების ბოროტად გამოყენება. აშშ-ს, ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებით ქართული სასამართლო პრაქტიკა მწირია იმგვარი გადაწყვეტილებებით, სადაც ბენეფიციარის ამგვარი მოთხოვნა შეფასებული იქნა უფლების ბოროტად გამოყენებად.

საბანკო გარანტია მომეტებული რისკის შემცველი ინსტრუმენტია. შესაბამისად, სუბიექტებს განსაკუთრებით უნდა დაევალოს საკუთარი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელება. ამასთან, ბენეფიციარს არ შეიძლება მიეცეს საშუალება საკუთარი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენოს. სსკ-ში გათვალისწინებული შემაკავებელი ფუნქცია ბოჭავს ხელშეკრულების მხარეებს და კრძალავს მხარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელებას მხოლოდ იმ დროს, როცა სხვას ადგება ზიანი.

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებში გათვალისწინებულია გარანტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება. საბანკო გარანტიის ფუნქციის და მნიშვნელობის გათვალისწინებით კოდექსი გარანტს მოთხოვნის რეგულირების სპეციალური ვადას უწესებს და ადგენს, რომ გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა, იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. “გონივრული მზრუნველობა“ არის კეთილსინდისიერების გამოვლინება. ამ პრინციპის საფუძველზე გარანტი დაუყოვნებლივ აცნობებს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.[766]

---

[764]ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, 2015, 34.

[765] ჩაჩავა ს., სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურია, (რედ), 2017, 656.

[766]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი.

შესაძლებელია ზოგჯერ „გონივრული მზრუნველობის“ შესახებ თავად ნორმაში არაფერი იყოს მითითებული, მაგრამ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნა გამომდინარეობდეს მისი შინაარსიდან.[767]

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, გარანტი შეზღუდულია ჩაერიოს ძირითადი ვალდებულების სუბიექტების ურთიერთობაში. თუ საგარანტიო მოთხოვნის არამართლზომიერება ბანკისათვის ცნობილია თანხის გადახდამდე, გარანტი ვალდებულია უარი თქვას მოთხოვნაზე და თავი შეიკავოს გადახდისაგან. ბანკის მიერ ამ ვალდებულების დარღვევა პრინციპალის მიმართ რეგრესის უფლების დაკარგვას გამოიწვევს. ბანკი ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილება შეასრულოს კეთილსინდისიერად და სათანადო მზრუნველობით.[768]

კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს სახელშეკრულებო ურთიერთობის ყველა მონაწილეს. ამ პრინციპის დაცვა გარანტს ევალება, რაც გამოიხატება ბენეფიციარისა და პრინციპალის დროულ ინფორმირებაში. შეუძლებელია ბენეფიციარი იყოს მისი დაცვის ვალდებულებისაგან გათავისუფლებული. შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება კეთილსინდისიერად და გულისხმიერად ყველაზე მეტად მას უნდა დაევალოს.

არაკეთილსინდისიერი მოთხოვნები სხვადასხვა იურისდიქციის ქვეყნებში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად იქცა.[769] არაკეთილსინდისიერი მოთხოვნა სხვადასხვაგვარად განიმარტა, თუმცა ერთ-ერთი საუკეთესო განმარტება მოცემულია საქმეზე Mc Connell v. SembCorp,[770] სადაც სინგაპურის სასამართლომ მიუთითა, რომ:

> „არაკეთილსინდისიერების კონცეფცია მოიცავს უსამართლობას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება არამართლზომიერებისა და უნდობლობისაგანა, ქცევას რომელიც დასაგმობია, ან გულისხმიერების ნაკლებობას...[771]

ავსტრალიის სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრად გამოხატულია პოზიცია ბენეფიციარის მიერ კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულების შესახებ. განსაკუთრებით, უპირობო გარანტიების შემთხვევაში. არაკეთილსინდისიერი მოთხოვნა გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის

[767] ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2014, 74.
[768] Bertrams R., Bank Guarantees in international trade, 3rd ed., Kluwer law international, 2004, 397.
[769] Kelly- Louw M., Selective legal Aspects of Demand Bank Guarantee, 2008, 85.
[770] 2002, BLR 450, 75.
[771] Keyembe G., The Fraud in Banks Guarantee, 82, 39.

თქმის საფუძველია,[772] რომელიც პირველად დადგინდა საქმეზე Olex focas Pty v. Skodaexport Co Ltd.[773]

მოსარჩელე იყო ქვეკონტრაქტორი. მას მოპასუხისათვის სატელეკომუნიკაციო საშუალებების მომარაგება და ინსტალაცია უნდა განეხორციელებინა, რომელიც ინდოეთში გაზსადენის მშენებლობას აწარმოებდა. მოსარჩელემ წარადგინა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა მოპასუხის მიერ გადახდილი თანხის მიზნობრივ ხარჯვას. ეს გარანტია იწოდებოდა, როგორც მობილიზაციის გარანტია. ასევე, წარდგენილი იყო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია. შესრულების და მობილიზაციის საბანკო გარანტია ორივე იყო უპირობო. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემდგომ, მოპასუხემ სრულად გამოითხოვა საბანკო გარანტია, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მიერ საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის თანხა იყო ათვისებული.

მოსარჩელემ სასამართლოს აკრძალვის მოთხოვნით მიმართა და მიიჩნევდა, რომ მოთხოვნა იყო არამართლზომიერი. სასამართლომ[774] აღნიშნული შემთხვევა არამართლზომიერ მოთხოვნად არ მიიჩნია, თუმცა დაადგინა რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი მოთხოვნა იყო არაკეთილსინდისიერი და ეწინააღმდეგებოდა ავსტრალიის სავაჭრო კანონით[775] გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპს.[776] ვინაიდან, ბენეფიციარმა მოითხოვა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა სრულად, მიუხედავად იმისა, რომ ავანსის თანხის დიდი ნაწილი (90%) უკვე სრულად იყო გაქვითული. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა საავანსო (მობილიზაციის) საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის სრულად დაბრუნებაზე, და გარანტს დააკისრა მხოლოდ დარჩენილი რაოდენობის თანხის გადახდა.[777]

---

[772] Rodrigo T, Theoretical Justifications for restraining “Unconscionable” demand under on Demand Guarantee, 2012, 6.

[773]ავსტრალიის ვიქტორიის შტატის უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილება 3 RV 380, 1998.

[774]გამოიყენა უკვე არამართლზომიერი მოთხოვნის პრეცენდენტად დამკვიდრებული გადაწყვეტილება Wood Hal Ltd v. Pipeline Authority, 1979, 141 CLR 443, სადაც სასამართლოს განმარტა, რომ გარანტიის ვალდებულებაა გადაიხადოს თანხა, თუ მოთხოვნა შეესაბამება პირობებს. ბანკი უფლებამოსილია თავი შეიკავოს გადახდისაგან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ წარმოდგენილი მყარი მტკიცებულებით დასტურდება არამართლზომიერი მოთხოვნა.

[775] მიღებულია 1974 წელს (CTH) (TPA), რომელიც 2010 წელს ჩაანაცვლა ავსტრალიის მომხმარებელთა კანონმა (ACL).

[776]Hunt R., Enforcing Security, Guarantees and Injucntions, Builind and Constraction Law review 2001, 397.

[777]Tyler A., Performacen Bonds and S 51AA TPA, http://www2.austlii.edu.au/~alan/skodaexport.html, 1.09.17.

ეს გადაწყვეტილება[778] პრეცედენტული მნიშვნელობისაა, რამდენიმე გარემოების გამო ა) სასამართლომ არამართლზომიერი მოთხოვნისაგან განსხვავებული საფუძველი მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ გარანტია იყო უპირობო, არაკეთილსინდისიერი მოთხოვნა სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. ამ გადაწყვეტილების შემდგომ მიჩნეულია, რომ "კანონით გათვალისწინებული არაკეთილსინდისიერება" უპირობო საბანკო გარანტიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ცალკე საფუძველია.[779]

რამდენიმე წლის შემდგომ არაკეთილსინდისიერი მოთხოვნა უარის თქმის საფუძვლად იქნა მიჩნეული. საქმეში Boral Formwork and Scaffoldins PTY LTD v. Action Makers Ltd[780]გამყიდველმა ნასყიდობის სრული საფასური მოითხოვა ბანკისაგან საქონლის გადამზიდავისათვის მიწოდების შემდგომ. აპლიკანტმა ბანკს აცნობა, რომ თანხის გადახდა არ მოეხდინა, რადგან გამყიდველის მიერ გამოგზავნილი საქონელი იყო ნაკლიანი. ბანკმა გადაიხადა უდეფექტო საქონლის ღირებულება, ხოლო ნაკლიანი საქონლის ღირებულების ანაზღაურება შეაჩერა. ბენეფიციარმა აკრედიტივის დამოუკიდებელ ბუნებაზე მითითებით მოითხოვა აკრედიტივის თანხის სრულად გადახდა. სასამართლომ განმარტა, რომ „თავისთავად არ არის უსამართლო და არაგონივრული ან არაკეთილსინდისიერი კომერციული უფლების ავტონომიურობაზე მითითება... თუმცა თუ ქცევა არაკეთილსინდისიერია, ავტონომიურობის პრინციპის გამოყენება სასამართლოს დისკრეციას წარმოადგენს, მოახდენს აკრძალვის გამოყენებას, თუ მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების სხვა საშუალებით აღჭურვავს… ამ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა წარმომდგარია უკანონო საფუძვლით ავტონომიურობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ყოყმანი უნდა გამოირიცხოს..."[781]

სასამართლომ დოკუმენტური აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომელიც არაკეთილსინდისიერად იქნა განხორციელებული არ მიიჩნია თანხის გადახდის შესაბამის საფუძვლად.

ინგლისისა და აშშ-ს სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებით, ავსტრალიის სასამართლომ საბანკო გარანტიებისა და აკრედიტივიდან გამომდინარე ურთიერთობებში ბენეფიციარს ქმედების კეთილსინდისიერად და გულისხმიერად განხორციელება დაავალა.

საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის იურისდიქციის ქვეყნებში სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმულირებისა და

[778]Olex focas Pty v. Skodaexport Co Ltd, 3 RV 380, 1998.
[779]Rodrigo T., Theoretical Justifications for restraining "Unconscionable" demand under on Demand Guarantee, 2012, 9.
[780]2003, NSWSC 713.
[781]Dixon D., William M., As good as cash? The diminution of the autonomy principle, 25.

განხორციელების პროცესში კეთილსინდისიერების, სამართლიანობისა და გულისხმიერების პრინციპები უმთავრესი მნიშვნელობისაა.[782]

უპირობო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის უფლებამოსილება არ შეიძლება განხორციელდეს უკანონოდ, არაკეთილსინდისიერად და „ჭირვეულად/ახირებულად". უპირობო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში კანონი უნდა ჩაერიოს, თუ სახეზეა არამართლზომიერი და არაკეთილსინდისიერი მოთხოვნები.[783]

20.1. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილება არსებობს, სადაც სასამართლო გარანტიის მონაწილე სუბიექტებს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულებას და უფლების ბოროტად გამოყენებაზე მიუთითებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ[784]თავისი ქმედების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებაზე მიუთითა ბენეფიციარს, რომელიც სახელმწიფო შემსყიდველი იყო.[785]

---

[782]Browsword R., Hird N., Howels G., Good Faith in Contract formation, Concept and Context, 1999, 9.

[783]Rodrigo T., Theoretical Justifications for restraining "Unconscionable" demand under on Demand Guarantee, 2012, 14.

[784]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის №ას-251-239-2017 გადაწყვეტილება.

[785]2014 წლის 9 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 557 600 ლარს შეადგენდა. ხელშეკრულების თანახმად, რეაბილიტაცია უნდა ჩატარებოდა ქ.თბილისში, ფ-ის დასახლებაში, რ-ის, ბ-ისა და ა-ის ქუჩებს. სამუშაოს მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე. სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიმართ განისაზღვრა პირგასამტეხლო 0.5%-ის ოდენობით. ხელშეკრულების შესრულების ვადის 20 დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევისათვის სადაზღვევო კომპანიისათვის მიერ გაცემული იქნა საბანკო გარანტია 27 880 ლარის ოდენობით. სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა, რომ 9 ოქტომბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით იყო 19 ნალექიანი დღე და სამუშაოების დასრულება დადგენილ ვადაში ობიექტურად შეუძლებელი იყო. ამის შესახებ მიმწოდებელმა, შემსყიდველს აცნობა 2015 წლის 3 დეკემბერს N74 წერილით და ითხოვა სამუშაოს მიწოდების ვადის გაზრდა 19 დღით - 28 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა, შემსყიდველმა ხელშეკრულების ვადა გააგრძელა მხოლოდ 10 დღით - 2015 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით, რაზეც მხარეებს შორის 2014 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა დამატებითი შეთანხმება. 2014 წლის 16 დეკემბერს მიმწოდებელმა დაასრულა რ-ის ქუჩის რეაბილიტაცია. სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 112 264 ლარი, რაც დადასტურდა N1 მიღება-ჩაბარების აქტით, ხოლო, 2014 წლის 24 დეკემბერს _ ბ-ის ქუჩის რეაბილიტაცია. სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგინა 125 714,44 ლარი, რაც დადასტურდა N2 მიღება-ჩაბარების აქტით. შემსყიდველმა ხელშეკრულების 6.1.-ს და 7.2.

სასამართლომ არ გაიზიარა ბენეფიციარის პოზიცია გარანტიის გამოთხოვის კანონიერების თაობაზე[786] და მიუთითა, რომ სსკ-ს 8.2. მუხლის თანახმად, კასატორი[787] კერძოსამართლებრივ გარიგებაში სწორედ კერძო სამართლის სუბიექტად განიხილება და მას კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა ევალება, საპირისპირო ვითარებაშიც კი, ადმინისტრაციული ორგანო საჯაროსამართლებრივ ფუნქციას თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით ასრულებს და მისი მხრიდან კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის დაცვა საჯარო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობიდანაც იმპერატიულად გამომდინარეობს… მხოლოდ მოთხოვნის უფლების არსებობა იმგვარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, როგორც საბანკო გარანტიაა, არ აძლევს ბენეფიციარს უფლებას, უპირობოდ აინაზღაუროს თანხა, მას ეკისრება მეორე მხარის ქონებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამოჩენა.[788] სახეზე გვაქვს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, რაც კანონისა და სასამართლოს წინაშე ამ პირთა თანასწორობას მოიაზრებს.[789]

პუნქტების შესაბამისად 30 კალენდარული დღის ვადაში არ ჩარიცხა შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიმწოდებლის ანგარიშზე, რის გამოც მას უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ნაცვლად 0,5%-ისა (რომლის ოდენობაც შეუსაბამოდ დიდია) 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დასრულებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ რ-ის ქუჩის მოსახლეობამ საკომუნიკაციო მილების შესაცვლელად თვითნებურად გათხარა ტრანშეა და სამუშაოს გაგრძელება შეუძლებელი გახდა, რაც დადასტურდა მხარეებს შორის 2015 წლის 15 იანვარის დამატებითი შეთანხმების აქტით, რის საფუძველზეც მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება. 2015 წლის 22 იანვარს, შემსყიდველმა ისევ შეცვალა სამუშაოს პროექტი. მისი მოცულობა დაკორექტირდა და 2015 წლის 9 თებერვლისა და 10 მარტის შეთანხმებებით, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრა 33 088,43 ლარით. სამუშაოები საბოლოოდ დასრულდა 2015 წლის 5 მარტს. მოპასუხემ, იმ მოტივით, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების შესრულების ვადა 20 დღეზე მეტი ხნით გადააცილა, 2015 წლის 15 იანვარს გარანტს მოსთხოვა შემსრულებლის სასარგებლოდ გაცემული საგარანტიო თანხის - 27 880 ლარის ჩარიცხვა. თანხა ჩარიცხული იქნა 2015 წლის 20 იანვარს, ასევე, ვინაიდან შემსყიდველი არ იხდიდა შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, მიმწოდებელი იძულებული გახდა 2015 წლის 26 მარტს მიემართა მისთვის შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან მოთხოვნილი პირგასამტეხლოს - 31 700 ლარის დაკავების მოთხოვნით.

[786]თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნალექიანი ამინდები მიიჩნია ფორს-მაჟორად, რაც გამორიცხავდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას და საბანკო გარანტიის გამოთხოვის მართლზომიერებას.

[787] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

[788] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილი.

[789]კასატორის მითითებით, „სააპელაციო პალატამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეამცირა პრინციპალისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო 0.5%-დან 0.1%-მდე. სამოქალაქო ურთიერთობები გამომდინარეობს ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით, რაც გულისხმობს ოფერტსა და აქცეპტს. ბუნებრივია, რომ თუ მხარეს არ აწყობდა ზემოაღნიშნული პირობა იგი არ მოახდენდა ხელშეკრულების აქცეპტირებას. სამეწარმეო იურიდიულ პირებს მართებთ მეტი წინდახედულობა და მათთვის უფრო მაღალი სტანდარტია დაწესებული. მხარემ დაკისრებული

სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება და მითითება ბენეფიციარის ქმედების კეთილსინდისიერად განხორციელებასთან დაკავშირებით დადებითად უნდა შეფასდეს.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში შემსყიდველი[790] კანონით გათვალისწინებული სახსრებით[791] ახორციელებს შესყიდვას. სახელმწიფო შემსყიდველი უმეტესად საბიუჯეტო ორგანიზაციაა,[792] რომელიც მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში

პირგასამტეხლო გადაიხადა, ანუ ეს ოდენობა მისთვის მისაღები იყო და არც მძიმე ტვირთს არ წარმოადგენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მას თავიდანვე სადავოს გახდიდა. მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად დაიცვა სასამართლომ კერძო და საჯარო ინტერესის პროპორციულობა, როდესაც დაუსაბუთებელი უპირატესობა მიანიჭა ერთი მეწარმე სუბიექტის კერძო ინტერესს და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სამართლებრივი დაცვის გარეშე დარჩა ის საჯარო ინტერესი, რომლის დამცველ მხარესაც კასატორი წარმოადგენდა.“

[790] შემსყიდველი ორგანიზაცია არის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება.

[791]სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვა არის ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა შემდეგი სახსრებით: ა.ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;
ა.ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის სახსრებით; ა.გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით; ა.დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით; ა.ე) საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი, ამ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, ა.ვ) სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით; ა.ზ) ააიპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებით, ა.თ) იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

[792]საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, მე-6 მუხლის „ს“ პუნქტის მიხედვით “საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია.

ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.[793]სახელმწიფო შესყიდვების სახელშეკრულებო ურთიერთობებში შემსყიდველი ძლიერი სუბიექტია. იგი ცალმხრივად ადგენს ხელშეკრულების პირობებს. სატენდერო დოკუმენტაციაში განათავსებს დასადები ხელშეკრულების პროექტს და მასში ცვლილების შეტანა საკმაოდ რთულია.

2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების ერთ-ერთი მხარე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაა, რომელიც მისთვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო სახსრებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას. ადმინისტრაციული ორგანოს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსით[794] გათვალისწინებული წესით ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილება კანონის საფუძველზე განახორციელოს და მის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედება დაუშვებელია.[795] იგი ვალდებულია მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება და დაიცვას კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობა.[796]

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზნებიდან გამომდინარე, შემსყიდველი ვალდებულია საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის გათვალისწინებით უზრუნველყოს მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორი მოპყრობა.[797] ადმინისტრაციული ორგანოს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი და ვალდებულია დაიცვას სსკ-ს იმპერატიული პრინციპები. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში მონაწილე შემსყიდველი ორმაგი ბოჭვის ფარგლებში ექცევა და ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილება

[793] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;

[794] საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, N2181, 25/06/1999.

[795] საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი.

[796] საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლი.

[797]სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, კანონის მიზანია: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა; ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა; დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

განახორციელოს როგორც სზაკ-ის, ისე სსკ-ით გათვალისწინებული პრინციპებისა და ვალდებულებების დაცვით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შესყიდვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში სწორედ ამ ვალდებულების დაცვაზე მიუთითა. თუმცა ამგვარი მითითება პრინციპალის მიერ უკვე გადახდილი გარანტიისა და პირგასამტეხლოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების დროს განხორციელდა. ბენეფიციარის მიერ გარანტიის თანხის გარანტისათვის დაკისრებასთან დაკავშირებულ დავებზე ამგვარ ვალდებულებებზე მითითება საკმაოდ იშვიათია.[798]სასამართლოს მიერ მრავალი ისეთი დავა იქნა განხილული, სადაც მკვეთრად იკვეთებოდა ბენეფიციარის მიერ არამართლზომიერი ქმედება და საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნიშნები.[799]

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად და ჯეროვნად შესრულების მიუხედავად, ბენეფიციარმა მაინც მოითხოვა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა. ამ საქმეში არსებობდა ყველა ელემენტი, რათა იგი მიჩნეული ყოფილიყო არამართლზომიერ მოთხოვნად. 1) გარანტია იყო უპირობო, რის გამოც გარანტი ვერ მოახდენდა პირობებთან შეუსაბამობის გამო უარის თქმას, 2) საავანსო უზრუნველყოფის გარანტია მოიცავდა ხელშეკრულების ფარგლებში წინასწარ მიღებული თანხის მიზნობრივ ხარჯვას, 3) მიმწოდებელმა სრულად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, 4) შესრულებული სამუშაოების არსებობა და შესაბამისობა დადასტურებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნით და მხარეთა მიერ ორმხრივად ხელმოწერილი სამუშაოების შესრულების დოკუმენტაციით, 5) ბენეფიციარმა მიიღო შესრულებული სამუშაო და ხელი მოაწერა მიღება-ჩაბარების აქტს, 6) ბენეფიციარს სამუშაოს ნაკლთან დაკავშირებით არანაირი მითითება განუხორციელებია, 7) მიმწოდებელს ბენეფიციარისაგან გადაერიცხა შესრულებული სამუშაოს სრული ღირებულება, 8) ბენეფიციარის მიერ დადასტურდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულება შესრულდა ჯეროვნად. ამ გარემოებების მიუხედავად, ბენეფიციარმა მოითხოვა საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის თანხა სრულად. პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება გაუქმებული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, თუმცა არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ განუმარტავს, რომ ამგვარი მოთხოვნა იყო არამართლზომიერი და ბენეფიციარის უფლების ბოროტად გამოყენების შედეგი.

---

[798] იგულისხმება კვლევის ფარგლებში დამუშავებული სასამართლო გადაწყვეტილებები. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემასა და ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებული გადაწყვეტილებები. ასევე, კვლევის ფარგლებში მოძიებული გადაწყვეტილებები.

[799] საქმე, რომელსაც ადევს საიდუმლო გრიფი, შესაბამისად, გადაწყვეტილების დეტალებს და საქმის ნომრების მითითება ვერ ხდება.

სსკ-ს-115-ე მუხლის გამოყენება სასამართლოს მიერ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გამოჩნდა,[800] სადაც სასამართლომ იგი დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვად მიიჩნია. თუმცა ზემოთ განხილული საქმე სხვა არაფერია, თუ არა ბენეფიციარის „დაჟინებული“, „ახირებული“, „აკვიატებული“ მოთხოვნა, რომელიც არ შეიძლება დაკმაყოფილებულიყო.

21. უკანონო მოთხოვნა, როგორც გარანტიის ავტონომიის პრინციპის გამონაკლისი

არამართლზომიერი მოთხოვნა გარანტიის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ყველაზე გავრცელებული საფუძველია. არაკანონიერი მოთხოვა გარანტიის ავტონომიურობის პრინციპის გამონაკლისია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის დოქტრინაში არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს კანონის, მორალისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ წარმოდგენილი მოთხოვნა და ხელშეკრულება, რომელიც უკანონო, ამორალურია და არღვევს საჯარო წესრიგს.[801]

21.1. უკანონო საბანკო გარანტია

ხელშეკრულება, რომელიც კანონს, მორალს და საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება ინგლისის სამართლის მიხედვით მიიჩნევა უკანონოდ. თუ საბანკო გარანტიის პირობები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, კანონს ან მორალს ხელშეკრულების მსგავსად, ასევე მიიჩნევა უკანონოდ და მისგან გამომდინარე მოთხოვნა დაუშვებელია.[802]

საბანკო გარანტია უკანონოა, თუ მისი გამცემი, როგორც სუბიექტი მიუღებელია ბენეფიციარისათვის. ამ შემთხვევაში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც კანონით აკრძალულია გარანტიის გაცემა კონკრეტული ქვეყნის ბენეფიციარის სასარგებლოდ. მაგ. როდესაც გარანტი არის იმ ქვეყნის სუბიექტი, რომელიც საომარ მდგომარეობაშია ბენეფიციარის ქვეყანასთან.[803]

21.2 . უკანონო ხელშეკრულება

[800] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 სექტემბერის N **2/9973-10** გადაწყვეტილება.

[801]Enonchong N., The Autonomy principle of the letter of Credit: an illegality exception? 2006, 405.

[802]Kelly-Louw M., Selective legal aspects of bank demand Guarantees, 2008, 258

[803]Enonchong N., The Autonomy principle of the letter of Credit: an illegality exception? 2006, 406.

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვის ყველაზე გავრცელებული საფუძველია არამართლზომიერი მოთხოვნა. თუმცა იგი არ არის მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი.

მიჩნეულია, რომ უკანონობა ყველაზე „მუხანათური“ საფუძველია. ვინაიდან, საკმაოდ ბუნდოვანი და ამოუწურავია მასთან დაკავშირებული უარის თქმის საფუძვლები. კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნის უარყოფასთან დაკავშირებული დოქტრინა მრავალ სადავო საკითხს შეიცავს. კანონმდებლობით გარიგების ან მოთხოვნის უკანონოდ მიჩნევის სხვადასხვა საფუძველი შეიძლება არსებობდეს. მაგ. საჯარო წესრიგის დარღვევა.[804]

გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულების უკანონობა პირდაპირ შეიძლება არ გახდეს გარანტიის არაკანონიერად მიჩნევის საფუძველი. ამისათვის, აუცილებელია დადასტურდეს ძირითადი ხელშეკრულების უკანონობის პირდაპირი გავლენა გარანტიის პირობებსა და მოთხოვნაზე.

უკანონობა გარანტიის დამოუკიდებლობის გამონაკლისია, თუმცა მისი ერთხმად აღიარება არ მომხდარა. ამასთან, თავად გამონაკლისის მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადასტურდეს მოთხოვნისა და გარიგების არაკანონიერება.[805]

საქმეში Group Josi Re v Walbrook Insurance Co Ltd and Others[806] მოსარჩელე წარმოდგენდა გადამზღვეველ კომპანიას, რომელმაც გადაზღვევის ხელშეკრულება დადო მოპასუხეებთან. მოსარჩელემ შეთანხმება დადო ერთ-ერთ მოპასუხესთან, რომელსაც მისთვის უნდა აენაზღაურებინა ზიანი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მიზნით მოსარჩელე ვალდებული იყო გაეხსნა აკრედიტივი, რომლის პირობის შესაბამისად გადახდა უნდა მომხდარიყო მოპასუხის მიერ ბანკისათვის ავიზოს წარდგენის შემთხვევაში.

მოსარჩელის მითითებით გადაზღვევის ხელშეკრულება იყო არაკანონიერი, ვინაიდან, მოსარჩელეს ინგლისური სამართლის მიხედვით არ ჰქონდა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. თანხის გადახდის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა იმ საფუძვლით, რომ ძირითადი ხელშეკრულების უკანონობა არ ახდენდა გავლენას აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნაზე. გადაწყვეტილება სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ დარჩა ძალაში. სასამართლომ განმარტა, რომ „უკანონობა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. თუმცა მას განსაკუთრებული მტკიცება სჭირდება. არსებობს საქმეები, სადაც უკანონობამ შესაძლებელია აკრედიტივზე იქონიოს გავლენა. მაგ. იარაღის ყიდვა-გაყიდვის

[804]Mofleh A. I., Abstract payment undertakings: to what expect are they truly abstract? 2005, 170.
[805] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 260.
[806] 1 Lloyd's Rep 345 (CA) 1996,

ხელშეკრულება ერაყში, როდესაც ნასყიდობის ურთიერთობა არაკანონიერია. ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ არ უნდა დაკმაყოფილდეს ბენეფიციარის მოთხოვნა უკანონობის გამო. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მისი უკანონობა სიყალბის მსგავსად უნდა იქნეს დადასტურებული და ბანკისათვის ცნობილი.[807]

უკანონობის განმარტება სასამართლოს მიერ გაკეთებულ იქნა საქმეში Mahonia Ltd v. JP Morgan Chase Bank and Another.[808] მოსარჩელემ დადო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული იქნა კონტრგარანტია, გერმანული ბანკის მიერ გაცემული რეზერვული აკრედიტივის უზრუნველყოფის მიზნით. გარანტია გაიცა მოსარჩელისა და კონტრაქტორის ფილიალს შორის თანხის კონვერტაციის ტრანზაქციის უზრუნველყოფის მიზნით. პრინციპალის მძიმე ფინანსური მდგომარეობა მისი გაკოტრების საქმის წარმოებით დასრულდა, რის შემდეგად მოსარჩელემ გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა მოითხოვა. მოპასუხე ბანკმა უარი უთხრა თანხის გადახდაზე და მიუთითა, რომ გარანტიის პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის მიუხედავად, გარანტია/რეზერვული აკრედიტივი სამართლებრივი ძალის არმქონე იყო მისი უკანონობის გამო. ვინაიდან, ვალუტის გაცვლის შესახებ ხელშეკრულებით უნდა მომხდარიყო პრინციპალის მიერ საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების დარღვევით წარმოებული სესხის დამალვა. ვინაიდან, სესხის ხელშეკრულება აშშ-ს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პრინციპების დარღვევით იყო წარმოებული იგი ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს საჯარო წესრიგს. თუმცა მოსარჩელის მითითებით აღნიშნული გარიგების მიმართ ინგლისური სამართალი გამოიყენებოდა და ეს გამორიცხავდა მოპასუხის პოზიციის დასაბუთებას.[809]

სასამართლომ მიუთითა, რომ აუცილებელია განიმარტოს უკანონო გარიგების სამართლებრივი ბუნება და ამგვარ გარიგებასთან დაკავშირებული გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის საკითხი. მოსარჩელის პოზიცია ეფუძნებოდა რამდენიმე არსებით საკითხს, 1) გარიგება უკანონო იყო აშშ-ს სამართლის მიხედვით, ხოლო გარიგების მიმართ გამოიყენებოდა ინგლისის სამართალი. შესაბამისად, გამოსაყენებელი ქვეყნის სამართლის მიხედვით გარიგება ნამდვილი იყო, 2) გარიგება იყო უკანონო, თუმცა გარიგების უზრუნველყოფის მიზნის გამოყენებული გარანტია ნამდვილი იყო მისი დამოუკიდებელი ბუნებიდან გამომდინარე. ამ საფუძვლების გათვალისწინებით ბანკის მიერ უნდა მომხდარიყო საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდა.

---

[807] https://www.i-law.com/ilaw/doc/view.htm?id=152677 21.08.2017.

[808] [2003] 2 Lloyd's Rep 911.

[809] Roger J., Blogett M. S., Fairness at the expense of commercial Centainty: The International Emergence of Unconscianability and illegality as Esxception to the independence principle of letter of Credit and Bank Guarantees, 2009, 310.

სასამართლომ განმარტა, რომ აშშ-ს სამართლის მიერ უკანონო და ბათილი გარიგება არ შეიძლება აღიარებული და სამართლებრივი ძალის მქონედ მიჩნეულიყო ინგლისის სასამართლოსა და სამართლის მიხედვით, 1) გარიგების მონაწილეებმა აშკარა ნება გამოხატეს დაედოთ ისეთი გარიგება, რომელითაც დარღვეული იქნა აშშ-ს და არა ინგლისის საჯარო წესრიგი. მიუხედავად ამისა, ინგლისის სასამართლო არ მოახდენს აშშ-ს სამართლის მიხედვით უკანონო გარიგების სამართლებრივი ძალის მქონედ აღიარებას.[810]ამ შემთხვევაში გარანტია უკანონო გარიგების შემადგენელი ნაწილი იყო და გარიგება გარანტიის გარეშე ვერ იქნებოდა განხორციელებული. შესაბამისად, გარიგების უკანონობა იყო გარანტიის უკანონოდ აღიარების საფუძველი.

სასამართლომ ორივე გადაწყვეტილებით უკანონობა არამართლზომიერებასთან ერთად გარანტიის ავტონომიურობის პრინციპის გამონაკლისად მიიჩნია. არამართლზომიერი მოთხოვნის მსგავსად, უკანონობის დადასტურებას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. გარანტის წინაშე მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მოთხოვნისა თუ გარიგების უკანონობის ფაქტი. გარანტისათვის უმნიშვნელოვანესია იმ საკითხის გარკვევა, როდის და როგორ უნდა დადასტურდეს მის წინაშე არამართლზომიერებისა თუ უკანონობის ფაქტი. არამართლზომიერ მოთხოვნებთან დაკავშირებულ დავებში სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ გარანტის ინფორმირება უნდა მოხდეს მოთხოვნის რეგულირების პროცესში.[811] არამართლზომიერი და არაკანონიერი მოთხოვნის უარყოფის საქმეებზე შესაბამისი მტკიცებულება უნდა წარედგინოს მოთხოვნის რეგულირებისას.

პრობლემური საკითხების ამოწურვა ინგლისის დოქტრინაში[812] სასამართლომ უკანონო მოთხოვნის მიმართ კონკრეტული ტესტის ჩამოყალიბებით მოახდინა: ა) გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის განხორციელების დროს, გარანტს გააჩნია თუ არა საკმარისი მტკიცებულება, რათა დადასტურდეს არამართლზომიერება ან უკანონობა? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ბ) რა ინფორმაციის გამოყენებით უნდა დადასტურდეს მოთხოვნის უკანონობა? 1) თუ არსებობს მყარი მტკიცებულება, ბენეფიციარის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, 2) თუ მტკიცებულება შესაბამისია, თუმცა არ არის საკმარისი უარის თქმისათვის მოთხოვნის მართვის პროცესი უნდა შეჩერდეს პრინციპალის მიერ წარმოებული დავის დასრულებამდე, გ) თუ მტკიცებულება არ არის საკმარისად ძლიერი, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გარანტს უფლება აქვს

[810]Mahonia Ltd v JP Morgan Chase Bank [2003] 2 Lloyd's Rep 911 (QB (Com Ct)), 916.
[811]Enonchong E., the Autonomy principle of the letter of Credit: an illegality exception? 2006, 412.
[812]Balfour Beatty Civil Engineering v Technical & General Guarantee Co Ltd, 68 Con LR 180.

გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურება მოითხოვოს პრინციპალისაგან.[813]

შესაბამისად, უკანონო მოთხოვნის მიმართ მოქმედებს და გამოიყენება იგივე პრინციპი, რაც დადგენილია არამართლზომიერი მოთხოვნების მიმართ. უარყოფილი უნდა იქნეს მხოლოდ არსებითი ხასიათი უკანონო მოთხოვნა, რომელიც ზუსტი და შესაბამისი მტკიცებულებით დასტურდება.[814]

21.3. უკანონო მოთხოვნის რეგულირება აშშ-ში

არამართლზომიერი მოთხოვნისაგან განსხვავებით, აშშ-ს ერთიანი კომერციული კოდექსის არც პირველადი და არც გადამუშავებული ვერსია არ ითვალისწინებს უკანონობას, როგორც რეზერვული აკრედიტივის დამოუკიდებლობის პრინციპისაგან გამონაკლისს. დომინირებული მოსაზრებით უარყოფის საფუძვლის პირდაპირი მითითების გარეშე, უკანონობა გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება გახდეს.[815] თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრებით, ვინაიდან, UCC პირდაპირ არ გამორიცხავს უკანონობას, როგორც უარის თქმის საფუძველს, იგი შეიძლება იქნეს გამოყენებული.[816] მიიჩნევენ, რომ არამართლზომიერი მოთხოვნა არ შეიძლება ავტონომიურობის პრინციპის ერთადერთი გამონაკლისი იყოს.[817] ძირითადი ხელშეკრულების უკანონობა გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.[818]

22. სასამართლოს როლი არამართლზომიერი მოთხოვნის რეგულირების პროცესში

22.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე

[813]Chuah J., Documentary credits and illegality in the underlying transaction, Journal of International Maritime Law, 9 (6) 2003, 521.

[814]Roger J., Blogett M. S, Fairness at the expense of commercial Centainty: The International Emergence of Unconscianability and illegality as Exception to the independence principle of letter of Credit and Bank Guarantees. 333.

[815]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 274,

[816]McLaughlin G.T., Exploring Boundaries: A Legal and Structural Analysis of the Independence Principle of Letter of Credit Law, 2002, 501.

[817]McCullough B. V., Banking Law, International Banking – Letters of Credit, 21.

[818]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 275.

დროებითი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით მიმართვა დავის ადრეულ სტადიაზე ხდება. პრინციპალმა სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, რომ გამოსაყენებელი ღონისძიება "ერთადერთი რეალური საშუალებაა, რომელიც არამართლზომიერი მოთხოვნის პროცესში შეიძლება იქნეს გამოყენებული".[819] მიუხედავად ამისა, მოსარჩელის მიერ ამ გარემოების დამტკიცება საკმაოდ რთულია, მტკიცების საკმაოდ მაღალი სტანდარტის გამო.[820]

დროებითი ღონისძიების გამოყენების პროცესში სასამართლოს მიერ გამოყენებული უნდა იქნეს „ინტერესების ბალანსის" ტესტი. მოთხოვნის განხილვისას სასამართლოს მიერ ფასდება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: ა) კავშირი დროებითი ღონისძიებასა და ძირითად დავას შორის, ბ) დავის პერსპექტიულობა, გ) ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რომელიც გამოიხატება ზიანის დადგომის ალბათობით. ამ საკითხის განხილვისას სასამართლოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ზიანის დადგომის ალბათობის საკითხის განსაზღვრა. სასამართლო ვალდებულია განსაზღვროს ღონისძიების გამოუყენებლობით და გამოყენებით დამდგარი ზიანის თანაფარდობა. ღონისძიების გამოყენების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება, თუ სასამართლო დარწმუნდა, რომ ღონისძიების გამოუყენებლობით დამდგარი ზიანი აღემატება მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დამდგარ ზიანს.[821]

ჩამოთვლილი რამდენიმე საკითხის შეფასების გარდა, პრინციპალი ვალდებულია სასამართლოს დაუდასტუროს „ინტერესების ბალანსის" შეფასებისას მისი უპირატესობა. დროებითი ღონისძიების გამოყენების პროცესში მტკიცების ტვირთის სწორად მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყველა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება სათანადოდ უნდა იქნეს დადასტურებული საქმის წარმოების ადრეულ სტადიაზე. ამ პროცესის სირთულეს ადასტურებს ის გარემოება, რომ ინგლისის სასამართლოს პრაქტიკაში დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ყველაზე გავრცელებული საფუძველია მტკიცების ტვირთის განხორციელების ხარვეზი.[822]პრინციპალის მიერ უნდა დადასტურდეს ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგად მისთვის მიყენებული გამოუსწორებელი ზიანი.

22.2. მტკიცების სტანდარტი დროებითი ღონისძიების გამოყენების პროცესში

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მოთხოვნის მართვის პროცესში გარანტი ვალდებულია მოთხოვნის შესახებ პრინციპალის ინფორმირება

[819]Coleman M, Performance Guarantees, 1990, 234.
[820]Penn G., On-demand Bonds – Primary or Secondary Obligations? 1986, 229.
[821] Hugo, The Law relating to documentary Credits, 278.
[822]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of bank Demand Guarantees, 2008, 297.

მოახდინოს და განუსაზღვროს ვადა მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად. არამართლზომიერი მოთხოვნის წარმოდგენისას პრინციპალი ვალდებულია გარანტს აცნობოს არამართლზომიერების შესახებ და წარუდგინოს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება პრინციპალს. ამასთან, პრინციპალისათვის უმჯობესია არამართლზომიერი მოთხოვნის დადასტურება გარანტის მიერ თანხის გადახდამდე მოახდინოს.[823]

მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ გარანტის ინფორმირებულობის გარდა, პრინციპალი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოთხოვნის არამართლზომიერად აღიარების მოთხოვნით. გარანტიის დამოუკიდებლობის ბუნების მიუხედავად, ხელშეკრულების მხარეს გააჩნია საკუთარი ინტერესების დაცვის მექანიზმი, რაც დროებითი ღონისძიებების გამოყენებაში ვლინდება. მისი გამოყენება არამართლზომიერი მოთხოვნის წარდგენამდე ან თანხის გადახდამდეა შესაძლებელი. დავის დაწყების ინტერესის არსებობისას პრინციპალს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.[824]მისი გამოყენება საგარანტიო ურთიერთობებში ხდება, როგორც კერძო,[825] ისე საერთო სამართლის ქვეყნებში.[826]

დროებითი ღონისძიების გამოყენება მხოლოდ მოთხოვნის არასამართლიანობის საფუძვლით არ კმაყოფილდება, თუმცა არამართლზომიერი და უფლების ბოროტად გამოყენებით წარდგენილი მოთხოვნებში სასამართლოს ჩარევა ხშირია. სასამართლოს მიერ განიმარტება, რომ უფლების ბოროტად გამოყენებითაა წარდგენილი მოთხოვნა, სადაც მოთხოვნის უფლების არარსებობა უდავოდ დადასტურებულია.[827]

საბანკო გარანტიების შემთხვევაში დროებითი ღონისძიების გამოყენება იმ შემთხვევაში ხდება, თუ არსებობს მტკიცებულება მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ ან თუ დასტურდება, რომ მოთხოვნა უფლების ბოროტად გამოყენების შედეგია. ასეთი შემთხვევების დროს საბანკო გარანტიების მიმართ გავრცელებული პრინციპი „ჯერ გადაიხადე, შემდეგ იდავე“ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული. პრინციპალი უფლებამოსილია გამოიყენოს დროებითი ღონისძიება, რათა აეკრძალოს გარანტს არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება.[828]

---

[823]Coleman M., Performance Guarantees, 1990, 225.

[824] Zhang Y., Approaches to resolving the international Documentary letter s of Credit Fraud issue, 245.

[825] საფრანგეთი, გერმანია.

[826] მაგ. ინგლისის, აშშ, ავსტრალია, სინგაპური, სამხრეთ აფრიკა.

[827]Judgment of March 12, 1984, Bundesgerichtshof (Federal Supreme Court in Civil Matters), BGH. W. Ger., 90 Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen [BGHZ] 287-94 (1984).

[828] Blau W., Jedzig O., Bank Guarantees to Pay upon First Written Demand in German Courts, Heinonline, 23 Int'l L. 725, The International Lawyer, VOL. 23, NO. 3, 1989, 728.

დროებითი ღონისძიების სახით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს რამდენიმე საშუალების გამოყენება: 1) გარანტისათვის საგარანტიო თანხის გადახდის მოთხოვნის აკრძალვა, 2) ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის განხორციელების აკრძალვა.[829]ამ ღონისძიებას დროებითი ხასიათი გააჩნია და დავის დასრულებამდე საგარანტიო შემთხვევის რეგულირების შეჩერებას ახდენს. მისი მიზანი Status que შენარჩუნებაა, რომელიც ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში ძირითადი დავის დასრულებამდე შეიძლება შეიცვალოს. ღონისძიების გამოყენება მოსარჩელის მოთხოვნით არის შესაძლებელი და აუცილებელია დადასტურდეს მისი გამოყენების აუცილებლობა და ძირითად დავაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან კავშირი.[830]

ამ ღონისძიებათა გამოყენების საკითხი ამგვარად შეფასდა:[831] „სასამართლოს უფლება აქვს ჩაერიოს ბანკის მიერ დადგენილ გამოუთხოვად ვალდებულებაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. აკრედიტივი არის სასიცოცხლო სისხლი საერთაშორისო კომერციისათვის. ასეთი ვალდებულებები მიჩნეულია, ძირითადი ურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობისაგან დამატებით ვალდებულებად. არამართლზომიერი მოთხოვნის გარდა, ძირითადი ვალდებულების სუბიექტების ურთიერთობაში სასამართლოს ჩარევა გამორიცხულია. სხვა შემთხვევაში, ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საერთაშორისო კომერციის ნდობას.“[832]

22.3. ინგლისი

ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში გაიზარდა სასამართლოსათვის დროებითი ღონისძიების გამოყენებით მიმართვის რაოდენობა. 1998 წლის სამოქალაქო საპროცესო წესების შესაბამისად, დროებითი ღონისძიების სახით, სასამართლომ შეიძლება აუკრძალოს ან დაავალოს პირს ქმედების განხორციელება. საბანკო გარანტიების მიმართ დროებითი ღონისძიების სახით, როგორც წესი მოთხოვნილია გარანტისათვის თანხის გადახდის აკრძალვა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დავის დასრულებამდე. მიმართვის რაოდენობის ზრდის მიუხედავად, სასამართლოს მიერ საკმაოდ მკაცრი მიდგომა იქნა დადგენილი ამ ინსტრუმენტის გამოყენების მიმართ.

[829]აღნიშნული ღონისძიება სხვადასხვა სახით არის ცნობილი. მაგ. Interlocutory measures, restraining, stop-payment order, interim or preliminary measures.

[830] Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of bank Demand Guarantees, 2008, 287.

[831]R. D. Harbotee (Mercantile) Limited v. National Wesmister Bank limited, 1978, QB 146.

[832]Connerty A., Fraud and documentary credits: The approaches of the English courts, 3.

დამოუკიდებლობის პრინციპიდან არსებობს ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც მოთხოვნა განხორციელებულია არამართლზომიერად.[833]

არამართლზომიერი მოთხოვნის იდენტიფიცირება ბანკის მიერ მოთხოვნის წარდგენის შემდგომ უნდა მოხდეს. დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ბანკს მოთხოვნის შემოწმებისათვის გააჩნია 3 საბანკო დღე, ხოლო UCP 600-ის შესაბამისად - 5 საბანკო დღე. ეს საკმაოდ მცირეა ყველა გარემოების შემოწმებისა და დადასტურებისათვის. ბანკი ვალდებულია მოთხოვნის შემოწმებისას ყველა გარემოება შეაფასოს სათანადო გულისხმიერებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრინციპალი/აპლიკანტის მიმართ შესაძლებელია დაკარგოს გარანტიის თანხის რეგრესის წესით დაკმაყოფილების უფლება.[834] შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუმცა არასწორი უარი შეიძლება ბანკის საერთაშორისო რეპუტაციის დაზიანების საფუძველი გახდეს.[835]

მოთხოვნის სწორად მართვას გარანტის ინტერესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გარანტი ვალდებულია ყველა წესის დაცვით მოახდინოს პროცესის რეგულირება და უარი თქვას თანხის გადახდაზე მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული საფუძვლისა და მტკიცებულების არსებობისას.

მოთხოვნის რეგულირების პროცესში ჩართული უნდა იქნეს პრინციპალი, რომელმაც საკუთარი უფლების დაცვის მიზნით შეიძლება გამოიყენოს პროცესუალური საშუალებები: ა) აუკრძალოს გარანტს ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა, ბ) აუკრძალოს ბენეფიციარს ბანკის მიმართ მოთხოვნის განხორციელება, გ) თანხის გადახდის შემდგომ ბენეფიციარს აეკრძალოს თანხის განკარგვა.[836]

პრინციპალის მოთხოვნის მიუხედავად, მისი დაკმაყოფილება სასამართლოს დისკრეციაა და კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად. პრინციპალმა უნდა წარადგინოს დასაბუთებული პოზიცია მოპასუხის მიმართ თანხის გადახდის აკრძალვასთან დაკავშირებით. სასამართლომ დისკრეციის ფარგლებში მხარეთა „ინტერესების ბალანსის“[837] გათვალისწინებით უნდა გამოიყენოს დროებითი ღონისძიება, იმ შემთხვევაში თუ მისი გამოუყენებლობით მიყენებული ზიანი აღემატება მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად დამდგარ ზიანს.[838][839]

---

[833]Penn G., On-demand Bonds – Primary or Secondary Obligations? 1986, 228.

[834]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 289.

[835]Penn G., On-demand Bonds – Primary or Secondary Obligations? Journal of I1986, 228.

[836]Coleman M., Performance Guarantees, 1990, 228.

[837]აღნიშნული ტერმინი მოხსენიებულია, როგორც “Balance of Convenience”.

[838]Connerty A., Fraud and documentary credits: The Approaches of the English Courts, 5.

[839]დროებითი ღონისძიების გამოყენების ძირითადი პრინციპები დადგენილ იქნა გადაწყვეტილებაში American Cyanamid Co v Ethicon Ltd (AC 396 (HL) 1975, 1 All ER 504 (H) 1975).

ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის აკრძალვის შესახებ არსებობს ინგლისის სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილება. საქმეში Edward Owen Engineering Ltd v. Barclays Bank international Ltd[840] სასამართლომ არამართლზომიერი მოთხოვნა ერთადერთ გამონაკლისად მიიჩნია და განმარტა, რომ პირდაპირი და უდავო მტკიცებულებების გარეშე შეუძლებელია არამართლზომიერი მოთხოვნის დადასტურება და აკრძალვის ღონისძიების გამოყენება. იგივე განმარტება იქნა გაკეთებული საქმეზე Bolivinter Oil Sa V. Chase Menhatten Bank Commercial Bank of Syri and General Compani of homes Refinery[841]

არამართლზომიერების დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, დროებითი ღონისძიება ემსახურება განცხადების წარდგენამდე არსებული პოზიციის შენარჩუნებას, რომლის განმავლობაში ბენეფიციარი უფლებამოსილია ა) უარი თქვას მოთხოვნაზე ან 2) დაადასტუროს პრინციპალის არგუმენტების გამაქარწყლებელი გარემოებები.[842]

სასამართლო პრაქტიკით დადგინდა, რომ დროებითი ღონისძიების გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს: 1) გარანტის ინფორმირებულობას იმის შესახებ, რომ არამართლზომიერი მოთხოვნა განხორციელდა ან შეიძლება განხორციელდეს, 2) მოთხოვნის უსაფუძვლობა შესაბამისი მტკიცებულებებით დასტურდება, 3) გარანტის ინფორმირებულობას მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ.[843]

ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის აკრძალვა პრინციპალის უფლების დაცვის საშუალებაა. ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია საგარანტიო მოთხოვნის წარდგენამდე. ეს ღონისძიება მისაღებია გარანტისათვის, ვინაიდან, მხარეთა შორის ურთიერთობებში გარანტი არ არის ჩართული. შესაბამისად, გარანტი თანხის გადახდას მოახდენს დავის დასრულების შემდგომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.[844]

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში დროებითი ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბენეფიციარის მიერ საგარანტიო თანხის მოთხოვნის აკრძალვა. საქმეში Themehelp Ltd. v. West[845] მხარეთა მიერ ნასყიდობის საფასურის ნაწილის გადახდა უზრუნველყოფილი

---

[840] [1978] 1 All ER 976, [1978] 1 QB 159, [1977] 3 WLR 764, [1978] 1 Lloyds Rep 166.

[841] [1984] 1 Lloyd's Rep. 251.

[842]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of bank Demand Guarantees, 2008, 291.

[843]O' Driscoll P. S., Performance Bonds, Bankers Guarantees and The mareva Injunctions, 386.

[844]Gao X., The Fraud Rule in the Law of Letters of Credit: A Comparative Study, 2002, 21.

[845]Qb(CA)1996, All ER 215 (CA) 1995. საქმეში მოსარჩელე შეთანხმდა შეესყიდა მოპასუხის კუთვნილი აქციები ერთ-ერთ კომპანიაში, რომლის ძირითადი საქმიანობა იყოს ტელევიზორის სადგამების მოწყობილობების დამზადება. ხელშეკრულების ღირებულება მხარეთა მიერ შეთანხმებული იქნა იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქციის მთავარი შემსყიდველთან სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდებოდა. ნასყიდობის საფასური გადახდილი იქნა სამ ნაწილად. მესამე ნაწილის გადახდა უზრუნველყოფილი იქნა საბანკო გარანტიით.

იქნა საბანკო გარანტიით. ნასყიდობის საფასურის ნაწილობრივი გადახდის შემდგომ, მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა და ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძვლად მითითებული იყო გამყიდველის მიერ არსებითი სახის ინფორმაციის დაფარვა. მყიდველისათვის ცნობილი არ იყო, რომ წარმოებული პროდუქციის მთავარი შემსყიდველი სხვა კომპანიისაგან შეიძენდა პროდუქციას. მყიდველის სასარჩელო განცხადების მიუხედავად, ბენეფიციარმა მიმართა გარანტს და მოითხოვა ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობის გამო საგარანტიო თანხის გადახდა. მყიდველმა მიმართა უზრუნველყოფის ღონისძიებას და მოითხოვა გარანტისათვის საგარანტიო თანხის გადახდის მოთხოვნის წარდგენის აკრძალვა მხარეთა შორის დავის დასრულებამდე. უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის არსებობდა მნიშვნელოვანი სადავო საკითხი, რომელიც გამყიდველს არამართლზომიერი მოთხოვნის წარდგენის შესახებ უჩენდა ვარაუდს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა, სადაც ეჭვი არამართლზომიერ მოთხოვნასთან დაკავშირებით არსებობდა საქმის ადრეულ ეტაპზე. სასამართლომ ბენეფიციარს აუკრძალა მოთხოვნის უფლება.[846] სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო ერთხმად მიღებული. განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, ამ ღონისძიების გამოყენება, შეიძლება მიჩნეულიყო ავტონომიურობის პრინციპის დარღვევად. თუმცა უმრავლესობის მიერ,[847]მხარდაჭერილი იქნა მოსარჩელის პოზიცია არამართლზომიერი მოთხოვნის ადრეულ სტადიაზე სასამართლოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საგარანტიო მოთხოვნის განხორციელებამდე დროებითი ღონისძიების გამოყენებას არ შეიძლება დაეზიანებინა ავტონომიურობის პრინციპის იდეა. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო უკვე დადგენილი მტკიცების ტვირთის ტესტს[848] და გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც ძალაში დარჩა ზემდგომი სასამართლოს მიერ.[849]

ამ ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლომ საქმეში Polly Peck International Plc v Nadir[850] განმარტა შემდეგი: „მყიდველი, რომელსაც აქვს ეჭვი, რომ გამყიდველი მოახდენს არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებას, ან ნასყიდობის საგანი არ იქნება შეთანხმებული ხარისხის, ან გამყიდველთან დავა რთული პროცესია ან შესაძლებელია მისი გადახდისუუნაროობა გამოიწვიოს, მას უფლება აქვს, ბანკისათვის თანხის გადახდის აკრძალვის მოთხოვნის ნაცვლად, რომელიც უფრო რთულად

[846]Buckley P.P., Gao X., The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, 2014, 693

[847] რომელიც გაჟღერებული იქნა მოსამართლე ვაილი ლ.ჯ.-ს მიერ.

[848] რომელიც დადგენილი იქნა საქმეში, United Trading Corporation SA and Murray Clayton Ltd v Allied Arab Bank Ltd and others, - 2 Lloyd's Rep. 554, 561 (C.A. 1984).

[849]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of bank Demand Guarantees, 2008, 295

[850]O'Driscoll P. S., Performance Bonds, Bankers Guarantees, and the Mareva Injunction, 401.

მისაღწევი შედეგია, მოითხოვოს „გამყინავი მარევას ღონისძიება“.[851]ეს ღონისძიება არ აფერხებს აკრედიტივიდან გამომდინარე ურთიერთობებს, მაგრამ ინარჩუნებს დავის წარმოების შესაძლებლობას.[852]

22.3.1. Mareva Injunctions

გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი პრინციპალს ურთულებს დროებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ მიეთითება, რომ გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა დამოუკიდებელია ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებული დავისაგან. ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის აკრძალვის შესახებ დროებითი ღონისძიება საკმაოდ ეფექტურია გარანტის მიერ თანხის გადახდამდე. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს მოპასუხისათვის (როგორც წესი ბენეფიციარი) ან მესამე პირისათვის გადახდილი თანხის განკარგვის აკრძალვა. ამ ღონისძიებას ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში “Freezing Injunction“/Mareva Injunction”-ის სახელით მოიხსენიებენ და გულისხმობს მოპასუხისათვის ფინანსური რესურსის სრული ან ნაწილობრივი განკარგვის, შემცირების აკრძალვას ძირითადი დავის დასრულებამდე.[853] დროებითი ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნას დავის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე და მის არსებობის ძირითადი მიზანი დავის დაწყებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა.

ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში „მარევას აკრძალვის“ სახელით ცნობილი ღონისძიება გამოყენებული იქნა ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში Mareva Compania Naviera S.a. v International Bulkcarriers S.A.[854] მოსარჩელის საკუთრებაში იყო ხომალდი „Mareva“, რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ჰქონდა მოპასუხისათვის. ქვეიჯარის ხელშეკრულებით მოპასუხეს ხომალდი გადაცემული ჰქონდა ინდოეთის მთავრობისათვის. ქვემოიჯარისაგან თანხის მიღების მიუხედავად, მოპასუხე მხარე თავს არიდებდა საიჯარო ქირის გადახდას მოსარჩელისათვის. სარჩელის წარდგენის შემდგომ მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის გადაცემული თანხების განკარგვის აკრძალვა. მოსამართლემ მიუთითა, რომ ცხადად დასტურდებოდა ვალდებულების არსებობა და საფრთხე იმისა, რომ მოპასუხე განკარგავდა ფინანსურ აქტივებს მხარეთა შორის მიმდინარე დავის დასრულებამდე.

---

[851]Freezing Mareva Injunction.

[852]Oelefse A.N. Development in the Law of Documantary letter of Credits, 1996, 65.

[853]O'Driscoll P. S., Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, 1985, 398.

[854] 2 LIoyds’s L.R 509, 1975.

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ და მიუთითა, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობა მოსარჩელის ინტერესების აშკარა შელახვას გამოიწვევდა.[855]

ამ გადაწყვეტილების შემდგომ, ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში ეს ღონისძიება ფართოდ გამოყენებადი გახდა.[856] საქმეში Siskina (Owners of Cargo Lately Laden on Board) and Others v Distos Compania Naviera მოსამართლემ მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები გამოყო. კერძოდ, მოთხოვნის დასაბუთებისას ა) უნდა მიეთითოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, 2) იგი უნდა შეიცავდეს ყველა მნიშვნელოვან გარემოებას. მათ შორის, სარჩელის საფუძვლები, მოთხოვნის ოდენობა, მოპასუხის წინააღმდეგ მიმართული არგუმენტაცია, 3) უნდა დადასტურდეს მოპასუხის კუთვნილი ფინანსური აქტივების არსებობა, 4) უნდა დადასტურდეს დავის დასრულებამდე მოპასუხის კუთვნილი აქტივების განკარგვის რისკი, 5) უნდა მოხდეს დავის წაგების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის დადასტურება.[857]

Mareva Injunction-ის ღონისძიება გამოყენებული იქნა საბანკო გარანტიების/აკრედიტივთან დაკავშირებულ დავებში. საქმეში Elian And Robath v. Matsas and Matsas[858] სასამართლომ განმარტა, რომ "საბანკო გარანტია თავისი ბუნებით ძალიან ჰგავს დოკუმენტურ აკრედიტივს.... სასამართლომ ყველაფერი უნდა გააკეთოს მისი აღსრულებისათვის... მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას დროებითი ღონისძიება... სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილებით სასამართლო უკვე ერევა მხარეთა შორის ურთიერთობაში და უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას... Edward Owen-ის საქმე იყო ახალი საქმე შესრულების გარანტიის ისტორიაში, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო ამ პრინციპის გამოყენებით. Elian-ის საქმეში სასამართლომ გამოიყენა ღონისძიება, რათა თავიდან აეცილებინა გამოუსწორებელი უსამართლობა.[859]

ამ ღონისძიების გამოყენება უფრო ადვილად მიღწევადია, ვიდრე სხვა დროებითი ღონისძიება. მისი გამოყენების შესახებ განცხადებაში აუცილებელია მითითებული იყოს მოთხოვნის არამართლზომიერების შესახებ. დროებითი ღონისძიების სახით აკრძალვის გამოყენება პრინციპალის ინტერესების დაცვის საშუალებაა, თუმცა სხვა ღონისძიებებისაგან ყველაზე ნაკლებად ეფექტური. არამართლზომიერი ან უკანონო მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში პრინციპალის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისათვის მოპასუხეს ან მესამე პირს აეკრძალება გადახდილი თანხის განკარგვის უფლება,

---

[855]P. S. O'Driscoll, Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, 1985, 400.

[856]Siskina (Owners of Cargo Lately Laden on Board) and Others v Distos Compania Naviera SA [1979] AC 210 (HL), Third Chandris Shipping Corporation v Unimarine SA [1979] 1 QB 645 (QB),

[857]O'Driscoll P. S., Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, 1985, 401.

[858] 2 LIyod's L.R. 497, 1966.

[859]Amefule C., The Exception to the Principle of Autonomy of Documantary Credit, 172

ვინაიდან მოსარჩელეს შეუნარჩუნდეს დავის წარმატებით დასრულების შემდგომ თანხის ადვილად მიღების შესაძლებლობა.[860]

დროებითი ღონისძიების გამოყენების მიუხედავად, დაცული უნდა იქნეს ერთი მხრივ, გარანტიის/აკრედიტივის დამოუკიდებელი ბუნება და მეორე მხრივ, ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესთა ბალანსი.

22.4. აშშ

არამართლზომიერი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში დროებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა გათვალისწინებულია UCC- ის მე-5 მუხლის როგორც ძველ, ისე რედაქტირებულ ვერსიაში. 5-114 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ითვალისწინებდა არა გარანტისათვის თანხის გადახდის აკრძალვას, არამედ ბენეფიციარის განხორციელების აკრძალვას.[861] კოდექსის განახლებული რედაქციის 5-109 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული იქნა დროებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, „შესაბამისი კომპეტენციის მქონე სასამართლო ვალდებულია მუდმივად ან დროებით აუკრძალოს ბენეფიციარს მოთხოვნის წარდგენა... იგივე წესი შეიძლება გამოყენებული იქნეს ბანკის მიმართ... იმ შემთხვევაში თუ დაადგენს, რომ მოსარჩელე აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ ყველა საფუძველს.“ დოქტრინით ღონისძიების გამოყენებისას წინაპირობებთან ერთად აუცილებელია დადასტურდეს: 1) პრინციპალისათვის ზიანის მიყენების საშიშროება, 2) სარჩელის პერსპექტიულობა, 3) მხარეთა ინტერესების ბალანსის დაცვა.

პრინციპალისათვის გამოუსწორებელი ზიანის სავარაუდო არსებობის აუცილებელი წინაპირობის არსებობა ირანის რევოლუციური მთავრობის მიერ წარდგენილი მოთხოვნებიდან წარმოშობილი დავების განხილვისას განვითარდა. ირანის რევოლუციის შემდგომ აშშ-ს საელჩოს ტერიტორიაზე მომხდარ შემთხვევამდე, სასამართლოს დამოკიდებულება დროებითი ღონისძიებათა გამოყენებასთან დაკავშირებით ძალიან მკაცრი იყო. რამდენიმე საქმეში სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ზიანის ელემენტის არ არსებობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ დასტურდებოდა არამართლზომიერი მოთხოვნის არსებობა.[862]საელჩოს ინციდენტის შემდგომ სასამართლოს დამოკიდებულება ზიანის არსებობის ფაქტთან დაკავშირებით უფრო შერბილდა.

[860]Oelefse A.N., Development in the law of Documantary letter of Credits, 1996, 65.

[861]Dolan B., The Law of letter of Credit, 132,

[862] მაგ. American bell International inc v. Islamis Republic of Iran 474, Fsupp 420 (SDNY 1979), KMW international v. Chase Manhettan Bank NA, NA 606 F 2 d 10, United Technologies Coprooration v. Citibank Na 469 F, Supp 473, 1979,

შესაბამისად, დროებითი ღონისძიების გამოყენების შემთხვევების რაოდენობა გაიზარდა.[863]

ამის მიუხედავად, დროებითი ღონისძიების გამოყენების სტანდარტი საკმაოდ მაღალია. კომერციული კოდექსის ოფიციალური კომენტარის მიხედვით, განმცხადებელმა უნდა შეძლოს მოთხოვნის ძლიერი მტკიცებულებით დადასტურება და არა უბრალოდ მითითება ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.[864] ამასთან, ღონისძიების გამოყენებით არ უნდა მოხდეს დამოუკიდებლობის პრინციპის ხელყოფა. მიუხედავად ამგვარი სტანდარტისა, აშშ-ში დროებითი ღონისძიების გამოყენება უფრო ადვილად მიღწევადია, ვიდრე ინგლისში.[865]

22.5. კონვენცია

დროებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს კონვენციის მე-20 მუხლი. ამ ღონისძიების გამოყენება დასაშვებია, იმ შემთხვევაში თუ არსებობს გონივრული ვარაუდი არამართლზომიერი მოთხოვნის უკვე არსებობის ან შესაძლო განხორციელების შესახებ. კონვენციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების მტკიცებულებით დადასტურების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ა) გამოსცეს წინასწარი/დროებითი გადაწყვეტილება, რათა ბენეფიციარმა არ მიიღოს თანხა. მათ შორის გარანტი/გამცემი ვალდებულების შეჩერების შესახებ, 2) პრინციპალისათვის შესაძლო ზიანის მიყენების დადასტურების შემთხვევაში, თანხის გადახდასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების შეჩერების შესახებ.

დროებითი ღონისძიების გამოყენება კონვენციის პირობების შესაბამისად, მხოლოდ შესაბამისი მტკიცებულების გამყარებული და დადასტურებული გარემოებების საფუძველზე უნდა მოხდეს. კონვენციამ კომერციული კოდექსის და ინგლისის დოქტრინის მსგავსად, პრინციპისათვის ზიანის (მათ შორის სავარაუდო ზიანი) მიყენების ფაქტის მტკიცების საკმაოდ მაღალი სტანდარტის არსებობის აუცილებლობა დაადგინა. დასაშვებია კონვენციით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის საქმის მიზნებისათვის.[866]

კონვენციის მიერ დადგენილი სტანდარტი საკმაოდ მაღალია. განმცხადებელმა უნდა შეძლოს კონვენციის მე-19 მუხლში მითითებული

[863]Oolofse A.N., The Las of Documentary letters of Credit, 428.
[864]Kelly-Louw M., Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 311.
[865]Hugo B., the las relating to Documentary Credits, 290.
[866]Explanatory note by the UNCITRAL secretariat on the United Nations Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit.
http://www.uncitral.org/pdf/english/texts/payments/guarantees/guarantees.pdf, 24.08.2017.

საფუძვლების არსებობა დაადასტუროს „ალბათობის მაღალი ხარისხით“ და წარადგინოს ძლიერი მტკიცებულებები. აუცილებელია სასამართლომ მიიჩნიოს რომ ღონისძიების გამოუყენებლობა პრინციპალის მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს.[867]

22.6. გერმანია

დროებითი ღონისძიების გამოყენება გსსკ-ს 916-944-ე მუხლებით არის შესაძლებელი. ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნეს ქონებრივი დავის შემთხვევაში,[868] თუ დადასტურდა, რომ ღონისძიების გამოუყენებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.[869] დროებითი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შემჭიდროვებულ ვადებში, ზეპირი მოსმენისა და გარანტისა თუ ბენეფიციარის მოსაზრებების მოსმენის გარეშე.[870]

პრინციპალის მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში გარანტს შესაძლებელია აეკრძალოს თანხის გადახდა ბენეფიციარისათვის დავის დასრულებამდე. ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში პრინციპალი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს გარანტსა და ბენეფიციარს სასამართლოს გადაწყვეტილება და გარანტს მოსთხოვოს თანხის გადახდაზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მაინც მოახდინოს თანხის გადახდა, თუმცა პრინციპალის მიერ დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გარანტი ვერ მოითხოვოს გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურებას. შესაბამისად, გარანტი არჩევანის წინაშეა დაიცვას საკუთარი საერთაშორისო რეპუტაცია ან რისკის ქვეშ დააყენოს ფინანსური ინტერესი გადახდილი თანხის რეგრესის წესით მოთხოვნასთან დაკავშირებით.[871]

პრინციპალს საკუთარი ინტერესების დაცვისათვის რამდენიმე საშუალების გამოყენება შეუძლია. გარანტის მიერ თანხის გადახდის აკრძალვისას პრინციპალმა შეიძლება მოითხოვოს ბენეფიციარისათვის უკვე გადახდილი თანხის განკარგვის აკრძალვა ან საგარანტიო თანხის სასამართლოს ექსრო/სადეპოზიტო ანგარიშზე[872] განთავსება. ამ ღონისძიებების მიზანი

[867]Meral A., Global Analysis, The Fraud Exception in Documantary Credits: a Global Analysis. Ankara Bar Review, 2012, 54.

[868] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 916-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი.

[869] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 917-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი.

[870]Blau W., Jedzig O., Bank Guarantees to Pay upon First Written Demand in German Courts, Heinonline, 23 Int'l L. 725, 1989, 729.

[871] იგივე, Werner Blau, დ731.

[872]ექსრო ანგარიში სპეციალური ანგარიშია, რომელიც არ ეკუთვნის ხელშეკრულების არც ერთ მხარეს. მისი არსებობა ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით განიმარტება. ექსრო ანგარიშიდან თანხის გადახდა მოხდება

პრინციპალის ინტერესების დაცვაა, რომელმაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ თანხა უნდა მიიღოს. შესაბამისად, ღონისძიების გამოყენებისას სასამართლომ უნდა შეზღუდოს ბენეფიციარის მიერ თანხის განკარგვა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ არსებობს საშიშროება ფინასური რესურსის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის შემდგომ გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით.[873] ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ შემხვედრი მოთხოვნის არსებობის საფუძვლით დავის დაწყების საფუძველი ხდება.[874]

22.7. საქართველო

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა სსსკ-ს მიხედვითაც არის შესაძლებელი. იგი არის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფი და ეფექტური საპროცესო-სამართლებრივი გარანტია. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.[875]

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაწესება არ გულისხმობს მის ავტომატურ გამოყენებას ნებისმიერი სარჩელის შემთხვევაში. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს განსაკუთრებული მსჯელობის შედეგად. კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძვლებს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის

ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში, https://www.escrow.com/what-is-escrow 07.09.2017.

[873]ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია გსსკს 917-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობის არსებობის დადასტურება. კერძოდ, უნდა დადასტურდეს, რომ ღონისძიების გამოყენებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

[874]Blau W., Jedzig O., Bank Guarantees to Pay upon First Written Demand in German Courts, Heinonline, 23 Int'l L. 725, 1989, 729.

[875] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის №ას-1303-1241-2014 გადაწყვეტილება.

გათვალისწინება გულისხმობს ამ ინსტრუმენტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისთვის როდესაც იგი გამართლებულია.[876]

სსსკ განსაზღვრავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებს. მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დასტურდება, რომ ამ ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას და გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს, ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.[877]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კონკრეტული მიზნითაა შესაძლებელი. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მოსარჩელის მიერ მოსალოდნელი რისკის გონივრული დასაბუთებით და იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით შესაძლებელია, ვეღარ მოხდეს მისი კანონიერი ინტერესის დაცვა, ვინაიდან არსებობს გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საშიშროება. გამოუსწორებელია ის ზიანი, რომელსაც შეუქცევადი ხასიათი აქვს და გამოირიცხება ზიანის დადგომამდე არსებული სამართლებრივი თუ ფაქტობრივი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა.[878]

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთება მოსარჩელემ უნდა მოახდინოს ალბათობის მაღალი ხარისხით. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.[879] მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.[880]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა და მოპასუხის ინტერესს შორის. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი - აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან

---

[876]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 ნოემბერის განჩინება №2ბ/4546-16.

[877] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[878]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება № 330210115001138277, №2ბ/5417-15.

[879]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 08 აპრილის განჩინება №2ბ/1389-16.

[880]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება № 330210115001138277, №2ბ/5417-15.

გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე.[881]

სსსკ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩამონათვალს ითვალისწინებს.[882] საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ა) გარანტისათვის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდის აკრძალვა,[883]ბ) ბენეფიციარისათვის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენის აკრძალვა,[884] გ) ფულად სახსრებზე ყადაღის დადება.[885]

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება პრინციპალის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც სარჩელის აღძვრამდე, ისე სასარჩელო განცხადებასთან ერთად. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ პრინციპალის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მათ მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის არამართლზომიერად ცნობის, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების აღიარების ან ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნების შემთხვევაში მიმართავდნენ.[886]

---

[881]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის განჩინება №2ბ/6144-15.

[882]1) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან; 2) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; 3) მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის სახით; 4) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება; 5) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება; 6) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება; 7) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე წარმოებული დავების შემთხვევაში.

[883] სსსკ-ს 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა“, ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულოს მის მიმართ რაიმე ვალდებულება.

[884] სსსკ-ს 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა“.

[885] სსსკ-ს 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნის, ან არის მასთან ან სხვა პირთან.“

[886]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ საქმეზე N459049-14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით საქმე N411499-14.ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე ღონისძიების

ასეთ შემთხვევაში გამოიყენებოდა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გარანტისათვის თანხის გადახდის აკრძალვის ღონისძიება. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გარანტს აეკრძალა ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დავის დასრულებამდე, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას.[887] უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მითითებული იყო, რომ პრინციპალმა იკისრა ვალდებულება, რომელსაც ნებაყოფლობით ასრულებდა. ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის გამო, პრინციპალი აპირებდა მიემართა სასამართლოსათვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით... ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარისათვის გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდის აკრძალვის გამოუყენებლობა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.“[888]

სასამართლომ დააკმაყოფილდა მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.[889] თუმცა მისი დასაბუთება შაბლონურად მოხდა. გადაწყვეტილებაში არ მიუთითებია რა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რის გამოც მოთხოვნის დაკმაყოფილება გახდა საჭირო. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნას, რომელიც გამოთხოვილი იქნა ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემდგომ. განჩინებაში სასამართლოს არ მიუთითებია, გარანტიის პირობასა თუ ხელშეკრულების იმ ნორმებზე, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო შესრულების გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის რეგულირება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას დეტალურად არ ხდება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლების შემოწმება. „კანონის ნორმა მოითხოვს, რომ მოსარჩელემ მხოლოდ მიუთითოს იმ

გამოყენებასთან დაკავშირებით საქმე N820217715001105776 (სარ/უზრ-35/15), ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება Nს/უზრ-34-15, ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საქმე N16399596-2/635-16, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 აგვისტოს განჩინება N33/უზრ-2017, 3/592-2017, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 18 მარტის NII/10-16 განჩინება. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის N2/56-16უზრ.N465 განჩინება; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 06 იანვრის N3-01/216 განჩინება; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ საქმე N8202177150011482 (ს/უზრ-38-15).

[887]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ საქმეზე N459049-14.

[888]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ საქმეზე N459049-14.

[889]იდენტური საფუძვლითა და დასაბუთებით სასამართლომ გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის 411499-14 განჩინება.

გარემოებაზე, /რაც გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. განმცხადებელს არ ევალება მტკიცების ტვირთი... ღონისძიების გამოყენება/არ გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ამოწმებს, რამდენად დასაბუთებულია სარჩელი, რამდენად გამომდინარეობს მოთხოვნა მის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, ანუ დასაკმაყოფილებელია, თუ არა სარჩელი. სასამართლო ამოწმებს, მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე.[890]

სარჩელის საფუძვლებისა და დასაბუთების დეტალური შემოწმების გარეშე სასამართლო ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს იმ მოტივით, რომ ღონისძიების გამოყენების გარეშე მომავალში გართულდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, მოთხოვნის გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში „არ მოხდეს /პრინციპალის/ დარღვეული უფლების სასამართლოს გზით დაცვისას მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების ინტერესის დაკარგვა... იმ შემთხვევაში თუ დავის დასრულებამდე მოხდება საგარანტიო თანხის გადარიცხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება მხარის მიმართ დაკარგავს ინტერესს“.[891] პრინციპალმა დავის მიმართ ინტერესის არსებობა უნდა დაადასტუროს, როგორც ღონისძიების გამოყენების, ასევე, აღიარებითი სარჩელის წარდგენის შემთხვევაში.[892]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხელშეკრულების შესრულებისა და საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიებიდან წარმოშობილი მოთხოვნების დროს ხდება. დავის საგანი მრავალნაირია და აუცილებლად უკავშირდება შესყიდვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას. მათ შორის, ხელშეკრულების შესრულებულად აღიარება,[893]

---

[890] ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით საქმე N820217715001105776 (სარ/უზრ-35/15);

[891]ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმე N16399596-2/635-16, აღნიშნულ შემთხვევაში დავის საგანი იყო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ხელშეკრულების გაგრძელება, სამუშაოების შესრულებულად აღიარება, შესრულებული სამუშაოს თანხის გადახდის დაკისრება.

[892]სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით, “სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.“

[893] ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის #2-207-2016 გადაწყვეტილება.

ხელშეკრულების ვადის გაგრძელება,[894] საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის არამართლზომიერად აღიარება,[895] ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობა.[896]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება შეიძლება გასაჩივრეს ერთ-ერთი მხარის მიერ.[897] საჩივარს წარმოებაში იღებს და თავდაპირველად იხილავს განჩინების მიმღები სასამართლო.[898] საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში საჩივარი განსახილველად გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს.[899]

სააპელაციო ინსტანციის დამოკიდებულება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით განსხვავებულია. სააპელაციო ინსტანცია ამოწმებს საჩივრის შინაარს და მის ურთიერთკავშირს დავის საგანთან. ღონისძიების გამოყენებაზე სასამართლომ უარი თქვა იმ დასაბუთებით, რომ ვერ დაინახა კავშირი უზრუნველყოფის მიზანსა და სასარჩელო მოთხოვნას შორის.[900]

23. საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული პრობლემატიკა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში სხვადასხვა სახის საბანკო გარანტია გამოიყენება. მათ განსხვავებული ბუნება და მაიდენტიფიცირებელი ნიშნები გააჩნიათ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივლისის N12 ბრძანების 35-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში „წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველ

[894]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 თებერვლის N429144-14 განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის N459049-14 განჩინება.

[895] ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის N1639596-2/635-2016

[896] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, საქმე N(33/უზრ-2017) 01031517002054903(3/592-2017).

[897] სსსკ-ს 197-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან ყადაღადადებული ქონების გამოჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებაზე, შეიძლება საჩივრის შეტანა.

[898] სსსკს-ს 197^1 -ე მუხლის პირველი ნაწილი.

[899] სსსკ-ს 197^1 -ე მუხლის მეორე ნაწილი.

[900] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის N2/ბ-494-16 განჩინება; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის N2/12-16 განჩინება (უზრ-175-16).

ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია”.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას, თუ:

ა) წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე და ეს თანხა იქნება გამოყენებული შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. საამისოდ ცალკე საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული წინასწარ გადასახდელი თანხის კონტროლი შესაძლებელია მოიცავდეს თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს, დადგენილი ზღვრული ოდენობის თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლსა და გახარჯული თანხის შემდგომ კონტროლს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება აღემატება 30 000 000 ლარს. ასეთ შემთხვევაში, წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით.[901]

ბრძანება აზუსტებს მიმწოდებლის ვალდებულებას ავანსის სახით მიღებული თანხა გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.[902] ამ ჩანაწერის გარდა, საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საგარანტიო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არაა. შესაბამისად, ურთიერთობის მოწესრიგება უნდა განხორციელდეს სსკ-ს 879 - 889-ე მუხლების საფუძველზე.

სამწუხაროდ, სსკ არ ითვალისწინებს ავანსის გარანტიის სპეციფიკას და რეგულირების რაიმე განსხვავებულ წესს. საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის ძირითადი მიზანი ბენეფიციარის მიერ პრინციპალისათვის გადახდილი თანხის მიზნობრივად გამოყენებაა. გამოუყენებლობის შემთხვევაში გამოუყენებელი თანხა ბენეფიციარს უკან უნდა დაუბრუნდეს.

23.1. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე დავების ანალიზი

[901] 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 35-ე მუხლის მესამე პუნქტი.
[902] 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 35-ე მუხლის მეათე პუნქტი.

საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის სპეციფიკიდან გამომდინარე საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შემცირდეს პრინციპალის მიერ ავანსის თანხის ფარგლებში მიწოდებული საქონლის თუ მომსახურების ღირებულების შესაბამისად. ეს პრინციპი შეიძლება გარანტიის პირობაში იქნეს გათვალისწინებული, თუმცა სატენდერო ურთიერთობებში არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გარანტიის ეს პირობა ამოღებულია გარანტიის ტექსტიდან. შესაბამისად, გარანტიის პირობა არ შეიცავს საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელიც საგარანტიო რეგულირების პროცესში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. პირობისა და რეგულაციის არარსებობის გამო, გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ბენეფიციარის მიერ დავის დაწყების საფუძველია. მარეგულირებელი ნორმების არარსებობა სასამართლოს სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა გახდა.

23.1.1. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის პირობებისა და ხელშეკრულების პირობების კონკურენციის საკითხი

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნების რეგულირებისას სადავო ხდება გარანტის მიერ გარანტიის პირობების უპირატესად მიჩნევის საკითხი. გარანტი ვალდებულია შემთხვევის რეგულირება მოახდინოს გარანტიის პირობების შესაბამისად და თანხა გადაიხადოს შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში. გარანტი ბენეფიციარის წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ გარანტიის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებისათვის. გარანტი არ არის ძირითადი ურთიერთობის მონაწილე და მასზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება.

ბენეფიციართა მხრიდან უპირატესობა ენიჭება ძირითადი ხელშეკრულების ნორმებს. საავანსო ანაზღაურების წესი და მისი შემცირების საკითხები ძირითადი ხელშეკრულების ნორმებით რეგულირდება. საგარანტიო პირობებისა და ხელშეკრულების ნორმებით გათვალისწინებული განსხვავებული რეგულირება არაერთხელ გახდა დავის წარმოშობის მიზეზი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილებით[903] გარანტის უარი თანხის გადახდასთან დაკავშირებით მართლზომიერად იქნა მიჩნეული. საქმე ეხებოდა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნას. მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პირობების თანახმად,

[903]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება.

ბენეფიციარმა ავანსის სახით გადაუხადა პრინციპალს ხელშეკრულების ღირებულების 20%, შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენის შემდეგ.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შუალედური შესრულების საფუძველზე მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან შემსყიდველი გაქვითავდა ანგარიშფაქტურას და ფორმა №2-ში მითითებული თანხის 20%-ს, ვიდრე არ მოხდებოდა გადახდილი საავანსო თანხის მთლიანი მოცულობით გაქვითვა, რაც გულისხმობს სამუშაოს სრულად შესრულებას.

ხელშეკრულების პირობების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელმა წარადგინა საბანკო გარანტია, რომლის შესაბამისად, გარანტი კისრულობდა გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენისთანავე აენაზღაურებინა ნებისმიერი თანხა. მიმწოდებელმა შეასრულა 12 935 449.80 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო მოსარჩელის მიერ წინასწარ ავანსის სახით გადახდილი თანხის ჩათვლით ანაზღაურებულ იქნა 12 573 871.44 ლარი. ბენეფიციარმა მოითხოვა ავანსის სახით აუთვისებელი თანხა 433 710,10 ლარი. მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის პირობით, თანხა მცირდება პრინციპალის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულების ოდენობით. ვინაიდან, შესრულებული სამუშაოს ღირებულება აღემატებოდა გარანტიის თანხას, მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი დაეკმაყოფილებინა ბენეფიციარის მოთხოვნა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი მოთხოვნის საგარანტიო პირობებთან შეუსაბამობის გამო.[904]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით ხაზი გაესვა საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის პირობის უპირატესობას ხელშეკრულების პირობებთან. კანონმდებლობაში ჩაწერის არ არსებობის მიუხედავად, სასამართლომ გადაწყვეტილება გარანტიის პირობას დააყრდნო და საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა გაქვითულად მიიჩნია. ამ გადაწყვეტილებით დადგენილი პრაქტიკის მიუხედავად, საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე განსხვავებული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით[905] დაკმაყოფილდა ბენეფიციარის სარჩელი გარანტისათვის საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. გარანტია უზრუნველყოფდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამომდინარე ავანსის სახით გაცემული 275 000 ლარის მიზნობრივ ათვისებას. გარანტიის პირობით,

[904] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება.

[905]გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის N2/222-15 გადაწყვეტილება.

გარანტიის თანხა მცირდება პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოს თუ საქონლის ფაქტობრივად მიწოდების ღირებულების ოდენობით.

2014 წლის 25 აგვისტოს გარანტს წარედგინა მოთხოვნა საგარანტიო თანხის 275 000 ლარის გადახდასთან დაკავშირებით. მოთხოვნას დაერთო მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის განხორციელების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც დასტურდებოდა 815 000 ლარის სამუშაოების შესრულება და შემსყიდველის მიერ მათი მიღება. ბენეფიციარი უთითებდა, რომ მან შესრულებული სამუშაოს ღირებულების ოდენობა სრულად აუნაზღაურა მიმწოდებელს, ხოლო გარანტიის თანხის ოდენობა სამუშაოთა ღირებულების ბოლო ტრანშიდან უნდა დაქვითულიყო. გარანტმა უარი განცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოთხოვნის პირობებთან შეუსაბამობის გამო. გარანტიის პირობით, შესრულებული სამუშაოს მიღებისთანავე ბენეფიციარს უნდა მოეხდინა გარანტიის თანხის შემცირება მიღებული თანხის ოდენობით. მიღებული 815 000 ლარის სამუშაოდან სრულად უნდა გაქვითულიყო ავანსი.

სასამართლოში მოსარჩელის მიერ სარჩელზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდებოდა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული იყო 136 000 ლარის სამუშაო. მიღება-ჩაბარების აქტებითა და სამუშაოთა ფორმა N2-ით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობა ფაქტობრივად არ იყო შესრულებული. შემსყიდველსა და მიმწოდებლის ორმხრივი ბრალეული ქმედებით კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით შექმნილი იქნა შესრულებული სამუშაოების შესახებ ფოტომასალა და მის საფუძველზე შედგა ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტები. სამუშაოთა ფაქტობრივი შესრულების რაოდენობის შესახებ ცნობილი გახდა გარანტისათვის მხოლოდ სასარჩელო განცხადების მისთვის გადაცემის შემდგომ (გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ).

სასამართლო წარმოების დროს გარანტის პოზიცია უცვლელი დარჩა და მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შესრულებული სამუშაო ნაკლები იყო გაცემული ავანსის ოდენობაზე, გარანტის მოსაზრებით მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ვინაიდან, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის რეგულირების პროცესში გარანტის მიერ დადასტურებულად იქნა მიჩნეული შესრულებული სამუშაოს ღირებულება 815 000 ლარის ოდენობით. გარანტიის პირობებით, ბენეფიციარი ვალდებული იყო მიღებული სამუშაოს ანაზღაურება არ მოეხდინა და მიღებისთანავე შეემცირებინა გარანტიის თანხა. ბენეფიციარს არ გაუთვალისწინებია გარანტიის ეს პირობა. მან მიიღო 815 000 ლარის ღირებულების სამუშაო და მისი საფასური სრულად გადაუხადა მიმწოდებელს. ვინაიდან, ხელშეკრულების პირობებით ავანსის დაქვითვა უნდა მომხდარიყო ბოლო ტრანშის სახით მიღებული შესრულებიდან.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და გარანტს საავანსო უზრუნველყოფის გარანტიიდან გამომდინარე დაეკისრა 285 000 ლარის ანაზღაურება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება იყო 1 100 000 ლარი, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე შესრულებულ იქნა 815 000 ლარის ღირებულების სამუშაო. მოპასუხეს დაეკისრა მათი სხვაობა 285 000 ლარი.

ამ გადაწყვეტილების უსწორობა შემდგომში მდგომარეობდა: 1) საბანკო გარანტიის თანხის ოდენობა იყო 275 000 ლარი, ხოლო დაკისრებული თანხა აღემატებოდა მას, 2) მოთხოვნის რეგულირების პროცესში გარანტისათვის დადასტურებული იყო შესრულებული 815 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესახებ და არა 136 000 ლარის სამუშაოების შესრულება, 3) გარანტის უარი ემყარებოდა საბანკო გარანტიის პირობებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ[906] გაიზიარა გარანტის პოზიცია და საავანსო უზრუნველყოფის საგარანტიო თანხის გადახდის ნაწილში მოთხოვნა უსაფუძვლოდ ცნო. სასამართლოს მოსაზრებით, გარანტმა მოთხოვნა დაარეგულირა მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, რომლითაც დასტურდებოდა 851 000 ლარის სამუშაოს შესრულება. ექსპერტიზის დასკვნა ჩატარდა და გარანტს გადაეცა გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, გარანტი მას მხედველობაში ვერ მიიღებდა. გარანტმა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად, რომელიც კანონიერია.[907]

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკა იზიარებს გარანტიის თანხის შემცირების მოთხოვნის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არაა გათვალისწინებული საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის შემცირების წესი.[908] ბენეფიციართა მხრიდან არაერთხელ იქნა მითითებული, რომ საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის შემცირების წესი რეგულირდება მხოლოდ

[906]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის N2ბ/5769-16 გადაწყვეტილება.

[907]გადაწყვეტილება ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ნოემბერის Nას-950-886-2017 გადაწყვეტილებით.

[908]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მაისის N2/39253-16 გადაწყვეტილება, ხაშურის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №2-302-2015, №130210015001063580, რომელიც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით №2ბ/5563-15, №130210015001063580.

დადგენილი პრაქტიკის მიხედვით. კანონმდებლობაში მის შესახებ ჩანაწერი გათვალისწინებული არაა.[909]

სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთ მიერ ერთხმად დგინდება, რომ საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე მისი შემცირება უნდა მოხდეს. თუმცა დავის საგანი ხდება საბანკო გარანტიის შემცირების საფუძველი და რაოდენობა. საავანსო გარანტიის პირობებით, საავანსო ანგარიშსწორების თანხის შემცირება ხდება შესაბამისი ღირებულების სამუშაოების მიღების შემდეგ. სახელმწიფო შესყიდვების სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესრულებული სამუშაოს ბენეფიციარის მიერ მიღება მხარეთა შორის ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ ხდება, რომელშიც გათვალისწინებული თანხა დადგენილია ორმხრივად ხელმოწერილი შესრულებული სამუშაოების შესახებ ფორმა N2-ით ან ექსპერტიზის დასკვნით.[910]

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა დავა[911]საგარანტიო თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. გაცემული იყო საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 133 353, 79 ლარის უზრუნველყოფით. გარანტს წარედგინა საგარანტიო მოთხოვნა. გარანტიის პირობით, „საბანკო გარანტია მოიცავდა ბენეფიციარის მიერ პრინციპალისათვის ფაქტობრივად გადასახდელი საავანსო უზრუნველყოფის ანგარიშსწორების თანხას და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული თანხის გადახდით ნებისმიერი სხვა დამატებითი ვალდებულების გარეშე. გარანტიის თანხა მცირდებოდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოების ფაქტობრივად მიწოდების პროპორციულად.“ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დასტურდებოდა სამშენებლო ობიექტზე ხელშეკრულების ფარგლებში 36 671 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, სამუშაოთა მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. აღნიშნულ შემთხვევაში ბენეფიციარმა არ მიიღო შესრულება და უარი განაცხადა აქტის ხელმოწერაზე. საგარანტიო მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, გარანტმა მოითხოვა თანხის შემცირება, მასთან პრინციპალის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად.

---

[909]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქმე N2/856-15; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/4559-15, №330210015703697, რომელიც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

[910] კანონი ან ბრძანება.

[911] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივნისის #2/18455-13 გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოთხოვნა, ვინიდან მიიჩნია, რომ შესრულებული სამუშაოს მიღება ბენეფიციარის მიერ არ მომხდარა, რაც ავანსის გარანტიის თანხის შემცირებას გამორიცხავდა.[912] თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გარანტის მოთხოვნა, ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული თანხით საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის შემცირებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ხელშეკრულების ფარგლებში 36 671, 25 ლარის სამუშაოს ღირებულების შესრულება და განმარტა, „საბანკო გარანტიის ავტონომიური, დამოუკიდებელი ხასიათი ვლინდება იმ გარემოებების განსაზღვრაში, რომელიც ათავისუფლებს გარანტს გადახდის ვალდებულებისაგან. გარანტს შეუძლია უარი უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ის არ შეესაბამება გარანტიაში გათვალისწინებულ გარემოებებს. გარანტს უფლება არა აქვს სხვა საფუძვლით განაცხადოს უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, მას არ გააჩნია უფლება კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ წამოაყენოს მოთხოვნები, რაც დაკავშირებული იქნება ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან. განსახილველ შემთხვევაში, საავანსო გარანტიის პირობების თანახმად, საგარანტიო თანხა ავტომატურად მცირდებოდა პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად.... მიუხედავად ამ პირობისა, ბენეფიციარმა გარანტს წარუდგინა წერილობითი მოთხოვნა არა პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად შემცირებულ საგარანტიო თანხაზე, არამედ სრულ თანხაზე, რაც არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.[913]

სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა საჩივარი და ბენეფიციარს უარი უთხრა სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლობის გამო დარჩა უცვლელი.[914] განხილული გადაწყვეტილებით სასამართლომ სწორად იმსჯელა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხის შემცირებასთან დაკავშირებით და შემცირება მოახდინა ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ სამუშაოების მიღებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის მიუხედავად.

სასამართლომ გარანტიის თანხის შემცირება შესრულებულ სამუშაოს ოდენობას დაუკავშირა, თუმცა საბანკო გარანტიის სხვა პირობაზე, რომელიც „გარანტიის ოდენობის საქონლის, მომსახურების თუ სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდების პროპორციულად“ შემცირებას ითვალისწინებდა ყურადღება არ გაუმახვილებია. გარანტიის პირობად გათვალისწინებული იყო თანხის

[912] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის #2/18455-13 გადაწყვეტილება.

[913] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 თებერვლის N2ბ/4125-14, N330210013385366 გადაწყვეტილება.

[914] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის NAS-425-405-2015 გადაწყვეტილება.

შემცირება სამუშაოს ფაქტობრივად შესრულებით და არა ბენეფიციარის მიერ მისი მიღებით ან/და მესამე პირის მიერ შესრულების დადასტურებით.

სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების მიუხედავად, ბენეფიციართა მხრიდან კვლად გრძელდება არასწორი პრაქტიკით დადგენილი საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის გადახდის მოთხოვნა. მსგავსი პირობით საბანკო გარანტიიდან გამომდინარე დავა იქნა გადაწყვეტილი თბილისის საქალაქო სასამართლოს[915] მიერ. ბენეფიციარმა მოითხოვა ავანსის გარანტია სრულად, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციით დასტურდებოდა ა) 73 587 ლარის ღირებულების სამუშაოების მიღება ბენეფიციარის მიერ, ბ) 24 990,19 ლარის სამუშაოების შესრულება, რომლის მიღებაზე ბენეფიციარმა უარი განაცხადა.

შემსყიდველმა შესრულებული სამუშაოების ღირებულების 25% დაქვითა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან და სხვაობა გადაირიცხა პრინციპალთან, რის გამოც ავანსიდან დარჩენილმა თანხამ შეადგინა 194 602.87 ლარი. ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი 24 990.19 ლარის სამუშაოების მიღებაზე ბენეფიციარმა უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ[916] ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და განმარტა, „საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებელი არააქცესორული ბუნებით. რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება გავლენას ვერ ახდენს გარანტიაზე. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში იდება ორი გარიგება. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე იდება ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება, ხოლო საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგებაა და წარმოადგენს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ. ამდენად, მოცემული ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, გარანტსა და პრინციპალს შორის გარანტიის გაცემის თაობაზე ხელშეკრულება და თვით საბანკო გარანტია განხილული უნდა იყოს, როგორც ორი დამოუკიდებელი გარიგება, რა დროსაც ერთ-ერთი მათგანის პირობები შესაძლოა განსხვავდებოდეს მე-2 გარიგებაში მოცემული პირობებისაგან. ე. წ. თვით საბანკო გარანტიის პირობები შესაძლოა გავლენას ვერ ახდენდეს გარანტსა და პრინციპალს შორის და საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა ვალდებულებებზე და პირიქით...“

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა გარანტის პოზიცია საგარანტიო პირობებთან შეუსაბამოდ მოთხოვნის გამო და მიიჩნია, რომ საავანსო

[915] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 ივლისის ა N2/856-15 გადაწყვეტილება.

[916] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 ივლისის N2/856-15 გადაწყვეტილება.

ანგარიშსწორების თანხა უნდა შემცირებულიყო 73 578.05 ლარის ოდენობით. სასამართლომ არ გაიზიარა გარანტის პოზიცია 24 990.19 ლარის შემცირებასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ სამუშაოების შესრულების აქტები არ არის შედგენილი და ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და წესით. იგი ცალმხრივად არის დადასტურებული (ბენეფიციარმა უარი გაცხადა აქტების ხელმოწერაზე)... გადაწყვეტილება 24 990.19 ლარის გარანტისათვის დაკისრებასთან დაკავშირებით გაუქმებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.[917] სასამართლომ მიიჩნია, რომ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ოდენობით უნდა მომხდარიყო საავანსო გარანტიის თანხის შემცირება.[918] ამგვარი გადაწყვეტილება დადებითად უნდა შეფასდეს. ვინაიდან, საბანკო გარანტიის პირობებს უპირატესობა ენიჭება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობითა თუ სხვადასხვა აქტით დადგენილი პრაქტიკის მიუხედავად. სააპელაციო სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების მიუხედავად, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენა ვერ მოხერხდა.

საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით განსხვავებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ. სასამართლომ არ გაიზიარა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი შესრულებული სამუშაოს მოცულობა და გარანტიის შემცირება ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილი სამუშაოთა მოცულობის ოდენობით მოხდინა. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ სამუშაოების შესრულების დადასტურება მხარეთა მიერ უნდა მომხდარიყო ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და არა სხვა რომელიმე ორგანიზაციის დასკვნით.[919] სასამართლომ გაიზიარა საბანკო გარანტიის პირობა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხის შემცირებასთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ოდენობა განსაზღვრა მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა ზემდგომი სასამართლოების მიერ.[920]

ამგვარი გადაწყვეტილებით სრულად იქნა უგულვებელყოფილი ზემოთგანხილული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი პრაქტიკა. თუ გარანტიის ტექსტი უთითებს საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხის შემცირებას ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს თანხის

[917] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 ნოემბრის N2ბ/4559-15 გადაწყვეტილება.

[918] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 მარტის Nას-104-97-2017 გადაწყვეტილებით.

[919] ხაშურის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №2-302-2015, №130210015001063580, გადაწყვეტილება.

[920] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის №2ბ/5563-15, №130210015001063580 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 ივნისის Nას-484-452-2017 გადაწყვეტილება.

შესაბამისად, სასამართლომ გარანტიის თანხა უნდა შეამციროს იმ ოდენობით, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით (მაგ. ექსპერტიზის დასკვნა, ფორმა N2, მიღება-ჩაბარების აქტი და აშ.)

საბანკო გარანტიის და სახელშეკრულებო ნორმების კონკურენციის შემთხვევაში, სასამართლომ უპირატესობა უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ნორმებს მიანიჭა და საგარანტიო თანხის გადახდა მას დაუკავშირა. სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიით, მხარეთა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გარანტმა ბენეფიციარის წინაშე იკისრა პრინციპალის მიერ პროექტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრინციპალისათვის საავანსო ანგარიშსწორების წესით გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება, განხილულ უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების ნორმასთან ერთობლიობაში, რომლის მიხედვით, შესაძლებელია შემსყიდველის მიერ მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ს წინასწარი გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსოდ გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობით, საავანსო საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე.

ხელშეკრულების თანახმად, ავანსის გაცემის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: ფორმა N2 და მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებული ფაქტიურად მიწოდებული სამუშაოების ღირებულების 30% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად, ხოლო დანარჩენი 70% ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ.“

სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო შეუსრულებელი სამუშაო და გაუხარჯავი ავანსის გარანტიის თანხის გადახდა სრულად დააკისრა გარანტს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია საბანკო გარანტიის პირობაზე, რომლის შესაბამისად ავანსის მოცულობა უნდა გაქვითულიყო არა 30%-ის, არამედ შესრულებული სამუშაოს სრული ოდენობით.

სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სახელშეკრულებო ნორმების საფუძველზე და უგულებელყო საგარანტიო პირობები. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ზემდგომ ინსტანციაში გარანტის მიერ. ამგვარი კატეგორიის საქმეებზე დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად. იმედია, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო სათანადოდ შეაფასებს საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიისა პირობების პრიორიტეტულობის საკითხს და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად მოახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გააუქმებს.[921]

[921] გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმე - N2ბ/2835-17.

23.1.2. საავანსო უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტიების რეგულირების სპეციფიკა

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნების რეგულირებასთან დაკავშირებული პრაქტიკა, საბანკო გარანტიის პირობის სხვა ნორმებზე უპირატესობას უსვამს ხაზს. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მრავლადაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარის მიერ სატენდერო პირობებით მოთხოვნილია გარანტიის მისაღები ტექსტი. მიმწოდებელი ვალდებულია გარანტია წარადგინოს მხოლოდ იმ ფორმით, რაც გათვალისწინებულია სატენდერო პირობებში. სატენდერო პირობებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის ტექსტი უმეტესად პირობების გარეშეა მოცემული ან მასში გათვალისწინებული არაა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის შემცირების წესი. ამგვარი გარანტიის არსებობისას, სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტების შორის დავის შემთხვევაში, ურთიერთობის რეგულირება რთულდება. უპირობო საბანკო გარანტიის არსებობას სსკ არ ითვალისწინებს. შესაბამისად, მათი გამოყენება სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში არამართლზომიერად უნდა შეფასდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს[922] მიერ განხილულ იქნა დავა საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საიდუმლო ობიექტზე სარემონტო სამუშაოების შესრულებას. გარანტის მიერ წარდგენილ იქნა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები, რომლებშიც გათვალისწინებული არ იყო ავანსის გარანტიის შემცირების პირობა. საავანსო უზრუნველყოფის თანხისა და გარანტიის შემცირების პირობა ასევე არ იყო გათვალისწინებული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

უზრუნველყოფილი ვალდებულება პრინციპალის მიერ სრულად იქნა შესრულებული. ობიექტზე დასრულდა სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მიიღო ბენეფიციარმა, გაფორმდა ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება სრულად იქნა ანაზღაურებული პრინციპალისათვის. სამუშაოების მიღების შემდგომ ბენეფიციარმა სრულად მოითხოვა გარანტისაგან საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიებით გათვალისწინებული თანხა. მოთხოვნა გადაეგზავნა პრინციპალს, რომელმაც წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა, მიღება-ჩაბარების აქტები და შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების დოკუმენტაცია. გარანტმა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

[922]ხელშეკრულების გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა ეხებოდა სახელმწიფო საიდუმლოების მქონე ობიექტს. შესაბამისად, საქმე დაიხურა სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, ხოლო საქმის მასალებს და გადაწყვეტილებებს ადევს საიდუმლო გრიფი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნის განხორციელების შემდგომ გარანტის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა, რომ „|პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ| ამ დავაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები შეფასდა ცალმხრივად და არასრულყოფილად. სასამართლოს არ უმსჯელია და ყურადღება არ გაუმახვილებია რომელი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული გარანტიიდან გამომდინარეობდა მოთხოვნა... მოსარჩელე ითხოვდა გარანტისათვის პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად საავანსო ანგარიშსწორების გარანტიიდან გამომდინარე თანხების ანაზღაურებას... საქმის მასალებით არ იყო სადავო გადახდილი ავანსის მიზნობრივად ათვისების საკითხი. მოსარჩელემ შესყიდვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრინციპალის მიერ თავდაპირველად გადაიხადა საავანსო ანგარიშსწორების თანხები, ხოლო ამ თანხების ათვისების შემდგომ - შესრულების ანგარიშსწორების თანხები, ანუ შესრულების თანხების გადახდა დამოკიდებული იყო საავანსოდ გადახდილი თანხების ათვისებაზე, ხოლო თუკი იქნებოდა საავანსოდ გადახდილი თანხები გამოყენებული და დადასტურებული, შესრულების თანხების გადახდა სხვა შემთხვევაში არ მოხდებოდა... მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სსკ-ს 879-ე მუხლის გამოყენების და ამ ნორმის საფუძველზე გარანტისათვის ბენეფიციარის სასარგებლოდ საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაკისრების საფუძველი. ვინაიდან, გარანტიებით უზრუნველყოფილი მოთხოვნა შესრულდა, ადგილი აქვს ბენეფიციარის მიერ გარანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნაზე სსკ-ს 887-ე მუხლით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველს.“[923] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.[924]

საბანკო გარანტიის პირობის არარსებობა საგარანტიო ურთიერთობის რეგულირების გართულებას იწვევს. ვინაიდან, საბანკო გარანტია საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის შემცირების წესს არ შეიცავდა, სასამართლომ

---

[923] გადაწყვეტილება ეხებოდა სახელმწიფო საიდუმლოების მქონე ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეს მიენიჭა სახელმწიფო საიდუმლოების მქონე სტატუსი, რის გამოც დავის დეტალებს ვერ გავასაჯაროებთ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის XXXX წლის XX XXXXXXXX გადაწყვეტილება NXXXXXXXX.

[924] გადაწყვეტილება ეხებოდა სახელმწიფო საიდუმლოების მქონე ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეს მიენიჭა სახელმწიფო საიდუმლოების მქონე სტატუსი, რის გამოც დავის დეტალებს ვერ გავასაჯაროებთ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის XXXX წლის XX XXXXXXXX გადაწყვეტილება NXXXXXXXX.

გადაწყვეტილება ზოგადი ნორმების საფუძველზე მიიღო. საქმეში წარმოდგენილი იყო პირობის არმქონე საბანკო გარანტია, თუმცა სასამართლოს სსკ-ს 887-ე მუხლი არ გამოუყენებია და შემთხვევის დაკმაყოფილებაზე უარი საავანსო გარანტიის ზოგადი და ბუნდოვანი ბუნებით ახსნა.

მიმაჩნია, რომ ბენეფიციარის ამგვარი ქმედება უფლების ბოროტად გამოყენების მაგალითია. სასურველი იყო სასამართლოს მიერ მოთხოვნა შეფასებულიყო, როგორც არამართლზომიერი. ბენეფიციარმა ზუსტად იცოდა ძირითადი ვალდებულების შესრულება და გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძვლის არარსებობა. შემსყიდველმა მოითხოვა თანხის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი თანხა სხვა საფუძვლით უკან უნდა დაებრუნებინა. აღნიშნული არის უფლების ბოროტად გამოყენების მაგალითი.[925] თუმცა სასამართლოს ბენეფიციარის ქმედება უფლების ბოროტად გამოყენებად და არამართლზომიერ მოთხოვნად არ შეუფასებია.

საავანსო უზრუნველყოფის საგარანტიო მოთხოვნის რეგულირებისას გარანტი ვალდებულია შეამოწმოს მოთხოვნის შესაბამისობა საბანკო გარანტიის პირობებთან. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ბუნებიდან გამომდინარე, გარანტიის თანხა უნდა შემცირდეს პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოს ან მიწოდებული საქონლის ღირებულების ოდენობით. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის პირობას საავანსო გარანტიის თანხის შემცირებასთან დაკავშირებით უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებით. შესაბამისად, გარანტი ვალდებულია შემთხვევის რეგულირება მოახდინოს საგარანტიო პირობების საფუძველზე. უპირობო გარანტიებიდან წარმოშობილი მოთხოვნის რეგულირება საავანსო უზრუნველყოფის გარანტიის ბუნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

სამწუხაროა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი საგარანტიო რეგულირების ძირითად პრინციპებს ბენეფიციარები მოთხოვნის წარმოშობის ან რეგულირების ეტაპზე არ ითვალისწინებენ. შესაბამისად, აუცილებელია საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის სრული და ამომწურავი საკანონდებლო რეგულირება.

23.2. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიიდან წარმოშობილი დავების პრობლემატიკა

23.2.1. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

[925] ჭიპაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 12.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის[926] საფუძველზე,[927] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით[928] დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი, რომლითაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში გამოყენებადი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია შემდეგი ძირითადი ასპექტებით იქნა განსაზღვრული: 1. გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა, თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 600.000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში – 8.000.000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს და არ უნდა იყოს 2%-ზე ნაკლები. 2. ტენდერის შესახებ განცხადებაში აუცილებლად უნდა ასახულიყო დეტალური ინფორმაცია შესრულების უზრუნველყოფის მოთხოვნისა და გარანტიის ან/და დაზღვევის პირობების შესახებ, 3. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა მითითებულიყო გარანტიასთან ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული ყველა პირობა. 4. ხელშეკრულების შესრულების გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ დადგენილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტიის, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკის ან აკრედიტივის ან გარანტიის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენა, 5. გარანტიის მოქმედების ვადა და მისი დაბრუნების პირობები უნდა განისაზღვროს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივი დაბრუნება.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის, დაზღვევის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, დაზღვევის საგანი შეიძლება იყოს: საქონლის დაზიანება მისი წარმოების, ტრანსპორტირების და შენახვის პროცესში და ამ დაზიანების შედეგად მიღებული ზარალი, მიმწოდებლის ან/და ქვეკონტრაქტორის პერსონალი, მიმწოდებლის ან/და ქვეკონტრაქტორის ქონება, საკუთრება (სატრანსპორტო საშუალებები, ტექნოლოგიური დანადგარები, აღჭურვილობა და წარმოების სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების პროცესში), ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომზადებული ნებისმიერი დოკუმენტი, ხელშეკრულების შემსრულებლის ან ხელშეკრულების შესრულებაში მონაწილე პირის პროფესიული რისკი და სხვა.

[926] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N1388, 20/04/2005

[927] კანონის 24-ე მუხლით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცება.

[928] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1-ლი ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ტენდერში მონაწილეობის ინსტრუქცია,[929] რომელიც სხვა მრავალ დოკუმენტთან ერთად შეიცავდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის,[930] ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიისა,[931] და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების ნიმუშს, რომელიც შეიცავდა ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკურ პირობებს. ინსტრუქციით დამტკიცებული გარანტიისა და ხელშეკრულების ნიმუშების გამოყენება სავალდებულო იყო.

ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა, ყველა შემსყიდველისათვის გამოსაყენებლად სავალდებულო იყო. ამასთან, ხელშეკრულების უზრუნველყოფის თაობაზე დებულება საბანკო გარანტიასა და დაზღვევასთან დაკავშირებით შემდეგ ორიენტირებს განსაზღვრავდა:

1) „ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგა შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.“

2) იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.“[932]

3) „მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.[933]

4) „ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ

[929]მითითებული იყო, რომ იგი არის ტიპური ინსტრუქცია ტენდერის მონაწილეთათვის და იგი წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” დებულების დანართს. დაუშვებელია მასში რაიმე შესწორებების შეტანა. ნებისმიერი სახის შესწორება, დაზუსტება და დამატებების შეტანა ხორციელდება საბაზისო მონაცემთა ნუსხაში (ს.მ.ნ)

[930] ბრძანების დანართი N1.

[931] ბრძანების დანართი N2.

[932] დებულების დანართი 1-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების საერთო პირობების 19.1 პუნქტი და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 პუნქტი.

[933] დებულების დანართი 1-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების საერთო პირობების 19.3 პუნქტი.

ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.“[934]

ამ ოთხი ნორმატიული ორიენტირის მარტივი ანალიზითაც ცხადი ხდება, რომ დებულებას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მიზნობრიობად მიაჩნდა პრინციპალის ბრალით ბენეფიციარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ზღვრული თანხის ფარგლებში, ხოლო იმ გარემოებათა ჩამოთვლა, რომელთა დადგომა გარანტიის ამოქმედებასა და საგარანტიო თანხის (მთლიანად ან ნაწილობრივ) მოთხოვნას გამოიწვევდა – გადაიქცა შემსყიდველის უფლება-მოვალეობად.[935]

შესყიდვების ხელშეკრულებაში გამოყენებული შესრულების გარანტია მხოლოდ მხარის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით გამოიყენებოდა. ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველი პრინციპალის მიერ ხელშეკრულების დარღვევით ბენეფიციარისათვის მიყენებული ზიანი უნდა ყოფილიყო.[936]

2011 წელს ძალადაკარგულად გამოცხადებულ იქნა აღნიშნული ბრძანება.[937] სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელ პირს მიენიჭა თავისუფლებასახელშეკრულებო ავტონომიის ფარგლებში მოეხდინა სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა. ამავე დროს გაუქმებულ იქნა შესყიდვების სტანდარტული ხელშეკრულების გამოყენების ვალდებულება. ყველა შემსყიდველი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თავად განსაზღვრავდა ხელშეკრულების პირობებსა და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ამის მიუხედავად, სტანდარტული ხელშეკრულება, გარკვეული ცვლილებების გათვალისწინებით, ბევრი შემსყიდველის მიერ დღემდე გამოიყენება. ხელშეკრულების პირობად ისევ დარჩა ხელშეკრულების შესრულების გარანტიის პირობების ბმა მხარის მიერ მიყენებულ ზიანთან. ასეთ შემთხვევაში გარანტის წინაშე ისევ არსებობდა საკითხი უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორ უნდა მოეწესრიგებინა გარანტს საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა შესყიდვების ხელშეკრულებისა თუ საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად. მიღებული ბრძანების[938] შესაბამისად, „ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა, გარანტიიდან

[934] დებულების დანართი 1-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების საერთო პირობების 22.1 პუნქტი.

[935] გ. ფოფხაძე., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 76.

[936]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, 4 (52) 2016, 128.

[937] იგულისხმება 2006 წლის 03 იანვრის ბრძანება N1 „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ.“

[938] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ან ამ ვალდებულებების გაუქმების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით."[939]

ამგვარი დელეგირების შედეგად საბანკო გარანტიის მიზნობრიობის, საგარანტიო მოთხოვნის პირობებისა და ფარგლების განსაზღვრის და განსჯის სახელმძღვანელო გახდა სახელმწიფო შესყიდვის ყოველი ცალკეული ხელშეკრულება. საკანონმდებლო დონეზე განუსაზღვრელი დარჩა საბანკო გარანტიის როგორც მიზნობრიობა, ისე მისი ამოქმედების დეტალური შემთხვევები (ვითარებები). სახელმწიფო შესყიდვის ტიპური ხელშეკრულების არარსებობის პირობებში საბანკო გარანტიის მიზნობრიობა ზოგმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ იგივე დატოვა, ზოგი – საერთოდ ბუნდოვანი მოხსენიებით შემოიფარგლა, ხოლო ზოგმა – გააფართოვა.

ამის გარდა, ბენეფიციარებმა შეცვალეს დებულების დროს არსებული საგარანტიო ფარგლები. ზოგმა მათგანმა გახადა უფრო მკაცრი, მაგრამ სატენდერო დოკუმენტაციით სავალდებულოდ მოითხოვა დებულების დროინდელი, მისი დანართის სახით დამტკიცებული საგარანტიო ტექსტი,[940] რომელიც მანამდე უფრო სინქრონული იყო ხელშეკრულებასთან. შედეგად, ხშირად საგარანტიო ტექსტი ვეღარ პასუხობდა ახალ გამოწვევებს და თავის მხრივაც ბუნდოვანი ხდება.[941]

არსებობდა შემთხვევები,[942] როდესაც ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის გამოთხოვა პრინციპალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით უნდა გამოყენებულიყო. თუმცა გარანტიის ტექსტი უთითებდა, რომ გარანტიის გადახდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო.

2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანება[943] ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2017 წლის 14 ივნისის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების

---

[939]იგულისხმება 2011 წლის 07 აპრილის ბრძანება N7, მუხლი 21-ე, პუნქტი N7.

[940]ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დამტკიცებული ნიმუში: „სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენ წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე (მიეთითებოდა თანხა) და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე".

[941]ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 77.

[942]დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვა NSPA110012024, თბილსერვის ჯგუფის მიერ განხორციელებული შესყიდვა NSPA130023223, საქართველოს აეროპორტების გაერთიანების შესყიდვა NSPA140003192.

[943]ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ".

შესახებ“ N12 ბრძანებით. ამ უკანასკნელის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ღირებულება აღემატება ან შეადგენს 200 000 ლარს. ამასთან, თუ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი ნაკლებია 200 000 ლარზე, დაუშვებელია პრეტენდენტს მოეთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სატენდერო დოკუმენტაციაში დასაბუთებულია, შესყიდვის ობიექტის რა თავისებურებამ განაპირობა გარანტიის მოთხოვნა.“[944] ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება: ა) ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით; ბ) ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 10%-ის ჩათვლით – თუ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. ელექტრონული ვაჭრობის დროს პრეტენდენტის მიერ შესყიდვის ფასის შემცირება ბენეფიციარისათვის საფრთხეა და ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს ზრდის. შესაბამისად, ბენეფიციარი ასეთ შემთხვევაში ვალდებულია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვროს საბანკო გარანტიის საკმაოდ მაღალი მოცულობა.[945] აღნიშნულ ბრძანებაში, წინამორბედისაგან განსხვავებით, აღარ არის ჩანაწერი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მიზნობრიობის, გამოყენების, გამოთხოვისა და გაუქმების წესის შესახებ.

23.2.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მიზნობრიობა

სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს ბრძანებით დადგენილი რეგულაციის გაუქმებამ და თითოეული შემსყიდველისათვის უფლებამოსილების დელეგირებამ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში შესრულების გარანტიის გამოყენების მიზნობრიობა განაზოგადა. თითოეული შემსყიდველი თავად განსაზღვრავს რა მიზნით ესაჭიროება და რა შემთხვევაში მოახდენს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოთხოვას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე ეტაპისათვის[946] ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოყენების მიზნობრიობა შემსყიდველებმა შემდეგნაირად განსაზღვრეს:

[944]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 33-ე მუხლის მე- 3 პუნქტი.

[945]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, 4 (52) 2016, 127.

[946] იგულისხმება 2017 -2018 წელი.

1) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება უპირობო საბანკო გარანტია... გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღოს თანხა... მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.[947] (NAT170014765)

2) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო საბანკო გარანტია.
- გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.
- მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.
- მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.
- მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ან/და მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე

[947] სახელმწიფო შესყიდვა NNAT170014765.

დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.[948]

3) უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.[949]

4) საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს – საბანკო დაწესებულების ან/და სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ. საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე). სხვა პირობები მოყვანილია ხელშეკრულების პროექტში.

ხელშეკრულების მე-10 მუხლის მიხედვით, გარანტია უნდა იყოს „უპირობო", ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

ხელშეკრულების 10.3 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების ან მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია... მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს საბანკო გარანტია სრული ოდენობით... შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია გამოიყენოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.[950]

5) მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს 5 %-ის ოდენობის საბანკო გარანტია. გარანტია უკან დაუბრუნდება მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. გარანტია არ იქნება დაბრუნებული თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.[951]

---

[948] სახელმწიფო შესყიდვა NNAT180000074.

949სახელმწიფო შესყიდვა NNAT180000055, NAT170015008, NAT180000037, NAT170014557, NAT170014545, NAT170015373, NAT170015007.

950 სახელმწიფო შესყიდვა NNAT170014814.

951 სახელმწიფო შესყიდვა NNAT180000041.

სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო ხელშეკრულების ამგვარი ჩანაწერების მიხედვით, შემსყიდველების მიერ უმეტეს შემთხვევაში მოთხოვნილია უპირობო, პირველივე მოთხოვნისთანავე და ყოველგვარი დასაბუთების, მტკიცებულების წარდგენის გარეშე გადასახდელი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია. ზოგიერთი შემსყიდველი ხელშეკრულებით გარანტიის გამოყენებას მხოლოდ მიყენებული ზიანის არსებობის შემთხვევაში ითხოვს, ხოლო ხელშეკრულების დანართად განსაზღვრული საბანკო გარანტიის ტექსტი კვლავ ზოგადი ხასიათისაა და ნებისმიერი დარღვევის შემთხვევა გარანტიის გამოთხოვის უფლებამოსილებას ითვალისწინებს.

შემსყიდველთა ნაწილი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოთხოვას უკავშირებს, როგორც პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებულ ზიანს, ასევე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას და ვალდებულების პრინციპალის ბრალეულ დარღვევას. თითქმის ყველა ხელშეკრულებაში დაუძლეველი ძალის შედეგად პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა დარღვევად არ მიიჩნევა და საბანკო გარანტიის გამოთხოვის საფუძველი არ არის. თუმცა პრაქტიკაში რადიკალურად განსხვავებული შემთხვევები არსებობს.

სახელმწიფო შემსყიდველის მიერ უპირობო, პირველივე მოთხოვნისთანავე და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადასახდელი საბანკო გარანტიის წარმოდგენის მოთხოვნა საკმაოდ მაღალი რისკის შემცველია იმ წინაპირობების გათვალისწინებით, როცა ბენეფიციართა მხრიდან საკმაოდ ხშირია დაუსაბუთებელი, არამართლზომიერად და არაკეთილსინდისიერად განხორციელებული მოთხოვნები. ამასთან, რეგულაციის არარსებობასთან ერთად გარანტიის პირობების გარეშე წარდგენა პრინციპალის ინტერესების მინიმალურ დაცვის სტანდარტსაც გამორიცხავს. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ უპირობო გარანტიის მოთხოვნა შეიძლება არც მთლად შესაბამისი იყოს სსკ-სთან, რომელიც გარანტიის პირობებსა და განმეორებითი მოთხოვნის პრინციპებს ადგენს. ასევე, დასაზუსტებელია რას გულისხმობს ბენეფიციარი ფრაზაში „მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე“. სსკ-ს მიხედვით ბენეფიციარს ევალება „მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა“, თუმცა მას არ მოეთხოვება ამის დასაბუთება/დამტკიცება, თუ გარანტიის პირობები სხვა რამეს არ ითვალისწინებს.[952]

[952]ფოფხაძე გ., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 77.

23.2.3. ზიანის ანაზღაურება, როგორც ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მიზანი

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მიზნობრიობა ყველაზე კარგად არის გამოკვეთილი იმ გარანტიებში, რომელიც მიყენებული ზიანის უზრუნველსაყოფად არის გამოყენებული. თუმცა მდგომარეობა რთულდება, როცა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში გარანტიით ზიანის უზრუნველყოფის ჩანაწერის მიუხედავად, შემსყიდველების მიერ მოთხოვნილი საბანკო გარანტია, ზიანის შესახებ ჩანაწერს არ ითვალისწინებდა.[953] საგარანტიო შემთხვევის რეგულირების დროს გასარკვევი იყო, რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ხელშეკრულებისა თუ საბანკო გარანტიის პირობას.[954]

ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენისას ზიანის არსებობის დადასტურება და მოთხოვნა სსკ-ს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში არსებული ნორმების შესაბამისად უნდა განხორციელდეს.[955] აუცილებელია, მოთხოვნის წარდგენამდე დადგენილიყო მთელი რიგი გარემოებები. მათ შორის: ა) პრინციპალის ბრალით ვალდებულების დარღვევა, ბ) დარღვევის შედეგად ბენეფიციარისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა,[956] გ) მიზეზობრივი კავშირის არსებობა დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის, დ) მიყენებული ზიანის რეალური და პირდაპირი ხასიათი. ამ უკანასკნელის დადასტურება აუცილებელი პირობაა, ვინაიდან, სახელმწიფო შესყიდვების

---

[953]სტანდარტული გარანტიის პირობა შემდეგნაირი იყო: „გარანტი კისრულობს ვალდებულებას მოახდინოს საგარანტიო თანხის გადახდა პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში“.

[954]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, 4 (52) 2016, 129.

[955] სსკ-ს 394-ე მუხლის მიხედვით, „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“. სსკ-ს 408-ე მუხლების შესაბამისად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.“ ზიანის ანაზღაურების უპირველეს საფუძველს წარმოადგენს მისი არსებობის დადასტურება. ამასთან, უნდა დადასტურდეს 1) მიყენებული ზიანის ოდენობა 2) ხელშეკრულების მხარის ბრალი 3) მიზეზობრივი კავშირი მხარის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. 4) ქმედება.

[956] სსკ-ს 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების შესაბამისად, „ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს ეკისრება პასუხიმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. აღნიშნული ნორმა განხილულ უნდა იქნეს სსკ-ს 401-ე მუხლთან ერთად „ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული“. დაუძლეველ ძალას, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას სკს მხოლოდ 666-ე მუხლის ჩანაწერში ვხვდებით. იგი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებაში დაუძლეველი ძალის არსებობის შედეგსა და პასუხიმგებლობის საფუძველს განსაზღვრავს. ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში დაუძლეველის ძალის დროს ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების არარსებობა ზემოთ მითითებული ნორმების (394, 401) არსებობით არის გამართლებული.

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ფარგლებში მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უზრუნველყოფა ნაკლებად სავარაუდოა.[957]

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილება არაერთხელ გახდა სადავო. სახელშეკრულებო თუ საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობამ სხვადასხვაგვარი განმარტების საშუალება მისცა ურთიერთობის მონაწილეებს. ასეთ შემთხვევაში დავის წარმოშობისას სასამართლო გადაწყვეტილებას მხოლოდ ზოგადი ნორმების საფუძველზე იღებს.

ზიანის უზრუნველსაყოფად გამოყენებული საბანკო გარანტიის შემთხვევები საკმაოდ ბევრი იყო პრაქტიკაში. თუმცა დავის წარმოშობის შემთხვევაში ყველა ბენეფიციარი თავს არიდებდა ზიანის არსებობისა და ოდენობის დადასტურებას და ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში ითხოვდა საბანკო გარანტიის თანხას.[958] შესაძლებელია ბენეფიციართა ამგვარი მოქმედება მომავალშიც გაგრძელდეს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების შესრულების გარანტიით მოხდა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარისათვის მიყენებული ზიანის უზრუნველყოფა. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხებისა და გზის რეაბილიტაცია-მოასფალტების სამუშაოების მიწოდება. სამუშაოები ვერ იქნა შესრულებული თავდაპირველად შეთანხმებულ ვადაში, რის შემდეგაც ორმხრივი შეთანხმებით გაზრდილ ვადაში სამუშაოები დასრულდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბენეფიციარისათვის არც მატერიალური და არც მორალური ზიანის მიყენებას ადგილი არ ჰქონია. პრინციპალმა სამუშაო სრულად შეასრულა დამატებით განსაზღვრულ ვადაში.[959] „თუმცა მოსარჩელე მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეელახა რეპუტაცია ამომრჩევლის წინაშე. მას ჰქონდა მიცემული პირობა თავისი ამომრჩევლისათვის, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაოები დასრულდებოდა 2011 წლის 01 ოქტომბრამდე. სწორედ ეს წარმოადგენს იმ ზიანს, რაც მითითებულია ხელშეკრულებასა და დაზღვევის პოლისში და რომელიც მოსარჩელეს მიადგა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო.“[960]

---

[957] მსგავსი პრეცენდენტი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს. თუმცა კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში შესაძლებელია შესრულების გარანტია მოიცავდეს მათ შორის მიუღებელი შემოსავალის ანაზღაურების ვალდებულებას. თუმცა ამის შესახებ მითითება გარანტიის პირობაში პირდაპირ უნდა იქნეს გათვალისწინებული

[958]დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვა NSPA110012024, თბილსერვის ჯგუფის მიერ განხორციელებული შესყიდვა NSPA130023223, საქართველოს აეროპორტების გაერთიანების შესყიდვა NSPA140003192.

[959] გადაწყვეტილების 3.2.1 პუნქტი

[960] ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის N2/177-12 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება. ზიანთან დაკავშირებული ჩანაწერი და მოტივაცია არ გაუზიარებია, თუმცა მიუთითა, რომ ვალდებულების დარღვევას წარმოადგენდა პრინციპალის მიერ ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა.[961] ორმხრივი შეთანხმებით დამატებით განსაზღვრული ვადა სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო და არც ზიანის არსებობაზე უმსჯელია.[962] განჩინება, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველი საკასაციო სასამართლოს მიერ.[963]

ამ გადაწყვეტილებაში სასამართლოს არ უმსჯელია საბანკო გარანტიისა და ხელშეკრულების პირობების კონკურენციის საკითხზე. საბანკო გარანტიის გამოთხოვა ხისტად დაუკავშირა ხელშეკრულების შესრულების თავდაპირველ ვადას და არ განუმარტავს ორმხრივი შეთანხმებით ვადის გაგრძელების საკითხი. ზიანის არარსებობის მიუხედავად, სრულად დააკმაყოფილა ბენეფიციარის საგარანტიო მოთხოვნა. შესაბამისად, ბუნდოვანია ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო მოთხოვნის საფუძველი.[964]

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ორივე ბრძანება[965] შესრულების გარანტიის გამოყენებისა და გაუქმების პირობების განსაზღვრას ხელშეკრულების ნორმებით ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, ზანის

[961] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ნოემბრის N2ბ-3717-12 გადაწყვეტილება. საქართველოს უზენესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ივლისის Nას-6560-2013 გადაწყვეტილება.

[962]„დ-ის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს ,,ა-ის" შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულდა ჯეროვნად, დადგენილ ვადაში. როგორც საქმის მასალებით დგინდება ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მოცემულ ვადაში - 2011 წლის 01 ოქტომბრამდე სამუშაოები ვერ შესრულდა, რის გამოც შპს ,,ა-იმ" გადაიხადა კიდეც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ბენეფიციარმა გარანტს თანხის გადახდის მოთხოვნით მიმართა 26.10.2012წ., ანუ იმ დროს, როდესაც ამოწურული იყო სამუშაოების შესრულების ვადები, ხოლო აპელანტის მიერ მითითებული შეთანხმება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გაფორმდა მხოლოდ 30.12.2011წ. ამასთან, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებულია გარანტიის თანხის გადახდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე და ეს პირობა არ უკავშირდება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადას".

[963]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 01 ივლისის Nას-65-60-2013 გადაწყვეტილება.

[964]ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, 4 (52) 2016, 129.

[965] საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1-ლი ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის" დებულების დამტკიცების შესახებ და 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ".

არსებობისა და დადასტურების გარეშე ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიიდან გამომდინარე სარჩელები სრულად კმაყოფილდებოდა.[966]

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ გარანტიით გათვალისწინებული მოთხოვნა ზიანის არსებობას დაუკავშირა. თუმცა ზიანად საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველი მოთხოვნა მიიჩნია. სხვა თითქმის არც ერთ შემთხვევაში[967] გარანტიის მიზნობრიობად ზიანის უზრუნველყოფა არ მიჩნეულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს[968] მიერ სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით.[969] ხელშეკრულებით საბანკო გარანტია ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის გარანტმა მოითხოვა პრინციპალის მიერ

---

[966] ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება N2/177-12; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 01 ივლისის Nას-65-60-2013 გადაწყვეტილება; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 2/191-14; თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება N2ბ/7114-2014; საქართველოს უზენასი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ოქტომბრის №ას-782-739-2015 გადაწყვეტილება; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბერის N2/3656-2014 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბრის N2ბ/5555-2015 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის Nას-11-89-1149-2016 გადაწყვეტილება; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 მაისის N2/12268-15 გადაწყვეტილება; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 ივლისის N2/12833-16 გადაწყვეტილება; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 მაისის N2/7471-15 გადაწყვეტილება; გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის N2/222-15 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 მაისის N2ბ/5769-16 გადაწყვეტილება.

[967]იგულისხმება ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია საძიებო სისტემის მეშვეობით.

[968]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ოქტომბრის N 2/191-14 გადაწყვეტილება.

969შემსყიდველმა 2013 წლის 21 ნოემბერს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით გამარჯვებულ პირთან დადო ხელშეკრულება 7000 ტონა ტექნიკური მარილის შეძენასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულებად განისაზღვრა 79 8000 ლარი. ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, მარილის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო შემდეგი გრაფიკის შესაბამისად, 1) 1000ტ - 5.12.2013-ის ჩათვლით, 2) 1000ტ -10.12.2013, და ამ. მიმწოდებლის მიერ ვალდებულის შესრულების მიზნით გაცემული იქნა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. მიმწოდებელმა 05 დეკემბერს მიაწოდა 265 ტონა მარილი, რაც 6 დეკემბერს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის მიზეზი გახდა. 09 დეკემბრის შეტყობინებით ბენეფიციარმა სრულად მოითხოვა გარანტიის თანხა. 12 დეკემბერს მიმწოდებელმა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ერთ-ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე შეიძინა იგივე რაოდენობის ტექნიკური მარილი, თუმცა გაზრდილ ფასად. ხელშეკრულების საგნის მიწოდება გრაფიკით განისაზღვრა და პირველი ნაწილი 20 დეკემბერს უნდა გადასცემოდა შემსყიდველს.

ზიანის მიყენების ფაქტისა და ოდენობის დადასტურება. ბენეფიციარს, გარანტიის ვადაში დამატებითი მტკიცებულება და განმარტება, გარდა განმეორებითი მოთხოვნისა, არ წარუდგენია. მან ზიანის დადასტურების გარეშე მიმართა სასამართლოს.

უდავოდ დაადგინა, რომ მიმწოდებელმა 1 დღით დაარღვია ვადა და მხოლოდ პროდუქციის ნაწილი მიაწოდა, რაც შემსყიდველი მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველი გახდა. ბენეფიციარი გარანტიის მოთხოვნის საფუძვლად ამ დარღვევას უთითებდა. გარანტის დასაბუთებით, გარანტიას უნდა უზრუნველეყო პრინციპალის ბრალით ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად ბენეფიციარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.[970] ბენეფიციარმა ვერ უზრუნველყო საკუთარ მოთხოვნასთან მიმართებით მიყენებული ზიანის სახისა და მოცულობის, ბრალეულობისა და მიზეზობრივი კავშირის განსაზღვრა. სასამართლომ არ გაიზიარა ზიანის უზრუნველყოფის, არსებობისა და დადასტურების აუცილებლობის შესახებ მხარის პოზიცია და გარანტიის მოთხოვნა ვალდებულების დარღვევას დაუკავშირა. გადაწყვეტილება[971] უცვლელი დარჩა ზემდგომი ინსტანციების მიერ.[972] აღნიშნულ შემთხვევაში არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ მიუთითებია გარანტიის მიზნობრიობისა და ზიანის არსებობის დადასტურების ვალდებულებაზე. სასამართლომ ვალდებულების ერთი დღის დარღვევის შემთხვევაში საბანკო გარანტიის სრული ოდენობით გამოთხოვა მართლზომიერად მიიჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო პირგასამტეხლოს დაკისრება ვადის გადაცილების გამო, ბენეფიციარმა ერთი დღით ვადის გადაცილება ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად ჩათვალა და გავიდა ურთიერთობიდან. თუმცა ბენეფიციარს ხელშეკრულებიდან გასვლის წესი არ დაუცავს. ვალდებულების ერთი დღით დაგვიანება სასამართლომ ხელშეკრულებიდან გასვლისა და გარანტიის სრულად გამოთხოვის საფუძვლად მიიჩნია.

ბოლოს დროს მიღებული გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ვალდებულების 2 დღით დაგვიანებით შესრულება არ ჩათვალა არსებით დარღვევად, რომელიც საბანკო გარანტიის გამოთხოვის საფუძველი

---

[970] საქმეში არსებული ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია შეიცავდა 2006 წლის 03 იანვრის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N1 ბრძანებით დამტკიცებულ ტექსტს. „ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენ წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე (მიეთითებოდა თანხა) და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე.”

[971] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 2/191-14.

[972] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მაისის N2ბ/7114-14 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენასი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ას-782-739-2015.

იქნებოდა.[973] საინტერესოა, დარჩება თუ არა ძალაში სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, თუმცა ცხადია, რომ სასამართლომ ახალი მიდგომა დაადგინა. საბანკო გარანტიის თანხის გამოთხოვა დაუკავშირა არსებით დარღვევას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში როცა ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია როგორც გარანტია, ასევე პირგასამტეხლო. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარი ორივე საშუალების ამოქმედებას იწყებს და ვალდებულების თუნდაც უმნიშვნელოდ გადაცილების შემთხვევაში ითხოვს უზრუნველყოფის საკმაოდ დიდი ოდენობის თანხებს.

საბანკო გარანტიის უზრუნველყოფის მიზნობრიობა სასამართლომ მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში გამოიყენა. სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება უდავოდ პოზიტიურად უნდა შეფასეს. ბენეფიციარს უფლება აქვს ვალდებულების დარღვევისას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალება აამოქმედოს. თუმცა ასეთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ბენეფიციარის უსაფუძვლო გამდიდრება. ვალდებულების უზრუნველყოფის რამდენიმე საშუალების ერთდროულად და ერთი დარღვევის გამო ამოქმედება, ბენეფიციარის უფლების ბოროტად გამოყენებად მიმაჩნია.

23.2.4. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოთხოვის საკითხი დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების დარღვევისას

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვაგვარია. შემსყიდველთა ნაწილი გარანტიის გამოთხოვას ახდენს მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება სრულად შესრულებული და მიღებული აქვს,[974] როცა ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა[975] ან ვალდებულების დარღვევა პრინციპალის ბრალეულობით არ მომხდარა და შესრულება შეუძლებელი იყო დაუძლეველი ძალის გამო. ფორსმაჟორული გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი საფუძველი სახელმწიფო შესყიდვების ყველა ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული. სახელშეკრულებო რეგულირების კანონით გათვალისწინებული ნორმა დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების დარღვევისას მოვალის პასუხისმგებლობას გამორიცხავს. ვალდებულების ყველა სახის დარღვევა არ შეიძლება დაუძლეველი ძალის არსებობით იქნეს ახსნილი. დაუძლეველი ძალა

[973] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის N2/24991-16 გადაწყვეტილება.

[974] თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის 2/24991-16 გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/24930-16 გადაწყვეტილება; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 16 დეკემბრის N2/207-2016 გადაწყვეტილება.

[975] SPA120025200.

იმ შემთხვევაში ათავისუფლებს მოვალეს ვადის გადაცილებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი პირდაპირ იქნება დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან და ხელშეკრულების დადებისას ამ გარემოების გათვალისწინება არ შეიძლებოდა.[976]

დაუძლეველი ძალა, შემსყიდველთა მხრიდან არაერთ შემთხვევაში არ ყოფილა გათვალისწინებული, როგორც მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გათავისუფლების საფუძველი.[977] სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მაღალყელიანი ფეხსაცმლის შესყიდვა, რომელიც შესყიდული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირისაგან ჩინეთის რესპუბლიკაში. ხელშეკრულების დადების შემდგომ, ჩინეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით კონკრეტულ რეგიონში დაიხურა სამრეწველო ობიექტები, მათ შორის ხელშეკრულების საგნის მწარმოებელი ქარხანა. წარმოების განახლება მხოლოდ სხვა რეგიონში გადატანის შემდგომ გაგრძელდებოდა. პრინციპალმა აცნობა ბენეფიციარს ვალდებულების დროებითი შესრულების შეუძლებლობის შესახებ და მიწოდების ალტერნატიული წყაროს ძიებას შეუდგა. შესრულების ვადის გასვლამდე მიმწოდებელმა აცნობა შემსყიდველს, რომ შესაძლებლობა ჰქონდა სხვა ქარხნისაგან შეეძინა საქონელი. ვინაიდან, ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო მწარმოებელი ქარხანა, აუცილებელი იყო შემსყიდველის თანხმობა სხვა ქარხნის მიერ წარმოებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით. ამ შეტყობინების პასუხად ბენეფიციარმა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აცნობა პრინციპალს, დაარიცხა პირგასამტეხლო[978] და გამოითხოვა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია.[979]

საბანკო გარანტიის პირობის შესაბამისად, გარანტი კისრულობდა თანხის გადახდას ვალდებულების შეუსრულებლობისას. ამ შემთხვევაში შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გამო, რომლის არსებობა ბენეფიციარისათვის ცნობილი იყო. ამის მიუხედავად შემსყიდველმა ცალმხრივად მოშალა გარიგება მიმწოდებლის მიერ ვადის დარღვევის საფუძვლით და გამოიყენა უზრუნველყოფის საშუალებები. აღნიშნული შემთხვევა ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების მაგალითია. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად გარანტიის გამოთხოვა და პირგასამტეხლოს დარიცხვა სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული. მხარის მიერ არ იქნა გათვალისწინებული, რომ „ფორს-მაჟორი, ანუ დაუძლეველი ძალა შეუძლებელს ხდის ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას,

[976] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის №ას-7-6-2010 განჩინება.

[977] SPA170005363, SPA130004446, SPA140014698, SPA130029248.

[978] პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა სახელშეკრულებო ღირებულების 54%-ს.

[979]ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენდა სახელშეკრულებო ღირებულების 54%-ს.

ამდენად, ფორსმაჟორული სიტუაცია ნიშნავს მხარეთა დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს მოვალის ბრალს.“[980]

საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტი ვალდებულია დაადგინოს ვალდებულების შეუსრულებლობა და პრინციპალის ბრალეულობა ამ შეუსრულებლობის მიმართ. პრინციპალმა საგარანტიო მოთხოვნისთანავე სასამართლოს მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ. სასამართლომ განმარტა,[981] რომ “საბანკო გარანტიას უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან განასხვავებს უპირობო ხასიათი. რაც გულისხმობს იმას, რომ გარანტი არ არის უფლებამოსილი, შეამოწმოს ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძვლიანობა პრინციპალის მიმართ. როდესაც ბენეფიციარი მას გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას სთხოვს, გარანტი ვალდებულია, შეასრულოს იგი, მიუხედავად იმისა, წარმოიშვა თუ არა პრინციპალის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე, რომლის უზრუნველსაყოფადაც იყო გამოყენებული გარანტია. გარანტი ამოწმებს მხოლოდ იმას, რამდენად შეესაბამება მისთვის წარდგენილი მოთხოვნა საბანკო გარანტიის ხელშეკრულების პირობებს - გარანტის ვალდებულების ფარგლები, მოქმედების ვადა და აშ. კანონი არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას იმ მოტივით, რომ ძირითადი ვალდებულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული გარანტია, უკვე შესრულებულია ჯეროვნად. სსკ-ს თანახმად, თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას. ამგვარად, ამ საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე, გარანტი ვალდებულია, იმ შემთხვევაშიც კი დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა, თუკი მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვალდებულება უკვე შესრულებულია, შეწყვეტილია ან ბათილია, თუკი ბენეფიციარისა და პრინციპალისათვის შეტყობინების შემდეგაც კვლავ წარედგინება მას მოთხოვნა ბენეფიციარის მიერ.“[982]

---

[980] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2009 წლის 23 ივნისის Nას-30-367-09 გადაწყვეტილება.

[981] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 დეკემბრის N2202401 – 17 განჩინება.

[982] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 დეკემბრის N2202401 – 17 განჩინება.

სასამართლოს მსჯელობა გარანტიის უპირობობასთან დაკავშირებით მოკლებულია დასაბუთებას. ამ შემთხვევაში გარანტია არ იყო უპირობო და ითვალისწინებდა თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ვალდებულება დაირღვა, თუმცა პრინციპალის ბრალის გარეშე. შესაბამისად, გარანტიის პირობიდან გამომდინარე ეს გარემოება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი უნდა გამხდარიყო. სასამართლოს მსჯელობა სსკ-ს 887-ე მუხლთან მიმართებით არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, ვინაიდან, აღნიშნულ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება, შეწყვეტა ან ბათილობა არ მომხდარა. სახეზე იყო ვალდებულების არაბრალეულად შეუსრულებლობა, რაც როგორც პრინციპალის, ისევე გარანტის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში[983] ამგვარი დასაბუთებით ადვილად პროგნოზირებადია სასამართლოს განმარტება სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც საბანკო გარანტიის მოთხოვნის არამართლზომიერად აღიარებას ეხება.

ბენეფიციარის ამგვარი ქმედება არამართლზომიერ მოთხოვნად უნდა ყოფილიყო შეფასებული. საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების მიუხედავად, იგი არ შეიძლება მოვალის მიმართ სადამსჯელო იარაღად იქცეს ბენეფიციარის მხრიდან. ასეთად გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია სასამართლოს სწრაფი და მყისიერი რეაგირება. სასამართლო ვალდებულია, საგარანტიო მოთხოვნის რეგულირების პროცესში ჩაერიოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა დასტურდება ბენეფიციარის მიერ ვალდებულების ბოროტად გამოყენება და არამართლზომიერი მოთხოვნის არსებობა.

განსახილველ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმით სასამართლომ ბენეფიციარის ქმედების წახალისება მოახდინა. არამართლზომიერი მოთხოვნების წარდგენის შემცირების ერთ-ერთი საშუალება სასამართლოს აქტიური ჩარევა შეიძლება იყოს. სასამართლო ვალდებულია საგარანტიო შემთხვევის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად არამართლზომიერება მიიჩნიოს.

დაუძლეველი ძალის არსებობის მიუხედავად, არაერთი საგარანტიო მოთხოვნა იქნა წარდგენილი ბენეფიციართა მხრიდან.[984] შესაბამისად, საგარანტიო რეგულაციაში სასურველია დაუძლეველი ძალის არსებობა მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად იქნეს მიჩნეული.

---

[983] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 დეკემბრის N2202401 – 17 განჩინება.

[984]თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის N2/1721-14 გადაწყვეტილება.

ამრიგად, შესრულების საბანკო გარანტიის რეგულირების პროცესში მრავალგვარი პრობლემის არსებობა დაკავშირებულია რამდენიმე გარემოებასთან: ა) საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობა, ბ) შესაბამისი მითითების არარსებობა, გ) ბენეფიციართა მხრიდან სახელშეკრულებო ნორმათა ხისტად გაგება, დ) სახელმწიფო შემსყიდველთა უკიდურესად მკაცრი დამოკიდებულება საჯარიმო სანქციისა და გარანტიის თანხის მოთხოვნასთან. ამ ტიპის საბანკო გარანტიის საგარანტიო პირობის კვალიფიციური სამართლებრივი შეფასებისას: თანაბარი ყურადღება უნდა მიექცეს გარანტიის ტექსტსა და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პირობას. ამასთან, იმის მიუხედავად, წერია თუ არა უშუალოდ გარანტიის ტექსტში, უნდა დადგინდეს: (ა) ხელშეკრულების შეუსრულებლობა მოხდა თუ არა პრინციპალის ბრალით; (ბ) მიადგა თუ არა ზიანი ბენეფიციარს; და (გ) რამდენია ზიანის მოცულობა.[985]

24. საგარანტიო თანხის რეგრესის წესით დაკმაყოფილების უფლება

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდგომ გარანტი უფლებამოსილია გადახდილი თანხის რეგრესის წესით გადახდა მოითხოვოს პრინციპალისაგან. ამგვარი მოთხოვნა ბენეფიციარის დაკმაყოფილებისთანავე ავტომატურად კანონის ძალით კი არ წარმოიშვება, არამედ სსკ-ს 890-ე მუხლის საფუძველზე გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულებით.[986]

პრაქტიკაში გარანტიის გაცემას საკმაოდ რთული პროცედურა უძღვის. გარანტი სწავლობს პრინციპალის ქონებრივ, ფინანსურ მდგომარეობას და გადახდისუნარიანობის საკითხს. ამის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას გარანტიის გაცემაზე. გარანტიის გაცემისას, როგორც წესი განიხილება გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების უზრუნველყოფის საკითხი. ქართულ სინამდვილეში რეგრესული მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკის ან გირავნობის უფლებით იტვირთება ნივთი. სწორედ ამ უზრუნველყოფის ხარჯზე ცდილობს გარანტი პრინციპალის შესაძლო გადახდისუუნარობის უარყოფითი შედეგი შეამციროს და რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნა დაიკმაყოფილოს.[987]

გარანტი უფლებამოსილია საგარანტიო თანხის გადახდის შემდგომ მოითხოვოს მისი რეგრესის წესით გადახდა. გარანტი რეგრესული ანაზღაურების უფლებას ვერ შეიძენს თუკი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გარანტიის

---

[985] გ. ფოფხაძე., საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება, 2016, 83.

[986] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი N4, ტომი N2, 2001, 227.

[987] ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 585.

თანხის გადახდა გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ მოახდინა. პრინციპალი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ის ხარჯები, რომელიც გარანტმა გადაიხადა პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო.[988] კანონის ეს ნორმა დისპოზიციურია და მხარეებს შეუძლიათ განსხვავებულად მოაწესრიგონ.

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების საკითხზე ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში არსებითად იმსჯელა სამივე ინსტანციის სასამართლომ. საქმე ეხებოდა საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხის პრინციპალისაგან რეგრესის წესით ანაზღაურებას. ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის პირობით: „გარანტი ვალდებულებას კისრულობდა, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 საბანკო დღის ვადაში, გადაეხადა საგარანტიო თანხა ბენეფიციარისათვის. პრინციპალი და გარანტი შეთანხმდნენ რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში, აღნიშნულ თანხას პრინციპალი საბანკო კრედიტისათვის დადგენილი წესებით დაუბრუნებდა ბანკს წლიურ 48%-იან სარგებელთან ერთად.“ პრინციპალის მიერ ვალდებულება დაირღვა.[989] გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდის შესახებ დააკმაყოფილა.[990] პრინციპალმა მოითხოვა ბენეფიციარისთვის საგარანტიო ხელშეკრულების პირობების დარღვევით გადარიცხული თანხის უკანონოდ აღიარება და ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწერილი გარანტიის უზრუნველყოფის თანხის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ[991] გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ვინაიდან, გარანტიის პირობის შესაბამისად საგარანტიო თანხის გაცემა მოხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაირღვეოდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: ბენეფიციარს

---

[988] ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 228.

[989] 2012 წლის 4 ივნისის საქონელი გამყიდველმა მყიდველს დადგენილი ვადის დარღვევით, ნაწილ-ნაწილ მიაწოდა, 23 აგვისტოს ნაცვლად, იმავე წლის 7-13 სექტემბერს. 2012 წლის 29 აგვისტოს, გამყიდველის მიერ მიწოდების ვადის დარღვევის გამო, ბენეფიციარმა წერილობით მიმართა გარანტს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდის მოთხოვნით. ამ უკანასკნელმა იმავე დღეს აცნობა პრინციპალს ბენეფიციარის მოთხოვნის შესახებ.

[990] 2012 წლის 4 სექტემბერს, გარანტმა ბენეფიციარს გადაუხადა გარანტიით გათვალისწინებული 280 000 ლარი, რომელზედაც იმავე წლის 28 სექტემბრიდან გავრცელდა საბანკო კრედიტის წესები. მისი ნაწილი მოსარჩელის ანგარიშზე განთავსებული (ბლოკირებული) 31 217 ლარით (გარანტიის უზრუნველყოფა) დაიფარა, რის შემდეგაც, ბანკის წინაშე მოსარჩელის სასესხო ვალდებულება 248 729 ლარით განისაზღვრა.

[991] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის N2ბ/3772-14 გადაწყვეტილება.

სრულად უნდა ჩაერიცხა პრინციპალის ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო თანხა და, ამავდროულად, პრინციპალს უნდა დაერღვია ხელშეკრულება.... ბენეფიციარს წერილობით მოთხოვნაში უნდა მიეთითებინა იმ გარემოების შესახებ, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე, მოთხოვნასთან ერთად, გარანტს უნდა წარედგინა პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება... ბენეფიციარის სახელზე გარანტიის თანხის გაცემის მიზნობრიობა და მისი შემოწმების ვალდებულება, გარანტის მხოლოდ კანონისმიერ პირობას კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი მხარეთა შორის შეთანხმებული სახელშეკრულებო ვალდებულებაც იყო. ხელშეკრულებაში ნათლად და არაორაზროვნადაა მითითებული, რომ გარანტია საავანსო თანხის უზრუნველსაყოფად გაიცა... აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდა არა მხოლოდ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების სათაური, რომელიც საავანსო გარანტიად იყო სახელდებული, არამედ ამავე ხელშეკრულებაში მკაფიოდ მითითებული საბანკო გარანტიის გაცემის საფუძველი, რაც საავანსო თანხის უზრუნველყოფაში მდგომარეობდა. ამდენად, გაცემული გარანტია, ხელშეკრულების სათაურის, შინაარსის და შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების გათვალისწინებით, საავანსო თანხის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული სამართლებრივი დეფინიციების შესაბამისად, საავანსო გადახდის გარანტიის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაცემული ავანსის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. საავანსო გარანტიის პირობათა დარღვევად განხილულ უნდა იქნეს საავანსო თანხის არამიზნობრივი გამოყენება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა იმგვარი დარღვევა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და შესაბამისად, საავანსო თანხის დაბრუნებას იწვევს... ხელშეკრულებით მყიდველს შესრულება უნდა მიეღო ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 კალენდარული დღის განმავლობაში. მყიდველმა გამყიდველს ვალდებულების შესრულების მიზნით დამატებითი ვადა არ განუსაზღვრა. ამ დროისათვის მას არც შესრულების მიღების ინტერესი ჰქონდა დაკარგული და ხელშეკრულებიდან გასვლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის წინაპირობაც არ არსებობდა. მყიდველმა ვადის დარღვევით, მაგრამ ხელშეკრულების საგანი მაინც მიიღო. 2012 წლის 29 აგვისტოს ბენეფიციარმა საავანსო გარანტიის თანხა მიიღო, ხოლო აღნიშნული თანხის მიღებიდან დაახლოებით ორი კვირის ფარგლებში მიიღო შესრულებს საგანი. შესაბამისად, დარღვევა, რომელიც საავანსო თანხის უზრუნველსაყოფად გაცემული გარანტიის ბენეფიციარისათვის გადახდის უფლებას წარმოშობდა, სახეზე არ იყო... ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ბანკმა საბანკო გარანტიის თანხა

არამართლზომიერად გასცა, რაც პრინციპალისაგან თანხის უკუმოთხოვნის(რეგრესის) უფლებას გამორიცხავდა.[992]

საკასაციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო და ზეპირი მოსმენის გამართვის შემდგომ უარი უთხრა გარანტს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.[993] სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, თუ რამდენად მართლზომიერად მოახდინა ბანკმა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის დაკმაყოფილება და გარანტიის თანხის ანაზღაურება. „გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება ამ შემთხვევაში ვერ იქნება საკმარისი არგუმენტი მოთხოვნის დასასაბუთებლად. საგარანტიო თანხის გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან წინაპირობას: ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში. ბენეფიციარმა ბანკს თანხის გადახდაზე წერილობითი მოთხოვნა წარუდგინა, რომელიც არც კანონის მოთხოვნებს და არც საბანკო გარანტიით შეთანხმებულ პირობებს არ აკმაყოფილებდა. კერძოდ, მოთხოვნა არ შეიცავდა მითითებას იმაზე, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, ანუ ადგილი ჰქონდა თუ არა ავანსის არამიზნობრივ გამოყენებას. მოთხოვნას არ ჰქონდა დართული ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები... საბანკო გარანტიის უპირველესი დანიშნულება ისაა, რომ გარანტმა ბენეფიციარს თანხა უნდა გადაუხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის. მოცემულ შემთხვევაში, პრინციპალს ავანსად გადახდილი თანხით უნდა შეეძინა ხელშეკრულების საგანი, რომელიც უნდა გადაეცა მყიდველისათვის. მან ეს ვალდებულება მართალია ვადის დარღვევით, მაგრამ შეასრულა. ბენეფიციარი ვალდებულების დარღვევად შესრულების ვადის გადაცილებას მიიჩნევდა, მაგრამ დადგენილია, რომ ამ სახის საბანკო გარანტია გაცემული არ ყოფილა. ბენეფიციარის მხრიდან საგარანტიო თანხის მიღების მოთხოვნა დასაბუთებული იქნებოდა, თუ გამყიდველი საავანსო თანხას არამიზნობრივად გახარჯავდა, რაც საბანკო გარანტიით დაზღვეული სიკეთის ხელყოფას დაადასტურებდა, ანუ სამართლებრივი ურთიერთობის მხოლოდ ამგვარი განვითარება წარმოშობდა გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის თანხის გადახდის წინაპირობას... ბენეფიციარმა, რომელსაც ბანკმა საგარანტიო თანხა უსაფუძვლოდ გადაუხადა, რამდენიმე დღეში პრინციპალისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული

[992]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის N2ბ/3772-14 გადაწყვეტილება.

[993] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის №ას-396-376-2015 გადაწყვეტილება.

შესრულებაც მიიღო. შესაბამისად, ბანკს ბენეფიციარის მიმართ შეიძლება ჰქონდეს კონდიქციური მოთხოვნა.“[994]

სასამართლოს მიერ სწორად იქნა შეფასებული საბანკო გარანტიის სახე, მიზნობრიობა და უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საგარანტიო მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს თუ იგი შესაბამისია კანონთან და გარანტიის პირობებთან. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მიზანია გადაცემული ავანსის თანხის მიზნობრივად ათვისება. ბენეფიციარს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გარანტიის თანხის გადახდის მოთხოვნის უფლება თუ მის მიმართ ვალდებულება დაირღვა და მოთხოვნა წარდგენილია გარანტიის ვადის გასვლამდე. ამასთან, გარანტი ვალდებულია მოთხოვნის შემოწმებისას იხელმძღვანელოს გარანტიის პირობებით და ყურადღება მიაქციოს მოთხოვნაში დარღვევის შესახებ მითითებასა და წარდგენილ დოკუმენტაციას. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ ხაზი გაუსვა საბანკო გარანტიის ყველა არსებით ელემენტს. მათ შორის: ა) გარანტიის დამოუკიდებლობის არა აბსოლუტურ ხასიათს, ბ) ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას, გ) გარანტიის მიზნობრიობასა და ძირითად ვალდებულებასთან მიმართებას, დ) საგარანტიო მოთხოვნის შესაბამისობას პირობებთან. ამგვარი საკითხების დარღვევის ან უგულვებელყოფის შემთხვევაში გარანტი კარგავს გადახდილი თანხის პრინციპალისაგან რეგრესის წესით მოთხოვნის უფლებას. სსკ და უნიფიცირებული წესები არ უკრძალავს გარანტს შეუსაბამო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუმცა თანხის გადახდა გარანტის რისკია. ასეთ შემთხვევაში გარანტი პრინციპალისაგან ვერ მოითხოვს საგარანტიო თანხის უკან დაბრუნებას.

ზემოთ განხილული სასამართლო გადაწყვეტილება გარანტის მომეტებულ რისკსა და პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს. განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როცა საბანკო გარანტიის მიზნობრიობას მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში ექცევა ყურადღება. სასამართლო გარანტიის არააქცესორული ბუნებიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იგი ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ შემთხვევაშიც უზრუნველყოფს, როცა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა არ წარმოშობილა, მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულდა, შეწყდა ან ბათილია.[995] აქვე დასძენს, რომ საბანკო გარანტიის, როგორც არააქცესორული ვალდებულების შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ გარანტს არ შეუძლია ბენეფიციარს წარუდგინოს შესაგებელი, რომელიც ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული გარანტიით უზრუნველყოფილი ურთიერთობიდან

[994] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის №ას-396-376-2015 გადაწყვეტილება.

[995] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წის 03 ნოემბრის Nას-894-834-2017 გადაწყვეტილება.

გამომდინარეობს...[996] ამგვარი შეფასების მიუხედავად, თუ გარანტი უხდის ბენეფიარს გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, შემდეგ კი დგინდება, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა არ შეესაბამებოდა საბანკო გარანტიის პირობებს, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მოთხოვნა არ წარმოშობილა. ამდენად, გარანტს წარმოეშობა უფლება უსაფუძვლო გამდიდრების წესებით მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ბენეფიციარი ვალდებულია უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა.[997]

ზემოთ განხილულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა შეუსაბამო იყო საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ბუნებასთან. გარანტისათვის ცნობილი იყო მიღებული საავანსო უზრუნველყოფის თანხის მიზნობრივად ხარჯვის შესახებ. შესაბამისად, გარანტი ვალდებული იყო უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილებით საგარანტიო შემთხვევის გამოკვლევის რისკი მთელი სიმძიმით გარანტს დაეკისრა. გასათვალისწინებელია, რომ გარანტიის თანხა გარანტმა გადარიცხა ბენეფიციარის მიერ საქონლის მიღებამდე. ამასთან, შესაფასებელია, მოთხოვნის რეგულირების ეტაპზე გარანტისათვის რამდენად იყო სავარაუდო ბენეფიციარის მიერ შესრულების შემდგომში მიღების ფაქტი. აღნიშნულ საქმეში არსად იკვეთება გარანტისათვის ბენეფიციარის მიერ შესრულების მიმართ არსებული ინტერესის არსებობა.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება განსხვავდება მის მიღებამდე არსებული პრაქტიკისაგან. საავანსო ანგარიშსწორების თანხით საქონლის მხოლოდ შესყიდვა რამდენად ჩაითვლებოდა ავანსის თანხის მიზნობრივ ხარჯვად. გარანტი ვალდებულია გადაწყვეტილება საგარანტიო შემთხვევის რეგულირებისას პროცესის შედეგად მიიღოს. მან უნდა შეისწავლოს წარდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. გარანტი პასუხს აგებს იმ გარემოებების გაუთვალისწინებლობისათვის, რომელიც ამ ეტაპზე იყო მისთვის ცნობილი. ნაკლებად სავარაუდოა გარანტს დადასტურებულად სცოდნოდა ბენეფიციარის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე შესრულების მომავალში მიღებისა და მისი უსაფუძვლოდ გამდიდრების შესახებ. თუ საავანსო თანხით საქონლის შეძენა მიჩნეული უნდა იქნეს თანხის მიზნობრივად ათვისებად, მაშინ სრულიად დაუსაბუთებელი და ბუნდოვანია სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნების შემცირება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერიტიზის დასკვნით დადასტურების შემდგომ მოხდა. ვინაიდან, არც ერთი ინსტანციის სასამართლომ

---

[996]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 თებერვლის №020211416700016620, №ას-1038-999-2016 გადაწყვეტილება.

[997] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 585.

არ გაიზიარა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით მითითებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება და რაოდენობა.[998]

მიმაჩნია, რომ გარანტს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ გაითვალისწინება მოთხოვნის არამართლზომიერება და კანონით გათვალისწინებული სავალდებულო წესების დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა დააკმაყოფილა. საგარანტიო თანხის გადახდა გარანტის ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია. გარანტი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მხარეთა შორის ურთიერთობის შემდგომი გაგრძელების შესახებ. ნაშრომში განხილული ქართული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა სასამართლოს მსგავსი მსჯელობა და განმარტება ჰქონოდა ბენეფიციარის მიერ საგარანტიო თანხის გადახდის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის განხილვის შემთხვევაში. შესაბამისად, საგარანტიო ურთიერთობებში მხარეთა ინტერესების ბალანსის ზუსტად დაცვისათვის აუცილებელია ამ ურთიერთობის ყველა მნიშვნელოვანი დეტალის ზუსტი და ამომწურავი რეგულაცია.

დასკვნითი დებულებები და რეკომენდაციები

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში არსებული საკითხებისა და ნაშრომში განხილული სამართლებრივი პრობლემების მიმოხილვის შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

✓ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული საბანკო გარანტიის მარეგულირებელი ნორმები ზოგადი ხასიათისაა და ყველა პრობლემური საკითხის ამომწურავ რეგულაციას ვერ ახდენს. სსკ-ში გათვალისწინებული არაა საბანკო გარანტიის სახეები და მიზნობრიობა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება სახელმწიფო შესყიდვებში გამოყენებად საბანკო გარანტიათა შესახებ მწირ ჩანაწერს ითვალისწინებს.[999] ამ ბრძანებით ხდება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობაში გამოყენებად საბანკო გარანტიათა რეგულირება. შესაბამისად, აუცილებელია გარანტიის მარეგულირებელი ნორმების დეტალური გათვალისწინება სსკ-ს მიხედვით, რომელიც ყველა ურთიერთობაში გამოყენებადი გარანტიებს მოაწესრიგებს.

---

[998] ხაშურის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №2-302-2015, №130210015001063580, გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის №2ბ/5563-15, №130210015001063580 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 ივნისის Nას-484-452-2017 გადაწყვეტილება.

[999] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება N12.

ვინაიდან, სსკ არ ითვალისწინებს გარანტიის სახეებისა და მიზნობრიობის შესახებ ჩანაწერს. შესაბამისად, ისინი მხოლოდ სასამართლოს მიერ და ისიც განსხვავებულად განიმარტება. სასურველია სსკ-ში გათვალისწინებულ იქნეს პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებად გარანტიათა სახეები და მიზნობრიობა.

✓ სსკ არაფერს ითვალისწინებს გარანტიის გაგრძელების ან/და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ. პრაქტიკაში ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა გარანტიის მოქმედების ვადის ბოლო დღეს წარდგენილია მოთხოვნა, თუმცა ვადის გასვლის შემდგომ გაგრძელებული გარანტიის წარდგენის შემთხვევაში მხარეები აგრძელებენ სახელშეკრულებო ურთიერთობას. გარანტიის გაგრძელების წესი და პირობები სსკ-ში გათვალისწინებული არაა, შესაბამისად, მის მიმართ გამოიყენება გარანტიის გაცემისათვის დადგენილი წესი. გარანტიის გაგრძელების მიუხედავად, არ ხდება წარდგენილი მოთხოვნის უკან გახმობა და გაგრძელებული გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენისას ბუნდოვანია გარანტის მიერ რომელი გარანტიიდან წარდგენილი მოთხოვნა უნდა დარეგულირდეს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გარანტიათა პირობები ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია სს-ში მიეთითოს, რომ წარდგენილი მოთხოვნის მიუხედავად, გაგრძელებული გარანტიის ბენეფიციარის მიერ მიღება მიიჩნევა, როგორც გარანტის მიერ მოთხოვნის რეგულირების შეწყვეტის საფუძველი.

✓ სსკ არაფერს ითვალისწინებს საბანკო გარანტიის ალტერნატიული მოთხოვნის შესახებ. საერთაშორისო პრაქტიკით მიჩნეულია, რომ გარანტს შეიძლება წარედგინოს მოთხოვნა „გადაიხადე ან გააგრძელეს“ მოთხოვნით. სსკ-ს მიხედვით ბუნდოვანია, ახალი გარანტიის გაცემა იწვევს თუ არა მოთხოვნის რეგულირების შეწყვეტას, რა პირობებით, როგორი წესითა და რა ვადაში უნდა მოხდეს გაგრძელებული გარანტიის გაცემა. ალტერნატიული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თუ გარანტის მიერ გაცემული იქნა ახალი გარანტია, ხოლო ბენეფიციარმა იგი არ მიიღო, უნდა გაგრძელდეს თუ არა რეგულირების პროცესი, თუ გარანტიის გაგრძელება წარდგენილი მოთხოვნის ავტომატურ შეწყვეტას ახდენს.

სასურველია სსკ-ში გათვალისწინებული იქნეს ალტერნატიული მოთხოვნის შესახებ. ამასთან, ბუნდოვანია, როგორ და რა ვადაში უნდა მოხდეს ალტერნატიული მოთხოვნისას გარანტიის გაცემა. დღევანდელი რედაქციით არ არის ამომწურავად გაწერილი ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც დაკავშირებულია ალტერნატიული მოთხოვნის წარდგენის შემდგომ გარანტიის გაგრძელებასთან.

✓ სსკ-ს მიხედვით, საბანკო გარანტიის ვადის გასვლა ბენეფიციარის უფლების ავტომატურ გაქარწყლებას ახდენს. გარანტი უფლებამოსილია უარი თქვას საბანკო გარანტიის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ საბანკო გარანტია წარდგენილია გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ. უნიფიცირებული წესების N758-საგან განსხვავებით სსკ-ში არ არის გათვალისწინებული, დაუძლეველი ძალის გამო ბენეფიციარის მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენის შესაძლებლობის შესახებ.

URG N758 ბენეფიციარს საშუალებას აძლევს დაუძლეველი ძალის გამო მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში მოახდინოს საგარანტიო მოთხოვნის წარდგენა ფორსმაჟორული გარემოებების დასრულებიდან 30 დღის ვადაში. დაუძლეველი ძალა, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი საერთაშორისო პრაქტიკაში დიდი ხანია დამკვიდრებულია. სსკ-ს მიხედვით, ვადაგადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ეს დანაწესი დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების დარღვევისას მოვალის პასუხისმგებლობას გამორიცხავს. თუმცა დაუძლეველი ძალა, როგორც საგარანტიო მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენის საფუძველი სსკ-ში გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ბენეფიციარის ინტერესების დაცვისათვის უმჯობესია დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნის წარდგენის ვადა გაგრძელებულ იქნეს.

✓ დაუძლეველი ძალა, როგორც მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში ხშირად არ არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში იგულისხმება, ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება არ იქნა შესრულებული დაუძლეველი ძალის გამო, საბანკო გარანტიის გამოთხოვა მაინც ხდება.

საბანკო გარანტია თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულებას და ბენეფიციარს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს თანხის გამოთხოვის უფლება, თუ ვალდებულება არ შესრულდა ან არაჯეროვნად შესრულდა. დაუძლეველი ძალა გამორიცხავს მოვალის პასუხისმგებლობას, თუმცა ზემოთმითითებული მაგალითებიდან დასტურდება, რომ ბენეფიციარები ფორსმაჟორულ გარემოებებს არ ითვალისწინებენ.

სასურველია, თუ სსკ-ში იქნება გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება უარი განაცხადოს გარანტიის თანხის გადახდაზე, თუ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გამო.[1000]

[1000] ამასთან, პრაქტიკაში არსებული პრობლემების მიმოხილვის შედეგად უმჯობესია საკანონმდებლო რეგულაციით (სულ მცირე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით) დადგინდეს დაუძლეველი ძალა, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ამ მოცემულობით რეკომენდაცია შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს:

„1. მიმწოდებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით - ფორსმაჟორული გარემოებით, როგორიცაა: ა) ბუნებრივი მოვლენა; ბ) ტექნოგენური კატასტროფა (ხანძარი, აფეთქება, სხვ.); გ)გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი საბრძოლო/საომარი მდგომარეობა, მასობრივი არეულობა (გაფიცვა, საზოგადოებრივი მღელვარება, რევოლუცია, სხვ.); დ) ხელისუფლების ორგანოს მოქმედება; ე)სხვა, მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი ხელშემშლელი გარემოება.

2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ ფორსმაჟორული გარემოების არსებობა ოფიციალურად დადგინდეს. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოიპოვოს შემდეგიდან ნებისმიერი: ა) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადასტურება ან აღიარება; ბ)ფაქტის კონსტანტაციის უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი; გ) საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დამოწმება.

3. ფორსმაჟორული გარემოების არსებობის ოფიციალურად დადგენა აუცილებელი არ არის, თუ ეს გარემოება ობიექტურად საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა.

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია დაეყრდნოს ფორსმაჟორული გარემოების მიზეზით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრინციპს, თუ ეს გარემოება წარმოიშვა მისი ბრალის გარეშე, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ამასთან, მიმწოდებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ გარემოება წარმოიშვა ტენდერში მისი მონაწილეობის შემდეგაც და იგი გამარჯვებული პრეტენდენტია:

ა) ფორსმაჟორული გარემოების გამო უარს იტყვის ხელშეკრულების გაფორმებაზე (ხელმოწერაზე);

ბ) ხელშეკრულების გაფორმების (ხელმოწერის) შემდეგ დაასაბუთებს, რომ მას არ შეეძლო ცოდნოდა, რომ წარმოიშვა (წარმოიშობოდა) ამგვარი გარემოება.

5. ამ მუხლის მიზნებისათვის, ფორსმაჟორული გარემოებას უთანაბრდება: ა) ფიზიკური პირი-მეწარმის, როგორც მიმწოდებლის, პატივსადები მიზეზი, როგორიცაა: მისი ავადმყოფობა ან სხვა გარემოება, რამაც ფიზიკურად შეუძლებელი გახადა ვალდებულების ვადაში შესრულება; ბ)შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკური დავალების შეცდომა, მაგალითად (მაგრამ არა მხოლოდ):

ბ.ა) დამატებით ისეთი ობიექტის (საქონელი, სამუშაო) შესყიდვის საჭიროების გამოვლენა, რომლის წინასწარი ან პარალელური შესრულება აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად; ბ.ბ) მიწოდების ვადის სიმცირის გამოვლენა.

6. ფორსმაჟორული გარემოების წარმოშობის შემთხვევაში მიმწოდებელი:

ა) ვალდებულია, ამგვარი გარემოების წარმოშობის შესახებ პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობოს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან გამოყოფილ საკონტაქტო პირს; ბ) ვალდებულია, შემდეგ წერილობით მიმართოს და დაუსახელოს ფორსმაჟორული გარემოების სახე და მისი შესაძლო ხანგრძლივობა (თუ პროგნოზირებადია); გ) უფლებამოსილია, მოითხოვოს დახმარება/კოორდინაცია, თუ გარემოების დაძლევაზე რეაგირება შედის შემსყიდველი ორგანიზაციის ან სხვა საჯარო ორგანოს კომპეტენციაში.

7. ფორსმაჟორული გარემოების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიმართვის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია: ა) თუ გარემოების დაძლევაზე რეაგირება შედის შემსყიდველი ორგანიზაციის ან სხვა საჯარო ორგანოს კომპეტენციაში, მიმწოდებელს გაუწიოს დახმარება/კოორდინაცია; ბ)გააგრძელოს მიწოდების (ეტაპის) ვადა ფორსმაჟორული გარემოებისა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრისათვის საჭირო პერიოდით; გ) გაზარდოს ხელშეკრულების ღირებულება ან გამოაცხადოს დამატებითი შესყიდვა ფორსმაჟორული გარემოებით გამოწვეული ან/და მისგან გამომდინარე დამატებითი სამუშაოების შესყიდვის მიზნით.

✓ სსკ-ს მიხედვით, გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად გათვალისწინებულია გარანტიის პირობის საწინააღმდეგოდ წარდგენილი მოთხოვნა. ამასთან, სსკ-ს 887-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.

ამგვარი ჩანაწერი მრავალი დავის საწყისი ხდება. ძირითადი ვალდებულების შესრულება გარანტიის გამოთხოვის უფლებას აქარწყლებს. ბენეფიციარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი მოითხოვოს გარანტიის თანხის გადახდა, თუ ძირითადი ვალდებულება დაირღვა. თუ ვალდებულების შესრულება ცნობილია ბენეფიციარისათვის გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ წარდგენილი მოთხოვნა მისი უფლების ბოროტად გამოყენებად უნდა შეფასდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გარანტიის მარეგულირებელი ნორმები უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს, სსკ-ს 115-ე მუხლის მიხედვით ამგვარი ქმედება შეიძლება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად. ვინაიდან, სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში მოხდა ამგვარი განმარტება, სასურველია სსკ-ს 887-ე მუხლში პირდაპირ მიეთითოს უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ამასთან, სასურველია დაზუსტდეს, რომ გარანტს უფლება აქვს გადაიხადოს საგარანტიო თანხა თუ მისთვის ცნობილი გახდა ვალდებულების შესრულების შესახებ, ხოლო ამ ინფორმაციის შესაბამისი მტკიცებულებით დადასტურების შემთხვევაში გარანტი ვალდებულია უარი განაცხადოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. განმეორებითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში გარანტი ვალდებულია უარი განაცხადოს თუ მოთხოვნა არამართზომიერია.

---

8. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ფორსმაჟორული გარემოების არსებობის დადასტურება ან მისი უარყოფა უნდა მოხდეს წერილობით. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს დამატებითი განმარტებები ან დოკუმენტები (მათ შორის, თარგმნა, დამოწმება, სხვ.). უარყოფის შემთხვევაშიც უარის ამსახველი დოკუმენტის მიმწოდებლისთვის ჩაბარების დღის ჩათვლით მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები და გაწეული ხარჯები ჩაითვლება ხელშეკრულების შესრულებად, თუნდაც რომ შესრულების (ხელშეკრულების) ვადა ამოწურული იყოს.

✓ სსკ-ს საბანკო გარანტიის მარეგულირებელი ნორმები არაფერს ამბობს არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფის ვალდებულებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში არსებული მრავალი გადაწყვეტილების მიუხედავად, არამართლზომიერება, როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ქართულ სინამდვილეში ვერ იქნა განვითარებული.

ნაშრომში მიმოხილული გადაწყვეტილებებით ცხადია, რომ არამართლზომიერება, როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი სსკ-ში უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამასთან, განმარტებული უნდა იქნეს რა არის არამართლზომიერი მოთხოვნა. ასეთად შეიძლება იქნეს მიჩნეული შემდეგი შემთხვევები: ა) როცა ბენეფიციარისათვის ცნობილია, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნა შესრულდა, ბ) გარანტიით უზრუნველყოფილი მოთხოვნის საფუძველი არ დამდგარა, გ) საგარანტიო თანხის მოთხოვნის შემდგომ პრინციპალმა ბენეფიციარს გარანტიის თანხა გადაუხადა, დ) ბენეფიციარმა თავად შეუშალა ხელი პრინციპალს ვალდებულების შესრულებაში, ე) ვალდებულების დარღვევა ბენეფიციარის ბრალითაა გამოწვეული, ვ) მოთხოვნის შესრულება ობიექტურად შეუძლებელი იყო დაუძლეველი ძალის გამო და სხვა. ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენა არის არამართლზომიერი მოთხოვნა, რომელიც გარანტის მიერ არ უნდა დაკმაყოფილდეს.[1001]

✓ ბენეფიციარის მიერ საგარანტიო მოთხოვნა უნდა დარეგულირდეს ჯეროვნად და საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად. გარანტის მიერ მოთხოვნის რეგულირების დასრულების შემდგომ, გარანტი ვალდებულია უარი განაცხადოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ იგი ეწინააღმდეგება საბანკო გარანტიის პირობებს ან წარდგენილია გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ. ამ საფუძვლით მოთხოვნის უარყოფის შედეგი ბენეფიციარმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს გარანტს. შეტყობინების მიღების შემდგომ ბენეფიციარის დამატებითი

[1001] არამართლზომიერი მოთხოვნა, როგორც საბანკო გარანტიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსკ-ს 887-ე მუხლში. შესაბამისად, ამ მუხლის მეორე ნაწილი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

„2.თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას, გარდა ამ მუხლის პირველი ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ბენეფიციარი პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც მიადგა გარანტს ან პრინციპალს, თუ მისი მოთხოვნა არამართლზომიერი აღმოჩნდა.“

მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. თუ ბენეფიციარის მოთხოვის დაკმაყოფილებამდე მტკიცდება, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა არამართლზომიერია, გარანტი უფლებამოსილია უარი თქვას მის ანაზღაურებაზე, მაგრამ იგი პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც მიადგა ბენეფიციარს, თუ მისი მოთხოვნა მართლზომიერი აღმოჩნდა.“

შეტყობინება უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც განმეორებითი თუ ახალი მოთხოვნა თანხის გადახდის შესახებ. სსკ-ს 887-ე მუხლის მეორე ნაწილი განმეორებითი მოთხოვნის წარდგენისა და დაკმაყოფილების ვალდებულებას აკისრებს გარანტს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტმა აცნობა ბენეფიციარს ძირითადი ვალდებულების შესრულების, შეწყვეტის ან ბათილობის შესახებ. სხვა საფუძვლით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში განმეორებითი მოთხოვნის სავალდებულო დაკმაყოფილების შესახებ სსკ-ში არაფერია მითითებული.

ამ ბუნდოვანების აღმოფხვრისათვის სასურველია სსკ-ში გათვალისწინებულ იქნეს, რომ თუ მოთხოვნის უარყოფა მოხდა საგარანტიო პირობებთან შეუსაბამობის გამო, შეტყობინება თანხის გადახდაზე უარის თქმის შესახებ არის მოთხოვნის რეგულირების პროცესის დასრულების შედეგი და ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა რეგულირების განახლებას ვერ მოახდენს.

✓ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მოთხოვნის სწრაფად დაკმაყოფილებას ბენეფიციართა მომეტებული ინტერესის არსებობით განმარტავენ. სსკ საგარანტიო რეგულირების სპეციალურ ვადებს არ ითვალისწინებს. სსკ-ს 886-ე მუხლი შემოიფარგლება იმაზე მითითებით, რომ გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში.[1002]

საბანკო გარანტიის რეგულირების ვადა საკმაოდ პრობლემური საკითხია ქართულ სინამდვილეში. განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ „ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ“.[1003] დაუყოვნებლივი ინფორმირება პრინციპალის ინტერესების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს. პრინციპალს უნდა მიეცეს გონივრული ვადა მოსაზრებების წარმოსადგენად. შესაბამისად, ამ დეტალების გათვალისწინებით საგარანტიო შემთხვევის რეგულირებისათვის სულ მცირე 30 დღეა საჭირო. განსაკუთრებულად რთულ შემთხვევებში, როცა პრინციპალისათვის დოკუმენტაციის მიწოდება ძნელდება, აუცილებელი ხდება მისი გამოქვეყნება. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია მოთხოვნის რეგულირება დასრულდეს შემჭიდროებულ ვადებში. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს რეგულირების პროცედურის გონივრული ვადები.

სსკ-ს ამგვარი ჩანაწერის მიუხედავად, სახელმწიფო შემსყიდველები ითხოვენ სამი ან ხუთი დღის ვადაში გადასახდელ საბანკო გარანტიებს. კანონით გათვალისწინებული გარანტის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების

[1002] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის მეორე ნაწილი.

[1003] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სრულად შესრულების შემთხვევაში, შეუძლებელია საგარანტიო შემთხვევის რეგულირების დასრულება სამი ან ხუთი დღის ვადაში. პრაქტიკაში გარანტის მიერ ამ ვადის დარღვევა გარანტის პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს.[1004]

შესაბამისად, სასურველია, შემსყიდველის მხრიდან გამოირიცხოს სამი ან ხუთი დღის ვადაში საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულება. სსკ-ს 886-ე მუხლი საგარანტიო შემთხვევის რეგულირებისათვის გონივრულ ვადას განსაზღვრავს. ბუნებრივია, სამი ან ხუთი დღე გონივრულ ვადად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

✓ საბანკო გარანტიის დოკუმენტური ბუნება აღიარებულია უნიფიცირებული წესებით, კონვენციითა თუ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით. სსკ არ ითვალისწინებს გარანტიის დოკუმენტური ბუნების შესახებ ჩანაწერს. მითითებულია, რომ გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტაციის დართვით.

დოკუმენტური ბუნებიდან გამომდინარე გარანტი ვალდებულია მოთხოვნის შემოწმებისას იხელმძღვანელოს მასთან წარდგენილი დოკუმენტაციით და იგი პასუხს არ აგებს ამ დოკუმენტების სისწორისა და ნამდვილობისათვის. გარანტი არ არის ვალდებული დოკუმენტების მიღმა აწარმოოს მოთხოვნის შემოწმებისათვის აუცილებელი მოქმედებები. მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტაციის შემოწმება უნდა მოხდეს „გონივრული მზრუნველობით“, თუმცა მხოლოდ მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში.

სსკ-ში არაფერია გათვალისწინებული გარანტიის დოკუმენტური ბუნების შესახებ. სასურველია განისაზღვროს დოკუმენტურობის პრინციპის დეფინიცია და გარანტის ვალდებულების ფარგლები მოთხოვნის შემოწმებისას. კერძოდ, გარანტი ვალდებულია შეამოწმოს მასთან წარდგენილი დოკუმენტაცია და პასუხს არ აგებს მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე. გარანტი არ არის ვალდებული აწარმოოს მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებს გარეთ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.

✓ საბანკო გარანტიის ვადა მოთხოვნის მართვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სსკ არაფერს ამბობს გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის შესაძლებლობაზე. თუ გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა წარდგენილია გარანტიის ვადის გასვლამდე, თუმცა

[1004] გარანტის მიერ ვადის დარღვევისა და საგარანტიო მოთხოვნის დაგვიანებით გადარიცხვის გამო ბენეფიციარმა მოითხოვა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) გადახდა. ამ თანხის გადახდამდე შეაჩერა ამ გარანტის მიერ გაცემული საბანკო გარანტიების გადახდა.

მოთხოვნისათვის თანდართული დოკუმენტის წარდგენა მოგვიანებით მოხდა, რამდენად მიიჩნევა საგარანტიო მოთხოვნა ჯეროვნად წარდგენილად.

დოკუმენტურობის პრინციპი ავალდებულებს ბენეფიციარს მოთხოვნას დაურთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტაცია. გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი დოკუმენტაცია ან უფრო ვრცლად დასაბუთებული მოთხოვნა ვერ ჩაითვლება ჯეროვან მოთხოვნად. შესაბამისად, სსკ-ში სასურველია მიეთითოს, რომ მოთხოვნა და გარანტიაში მითითებული ყველა დოკუმენტი გარანტს უნდა წარედგინოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე. შესაძლებელია მოთხოვნაში მიეთითოს, რომ დოკუმენტაციის წარდგენა მოხდება მოგვიანებით, თუმცა დაუშვებელია მისი წარდგენა საბანკო გარანტიის ვადის ამოწურვის შემდგომ. ამასთან, ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი დოკუმენტი არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული საგარანტიო შემთხვევის რეგულირების პროცესში.

✓ სსკ-ში არაფერია გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ წარდგენილი ახალი მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ. სასურველია აღინიშნოს, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ ბენეფიციარი უფლებამოსილია წარადგინოს შესაბამისი მოთხოვნა საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე. აღნიშნული მოთხოვნა ჩაითვლება ახალ მოთხოვნად და საგარანტიო რეგულირების პროცესის დაწყების საფუძველია. ახალი მოთხოვნის რეგულირებისას გარანტს არ აქვს უფლება მიუთითოს უარის თქმის საფუძვლად მოთხოვნის შეუსაბამობა, რომელიც წინა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე პრობლემების ანალიზის შედეგად დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მათი არსებობის ერთ-ერთი საფუძველი საკანონმდებლო ვაკუუმია. საბანკო გარანტიის მარეგულირებელი სსკ-ს ზოგადი ნორმები ვერ ახდენს მის ამომწურავ და საფუძვლიან რეგულირებას. ამ ურთიერთობიდან გამომდინარე დავების სიმრავლე და მიღებული გადაწყვეტილებების განსხვავებულობა რეგულაციების არასაკმარისობით აიხსენება.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე არაერთხელ იქნა მოთხოვნილი აუცილებელი ცვლილებების განხორციელება სამოქალაქო კოდექსსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებში. თუმცა ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ცვლილებების განხორციელებისაგან თავის შეკავება რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას. მათ შორის, სახელმწიფოს გულგრილი დამოკიდებულებით. სსკ-ში ცვლილებების აუცილებლობის შესახებ უკვე წლებია საუბრობენ, თუმცა მისი მიღება ჯერჯერობით ვერ ხდება. ნაშრომში მითითებული რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვამდე, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ინსტრუქცია საბანკო გარანტიების რეგულირების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მიღებული რამდენიმე რეკომენდაცია დღემდე აქტიურად და წარმატებით გამოიყენება შემსყიდველებისა და სასამართლოს მიერ.[1005] შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით შესაძლებელია შეივსოს საკანონმდებლო ვაკუუმი და აღმოიფხვრას სამართლებრივი პრობლემები.[1006]

მიმაჩნია, რომ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობების რეგულირების აუცილებლობა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა.“[1007] ბიზნესის ხელშეწყობის კონსტიტუციური ვალდებულების მიუხედავად, მოუწესრიგებელ საკანონმდებლო ვითარებას სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობების უამრავი მონაწილის ინტერესები შეეწირა. არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების, საგარანტიო რეგულირების სავალდებულო წესის არ არსებობის და მწირი სასამართლო პრაქტიკის პირობებში მეწარმე სუბიექტებმა ვერ მოახერხეს საკუთარი ინტერესების ჯეროვანი დაცვა. შესაბამისად, კომერციული ურთიერთობაში ერთი მხარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებამ ხელშეკრულების „სუსტი“ მხარისა და მასთან დაკავშირებული სუბიექტების გადახდისუუნარობა გამოიწვია. არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და გადახდილი თანხის რეგრესის წესით გარანტისათვის გადახდის/იძულებითი აღსრულების გზით მიღების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე სუბიექტმა შეძლო მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის სახელმწიფოს წინააღმდეგ დავა და დარღვეული უფლების აღდგენა.

საკანონმდებლო ცვლილებების და რეგულაციების მიუღებლობის შემთხვევაში დღემდე არსებული ნეგატიური პრაქტიკა კვლავ გააგრძელებს არსებობას, რაც მეწარმეობისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია.

[1005]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები http://procurement.gov.ge/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi.aspx

[1006] რეკომენდაციის სამუშაო ვერსია თან ერთვის ნაშრომს.

[1007] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, N768, 24/08/1995.

ბიბლიოგრაფია
ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, N768, 24/08/1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საქართველო კანონი N786, 26/06/1997.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქართველოს კანონი N1106, 14/11/1997.
4. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი N660, 18/04/1997.
5. ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი N1676, 24/09/2009.
6. კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონი N121, 23/02/1996.
7. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი N577, 28/10/1994.
8. ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი N1775, 24/06/2005.
9. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი N1745, 24/12/1998.
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი N2287, 22/07/1999.
11. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საქართველოს კანონი N 2181, 25/06/1999.

12. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი N2391, 06/06/2003.
13. საქართველოს კანონის კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, N121, 23/02/1996.
14. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი N6148-Iს, 08/05/2012.
15. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შესახებ საქართველოს კანონი N3482, 18/07/2006.
16. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი საქართველოს კანონი N2440, 18/12/2009.
17. არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი N1679, 30/10/1998.
18. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 8 სექტემბრის ბრძანდება N5 „ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“.
19. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 31 დეკემბრის N 735 ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების საქმიანობის ლიცენზირების დროებითი წესის“ დამტკიცების თაობაზე.
20. დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბერის ბრძანება „სადაზღვევო რეზერვების განსაზღვრის და დამტკიცების წესის შესახებ“.
21. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის ბრძანება „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციის და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.“
22. 2017 წლის 05 სექტემბრის კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/248, 248-01-4201709051650, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 22 ნოემბრის N213 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე.
23. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 03 იანვრის ბრძანება N1 „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“.
24. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1-ლი ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის“ დებულების დამტკიცების შესახებ.
25. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

26. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.
27. ქ. თბილისის მერიის მთავრობის 2011 წლის 11 იანვრის დადგენილება N01.11.11.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი, გამომ., „სამართალი", თბ., 1999
2. *გაბისონია ზ.,* საბანკო სამართალი, გამომ. „იურისტების სამყარო", 2017.
3. *გაბისონია ზ.,* საბანკო სამართალი, გამომ. „მერიდიანი", 2012.
4. *გარიშვილი მ. ხოფერია* მ., რომის სამართლის საფუძვლები, 2010, http://www.library.court.ge/upload/roman_law.pdf
5. *ვაშაკიძე გ.,* „კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი," კერძო სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1.
6. *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010.
7. *ზამბახიძე თ.,* დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002.
8. *ზამბახიძე თ.,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი 876-ე მუხლი, www.gccc.ge.
9. *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
10. *კროპჰელერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, *2014.*
11. *ლიპარტია ნ.,* სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, N4 (52), 2016.
12. ფოფხაძე გ., „საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება", სამაგისტრო ნაშრომი, 2016.
13. *ჩაჩავა ს.,* სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურია, (რედ), 2017.
14. *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, გამომ. „მერიდიანი" 2014.
15. *ჭანტურია ლ., (რედ).* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი N1, 2017.
16. *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.* (რედ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, გამომ. „სამართალი", 2001.
17. *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.* (რედ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი N4, ტომი N2, გამომ. სამართალი, 2001.

18. *ჭანტურია ლ.,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომ. „სამართალი“, 2012,
19. *ჭანტურია ლ.,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომ. „სამართალი“ 2011.
20. *ჭეჭელაშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891-ე. www.gccc.ge;
21. *ჭიპაშვილი ნ.,* საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მინიჭებისთვის, 2015.
22. *ხატიაშვილი ა.,* საბანკო გარანტია, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება და ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა“, სამაგისტრო ნაშრომი, 2011, 24.
23. *ხოტენაშვილი პ,* საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/paata_xotenashvili.pdf 2015.
24. *ხოტენაშვილი პ,.* საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, 2003.
25. *ხუნაშვილი ნ,.* კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf
26. *Affaki G., Goode R.*, Guide to ICC Uniform Rules for Demand Guarantees N758, ICC Product No. 702E, 2011 Edition 2011.
27. *Affaki G.,* Introdution – International Chamber of commerce publication N758, 2010.
28. *Alavi H.,* Documentary Letters of Credit, Legal Nature and Sources of Law, Journal of legal studies Volume 17 Issue 31/2016,
29. *Amaefule C.,* the Exceptions to the principle of Autonomy of Documentary credits, A thesis submitted to the University of Birmingham for the degree of Doctor of Philosophy 2011. http://etheses.bham.ac.uk/3831/1/Amaefule12PhD.pdf
30. *Andrews R, Millett G. M.,* Law of Guarantees 3 ed, Sweet & Maxwell, 2000.
31. *Anon A.*, Fraud in the Transaction: Enjoining Letters of Credit during the Iranian Revolution.93 Harvard Law Review 992, 1980.
32. Barru D. J., How to Guarantee Contractor Performance on International Construction Projects: Comparing Surety Bonds with Bank Guarantees and Standby Letters of Credit, George Washington International Law Review, 2005.

33. Barski A.K, Letters of Credit: A Comparison of Article 5 of the Uniform Commercial Code and the Uniform Customs and Practice for Documentary Credits, 41 Loy. L. REV. 735, 751, 1996.
34. *Bergsten E. E.,* A New Regime for International Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit: The UNCITRAL Draft Convention on Guaranty Letters, International Lawyer 27, 1993.
35. *Bertams R.,* Counter-guarantees in an indirect, Independent (First Demand) Guarantes Structure, International Business and Financial Law, 1997, 377.
36. *Bertrams R,* Bank Guarantees in International trade, 3rd ed., Kluwer law international, 2004.
37. *Bertrams R.,* Bank Guarantees in International Trade: The Law and Practice of Independent (First Demand) Guarantees and Standby Letters of Credit in Civil Law and Common Law Jurisdictions 3 ed, 2004,
38. *Bethell-Jones R.,* Guarantees and Indemnities: Some Important Differences, 21 Journal of International Banking Law and Regulation, 2006;
39. *Blau W., Jedzig O.,* Bank Guarantees to Pay upon First Written Demand in German Courts, Heinonline, 23 Int'l L. 725, The International Lawyer, VOL. 23, NO. 3, 1989, 730.
40. *Bloodgett S.,* Mayer *M.*, Internation Letters of Credit: Arbitral Alternatives to Litigating Fraud, American Business Law Journal, and 35 Am. Bus. L.J. 443, 1998.
41. *Browsword R., Hird N., Howels G.,* Good Faith in Contract formation, Concept and Context, European Business Law Library, 1999.
42. *Buckley R. P., Gao X.,* The Development of the Fraud Rule in the letter of credit law: the journey so far and the road ahead, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 23, Iss. 4 [2014], Art. 2, 667.
43. *Buckley R.P,* The 1993 revision of the Uniform Customs and practice for Documentary Credits, George Washington Journal of International law and Economics, 1995, 303.
44. *Busto D.,* Documentary Credits—UCP 500 & 400 Compared, ICC Brochure No 511,
45. *Byrne E.*, New Rules for Standby Letters of Credit: The International Standby Practices/ISP98', 100 Business Credit 32, 1998.
46. *Byrne E.,* the International Standby Practices (ISP98): New Rules for Standby Letters of Credit, Uniform Commercial Code Law Journal 1999;
47. *Byrne E.,* The Official Commentary on The Official Commentary on the International Standby Practices, Byrne, and JE (edited by Barnes, JG) The Official Commentary on the International Standby Practices, Institute of International Banking Law & Practice 1998.
48. *Byrne J.,* the Official Commentary on the ISP98, Official Comment 3. http://www.drmasoudi.com/Books/the%20official%20commentary%20on%20the%20international%20standby%20practice.pdf

49. *Byrne, JE* Critical Issues in the International and Domestic Harmonization of Letter of Credit Law and Practice, Commercial Law Annual, 1995.
50. *Casner J.A.,* Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses, Boston College Third World Law Journal, 1-1-1984, http://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1428&context=twlj
51. *Chami G.* ,Demand Guarantees As per latest rules: URDG N758. What is new and how to operate between the rules.
52. *Chuah J.,* Documentary credits and illegality in the underlying transaction, Journal of International Maritime Law, 9 (6) 2003.
53. *Chung-Hsin Hsu,* "The Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit," National Taiwan University Law Review, Vol. 1:2, 2006.
54. *Clark, G*, Injuncting Calls on a Performance Guarantee in the Absence of Fraud: The Passion, Journal of International Banking Law and Regulation, 2005.
55. *Coleman M.,* Performance Guarantee, Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly 1990.
56. *Collyier G.,* Guide to documentary Credits, International Chamber of Commerce, University college, 2014.
57. *Connerty A.,* DOCDEX: The ICC's Rules for Documentary Credit Dispute Resolution Expertise, 13(11) Journal of International Banking and Finance Law, 1998.
58. *Connerty A.,* Fraud and Documentaty Credits: The approaches of the English courts 2005.
59. *Cowdell P., McGregor P.,* Guide to International Trade and Finance, international Chamber of Commerce, University College, 2015.
60. *Davidson A.,* Fraud - the Prime Exception to the Autonomy Principle in Letters of Credit, 2011. http://www.austlii.edu.au/au/journals/IntTBLawRw/2003/2.html
61. *Debattista C.*, Performance Bonds and Letters of Credit: A Cracked Mirror Image, Journal of Business Law, 1997.
62. *Dedu V., Enciu A.,* Guarantees in Banking Operations with Bank Customers, Theoretical and Applied Economics, vol. 07(536), issue 07(536), 2009.
63. *Dixon D., William M.,* As good as cash? The diminution of the autonomy principle, Australian Business Law Review, 32(6), 2004. https://eprints.qut.edu.au/6547/1/6547.pdf
64. *Dolan F.,* Analyzing Bank Drafted Standby Letter of Credit Rules, the International Standby Practice (ISP98), 14 Wayne Law Review 2000.
65. Dolan J.F., The UN Convention on International Independent Undertakings: Do States with Mature Letter-of- Credit Regimes Need it", Banking and Finance Law Review, 1998.
66. *Dolan JF.*, The UN Convention on International Independent Undertakings: Do States with Mature Letter-of-Credit Regimes Need It?, Banking and Finance Law Review 1,1998.

67. Dolan, JF Commentary on Legislative Developments in Letter of Credit Law: An Interim Report, 8 Banking and Finance Law Review 53, 1992.
68. *Droe P.D.,* Calling Independent Guarantee under French Law, Heinonline, 26 Int'l Bus. Law. 463 1998, 465.
69. *Ellinger E.P.* Fraud in Documentary Credit Transactions, *Journal of Business Law 1981*.
70. *Ellinger E.P.,* The Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP): Their Development and the Current Revisions Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly 20, 2007.
71. *Ellinger, E.P.*, British Business Law: Banking Law, Journal of Business Law 704, 2005.
72. *Elliniger E.P.,* The Uniform Custom- Their nature and 1983 revision, Lloyds Maritime and commercial Law, 1984.
73. *Enonchong N.* 'The Problem of Abusive Calls on Demand Guarantees, Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly 2007.
74. *Enonchong N.,* The Autonomy principle of letter of Credit: An Illegality Exception? Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly, 2006, 404
75. *Enonchong N.*, the Autonomy Principle of Letters of Credit: An Illegality Exception? Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly, 2006.
76. *Enonchong N.,* The law applicable to demand guarantees and counter-guarantees Lloyd's Maritime & Commercial Law Quarterly, 2015,
77. Explanatory note by the UNCITRAL Secretariat on the United Nations Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit,1997.
78. *Farrar E,* An examination of UCC, Article 5, Letter of Credit, 45, Business Law, 1521, 1990, 1616.
79. *Goode R.,* Abstract Payment Undertakings and the Rules of the International Chamber of Commerce, 39 Saint Louis University Law Journal, 1995.
80. *Goode R.,* Commercial Law, (2 ed,1995), 1038;
81. *Goode R.*, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, ICC Publication No 510, ICC Publishing SA: Paris, 1992.
82. *Goode R.,* The New ICC Uniform Rules for Demand Guarantees, Lloyd's Maritime d Commercial Law Quarterly 190, 1992.
83. *Grassi P. S.,* Letter of Credit Transactions: The Banks' Position in Determining Documentary Compliance – A Comparative Evaluation under U.S., Swiss and German Law, Pace International Law Review 1995.
84. *Hinchey J. W.,* King and Spalding, Guarantees of Performance, Atlanta, Georgia, 1998.
85. *Hsu C.,* The Independence of Demand Guarantees, Performance Bonds and Standby Letters of Credit, National Taiwan University Law Review, Vol. 1:2, 2006. https://open.uct.ac.za/bitstream/handle/11427/4645/thesis_law_kymgra001.pdf?sequence=1

86. *Hugo C.F.,* The Law Relating to Documentary Credits from a South African Perspective with Special Reference to the Legal Position of the Issuing and Confirming , published LLD, University of Stellenbosch, 1997.
87. *Hunt R.,* Enforcing Security, Guarantees and Injucntions, Builind and Constraction Law review 2001.
88. International Standby Practices (ISP98): Report of the Secretary-General (A/CN.9/477), Yearbook of the United Nations Commission on International Trade Law, XXXI (3), 2000,
89. International Standby Practices (ISP98): Report of the Secretary-General (A/CN.9/477), Yearbook of the United Nations Commission on International Trade Law, XXXI (3), Preface, 2000.
90. *James Casner A.,* Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses, Boston College Third World Law Journal, 1-1-1984, http://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1428&context=twlj
91. James Casner A., Letters of Credit: Iranian Cases and the Need to Adapt Letters of Credit to Their Proposed Uses, Boston College Third World Law Journal, 1984, ;
92. *James G. Barnes & James E. Byrne,* Letters of Credit: 2000 Cases, 56 business law 4. 2001.
93. *Kayembe G.L.,* The Fraud Exception in Bank Guarantee, University of Cape Town, 2008.
94. *Kelly –Louw M.*, Initiatives of the International Chamber of Commerce to Prevent Fraudulebs Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, 21 S. Afr. Mercantile L.J. 710, 2009.
95. *Kelly- Louw M.*, Selective legal Aspects of Bank Guarantee, University of South Africa, 2008. http://uir.unisa.ac.za/bitstream/handle/10500/1350/?sequence=1
96. Kelly-Louw M., International Measures to Prohibit Fraudulent Calls on Demand Guarantees and Standby Letters of Credit, Geo. Mason Journal International Comm. Law 2010.
https://www.academia.edu/10292546/International_measures_to_prohibit_fraudulent_calls_on_demand_guarantees_and_standby_letters_of_credit
97. Kelly-Louw M., The Documentary Nature of Demand Guarantees and the Doctrine of Strict Compliance, (part 2) 2009.
https://www.academia.edu/10292546/International_measures_to_prohibit_fraudulent_calls_on_demand_guarantees_and_standby_letters_of_credit
98. Klark G., As good and Cash? Injuring Calls on Letters of Credit and Performance Guarantees, 2006.
99. Kozolchyk B., the Immunization of Fraudulently Procured Letter of Credit Acceptances: All Services Exportacao, Importacao Comercio, S.A. v. Banco Bamerindus do Brazil S.A. and First Commercial v. Gotham Originals, 1992-1993.

100. *Kozolchyk B.,* Wheble B. S, In Memoriam, Annual Survey of Letter of Credit Law and Practice, Institute of International Banking Law & Practice Inc, Montgomery Village, MD, 18, 21.
101. *Kozolski B.,* Bank Guarantee and Letter of Credit: Time for a Return of the Fold University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 11, Iss. 1, 1998.
102. *Krimm J.J.,* U.C.C. – Letters of Credit and Fraud in the Transaction, 60 Tulane Law Review 1986.
103. Kurkela, MS Letters of Credit and Bank Guarantees Under International Trade Law 2 ed, Oxford University Press Inc: New York, 2008.
104. *Lipton J.,* Uniform Regulation of Standby Letters of Credit and Other First Demand Security Instruments in International Transactions, 10 Journal of International Banking Law 402,1993.
105. *Longwa Kayembe G.,* the Fraud Exception in Bank Guarantee. 2008.
106. *McCullough BV., Banking Law* (Vol No 12: International Banking – Letters of Credit) (loose-leaf edition), Matthew Bender & Company Inc, 1981.
107. *McGreevey R. M.,* The Iranian Crisis and U.S. Law, Northwestern Journal of International Law and Business, 1980.
108. *McLaughlin G.T.,* Exploring Boundaries: A Legal and Structural Analysis of the Independence Principle of Letter of Credit Law, 119 Banking Law Journal 501, 2002.
109. Meral N., A Global Analysis, The Fraud Exception in Documantary Credits: a Global Analysis. Ankara bar Review, 2012.
110. *Miss L.,* letters of Credit: Injunctions as a Remedy for Fraud in UCC, sec.5-114, 1979.
111. *Mofleh A.I.,* Abstract Payment undertakens: To what exent are they truly Asbitract". University of Lecihester, 2005.
112. *Nevin M.,* The fraud Exception in Documentary Credit: A Global Analysis, Ankara, bar Review, 2012. http://www.ankarabarosu.org.tr/siteler/AnkaraBarReview/tekmakale/2012-2/2.pdf
113. *Nielsen J, Nielsen N.,* Standby Letters of Credit and the ISP 98: A European Perspective, *164 Banking and Finance law review 16 B.F.L.R.* file:///C:/Users/Nino%20Lipartia/Downloads/Standby_Letters_of_Credit_and_the_ISP_98.pdf
114. *O'Driscoll P. S.*, Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, 7 Nw.J. Int'l L. & Bus. 380, 1985. https://scholarlycommons.law.northwestern.edu/njilb/vol7/iss2/19/
115. *Oelofse A.,* The law of Documentary Letters of Credit in Comparative Perspective, 8 South African Mercantile Law Journal 56, 1997.
116. *Oelofse A.N.,* The Law of Documentary Letters of Credit in Comparative Perspective,1997,
117. Opinion of the ICC Banking Commission 1995-1996" ICC Publication NO 565.

118. *Parsons P. J.,* Commercial Law Note: ICC (International Chamber of Commerce) Uniform Rules for Contract Guarantees, 53 Australian Law Journal, 1979.
119. *Penn G.,* On-demand Bonds – Primary or Secondary Obligations? Journal of International Banking Law, 1986;
120. *Penn G.,* the law and practice of international banking: Banking law, vol. 2, London, Sweet & Maxwell, 1987.
121. *Poeland I., Bertrams F.,* Bank Guarantees in International Trade: The Law and Practice of Independent (first Demand) Guarantees and Standby Letters of Credit in Civil Law and Common Law Jurisdictions, 340.
122. *Pugh-Thomas A.,* Letters of Credit – Injuctions- the puris and the pragmatist: Can a buyer bypass the guarantee and stop the seller from demanding payment from guarantor? 1996,
123. *Riddall. R., Affaki G.,* Two Experts Debate why the Uniform Rules for Demand Guarantees are not Widely Used and Propose Solutions, 7 D.C.I. 12, 2001.
124. *Rodrigo T.,* Theoretical Justifications for restraining "Unconscionable" demand under on Demand Guarantee, 2012. https://research-repository.griffith.edu.au/bitstream/handle/10072/48357/80085_1.pdf?sequence=1
125. *Roger J., Blogett M. S.*, Fairness at the expense of commercial Certainty: The International Emergence of Unconscianability and illegality as Exception to the independence principle of letter of Credit and Bank Guarantees, 31 N. Ill. U. L. Rev. 297 (2010-2011).
http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/niulr31&div=14&id=&page=
126. *Šarčević P., Volken P.*, International Contracts and Payments, Graham & Trotman/Martinus Nijhoff, London/Dordrecht/Boston 1991.
127. *Tyler A.,* Performacen Bonds and S 51AA TPA, Ulph J., The UCP 600: Documentary Credits in the twenty-first century, Journal of business law, 2007.
128. *Valipoori H.,* Effective Fraud in the Documentary Transactions, MAGNT Research Report (ISSN. 1444-8939) 2015.
129. *Van der Vaart H.J.,* Standby Letters of Credit and the Problem of Bad Faith Calls, The Yale Journal of World Public Order, 1981. http://digitalcommons.law.yale.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1149&context=yjil
130. *Van Houtte H.,* The law of international trade, 2nd ed., London, Sweet&Maxwell, 2002.
131. *Warne D.,Elliott N.,* Banking Litigation 2 ed, Sweet and Maxwell, 2005.
132. *Wayen M.A.,* The Uniform Customs and Practice as a Source of Documentary Credit law in the United States, Canada and Great Britain: A Comparison of Application and Interpretation, Arizona Journal of International and Comparative Law, 7 (1), 1989.

133. *Whitten M.*, Calling on a Performance Security: As Good As Cash? 2013. https://www.listgbarristers.com.au/uploads/Publication-Graphics/Whitten-Michael-QC-Calling-on-a-perfomance-guarantee18-June-2013.pdf
134. *Wunnicke B.,* Under US law, what happened to the parties to an L/C when one of them goes bankrupt? DCI, 2, 1996;
135. *Xiang G.,* the Fraud Rule in the Law of Letters of Credit: A Comparative Study Kluwer Law International: The Hague, The Netherlands 2002.
136. *Xiang, G.,* The Identity of the Fraudulent Party Under the Fraud Rule in the Law of Letters of Credit, Annual Survey of Letter of Credit Law and Practice, Institute of International Banking Law and Practice, 2003.
137. *Xiang. G.,* Buckley R.P., A Comparative Analysis of the Standard of Fraud Required under the Fraud Rule in Letter of Credit Law, Journal of Comparative and International Law 293, 2003.
138. *Zhang Y.,* Approaches to resolving the international Documentary letter s of Credit Fraud issue, PhD Thesis, University of Eastern Finland, 2011.

სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-1203-1163-2016 გადაწყვეტილება.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, 2001 წლის 20 იანვრის №3კ-62-01 17 გადაწყვეტილება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, 2009 წლის 17 მარტის №ას-781-996-08, 14-15 გადაწყვეტილება.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის Nას-562-871-09 გადაწყვეტილება.
5. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის #2/97-14 გადაწყვეტილება.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის N781-996-08 გადაწყვეტილება.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა 2013 წლის 01 ივლისის Nას-1353-1277-2012 განჩინება.
8. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის Nს/უზრ-34-15 განჩინება.

9. ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საქმე N16399596-2/635-16.
10. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 აგვისტოს განჩინებასარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საქმე N33/უზრ-2017, 3/592-2017.
11. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 18 მარტის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საქმე NII/10-16 განჩინება.
12. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საქმე N2/56-16უზრ, N465 განჩინება.
13. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 06 იანვრის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ საქმე N3-01/216 განჩინება.
14. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ N8202177150011482 (ს/უზრ-38-15) განჩინება.
15. გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბერის N2/222-15 გადაწყვეტილება.
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის #2/18455-13 გადაწყვეტილება.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 მარტის Nას-104-97-2017 გადაწყვეტილება.
18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 მაისის N2ბ/5769-16 გადაწყვეტილება.
19. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 16 დეკემბრის N2/207-2016 გადაწყვეტილება.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2009 წლის 23 ივნისის Nას-30-367-09 გადაწყვეტილება.
21. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის N2/177-12 გადაწყვეტილება.
22. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის #2/12-16 განჩინება (უზრ-175-16).
23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის N2ბ/3772-14 გადაწყვეტილება.
24. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 178 აპრილის 2-2647/14 გადაწყვეტილება.
25. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 აპრილის 2-2647/14 გადაწყვეტილება.
26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით №2ბ/5563-15, №130210015001063580

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 4 მაისის №ას-161-151-2015 გადაწყვეტილება.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბერის №ას-1595-1498-2012 განჩინება.
29. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის #2-207-2016 გადაწყვეტილება.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 01 ივლისის Nას-65-60-2013 გადაწყვეტილება,
31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ნოემბრის N2ბ-3717-12 გადაწყვეტილება.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბერი №ას-1595-1498-2012 გადაწყვეტილება.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ნოემბერს №ას-1595-1498-2012 გადაწყვეტილება.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის #ას-1535-1438-2012 გადაწყვეტილება.
35. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ N459049-14 განჩინება.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის №ას-396-376-2015 გადაწყვეტილება.
37. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ N459049-14 განჩინება.
38. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 თებერვლის N429144-14 განჩინება.
39. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის N459049-14 განჩინება.
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება.
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 01 ივლისის Nას-65-60-2013 გადაწყვეტილება.
42. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ოქტომბრისN 2/191-14. გადაწყვეტილება
43. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 2/191-14,
44. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ოქტომბრის N 2/191-14 გადაწყვეტილება.
45. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 ივლისის №2/856-15 გადაწყვეტილება.

46. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მაისის№2ბ7114/14, №330210014403740 განჩინება.
47. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლისN2ბ/3777-14 გადაწყვეტილება.
48. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 თებერვლის N2ბ/4125-14, 330210013385366 გადაწყვეტილება.
49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 30 ოქტომბერს Nას-425-405-2015 გადაწყვეტილება.
50. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს 2/ბ-582-2015 გადაწყვეტილება.
51. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის 2/ბ-754-2014 გადაწყვეტილება.
52. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს 2/ბ-582-2015 გადაწყვეტილება.
53. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 აგვისტოს 2/ბ-582-2015 გადაწყვეტილება.
54. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის 2/ბ-754-2014 გადაწყვეტილება.
55. საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება №ას-300-287 2015 გადაწყვეტილება.
56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის №ას-300-287-2015 გადაწყვეტილება.
57. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 თებერვლის N2ბ/4125-14 გადაწყვეტილება.
58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 30 ოქტომბერს Nას-425-405-2015 გადაწყვეტილება.
59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 სექტემბერის Nას-749-709-2015 გადაწყვეტილება.
60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის №ას-1303-1241-2014 გადაწყვეტილება.
61. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 თებერვლის N2ბ/4125-14, N330210013385366 გადაწყვეტილება.
62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის NAS-425-405-2015 გადაწყვეტილება.
63. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მაისისN2ბ/7114-2014 გადაწყვეტილება.
64. საქართველოს უზენასი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ოქტომბრის №ას-782-739-2015 გადაწყვეტილება.
65. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბერის N2/3656-2014 გადაწყვეტილება.

66. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მაისის N2ბ/7114-14 გადაწყვეტილება.
67. საქართველოს უზენასი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ოქტომბრის №ას-782-739-2015 გადაწყვეტილება.
68. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის N 2ბ/82-15, N330210014533662 გადაწყვეტილება.
69. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ნოემბრის 2/24987-16 გადაწყვეტილება.
70. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ნოემბრის 2/24988-16 გადაწყვეტილება,
71. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატს 2016 წლის 14 ივნისის Nას-1082-101902015 გადაწყვეტილება.
72. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 ნოემბერის №2ბ/4546-16 განჩინება.
73. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის № 330210115001138277, №2ბ/5417-15 განჩინება.
74. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 08 აპრილის№2ბ/1389-16 განჩინება.
75. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის № 330210115001138277, №2ბ/5417-15 განჩინება.
76. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის№2ბ/6144-15 განჩინება.
77. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის N2/ბ-494-16 განჩინება.
78. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 ნოემბრის N2ბ/4559-15 გადაწყვეტილება.
79. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბერის N2ბ/5555-2015 გადაწყვეტილება.
80. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 მაისის N2/12268-15 გადაწყვეტილება.
81. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 მაისის N2/7471-15 გადაწყვეტილება.
82. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 აპრილისN2ბ/4510-16 გადაწყვეტილება.
83. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის N2/5224-16 გადაწყვეტილება.
84. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის 2/24991-16 გადაწყვეტილება.
85. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ნოემბერის N2ბ/304-17 გადაწყვეტილება.

86. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 თებერვლის №ას-1038-999-2016 გადაწყვეტილება.
87. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 ივნისის №ას-492-460-2017 გადაწყვეტილება.
88. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის N2ბ/5769-16 გადაწყვეტილება.
89. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ნოემბერის Nას-950-886-2017 გადაწყვეტილება.
90. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 მაისის N2/39253-16 გადაწყვეტილება.
91. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის №2ბ/5563-15, №130210015001063580 გადაწყვეტილება;
92. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 ივნისის Nას-484-452-2017 გადაწყვეტილება.
93. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის Nას-11-89-1149-2016 გადაწყვეტილება.
94. საქართველოს უზენესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 01 ივლისის Nას-6560-2013 გადაწყვეტილება.
95. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 ივლისის N2/12833-16 გადაწყვეტილება.
96. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის 2/24991-16 გადაწყვეტილება.
97. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 დეკემბრის N2202401 – 17 განჩინება.
98. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 დეკემბრის N2202401 – 17 განჩინება.
99. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის №ას-251-239-2017გადაწყვეტილება.
100. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 თებერვლის № ას-360-345-2016 გადაწყვეტილება.
101. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 07 ივლისის №ას-80-77-2014 გადაწყვეტილება.
102. თბილისის საქალაქო სასამართლო 2014 წლის 11 ნოემბრის N 2/10771-14 გადაწყვეტილება.
103. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 ნოემბრის №2ბ/4559-15, №330210015703697 გადაწყვეტილება.
104. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 ნოემბრის №2ბ/4559-15, №330210015703697 გადაწყვეტილება.
105. საქართველოს უზენაესი სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ივლისის Nას-755-706-2017 განჩინება.

106. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ N411499-14 განჩინება.
107. ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ N16399596-2/635-16 განჩინება.
108. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებითN411499-14 განჩინება.
109. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ N16399596-2/635-16 განჩინება.
110. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით N(33/უზრ-2017) 01031517002054903(3/592-2017) განჩინება.
111. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 2016 წლის 21 ივნისის №2/7526-15 გადაწყვეტილება.
112. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ N8202177150011482 (ს/უზრ-38-15) განჩინება.
113. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 ივლისის N2/177-12 გადაწყვეტილება.
114. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 27 დეკემბერის №340110015001160711 გადაწყვეტილება.
115. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე ღონისძიების გამოყენების შესახებ N820217715001105776 (სარ/უზრ-35/15) განჩინება.
116. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე ღონისძიების გამოყენების შესახებ N820217715001105776 (სარ/უზრ-35/15) განჩინება.
117. ხაშურის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №2-302-2015, №130210015001063580 გადაწყვეტილება.
118. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის N2/1721-14 გადაწყვეტილება.
119. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 სექტემბრის N #2/9973-10 გადაწყვეტილება.
120. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 დეკემბრის №330210015001009316, №ას-1231-1151-2017 გადაწყვეტილება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილები

აშშ

1. MacMahon J in American Bell International v Islamic Republic of Iran- 1474 F Supp 420 (SDNY 1979);
2. New York Life Insurance Co. v. Hartford National Bank & Trust Co -378 A 2d 562, Conn.1977.
3. Western Surety Co v Bank of Southern Oregon -257 F 3d 933 (9th Cir 2001), 44 UCC Rep Serv 2d (West) 1239.
4. Deutsche Ruckversirung an v Walbrook Inruance Co Ltd and others (1994) 381 LMLN 4.
5. Czarnikow- Rionda Sugar Trading Inc v. Standard Bans London Ltd and Others (1999) 2 LIoyd's Rep 187,
6. Balfour Beatty Civil Engineerign v Technical and General Guarantee Co Ltd (2000) 68 Con LR 180 (2000), CLC 252, CILL 1574;
7. Sztejn v. J Henry Schorlder Banking Corporation 31 N.Y.S.2d 631 (1941).
8. New York Life Insurance Co. v. Hartford National Bank & Trust Co 378 A 2d 562, Conn.1977.
9. Western Surety Co v Bank of Southern Oregon 257 F 3d 933 (9th Cir 2001), 44 UCC Rep Serv 2d (West) 1239.
10. New Oreleans Brass LLC v. Whitney National Bank.
11. Itek Corp v First National Bank of Boston -730 F 2d 19 (1984).
12. Group Josi Re v. Walbrook Insurance Co ltd and Others (1994) 4 ALL ER 181 (QBD), 1996.
13. Potton Homes Ltd. v. Coleman Contractors Ltd (1984) 28 BLR 19 (CA).
14. Higgins v. Steinhardter. - 175 N.Y.S. 279 (1919).
15. Intraword Industries Inc v Girard Trust Bank 461 Pa 343 (1975).
16. Intraword Industries Inc v Girard Trust Bank 461 Pa 343 (1975).
17. Sec. & Exch. Com'n v. Capital Gains Research Bureau - 375 U.S. 180, 194 (1963).
18. United Bank Ltd v Cambridge Sporting Goods Corp. -392 NYS 2d 265 (NY 1976), 271.
19. Dynamics Corp of America v Citizens & Southern National Bank - 356 F Supp 991, ND Ga 1973).
20. NMC Enterprise v. Columbia Broadcastin Systems Inc - 14 UCC Rep Serv 1427 (NYSC 1974).
21. NMC Enterprises Inc v Columbia Broadcasting System Inc- 14 UCC Rep 1427 (NY Sup Ct 1974);
22. Seaconsar Far East Ltd V Bank Markazi Jomhouri Islami Iran: HL 15 Oct 1993.

23. United Bank Limited v. Cambridge Sporting Goods 41 N.Y.2d 254, 392 N.Y.S.2d 265, 360 N.E.2d 943 (1976).
24. Old colomy trust Co v. Lawyers's title and Trust Co -279 U.S. 716, 1929.
25. Roman Ceramics Corporation v. Peoples Nationa Bank -714 F 2d 1207 (3d Cir 1983).
26. United Bank Ltd v Cambridge Sporting Goods Corp. 392 NYS 2d 265 (NY 1976), 271.
27. Themehelp Ltd v. West and others, 1996 QB 84, (CA),
28. Re Deloittee and Toeuch Inc, 2 Bank, L.R 310, 1993.
29. Kvaerner Jonh Browns v. Midland Bank PLC, 1998, CLC 446.
30. Steinmeyer v. Warner Cons.Corp, 42 Cal. App. 3d 516, 1974.
31. Turkiye Is Bankasi V. Bank of China 2 Liyod/s Reports 611, 1996.
32. http://www2.austlii.edu.au/~alan/skodaexport.html, 1.09.17.

საფრანგეთი

1. Cour d'Appel of Paris, 20 June 1984.
2. Cour de Cassation, Commercial Chamber, 10 June 1986.
3. Cour d'Appel of Paris, 20 June 1984.
4. Cour de Cassation, Commercial Chamber, 10 June 1986.
5. Cour de Cassation, Commercial Chamber, 12 January **1993.**
6. Tribunal de Commerce of Paris, 12 February 1982.
7. Tribunal de Commerce of Paris, **1** August 1984.
8. Cour d'Appel of Paris, 27 June 1988.
9. Tribunal de Commerce of Paris, **15** October 1982.
10. Societte Fenchosm v. Banque Francios du Commerce Exterieur, 1985, G.P. 700.

გერმანია

11. Westphalen V., Die Bankgarantie im Internationalen Handelsverkehr, 2nd ed. 1990, 78.
12. Judgment of March 12, 1984 90 BGHZ 287, 292m Judgemnet of January 17 1989, 43, wm,
13. 2002, BLR 450, 75.
14. Judgment of March 12, 1984, Bundesgerichtshof (Federal Supreme Court in Civil Matters).
15. BGH. W. Ger., 90 Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen [BGHZ] 287-94 (1984).

ავსტრალია

1. Olex focas Pty v. Skodaexport Co Ltd - 3 RV 380, 1998.
2. Wood Hal Ltd v. Pipeline Authority, 1979, 141 CLR 443.

ინგლისი

1. Pillans and Rose v. Van Mierop and Hopkins - 97 Eng. Rep. 10351, 1765.
2. Boral Formwork and Scaffoldins PTY LTD v. Action Makers Ltd - 2003, NSWSC 713.
3. Group Josi Re v Walbrook Insurance Co Ltd and Others 1 Lloyd's Rep 345 (CA) 1996,
4. Mahonia Ltd v. JP Morgan Chase Bank and Another [2003] 2 Lloyd's Rep 911.
5. Roger J., Blogett M. S., Fairness at the expense of commercial Centainty: The International Emergence of Unconscianability and illegality as Exception to the independence principle of letter of Credit and Bank Guarantees. 310.
6. Mahonia Ltd v JP Morgan Chase Bank [2003] 2 Lloyd's Rep 911 (QB (Com Ct));
7. Balfour Beatty Civil Engineering v Technical & General Guarantee Co Ltd, 68 Con LR 180.
8. I.E. Contractors Ltd v. Lloyds Bank Plc and Rafidian Bank, LIoyd's Bank 1990 2 Lloyd's Rep.
9. Intraco Ltd v notis Shipping Corporation (The Bhoja Trader) - 1981 2 LIoyd's Rep 256 (CA) 257,
10. Bolivinter Oil Sa V. Chase Menhatten Bank Commercial Bank of Syri and General Compani of homes Refinery 1984 1 LIoyd's Rep. 254.
11. R. D. Harbotee (Mercantile) Limited v. National Wesmister Bank limited, 1978, QB 146
12. American Cyanamid Co v Ethicon Ltd (AC 396 (HL) 1975, 1 All ER 504 (H) 1975)
13. Themehelp Ltd. v. West Qb(CA)1996, All ER 215 (CA) 1995
14. United Trading Corporation SA and Murray Clayton Ltd v Allied Arab Bank Ltd and others, - 2 Lloyd's Rep. 554, 561 (C.A. 1984).
15. Mareva Compania Naviera S.a. v International Bulkcarriers S.A.2 LIoyds's L.R 509, 1975.
16. Siskina (Owners of Cargo Lately Laden on Board) and Others v Distos Compania Naviera SA [1979] AC 210 (HL),
17. Third Chandris Shipping Corporation v Unimarine SA [1979] 1 QB 645 (QB),
18. Elian And Robath v. Matsas and Matsas 2 LIyod's L.R. 497, 1966.
19. American bell International inc v. Islamis Republic of Iran 474, Fsupp 420 (SDNY 1979);
20. KMW international v. Chase Manhettan Bank NA, NA 606 F 2 d 10;
21. United Technologies Coprooration v. Citibank Na 469 F, Supp 473, 1979;

22. R D Harbottle (Mercantile) Ltd v. National Wesmistes Bank (1978),
23. Discount Records Limited v. Barclayes Bank Limited (1975);
24. [1978] 1 All ER 976, [1978] 1 QB 159, [1977] 3 WLR 764, [1978] 1 Lloyds Rep 166.,
25. Loyd's Rep 256, 1981.

ვებ რესურსები

1. www.spa.ge;
2. www.nbg.gov.ge
3. www.insurance.gov.ge;
4. www.library.court.ge
5. www.supremecourt.ge;
6. www.gccc.ge;
7. https://www.i-law.com/ilaw/doc/view.htm?id=152677;
8. http://202.194.14.112:8080/child/quanyingshouke/dianxinganlifenxi/2012-11/3596.html;
9. http://caselaw.findlaw.com/us-9th-circuit/1004492.html;
10. http://scholar.sun.ac.za/handle/10019.1/4676 27.09.2017;
11. http://swarb.co.uk/edward-owen-engineering-ltd-v-barclays-bank-international-ltd-ca-1978/;
12. http://law.justia.com/cases/california/court-of-appeal/3d/42/515.html;
13. http://www.law.ntu.edu.tw/ntulawreview/articles/1-2/1-2(1).pdf;
14. http://www.law.ntu.edu.tw/ntulawreview/articles/1-2/1-2(1).pdf;
15. https://www.lawteacher.net/free-law-essays/commercial-law/question-of-fraud-in-bankers-documentary-credits-commercial-law-essay.php;
16. http://www.uncitral.org/pdf/english/texts/payments/guarantees/guarantees.pdf;
17. https://tenders.procurement.gov.ge;
18. http://swarb.co.uk/intraco-limited-v-notis-shipping-corporation-ca-1981/;

სახელმწიფო შესყიდვის საიდენტიფიკაციო კოდები:

1. SPA120025200, SPA170005363, SPA130004446, SPA140014698, SPA130029248;
2. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვა NSPA110012024;
3. თბილსერვის ჯგუფის შესყიდვა NSPA130023223;
4. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების შესყიდვა NSPA140003192.
5. NDIS150032520_01(SPA), SPA 1500322520.

დანართი N1

საგარანტიო მოთხოვნათა რეგულირების ინსტრუქცია

თავი I. ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. ამ ინსტრუქციის სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების სფერო

1. ეს ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით.[1008]
2. ცალკეული საკანონმდებლო ვაკუუმის განმარტებისას გამოყენებულია „დამოუკიდებელი გარანტიებისა და აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის[1009] ნორმები პრინციპების ფარგლებში, მაგრამ არ გამოიყენება სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რათა წინააღმდეგობაში არ მოვიდეთ საქართველოს კანონმდებლობასთან.[1010]
3. ეს ინსტრუქცია გამოიყენება ყველა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გაცხადებული მოთხოვნის რეგულირებისთვის, საბანკო გარანტიის სახის, ასევე ბენეფიციარისა და პრინციპალის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და რეზიდენტობის მიუხედავად.
4. ეს ინსტრუქცია არ მოიცავს საგარანტიო მოთხოვნის რეგულირებამდე (საბანკო გარანტიის მოთხოვნა-გაცემის ეტაპი) და მის შემდეგ (რეგრესული მოთხოვნის რეგულირების ეტაპი) პროცესებს.

მუხლი 2. ტერმინები

1. ძირითადი ხელშეკრულება – ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც პრინციპალმა ერთი ან მეტი ვალდებულების შესრულება იკისრა. ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის, ძირითადი ხელშეკრულების ნაწილად მიიჩნევა აგრეთვე მათ შორის გაფორმებული დამატებითი შეთანხმება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის

[1008] ეს ინსტრუქცია ექვემდებარება პერიოდული განახლება სასამართლო პრაქტიკის შემდგომი განვითარების მიხედვით.

[1009] „დამოუკიდებელი გარანტიებისა და აკრედიტივების შესახებ“ კონვენცია (Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit) შემუშავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ და დამტკიცდა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე 1995 წლის 11 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვრიდან.

[1010] საქართველო საბანკო გარანტიების მარეგულირებელი არცერთი მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი აქტის წევრი არ არის. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შემუშავდა კონვენციის პარალელურად და ყველაზე ახლოს მასთან დგას. სახელშეკრულებო ბონდების უნიფიცირებული წესები (Uniform Rules for Contract Bonds, ძალაშია 1994 წლის 1 იანვრიდან) და მოთხოვნადი გარანტიების უნიფიცირებული წესები (Uniform Rules for Demand Guarantees / URDG-758, ძალაშია 2010 წლის 1 ივლისიდან) ორივე მიღებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის (International Chamber of Commerce) მიერ და ორივე შემუშავებულია კონკრეტული დარგების ლობისტური ინიციატივებით და მიზნებით, რის გამოც საქართველოში მათი გამოყენება სავალდებულო და რეკომენდებული არ არის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიმე მიზეზით საჭირო გახდა რომელიმე ამ აქტის გათვალისწინება, ეს უნდა გაკეთდეს იმ ფარგლებში, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან.

გაფორმდა გარანტის წინაწარი თანხმობის გარეშე და პირდაპირ ან არაპირდაპირ ცვლის ძირითად ვალდებულებას და, შესაბამისად, გარანტის ვალდებულებას.

2. ძირითადი ვალდებულება – ძირითადი ხელშეკრულების ის ერთი ან რამდენიმე ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის საგარანტიო ანაზღაურებას, გარანტიის პირობის ფარგლებში.
3. გარანტიის პირობა – უშუალოდ საბანკო გარანტიის ტექსტით განსაზღვრული პირობა, რომელიც ადგენს, თუ რა შემთხვევაში, დათქმით ან/და ფარგლებში არის უზრუნველყოფილი ბენეფიციარის საგარანტიო მოთხოვნის საგარანტიო ანაზღაურება.
4. საგარანტიო შემთხვევა – პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევით ფაქტობრივად დამდგარი ის ვითარება, რომელიც განსაზღვრულია გარანტიის პირობით.
5. საგარანტიო თანხა – საბანკო გარანტიის საფუძველზე ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემადი საგარანტიო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა. თუ გარანტიის პირობები ითვალისწინებს ბენეფიციარის უფლებას, რომ საგარანტიო თანხის ფარგლებში ანაზღაურება ნაწილ-ნაწილ მოითხოვოს, მაშინ მეორე და შემდეგ მოთხოვნაზე საგარანტიო თანხად მიიჩნევა მისი ნაშთი (მანამდე ანაზღაურებული ოდენობის გამოკლებით).
6. საგარანტიო მოთხოვნა – ბენეფიციარის წერილობითი (ან, თუ ბენეფიციარ-გარანტორს შორის არსებობს შეთანხმება, ელექტრონული[1011]) ფორმის მიმართვა გარანტისადმი, შესაბამისი დოკუმენტების თანდართვით, რომლითაც იგი, გარანტიის პირობის შესაბამისად, ასახელებს საგარანტიო შემთხვევის დადგომას და ითხოვს საგარანტიო ანაზღაურების გაცემას.
7. განმეორებითი მოთხოვნა – თუ ბენეფიციარის საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ ძირითადი ვალდებულება შესრულდა, შეწყდა ან ბათილია, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ბენეფიციარს. თუ ბენეფიციარი ამ ვითარებას არ ადასტურებს / არ აღიარებს და საგარანტიო ანაზღაურებას ხელმეორედ ითხოვს, მაშინ ეს ჩაითვლება განმეორებითი მოთხოვნად და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.[1012]
8. საგარანტიო ანაზღაურება – საგარანტიო თანხის ფარგლებში ის კონკრეტული თანხა, რომელიც ბენეფიციარს საბანკო გარანტიის საფუძველზე უნდა გადაერიცხოს ან გადაერიცხა.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

[1011] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1[1] ნაწილი. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებაზე შეთანხმება გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან (სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან (აუქციონში მონაწილეობის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით).

[1012] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

1. დამოუკიდებლობა – ბენეფიციარსა და გარანტს შორის ურთიერთობაში საბანკო გარანტია (გარანტიის პირობა) არის უპირატესი და დამოუკიდებელი ძირითადი ხელშეკრულებისაგან/ვალდებულებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ გარანტი ბენეფიციარის წინაშე უშუალო და სრულად ვალდებული პირი არ არის; ბენეფიციარის წინაშე მისი ვალდებულება შემოიფარგლება გარანტიის პირობით, რომელიც თავის მხრივ ძირითადი ვალდებულებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს ხასიათით, მოცულობით, ვადებით ან/და სხვა დათქმებით. ის, რომ გარანტიაში მითითებაა ძირითად ხელშეკრულებაზე/ ვალდებულებაზე (დასახელება, სხვა რეკვიზიტი), არ ზღუდავს საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას.

   ამავე დროს, თუ გარანტიის პირობა კონკრეტულ ძირითად ვალდებულებას ან/და ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ სხვა ვითარებას გარანტიის პირობად უთითებს, მაშინ საგარანტიო შემთხვევის შესწავლისას ძირითადი ვალდებულება ან/და ვითარება გარანტიის პირობად განიხილება და მასთან ერთობლიობაში შეისწავლება.
2. ზუსტი შესაბამისობა[1013] – პრინციპი, რომლის მიხედვით საგარანტიო მოთხოვნა ზუსტ შესაბამისობაში უნდა იყოს გარანტიის პირობებთან, მათ შორის, მოთხოვნის ფორმასთან, ადგილსა და ვადასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც საგარანტიო მოთხოვნა, ისე საგარანტიო ანაზღაურება ჩაითვლება არამართლზომიერად. ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დაცვა სავალდებულოა ბენეფიციარისა და გარანტისათვის, რადგან მისი დაუცველობა ლახავს პრინციპალის ან/და სხვა პირთა კანონიერ უფლებებს.
3. მართლზომიერება – საბანკო გარანტია მომეტებულად მაღალრისკიანია უფლების ბოროტად გამოყენების, უსაფუძვლო გამდიდრებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზების კუთხით, რის გამოც საგარანტიო მოთხოვნის რეგულირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბენეფიციარის გარანტიის მოთხოვნის როგორც ზუსტ შესაბამისობას, ისე საფუძვლებს, მათ შორის, კანონიერ ინტერესებს. დაუშვებელია მართლზომიერების პრინციპის უგულებელყოფა ერთი სუბიექტის სასარგებლოდ მეორე სუბიექტის კანონიერი ინტერესის ხარჯზე.
4. კეთილსინდისიერება[1014] – საგარანტიო მოთხოვნის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღებისას გარანტს მოეთხოვება გონივრული მზრუნველობა როგორც ბენეფიციარის, ისე პრინციპალისა და გარანტიის ქონებით ან თავდებობით უზრუნველმყოფი პირების მიმართ. დაუშვებელია კეთილსინდისიერების პრინციპის უგულებელყოფა ერთი სუბიექტის სასარგებლოდ მეორე სუბიექტის კანონიერი ინტერესის ხარჯზე.
5. დოკუმენტურობა – პრინციპი, რომლის მიხედვით ბენეფიციარსა და გარანტს შორის ურთიერთობა არის მხოლოდ დოკუმენტური ფორმით (თუ ცალკეულ შემთხვევაში გარანტიის პირობით სხვა რამ არ განისაზღვრა). არცერთი ინფორმაცია არ მიიღება მხედველობაში, თუ ის არ არის

[1013] Principle of Strict Compliance.

[1014] Principle of Good Faith. სხვადასხვა სამართლებრივ დოქტრინასა და პრაქტიკაში ეს პრინციპი შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც: ჯეროვნება, გულისხმიერება, გონივრული წინდახედულება და ა.შ.

დოკუმენტური ფორმის.[1015] მართლზომიერებისა და კეთილსინდისირების პრინციპების დაცვა დოკუმენტურობის პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს.

თავი II. საგარანტიო მოთხოვნის რეგულირების ფორმალური ნაწილი

მუხლი 4. საგარანტიო მოთხოვნის მიღება და აღრიცხვა

1. საგარანტიო მოთხოვნა მიღებისთანავე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღრიცხვას.[1016]
2. თუ საგარანტიო მოთხოვნაში მითითებული არ არის თანხა ან მითითებული თანხა შესაბამისობაში არაა საგარანტიო თანხასთან, მის დაზუსტებამდე საგარანტიო მოთხოვნა აღირიცხება საგარანტიო თანხის სრული ოდენობით.
3. საგარანტიო მოთხოვნის შესახებ გადამზღვეველ ორგანიზაციას ეცნობება არა უგვიანეს მომდევნო თვის ანგარიშგებაში, თუ მანამდე არ მოხდა მასზე უარის თქმა ზუსტი შეუსაბამობის გამო.

მუხლი 5.საგარანტიო მოთხოვნის ზუსტი შესაბამისობის ფორმალური შესწავლა

1. საგარანტიო მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, „გონივრული მზრუნველობის“[1017] მოთხოვნის გათვალისწინებით, ფორმალურად შეიწავლება საგარანტიო მოთხოვნის ზუსტი შესაბამისობა, კერძოდ:
   ა) მოქმედების ვადასთან შესაბამისობა – საგარანტიო მოთხოვნა ვადასთან შესაბამისია, თუ:
      ა.ა) ის წარდგენილია საბანკო გარანტიის ვადის ამოწურვამდე;[1018]
   ა.ბ) საბანკო გარანტია არ არის გაუქმებული:
   - საგარანტიო თანხის ბენეფიციარის მიერ მანამდე გამოყენების საფუძვლით;
   - ბენეფიციარის მიერ მანამდე თავის საგარანტიო უფლებაზე წერილობითი უარის საფუძვლით;
   - გარანტის მიერ მანამდე მისი გათხოვის საფუძველზე (გათხოვადი საბანკო გარანტიის შემთხვევაში).

[1015] შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის მიხედვით მხოლოდ ის, რომ „ცნობილი გახდა“ ბენეფიციარის მოთხოვნის უსაფუძვლობა, საკმარისი არაა ამ მოთხოვნის საბოლოო უარსაყოფად, რადგან განმეორებითი მოთხოვნის შემთხვევაში ის ექვემდებარება დაკმაყოფილებას. შესაბამისად, მოთხოვნის უარყოფა შეიძლება მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტური საფუძვლით.

[1016] აღრიცხვა წარმოებს გარანტის მონაცემთა საოპერაციო ბაზაში, კანონმდებლობით განსაზღვრულ მონაცემთა და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით.

[1017] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[1018] მხოლოდ საგარანტიო ვადაში მიღებული საგარანტიო მოთხოვნა ექვემდებარება შესწავლას, რაც გამომდინარეობს როგორც დადგენილი საალრიცხვო, საფინანსო-სარეზერვო და საგადაზღვევო ნორმატივებიდან, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის ვადების სამართლებრივი დანიშნულებიდან.

ბ) გარანტიის პირობებთან შესაბამისობა – საგარანტიო მოთხოვნა გარანტიის პირობებთან შესაბამისია, თუ:

ბ.ა) საგარანტიო მოთხოვნაში მიეთითება, თუ რაში გამოიხატება საგარანტიო შემთხვევა (პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა);

ბ.ბ) საგარანტიო მოთხოვნას თან ერთვის საბანკო გარანტიაში მითითებული ის დოკუმენტაცია, რომლითაც უნდა დადასტურდეს საგარანტიო შემთხვევის დადგომა ან/და საგარანტიო მოთხოვნის მოცულობა.

2. საგარანტიო მოთხოვნის ზუსტი შესაბამისობის ფორმალური შესწავლა არ ნიშნავს გარანტის მიერ მისი დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, არამედ ამ პროცედურის დასასრულებლად საჭიროა:

ა) პრინციპალის პოზიციის მოპოვება (ან ამ პოზიციის მოსაპოვებლად დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლა); და

ბ) საგარანტიო მოთხოვნის არსებითი შესწავლა.

3. საგარანტიო მოთხოვნის ზუსტი შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში 2 სამუშაო დღის ვადაში ბენეფიციარს ეგზავნება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი, ხოლო საგარანტიო მოთხოვნა აღრიცხვიდან მოიხსნება.

4. საგარანტიო მოთხოვნის მოქმედების ვადასთან შეუსაბამობის საფუძვლით უარზე ბენეფიციარის პასუხი განმეორებით მოთხოვნად არ ჩაითვლება და ხელახლა არ აღირიცხება.

5. საგარანტიო მოთხოვნის გარანტიის პირობებთან შეუსაბამობის საფუძვლით უარი არ გამორიცხავს ბენეფიციარის უფლებას, საგარანტიო ვადაში წარმოადგინოს გარანტიის პირობებთან შესაბამისი საგარანტიო მოთხოვნა, რაც განმეორებით მოთხოვნად არ ჩაითვლება, ხელახლა აღირიცხება და ხელახლა გაიხსნება მოთხოვნის ფორმალური შესწავლის პროცესი.

მუხლი 6. საგარანტიო მოთხოვნის ასლის პრინციპალისათვის გადაგზავნა და პოზიციის გამოთხოვა

1. საგარანტიო მოთხოვნის ზუსტი შესაბამისობის ფორმალური შესწავლის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში პრინციპალს ეგზავნება:

ა) ბენეფიციარის საგარანტიო მოთხოვნის ასლი;

ბ) საგარანტიო მოთხოვნის ზუსტი შეუსაბამობის შემთხვევაში – ბენეფიციარის მიმართ გარანტის უარის ასლი.

2. საგარანტიო მოთხოვნის ასლის პრინციპალისათვის მიწოდება არის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულება.[1019] მისი მიზნებია:

[1019] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ა) პრინციპალის, როგორც კანონიერი ინტერესების მქონე სუბიექტის, ოფიციალური ინფორმირება;

ბ) პრინციპალისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მან, როგორც მტკიცების ტვირთის მატარებელმა, კანონიერი საშუალებებით დაიცვას თავი შესაძლო არამართლზომიერი საგარანტიო მოთხოვნისგან, მათ შორის, მიმართოს სასამართლოს და, არამართლზომიერი მოთხოვნისგან მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად ითხოვოს გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის საგარანტიო ანაზღაურების გადახდის აკრძალვა.[1020]

3. პრინციპალს უნდა მიეცეს გონივრული ვადა (არანაკლებ 5 სამუშაო დღისა) თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად.
4. თუ პრინციპალი მიცემულ ვადაში თავის პოზიციას არ წარმოადგენს, ჩაითვლება, რომ იგი საგარანტიო მოთხოვნას ეთანხმება.[1021]

თავი III. საგარანტიო მოთხოვნის რეგულირების არსებითი ნაწილი [1022]

მუხლი 7. პრინციპალის კონტრპოზიცია

1. პრინციპალმა მიცემულ ვადაში შეიძლება წარმოადგენს კონტრპოზიცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ცნობილი გახდეს, რომ:
   ა) ძირითადი ვალდებულება შესრულდა;
   ბ) ძირითადი ვალდებულება არ წარმოშვა ან შეწყდა;
   გ) ძირითადი ვალდებულება ბათილია.
2. პრინციპალის კონტრპოზიციის შემთხვევაში საგარანტიო მოთხოვნა არსებითად შეისწავლება 5 სამუშაო დღის ვადაში, „გონივრული მზრუნველობის“[1023] მოთხოვნის გათვალისწინებით. ამ მიზნით, კონტრპოზიციას, საგარანტიო მოთხოვნასა და მათ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტაცია (მაგ.: სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია, ექსპერტიზის დასკვნა, სასაქონლო ზედნადები, საგადასახადი ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.).
3. თუ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

[1020] იხ. „დამოუკიდებელი გარანტიებისა და აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

[1021] ეს პირობა არის გარანტსა და პრინციპალს შორის გაფორმებული საგარანტიო ხელშეკრულების პირობა.

[1022] საგარანტიო მოთხოვნის რეგულირების არსებითი ნაწილი (არსებითი შესწავლა) უკავშირდება საბანკო გარანტიის შინაარსის შეფასების ფუნქციონალურ კრიტერიუმს (იხ. სასამართლო პრაქტიკა: საქმე №2/9973-10).

[1023] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ა) კონტრპოზიცია უსაფუძვლოა, მაშინ საგარანტიო მოთხოვნის რეგულირება სრულდება და ის ექვემდებარება ანაზღაურებას, რის შესახებაც 2 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება პრინციპალს;

ბ) კონტრპოზიცია საფუძვლიანია, მაშინ ამის შესახებ 2 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ბენეფიციარს. თუ, შეტყობინების მიუხედავად, ბენეფიციარი არ ადასტურებს ან არ აღიარებს საგარანტიო მოთხოვნის უსაფუძვლობას და ხელმეორედ მოითხოვს საგარანტიო ანაზღაურებას, მაშინ ეს მოთხოვნა განმეორებით მოთხოვნად ჩაითვლება.

მუხლი 8. საგარანტიო მოთხოვნის დოკუმენტური და ფაქტობრივი უსაფუძვლობა

1. საგარანტიო მოთხოვნა, ზუსტი შესაბამისობის მიუხედავად, არ ექვემდებარება დაკმაყოფილდებას, თუ არსებითი შესწავლის შედეგად, ცალსახად და ნათლად დოკუმენტურად მტკიცდება ან/და საჯარო ფაქტია, რომ:[1024]

ა) საგარანტიო მოთხოვნა, მისი თანდართული დოკუმენტი ან მასში აღნიშნული მონაცემი არასწორი ან ყალბია;

ბ) საგარანტიო მოთხოვნაში მითითებული საფუძვლით გადახდა უკანონოა;

გ) საგარანტიო შემთხვევა არ დამდგარა;

დ) ძირითადი ვალდებულება სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად ან ბათილად იქნა აღიარებული (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარანტიის პირობა ამგვარ შემთხვევასაც ფარავს);

ე) ძირითადი ვალდებულება ბენეფიციარისთვის დამაკმაყოფილებელი სახით შესრულდა;

ვ) გარანტიის პირობა მოიცავს ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობას პრინციპალის ბრალით, ხოლო შეუსრულებლობა გამოწვეულია ბენეფიციარის ბრალით ან პრინციპალის ბრალის გამომრიცხველი სხვა ვითარებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარანტიის პირობა ამგვარ შემთხვევასაც ფარავს);

ზ) კონტრგარანტიის ბენეფიციარმა საგარანტიო მოთხოვნა არაკეთილსინდისიერად გადაიხადა.

2. ზუსტი შესაბამისობის მიუხედავად, საგარანტიო მოთხოვნის არდაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიიღება მართლზომიერების, კეთილსინდისიერებისა და დოკუმენტურობის პრინციპების, ასევე შემდეგი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით:

[1024] იხ. „დამოუკიდებელი გარანტიებისა და აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

ა) თუ ძირითად ვალდებულებასა ან/და საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით როგორც პრინციპალის, ისე ბენეფიციარის მხრიდან ვლინდება ფორმალური დანაწესების დაუცველობა, მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების ნამდვილობა ყველა გარემოების გონივრული შეფასების პრინციპით უნდა შეფასდეს და რისკები და მტკიცების ტვირთი მათზე უნდა გადანაწილდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს რა მოცულობით ეკისრებოდა სამეწარმეო წინდახედულობის სტანდარტის დაცვა;[1025]

ბ) ბენეფიციარის მიერ მხოლოდ ფორმალური წინაპირობების დაცვა არაა საკმარისი საგარანტიო მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის. საბანკო გარანტიის ფუნქციონალური დატვირთულობა წარმოდგენს მისი რეალიზაციის მაკონტროლებელ მექანიზმს სამოქალაქოსამართლებრივი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის კონტექსტით. რადგან საბანკო გარანტიის მიზანი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფაა, ამდენად ის გარკვეულწილად ინარჩუნებს სამართლებრივ კავშირს ძირითად ვალდებულებასთან. ეს განპირობებულია მისი ფუნქციური მნიშვნელობით, სხვა შემთხვევაში უფლების გამოყენებაზე მხოლოდ ფორმალური კონტროლი შექმნის სივრცეს მისი არაკეთილსინდისიერი გამოყენებისათვის;[1026]

გ) გონივრული წინდახედულობით უნდა შემოწმდეს საგარანტიო მოთხოვნის მართლზომიერება და შესაბამისობა ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზნებთან;[1027]

დ) თუ გარანტიის პირობის თანახმად საგარანტიო თანხა (საგარანტიო მოთხოვნა) უნდა შემცირდეს ბენეფიციარისათვის მიწოდების პროპორციულად, მაშინ გარანტს უფლება აქვს შესაგებელი წაუყენოს ბენეფიციარს, ხოლო ბენეფიციარმა ეს უნდა გაითვალისწინოს;[1028]

ე) დაუშვებელია ერთი სახის (დანიშნულების) საბანკო გარანტიის გამოყენება სხვა დანიშნულებით (მაგ., საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამოყენება სახელშეკრულებო ვადის გადაცილებისთვის, პირგასამტეხლოს დასარიცხად ან სხვ.);[1029]

ვ) ძირითადი ხელშეკრულების შესწავლით უნდა დადგინდეს, კონკრეტულად რომელი ძირითადი ვალდებულების საგარანტიო

[1025] იხ. სასამართლო პრაქტიკა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №2/9973-10 (08.09.2015), რაც გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლომ.

[1026] იხ. იქვე. კეთილსინდისიერების სამართლებრივ პრინციპზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) მიუთითებს ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/7201-14 (27.07.2015).

[1027] იხ. სასამართლო პრაქტიკა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/3772-14 (17.02.2015).

[1028] იხ. სასამართლო პრაქტიკა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე №2ბ/4125-14 (04.02.2015), №2/1283-16 (11.07.2016), №2ბ/4559-15 (09.11.2016), №2ბ/5769-16 (10.05.2017; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/ბ-865-2013 (25.10.2016); თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/39253-16 (17.05.2015).

[1029] იხ. სასამართლო პრაქტიკა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/3772-14 (17.02.2015).

უზრუნველყოფა არის შეთანხმებული, მათ შორის, უსაფუძვლო გამდიდრების საწინააღმდეგო ნორმების დაცვის მიზნით.[1030]

3. ამ მუხლის მიხედვით საგარანტიო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება ბენეფიციარსა და პრინციპალს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. ბენეფიციარის მიერ ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

თავი IV. შეტყობინებები და ვადები

მუხლი 9. შეტყობინებები და მათი ჩაბარებები

1. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულია გარანტის მხრიდან შემდეგი შეტყობინებები:
   ა) საგარანტიო მოთხოვნის მიღების შესახებ (ეგზავნება პრინციპალს);
   ბ) საგარანტიო მოთხოვნის ზუსტი შეუსაბამობის საფუძვლით უარის შესახებ (ეგზავნებათ ბენეფიციარსა და პრინციპალს);
   გ) პრინციპალის კონტრპოზიციის შესახებ (ეგზავნება ბენეფიციარს);
   დ) კონტრპოზიციის უსაფუძვლობისა და საგარანტიო ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ (ეგზავნება პრინციპალს);
   ე) შეტყობინება ბენეფიციარს საგარანტიო მოთხოვნის დოკუმენტური ან ფაქტობრივი უსაფუძვლობის შესახებ (ეგზავნებათ ბენეფიციარსა და პრინციპალს).

მუხლი 10. ვადები

1. ამ ინსტრუქციით განსაზღვრული პროცესი „გონივრული მზრუნველობის“ პრინციპით ისე უნდა წარიმართოს, რომ, ერთი მხრივ, შემჭიდროვდეს დრო და, მეორე მხრივ, შესრულდეს შეტყობინების ვალდებულება და ადრესატს ჰქონდეს მასზე რეაგირების სათანადო ვადა.
2. ზუსტი შესაბამისობის საგარანტიო მოთხოვნა ექვემდებარება საგარანტიო ანაზღაურებას მიღებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო პრინციპალის კონტრპოზიციის შემთხვევაში – 2 თვის ვადაში.
3. პრინციპალის კონტრპოზიციის მიუხედავად, განმეორებითი მოთხოვნა ექვემდებარება საგარანტიო ანაზღაურებას მიღებიდან 1 თვის ვადაში.
4. ამ მუხლიით განსაზღვრული ვადები შეიძლება გაიზარდოს გონივრული ვადით, თუ:

[1030] იხ. სასამართლო პრაქტიკა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/7201-14 (27.07.2015).

ა) პრინციპალისთვის საგარანტიო მოთხოვნის ასლის შეტყობინების ჩაბარება ვერ მოხერხდა ან/და შეტყობინების ჩაბარების გაძნელებამ პრინციპალის მიერ პოზიციის წარმოდგენა გადაავადა;

ბ) ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი არაა თავისი ის საბანკო ანგარიში, რომელზედაც უნდა გადაირიცხოს საგარანტიო ანაზღაურება;

გ) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით განსახორციელებელია კანონით განსაზღვრული ღონისძიებები.

5. თუ, პრინციპალთან შეთანხმებით, საბანკო გარანტიით განსაზღვრულია საგარანტიო ანაზღაურების გაცემის შემჭიდროებული ვადა, მაშინ ამ ინსტრუქციით განსაზღვრული შესწავლისა და შეტყობინებების პროცესები შეძლებისამებრ დაჩქარებით უნდა წარიმართოს.

6. საბანკო გარანტიით ან ბენეფიციართან შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს საგარანტიო ანაზღაურების ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული პირობები.

განაცხადი

ვადასტურებ რომ რომ ნაშრომი დესრულებულია ჩემს მიერ, წყაროები არ არის გამოყენებული შესაბამისი მითითების გარეშე, პლაგიატის შემთხვევაში ვაცნობიერებ ჩემს პასუხისმგებლობას და პროგრამიდან გარიცხვის შესაძლებლობას

ნინო ლიპარტია